# კვირის პალიტრა

№ 22 (483) ◆ 31 მაისი – 6 ივნისი. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## საქართველოს ხელისუფლების არც ერთ დონეზე აღარ არის ხელშეუხებელი ხალხი

**„ჭაღარის გამო ჩემს მეუღლეს ნაკლებად არ მოვწონვარ“**



ექსკლუზიური ინტერვიუ...

...სამწუხაროდ, დღეს ჩვენი ძირითადი ობიექტები, მათ შორის, პორტები, ბანდიტი ჩინოვნიკების ხელშია. ამიტომ ჩვენ უნდა შევძლოთ სწორი პრივატიზაციის ჩატარება.

...ინვესტორთა დაინტერესება რომ გაიზარდოს, მათ რეალურად უნდა დაინახონ — ჩვენ მუშაობის საშუალება მართლაც გვაქვსო... ქართველი ბიზნესმენები არ შეიზღუდებიან, მაგრამ არც პრივილეგიები ექნებათ.

...სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ პენსიონერებს პენსიას გადავუხდით. გვ.5,11

...ყველაზე ცუდი გამოსავალი ძალის გამოყენება იქნება.

...მთავრობაში კადრების განახლების პროცესი მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს, არ დავუშვებთ მის დახავსებას.

საქართველოში ჩამოგვყავს ცნობილი პერუელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი დე სოტო, რომლის სპეციალიზაცია დამალული ეკონომიკის ლეგალიზებაა.



პატარკაციშვილს ქვეყნის გარეთ იმხელა ფინანსები აქვს დაგროვილი, რომ სათუოა, მას ქართულ ბაზარზე რისიმე მონოპოლიზება და, ამ თვალსაზრისით, სახელის გაფუჭება ხელს აძლევდეს. რაც შეეხება კიწმარიშვილს, ისიც საკმაოდ ნიჭიერი კომერსანტი გახლავთ, მაგრამ როგორც ჩანს, ქონების დაგროვების თვალსაზრისით, ჯერ კიდევ არ მიუღწევია იმ კონდიციამდე, როდესაც ბიზნესმენი სახელსა და ქველმოქმედებაზე ფიქრს იწყებს. ამდენად იგი გავლენის სფეროების დაუფლების ძალიან დიდი ცდუნების წინაშე დგას... გვ.3

პირველად ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში

## სპეცრეპორტაჟი საკუთარი ოპერაციიდან იქ, სადაც შესვლა აკრძალულია

გვ.7




დღემდე უცნობი დეტალები, რომლებიც თან სდევს ერთ-ერთ ურთულეს ოპერაციას ადამიანის მთავარ სასიცოცხლო ორგანოზე — გულზე.

## რა სურთ რუს ბიზნესმენებს

**საუბარი ოლიგარქთან**

საერთოდ, ბიზნესში ვცდილობ, რომ საკონტროლო პაკეტის მფლობელი თავად ვიყო და ამით მართვის სადავეები ჩავიგდო ხელში. შევეცდებით, მოვიპოვოთ საკონტროლო პაკეტი როგორც ზესტაფონში, ასევე ჭიათურაში. გვ.6,11

*რუს ინვესტორთა კავშირის დირექტორი სერგეი გენერალოვი*

## ჩრდილოელ მილიარდერთა ვიზიტის პოლიტიკური შუქჩრდილები

**მიზანი, რომელიც ჯერჯერობით არ ხმაურდება**

„თავისუფლებისთვის მებრძოლმა“ არძინბამ შავი ზღვის მთელი სანაპირო ზოლი რუსებს მიჰყიდა. თუკი საქართველო აფხაზეთში საომარ მოქმედებებს წამოიწყებდა, მაშინ ის არა მხოლოდ არძინბას ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძოლებდა, არამედ საქმე ექნებოდა რუსული ბიზნესის გავლენიან პირებთან, რომელთა შორის რუსი გენერალიტეტის წარმომადგენლები ჭარბობენ... თუკი რუსი ინვესტორები ერთიანი ქვეყნის ტერიტორიაზე შემოვლენ, აფხაზეთის ხელისუფლებასა და რუს ბიზნესმენებს შორის ძველი გარიგება ძალას დაკარგავს. გვ.13

## „ისინი ვილაცის დაკვეთით ჩამოვიდნენ“

თავისუფალი ეკონომიკის პირობებში ქვეყნის პრეზიდენტი ვერ უკარნახებს ბიზნესმენს ფულის ამა თუ იმ სფეროში დაბანდებას და თუ ვლადიმირ პუტინმა ეს ვინმეს უბრძანა, მივიღებთ სახელმწიფო პოლიტიკასთან მიბმულ კაპიტალს. გვ.13

*გიორგი მაისაშვილი*

**რეზო ჭორდანია:** პატარაობაში ლანჩხუთი დედამიწის ცენტრი მეგონა. როდესაც წამოვიზარდე, მერე საქართველო იქცა მთელი სამყაროს გულისგულად. ჩემს ბავშვობაში ყველაზე დიდი დღესასწაულები 26 მაისი და მართლმადიდებლური შობა იყო. გვ.16

## ახალი სახის აფერა თბილისში

**ავეჯი „აფერისტებსაც“ ჰყვარებიათ** გვ.4

ფულს ექიმი გადაგიხდით?!

*დღეს სამაჩაბლოში...* გვ.7,27

## „ახლა წყნარად არიან, თუმცა სეპარატისტებისაგან აგრესიას მუდმივად უნდა ველოდოთ“

„კოკოითი „ფე-ეს-ბე“-ს აგენტია, რუსების დავალებების საუკეთესო შემსრულებელი. მაგან უკვე იცის, რომ რუსეთი ამ რეგიონს ვერ და არ მიიერთებს, მაგრამ თამაშობს. სანამ მოსკოვიდან სხვაგვარ დირექტივას არ მიიღებს, იგი კვლავაც ოსების გარუსების პოლიტიკას ეწევა“.

**რატომ იქცნენ ოსები და ქართველები რუსეთის მოქალაქეებად?**

ჩვენი რეპორტაჟი — რას ფიქრობენ ცხინვალელი ოსები?



## მკითხველი ყველაზე გავლენიან ქართველ ბიზნესმენებს ასახელებს

გვ.35

საპრიზო-გამოკითხვა რეიტინგი

სასამართლო

გვერდი 17–20

## როგორი იქნება 9 აპრილის მემორიალი

პარლამენტის შენობის წინ, ქვაფენილზე, 17 ფილა აინთება, ორი ფილა კი პარლამენტის შენობის სვეტებზე განთავსდება. გვ.4

# 1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## პუტინი „სიტყვის კაცია“?!

თბილისში გამართულ ეკონომიკურ ფორუმზე რუს ბიზნესმენებთან შეხვედრის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ მისი რუსი კოლეგა ვლადიმირ პუტინი „სიტყვის კაცი“ და ის პოლიტიკოსია, რომლის ნდობაც შეიძლება.

სააკაშვილის თქმით, ბოლო პერიოდში რუსეთსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის აღდგენილი ნდობა ყველა პერსპექტივას იძლევა იმისათვის, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები კიდევ უფრო მჭიდრო გახდეს.

საქართველოს პრეზიდენტი იმედოვნებს, რომ შექმნილ რეალობაში საქართველო და რუსეთი კიდევ უფრო გააღრმავებენ ურთიერთთანამშრომლობას. სააკაშვილი კი თავის მხრივ გარანტიას იძლევა, რომ იმ შემთხვევაში, თუ რუსი ბიზნესმენები საქართველოში ინვესტიციების განხორციელებას დათანხმდებიან, მათ ბიზნესინტერესებს საფრთხე არ დაემუქრება.

## პრემიერი ბიზნესმენებს მოუწოდებს

პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას აზრით, საქართველოს განვითარება ენერგეტიკული პრობლემის მოგვარების გარეშე წარმოუდგენელია. ამიტომაც მან რუს ბიზნესმენებს ქართულ ენერგეტიკაში რამდენიმე პროექტის განხორციელება შესთავაზა.

პრემიერ-მინისტრის განმარტებით, საქართველო გეგმავს ელექტროგადამცემი ხაზის აშენებას, რომლითაც შესაძლებელი იქნება რუსეთიდან თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტის განხორციელება. „თურქეთი კარგი ბაზარია. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ საქართველო მზად არის „ხუდონჰესის“ მშენებლობის პროექტი განახორციელოს, ეს მომგებიანი, კომერციული პროექტი იქნება“, — განაცხადა ჟვანიამ.

მისი თქმით, დაგეგმილია „თბილსრესის“ რეაბილიტაცია და სხვა ჰიდროელექტროსადგურების აღდგენა. „საინტერესოა საქართველოს გაზის სექტორიც. მაგისტრალური გაზსადენის ჩათვლით ეს მომგებიანი ბაზარია. გარდა ამისა, ჩვენ ინვესტიციების განხორციელება შიდა გაზგამანაწილებელ ქსელშიც დაგვჭირდება“, — განაცხადა ჟვანიამ.

ჟვანიამ რუს ბიზნესმენებთან შეხვედრისას სოფლის მეურნეობის პროექტების განხორციელების აუცილებლობაზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობა ერთ-ერთი ყველაზე ორგანიზებული სექტორია, რომელსაც მთლიანი შიდა პროდუქტის ნახევარი უკავია. „სოფლის მეურნეობა ნულოვანი საგადასახადო რეჟიმით მუშაობს, რაც სექტორს საკმაოდ საინტერესოსა და პერსპექტიულს ხდის“, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

მისი თქმით, რუსებისათვის საინტერესო იქნება ინვესტიციების განხორციელება სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელ მრეწველობაში. „საქართველო რუსეთს სოფლის მეურნეობის პროდუქტებით არაორგანიზებულად ამარაგებს. ამ ბიზნესს ბევრი კანონიერი ქურდი პატრონობს“, — განაცხადა ჟვანიამ და მაგალითად მწვანილის ბიზნესი მოიყვანა, რომლის წლიური ბრუნვა, მისი გათვლებით, 100 მლნ დოლარს შეადგენს.

## ბურჯანაძე ქუთაისზე ზრუნავს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ნინო ბურჯანაძის თქმით, მიუხედავად არსებული პრობლემებისა და წინააღმდეგობებისა, რომლებიც საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში იყო და ჯერ კიდევ რჩება, ყველა შანსი და პერსპექტივა არსებობს საიმისოდ, რომ ორ ქვეყანას შორის პარტნიორული და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული პოლიტიკური ურთიერთობები ჩამოყალიბდეს. ბურჯანაძის განცხადებით, ამაში მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს როგორც ქართულმა, ასევე რუსულმა ბიზნესმა.

პარლამენტის თავმჯდომარე დარწმუნებულია, რომ საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რათა რუსული ინვესტიციები და რუსი ბიზნესმენების ინტერესები საქართველოში დაცულ იქნეს. ამავდროულად, მას მიაჩნია, რომ ასეთივე ხელშეწყობა უნდა ჰქონდეს ქართულ ბიზნესს რუსეთში. ბურჯანაძე იმედოვნებს, რომ ინვესტიციები განხორციელდება აფხაზეთშიც და საქართველოს სხვა რეგიონებში. „ამჟამად, აფხაზეთში საკმაოდ მნიშვნელოვანი ინვესტიციებია განხორციელებული, რაც სამართლებრივ ბაზას არ ეყრდნობა, რადგან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ჯერჯერობით ვერ აკონტროლებს აფხაზეთს“, — აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე და რუს ბიზნესმენებსა და ხელისუფლებას მოუწოდებს ხელი შეუწყონ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებას, რაც აფხაზეთში ჩადებულ რუსულ ინვესტიციებს ლეგალურ და სამართლებრივ ბაზას დაუმკვიდრებს. ბურჯანაძის აზრით, რუსული ინვესტიციები უნდა განხორციელდეს ქალაქ ქუთაისში არსებულ საწარმოებშიც. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ქუთაისში ყველა პირობა შეიქმნება და არის იმისათვის, რომ იქ არსებული საწარმოებით რუსი ბიზნესმენები დაინტერესდნენ.

## რუსი ბიზნესმენები რკინიგზით დაინტერესდნენ

თბილისში მყოფმა რუსმა ბიზნესმენებმა საქართველოს რკინიგზით დაინტერესება კიდევ ერთხელ გამოხატეს. „საქართველოს რკინიგზის“ ახალდანიშნული გენერალური დირექტორის, დავით ონოფრიშვილის განცხადებით, რუსი ბიზნესმენები საქართველოს რკინიგზით, კერძოდ კი აფხაზეთში რკინიგზის აღდგენით დაინტერესდნენ.

„თუ აფხაზეთში რკინიგზა აღდგება, ეს რუსეთ-საქართველოს ეკონომიკურ კავშირებს სერიოზულად გააძლიერებს, მაგრამ ჯერ აფხაზეთის საკითხი პოლიტიკურად უნდა მოგვარდეს“, — აღნიშნა გენერალურმა დირექტორმა.

დავით ონოფრიშვილის განცხადებით, რუს კოლეგებთან შეხვედრაზე ისინი შეთანხმდნენ, რომ რუსეთში რამდენიმე ქართველი სპეციალისტი გაივლის სტაჟირებას. „გარდა ამისა, შეიძლება რუსეთმა რეფორმირების საკითხებში ტექნიკური დახმარებაც გაგვიწიოს“, — დასძინა რკინიგზის შეფმა.

## ვინ გახდება აფხაზეთის პრეზიდენტი

აფხაზეთის სახალხო კრებამ, რომელმაც თავის დროზე პრეზიდენტ არძინბას ადმინისტრაციის ზეწოლით უარი თქვა ოპოზიციის მიერ შემუშავებულ კანონში „პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ ცვლილებებისა და დამატებების მიღებაზე, 28 მაისს პოზიცია შეიცვალა. ახალი კანონის მიღების შედეგად, მისი ერთ-ერთი მუხლის მიხედვით, აფხაზეთის პრეზიდენტი ვერ გახდება მოქალაქე, რომელსაც უკანასკნელი 5 წელი აფხაზეთში არ ექნება გატარებული. აქედან გამომდინარე, არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ არძინბას „სტაჟიანი ოპონენტები“ — მოსკოვში მცხოვრები აფხაზური დიასპორის ხელმძღვანელი, აფხაზეთის შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ალექსანდრე ანქვაბი და რუსეთის განსაკუთრებულ სიტუაციათა მინისტრ სერგეი შოიგუს მეგობარი ნოდარ ხაჟბა, რომელმაც საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით აფხაზეთში პოლიტიკური აქტივობა გააძლიერა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „ერთიანი აფხაზეთი“ დააფუძნა.

აფხაზეთის ლეგიტიმური უშიშროების სამინისტროს ცნობით, რუსეთის გავლენიანი პოლიტიკური წრეების მცდელობის მიუხედავად, აფხაზურმა პარლამენტმა არ გაიზიარა რუსეთის სახელისუფლებო წრეების წარმომადგენელთა რეკომენდაცია პრეზიდენტობის კანდიდატთათვის 5-წლიანი ცენზის მოხსნის შესახებ. სავარაუდოდ, საპრეზიდენტო არჩევნები აფხაზეთში 2004 წლის 3 ოქტომბერს გაიმართება.

## ძარცვა თუ ძარცვის ინსცენირება

ხელვაჩაურის რაიონის სოფელ კვარიათში დაუდგენელმა პირებმა ქვემო ქართლში პრეზიდენტ შევარდნაძის ყოფილი რწმუნებულის, ამჟამად უცხოეთში გაქცეული ლევან მამალაძის სახლი გაქურდეს.

აჭარაში მოქმედი დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს კანონიერებისა და მართლწესრიგის კომიტეტს სოფელ კვარიათში ლევან მამალაძის კუთვნილი სახლის გაძარცვის შესახებ წერილობით მიმართა ამავე სოფლის მკვიდრმა, მამალაძის სახლის დარაჯმა, ზურაბ ფართენაძემ, რომლის მტკიცებით, დაუდგენელმა პირებმა მიმდინარე კვირას ის სახლი გაქურდეს, რომელიც რეალურად მოქალაქე ზურაბ ლობჟანიძეზეა გაფორმებული. მისივე ინფორმაციით, მძარცველებმა ლევან მამალაძის სახლიდან ძვირად ღირებული ავეჯი, 20 ტელევიზორი, მაცივრები და კომპიუტერები წაიღეს.

დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს კანონიერებისა და მართლწესრიგის კომიტეტის თავმჯდომარემ, კობა ხაბაზმა ოფიციალური წერილით მიმართა აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრ დავით ღლონტს მამალაძის სახლის გაძარცვის ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და უმოკლეს ვადებში დამნაშავეთა დაკავების შესახებ. თუმცა საეჭვოა დამნაშავეთა დადგენა მოხერხდეს. არ გამორიცხავენ, რომ ძარცვის ინსცენირება თავად მამალაძის ახლობლების მოწყობილიც იყოს.

## პოლიცია ისევ მფარველობს კონტრაბანდას?

სატვირთო ავტომანქანა, რომელსაც აფხაზების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან თბილისში უცხოური მარკის კონტრაბანდული სიგარეტი უნდა შემოეტანა, 30 მაისს ზუგდიდში ადმინისტრაციული საზღვრის გადმოკვეთისთანავე დააკავეს. მას პოლიციის მანქანა მოაცილებდა. როგორც ცნობილი გახდა, „კამაზი“ აფხაზეთში საქონლის გადმოსატანად 30 მაისის ღამეს გადავიდა და მაშინაც პოლიცია მიაცილებდა. დაკავებულია მძღოლი და პოლიციელი დავით ფიფია. ვრცელდება ინფორმაცია, რომ კონტრაბანდული ოპერაცია პოლიციის მაღალჩინოსნებთან იყო შეთანხმებული და მძღოლს ხელშეუხებლობის გარანტიაც ჰქონდა მიღებული. დაკავებული საქონელი ქუთაისის ტერმინალშია. მიმდინარეობს გამოძიება.

## ვის გაუცვლიან საჩუქარს?

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იტალიის მთავრობამ 8 მლნ ევროდ ღირებული 138 დასახელების სანივთე ქონება უსაჩუქრა.

ოფიციალურ ცერემონიალზე თავდაცვის სამინისტროს ეზოში წარმოდგენილი იყო ჯარისკაცებისა და ტექნიკური პერსონალისთვის განკუთვნილი ტანსაცმლის, მაღალყელიანი ფეხსაცმლისა და სხვა სანივთე ქონების ის ნიმუშები, რაც თითქმის ყველა სამხედრო ნაწილში დარიგდება. მართალია, ნაჩუქარ ცხენს კბილს არ უსინჯავენ, მაგრამ პრობლემას წარმოადგენს ფეხსაცმელები, რომელთა ზომა 47-დან 52-ს შორის მერყეობს(?!). ამიტომ ლოჯისტიკის სამმართველომ უკვე დაიწყო ფიქრი, თუ რომელ ქვეყანას შეიძლება გაუცვალოს იტალიური საჩუქარი.

იტალიურ დახმარებაში 8.600 ცალამდე საველე ფორმა, 14 ათასამდე ყოველდღიური ტანსაცმელი, დაახლოებით 4.600 წყვილი მაღალყელიანი ფეხსაცმელი, ქურთუკები, სპეცტანსაცმელი და სხვა ნივთები შედის. აღნიშნული ამუნიციით შეიარაღებული ძალების 40%-ის შემოსვა მოხერხდება, დანარჩენებზე კი საქართველოს მთავრობამ უნდა იზრუნოს.

იტალიური ეკიპირებით უპირველესად ის ახალწვეულები შეიმოსებიან, რომლებიც სავალდებულო სამხედრო სამსახურში მიმდინარე წლის გაზაფხულზე გაიწვიეს.

იტალიის ელჩის განცხადებით, საქართველოსა და იტალიის თავდაცვის უწყებები დიდი ხანია თანამშრომლობენ და დახმარების პროგრამები მომავალშიც გაგრძელდება.

## არჩევნებისთვის მზადება დაიწყო

ბათუმში რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადება დაიწყო. აჭარის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში 20 ივნისისთვის დაგეგმილი არჩევნებისთვის რეგისტრაცია 13-მა პარტიამ გაიარა. ესენია: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა — დემოკრატები“, „მერაბ კოსტავას საზოგადოება“, „დემოკრატიული სიმართლის პარტია“ (რომლის ხელმძღვანელი ემიგრაციიდან რამდენიმე დღის წინ დაბრუნებული ლევან ქიძინიძეა), „კომუნისტური პარტია“, „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია“, „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი“, „საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია“, „ქრისტიან-დემოკრატიული პარტია“, „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“, „რესპუბლიკური პარტია“, „საქართველოს მწვანეთა პარტია“ და „ქალთა დაცვის კავშირი“.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის 12 ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქი შექმნა. საარჩევნო ოლქები ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონებში გაიხსნა, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა 12 მაჟორიტარ დეპუტატს აირჩევს.

აჭარაში საარჩევნო უბნები 31 მაისის 18.00 საათამდე უნდა დაკომპლექტდეს, საინიციატივო ჯგუფებმა მაჟორიტარობის კანდიდატები 6 ივნისამდე უნდა წარადგინონ, პარტიებმა კი წევრთა სიები 8 ივნისამდე. 3 ივნისს ბლოკების რეგისტრაციის ვადა იწურება, 6 ივნისიდან კი ამომრჩევლის წინასაარჩევნო რეგისტრაცია უნდა დაიწყოს.

აჭარის უმაღლეს საბჭოში 12 მაჟორიტარი და 18 პარტიული სიით გასული წევრი იქნება, სულ 30 კაცი.

აჭარის არჩევნები 400 ათასი ლარით დაფინანსდება, აქედან 160.000 დოლარს საერთაშორისო ორგანიზაციები გამოყოფენ. გარდა ამისა, შესაძლოა საარჩევნო ბიულეტენებიც უცხოელების დაფინანსებით დაიბეჭდოს.

## ასე გამოიყურება აბაშიძის ქონება

პრეზიდენტის რწმუნებულმა აჭარაში ლევან ვარშალომიძემ 29 მაისს ჟურნალისტებს ასლან აბაშიძის ყოფილი რეზიდენცია და დატოვებული ქონება დაათვალიერებინა.

აბაშიძის ყოფილი აპარტამენტები ათეულობით დარბაზისგან, სარდაფისა და სხვენისაგან შედგება. აქ წარმოდგენილია ასობით უძვირფასესი ფერწერული ტილო, გობელენები, რომელთა უმრავლესობაზეც ასლან აბაშიძე და გიორგი აბაშიძე არიან გამოსახული. აქვეა ძვირფასი ლარნაკები, სასმელები და სხვადასხვა ფორმისა და მასალისაგან გაკეთებული აბაშიძის სკულპტურები, აგრეთვე ოქროსა და ვერცხლისფიგურებიანი ჭადრაკი.

ლევან ვარშალომიძემ ექსკურსიამძღოლის ფუნქცია თავად იკისრა. მან ჟურნალისტებს ასლან აბაშიძის საძინებელი და რუსი გენერლის, ალექსანდრე ნეტკაჩოვის ოთახიც დაათვალიერებინა, სადაც გენერლის ტანსაცმელი დღემდე დევს.

უძვირფასესი წიგნებისა და ხატებისთვის შენობაში სხვენი იყო გამოყოფილი. სარდაფში კი ასლან აბაშიძის სახელობის ღვინოები ინახებოდა წარწერით — „ღვინო მხოლოდ მეგობრებისთვის“. აქვე იყო ჯემები და მურაბები. გავრცელებული ინფორმაციით, ასლან აბაშიძე მათ თავად ამზადებდა. ლევან ვარშალომიძის თქმით, ამ აქციით მან ხალხს დაანახვა, რომ ასლან აბაშიძის ქონება არავის არსად წაუღია. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ქონების ინვენტარიზაცია და ჯერ ცნობილი არ არის, სად განთავსდება ზემოჩამოთვლილი ნივთები.

## „აღიკვეთოს უკანონო მშენებლობები“

ვაკის რაიონში, ატენის ქუჩაზე მიმდინარე უკანონო მშენებლობებს ვაკის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ლევან გაჩეჩილაძე და ამ ქუჩის მოსახლეობა აპროტესტებენ. სახლი, რომელმაც მოსახლეობის პროტესტი გამოიწვია, 1993 წლიდან შენდება. გათვალისწინებული 5 სართულის ნაცვლად 13 სართულის აშენება გადაწყდა. ამას ემატება ისიც, რომ სახლი მეწყერსაშიშ ზონაშია. უცნობია სახლის მფლობელის ვინაობა. მოსახლეობის განცხადებით, მშენებლობის პროექტი ყველა სამშენებლო წესისა და კანონის დაცვით არის გაკეთებული, თუმცა, რეალურად მშენებლობის პროცესში ყველა წესი დარღვეულია და სახლის საკანალიზაციო მილები პირდაპირ „მზიურში“ გადის, რადგან მათი სხვაგან მიერთება ვერ მოხერხდა(?!). ლევან გაჩეჩილაძის განცხადებით, უცნობი კომპანიები არაცივილიზებული და უკანონო მეთოდებით ახორციელებენ სახლების როგორც დაპროექტებას, ისე მშენებლობას, რაც სასწრაფოდ უნდა აღიკვეთოს.

## როდის დამთავრდება განუკითხაობა?

სენაკის რაიონის სოფელ ზანაში, ხუთმა ბოროტმოქმედმა, რომლებიც ნიღბებით და ავტომატებით იყვნენ შეიარაღებულნი, გაძარცვეს მიკროავტობუსი, რომელიც თბილისიდან სენაკის გავლით ჩხოროწყუს მიმართულებით მიდიოდა. მიკროავტობუსში მოვაჭრეები ისხდნენ. ხუთმა შეიარაღებულმა ნიღბიანმა მძღოლს მანქანის გაჩერება უბრძანა, ხოლო შემდეგ აიძულა ცენტრალური გზიდან გადაეხვია. მძღოლი ნერვიული სტრესისგან გულის შეტევით ადგილზე გარდაიცვალა. მიკროავტობუსი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და გადაბრუნდა, თუმცა არავინ დაზარალებულა.

## ზარალი 2,5 მლნ-ს აჭარბებს

გამუდმებულმა წვიმამ ლენტეხის რაიონი კატასტროფულად დააზარალა. წინასწარი მონაცემებით, ზარალმა 2,5 მლნ დოლარს გადააჭარბა. ძლიერმა წვიმამ, რომელიც ოთხი დღე გრძელდებოდა, მწყობრიდან გამოიყვანა საავტომობილო გზები და ხიდები. დატბორილია ათასობით ჰექტარი სახნავ-სათესი სავარგული. სტიქიამ 50 სულზე მეტი მსხვილფეხა საქონელი შეიწირა. რამდენიმე სოფელი გარე სამყაროს კვლავ მოწყვეტილია. მათთან სატელეფონო კავშირის დამყარებაც ვერ ხერხდება.

## პირადობის მოწმობები უფასო იქნება

საქართველოს პარლამენტისა და იუსტიციის სამინისტროს ერთობლივი კომისია „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ კანონპროექტს სრულყოფს.

კანონპროექტის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეები აიღებენ ახალ პლასტიკატის პირადობის მოწმობებს, ხოლო საზღვარგარეთის ძველი პასპორტები 2006 წლის 1-ელ მარტამდე იმოქმედებს.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ კანონში ცვლილება შეიტანა, რომლის მიხედვით, არ გაუქმდება საზღვარგარეთის ის პასპორტები, რომელთაც მოქმედების ვადა ჯერ კიდევ არა აქვთ ამოწურული, ამიტომ ერთხანს მოქმედებაში ორი სახის საზღვარგარეთის პასპორტი იქნება.

საზღვარგარეთის პასპორტების ღირებულება შესაძლოა, 35 ლარზე მეტი იყოს, თუმცა პირადობის მოწმობები უფასო იქნება.




## ბუში უკვე დამარცხდა?

აშშ-ის პრეზიდენტის პოსტზე დემოკრატთა კანდიდატმა, რესპუბლიკელ ჯორჯ ბუშის კონკურენტმა ჯონ ქერიმ პირობა დადო, რომ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში შექმნის ახალ საერთაშორისო კოალიციას ტერორიზმთან საბრძოლველად.

სიეტლში გამოსვლისას, მან პრეზიდენტ ბუშის საგარეო პოლიტიკა, კერძოდ, ერაყის კამპანია გააკრიტიკა. მისი თქმით, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ბუშის ადმინისტრაცია საერთაშორისო მხარდაჭერის გარეშე დარჩა. „მათ ძალას მიმართეს, როცა ჯერ კიდევ რჩებოდა ადგილი დიპლომატიისათვის. ისინი აშინებდნენ, როცა უნდა დაერწმუნებინათ. მათ უკეთესის იმედი ჰქონდათ, როცა უარესისთვის უნდა დაეწყოთ მზადება“, — განაცხადა ქერიმ.

დემოკრატთა ლიდერის გამოსვლის პასუხად ბუშის წინასაარჩევნო შტაბის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ქერის გამოსვლა ახალს არაფერს შეიცავს.

ტელეკომპანია სი-ბი-ესის მიერ აშშ-ში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ჯონ ქერის მხარს ამერიკელთა 49% უჭერს, ჯორჯ ბუშს მხოლოდ 41%.

# „დაპირისპირება რომ არის, ეს ფაქტია და ვერსად დავემალებით“

**უაღრესად საინტერესო გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ჩვენ ერთნაირი შანსი გვაქვს, შვეიცარიასაც დავემსგავსოთ და კოლუმბიასაც**



**პატარკაციშვილს ქვეყნის გარეთ იმხელა ფინანსები აქვს დაგროვილი, რომ სათუოა, მას ქართულ ბაზარზე რისიმე მონოპოლიზება და, ამ თვალსაზრისით, სახელის გაფუჭება ხელს აძლევდეს. რაც შეეხება კიწმარიშვილს, ისიც საკმაოდ ნიჭიერი კომერსანტი გახლავთ, მაგრამ როგორც ჩანს, ქონების დაგროვების თვალსაზრისით, ჯერ კიდევ არ მიუღწევია იმ კონდიციამდე, როდესაც ბიზნესმენი სახელსა და ქველმოქმედებაზე ფიქრს იწყებს. ამდენად, იგი მონოპოლიზებისა და გავლენის სფეროების დაუფლების ძალიან დიდი ცდუნების წინაშე დგას, რაც, თავისთავად, პატარკაციშვილის ინტერესებში არანაირად არ შედის. დაპირისპირება რომ არის, ეს ფაქტია და ვერსად დავემალებით.**

გასული კვირა, ინფორმაციული თვალსაზრისით, საქართველოში საკმაოდ დატვირთული გახლდათ. შემთხვევითი არ არის, რომ ახალი ამბები სამხედრო და ეკონომიკური თემატიკით იყო გაჯერებული. როგორც ჩანს, პოლიტიკაში წარმატებით ჩატარებული რევოლუციების შემდეგ ახალი ხელისუფლება რევოლუციის მოხდენას ეკონომიკაში აპირებს. შევარდნაძის ხელისუფლება უკვე მერამდენე წელია, აღლუმის გამართვისგან თავს იკავებდა ეკონომიკური მოსაზრებით — ვითომდა, სახელმწიფოს თანხები დაეზოგებაო. სინამდვილეში კი ათ იმდენს ჩინოსნები იტაცებდნენ. თუმცა ისიც საკითხავია, რამდენად საჭირო იყო ქვეყანაში აღლუმის გამართვა, როდესაც ყველაფერი სტაგნაციისკენ მიდიოდა. რასაკვირველია, დღეს საქართველოს არანაკლებ და, შესაძლოა, უფრო მეტადაც უჭირს, ვიდრე გასულ წლებში, მაგრამ 26 მაისს გამართული აღლუმი, თავისი მიზნებითა და შინაარსით (და არა მასშტაბებით ან მსოფლმხედველობით) ძალიან ჰგავდა მოსკოვში, მეორე მსოფლიო ომის დროს გამართულ აღლუმს, როდესაც ლამის ნახევარი რუსეთი ფაშისტებს ჰქონდათ დაპყრობილი და უაღრესად კრიტიკულ სიტუაციაში სტალინი საბჭოთა არმიის ძლიერების დემონსტრირებას ახდენდა. 300 არაგველის მემორიალის წინ 8 ათასამდე საკმაოდ კარგად გაწვრთნილი ჯარისკაცის მარშირების ფონზე აფხაზთა და ოსთათვის აფხაზურ და ოსურ ენებზე „გაწვდილი“ მეგობრობის ხელი უდავოდ ლოგიკური გაგრძელება იყო ერთიანი საქართველოს საშინაო თუ საგარეო ურთიერთობათა ისტორიული კონცეფციისა, რომელსაც ყველაზე კარგად თბილისის თავზე, სოლოლაკის ხეივანში აღმართული „ქართლის დედის“ მონუმენტი გამოხატავს — ცალ ხელში ხმალი, მეორეში კი თასი. არჩევანს აქ თავად მეორე მხარე აკეთებს. თუმცა, როგორც ხმლით, ისე ღვინიანი თასით ურთიერთობას, უპირველესად, ძლიერი ეკონომიკა სჭირდება, ეკონომიკა, სადაც არ იქნება პრივილეგიები სამშობლოსა და რევოლუციის წინაშე თუნდაც ყველაზე დიდი „დამსახურებისათვის“. ქართული სახელმწიფოებრიობის ახალ (უკვე მერამდენე!) გარიჟრაჟზე, საზოგადოებაში ამტყდარი მითქმა-მოთქმა და სატელევიზიო სიუჟეტების მეშვეობით ერთმანეთის სახელის შელახვის მცდელობა უკვე სერიოზული შიშის საფუძველს გვაძლევს — ვაითუ, საქართველოს მომავლის არცთუ ურიგო პერსპექტივა კვლავაც ერთი და ორი კაცის ჯიბეში დაილექოს!

რუსეთიდან ბიზნესმენების ჩამოყვანა შევარდნაძის დროს ალბათ ოპოზიციისა და მედიის ყიჟინის საბაბი გახდებოდა — საქართველოს რუსეთი ყიდულობს... სხვისდება სტრატეგიული ობიექტებიო და ა.შ. თუმცა, სავარაუდოდ ამ შემთხვევაშიც, აღლუმის მსგავსად, საქმე შინაარსობრივ სხვაობაში უნდა იყოს. თუ საქართველოს მსოფლიოში ვინმესთან ურთიერთობის გარკვევა და დალაგება სჭირდება, სწორედ რუსულ ბიზნესწრეებთან. თუმცა არა მხოლოდ რუსულ, არამედ ზოგადად, უცხოურ კაპიტალთან მიმართებაში (და, როგორც ხელისუფლება გვპირდება, ანალოგიური აქციები ევროპელ და ამერიკელ ბიზნესმენებთანაც გაიმართება) ალბათ ქვეყნის დაცვის გარკვეული მექანიზმების ჩამოყალიბება იქნება საჭირო — უაღრესად საინტერესო გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ჩვენ ერთნაირი შანსი გვაქვს, შვეიცარიასაც დავემსგავსოთ და კოლუმბიასაც — ორივეგან ფინანსური მიმოქცევა მსოფლიოს ყველა კუთხესთან მიმდინარეობს, თუმცა კოლუმბიაში ამ სიკეთით რამდენიმე კაცი სარგებლობს, შვეიცარიაში კი მთელი მოსახლეობა.

თუ რა ვითარებაა საქართველოს ეკონომიკაში შექმნილი, რომელიც თანდათან ქართული პოლიტიკის უმთავრესი საყრდენი ხდება და რამდენად რეალურია უცხოური თუ შინაძალების მიერ არასასურველ გავლენაში მისი მოქცევა, ვესაუბრებით ეკონომიკურ ექსპერტს, **ალექსანდრე თვალჭრელიძეს**.

**— რუსი ბიზნესმენების ჩამოსვლამ საქართველოში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ზოგიერთმა „დიდ სტუმრობაში“ რუსული ფინანსური ექსპანსია დაინახა, ზოგმაც — ქართული ეკონომიკისა და წარმოების აღორძინება...**

— სიმართლე გითხრათ, პირადად მე, ამ ვიზიტს იმხელა მნიშვნელობას არ ვანიჭებ, რომ ან ერთი, ან მეორე თვალსაზრისით რაიმე შედეგებზე ვილაპარაკო — მიუხედავად ჩემი დიდი პატივისცემისა დელეგაციის წევრების მიმართ. რაც შეეხება უარყოფით მხარეს, ექსპანსიას, მაინც გამოვრიცხავ, რადგან, მოგეხსენებათ, ფულს ეროვნება არა აქვს. ამავე დროს, ზედმეტად მიმაჩნია ის მითქმა-მოთქმაც, რაც ამ ვიზიტს ქართულ მედიასა თუ ზოგადად, საზოგადოებაში მოჰყვა. ასეთ შეხვედრებს კარგი შედეგი აქვს ხოლმე ერთმანეთის გაცნობის, ერთმანეთთან გარკვეული ურთიერთობის დაწყებისთვის; შევარდნაძის დროსაც ყოფილა ასეთი სტუმრობები, არანაკლებ მნიშვნელოვანი შემადგენლობით. იმავე საკითხებზე ადრეც იყო ლაპარაკი — თუნდაც, იტერასთან დაკავშირებით; სხვათა შორის, მე მაშინაც აღვნიშნავდი, რომ ამ შემთხვევაში რუსეთისთვის უნდა მიგვენიჭებინა უპირატესობა — გაზიც რუსულია და ბაზარიც.

შედეგების თვალსაზრისით, მნიშვნელობა აქვს, რა შესთავაზეს ერთმანეთს ქართველმა და რუსმა — უფრო სწორად, რუსეთის წარმომადგენელმა ბიზნესმენებმა. კონკრეტულად რა ბიზნესგეგმებზეა ლაპარაკი. ყოველ შემთხვევაში, როგორც გითხარით, ის, რაც გახმაურდა და რაც მოვისმინე, ახალი და აჟიოტაჟის ასატეხი ნამდვილად არ არის. როგორც წესი, ასეთი ვიზიტების რეალური შედეგები 6-7 თვის შემდეგ ჩნდება ხოლმე. როდესაც ბიზნესმენები შტაბბინაში ბრუნდებიან, ცივი გონებით, წმინდა კომერციული თვალსაზრისით განიხილავენ პროექტებს, რაღაცას ამატებენ, რაღაცას აკლებენ და ა.შ. რეალური შედეგი სწორედ მაშინ გამოჩნდება, თუ ამ „გადამუშავების“ შედეგად რაიმე სერიოზული გამოდნება. თორემ რუსი სტუმრების კახეთში წაყვანამ, მწვადების ჭამამ და ზედ ღვინის დაყოლებამ (რაც ასი წელია, გრძელდება), არა მგონია, ქართულ ეკონომიკასა და, რაც მთავარია, ინფრასტრუქტურის განვითარებაში რაიმე სერიოზული შედეგები მოიტანოს. მთავარი, რაც დღეს ქართული ეკონომიკის აღორძინებას სჭირდება, ბუნებით სარგებლობის რაციონალიზაცია და გაუმჯობესება გახლავთ — ამ კუთხით კი, რაიმე ხელშესახები არ გამოჩენილა. უფრო მეტიც, ის თითოოროოლა სპეციალისტიც კი, რომელიც ამ სფეროში მუშაობს, დღეს თამაშგარე მდგომარეობაშია დარჩენილი... ასე რომ, ისევ ვიმეორებ, ამ ვიზიტის დადებითი ან უარყოფითი შედეგები 6-7 თვეში გამოჩნდება და დღეს რაიმე კონკრეტულზე ლაპარაკი, ცოტა არ იყოს, ნაადრევია.

**— დღეს იმაზეც ლაპარაკობენ, რომ კვიპროსის უდიდესი ოფშორული ზონა, ამ ქვეყნის ევროკავშირში გაწევრების შემდეგ, გაუქმდება და იქნება მცდელობა, იქ არსებული რუსული, და არა მხოლოდ რუსული, კაპიტალის საქართველოში გადმოტანისა.**

— უპირველესად, ორი უმთავრესი მომენტი უნდა გამოვყოთ. პირველი ის გახლავთ, რომ დღესდღეობით მსოფლიოს უდიდესი ოფშორული ზონები არა კვიპროსში, არამედ ვირჯინიის კუნძულების ამერიკულ და ბრიტანულ ნაწილებშია განთავსებული. იქ ერთ ოთახში შეიძლება მილიარდობით დოლარის ბრუნვის მქონე რამდენიმე კორპორაცია და ფირმა იყოს რეგისტრირებული. ასეთ ზონად საქართველო არ განიხილება. თუმცა საქართველოს შეუძლია იყოს დაბალი საგადასახადო ზეწოლის ზონა, რაც ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და მომგებიანია, რადგან ჩვენს ქვეყანაში თავისი შტაბბინისა თუ საწარმოების განთავსებას, გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, მსოფლიოს ბევრი წამყვანი კორპორაცია ისურვებდა. თავის დროზე მე თავად შევახვედრე ზურაბ ჟვანიას ჟაკ შირაკის პირადი ადვოკატი, რომელსაც ძალიან დიდი ფინანსური კავშირები ჰქონდა. მაშინ იყო ლაპარაკი „ტოტალის“, „კოჟემას“ და მსოფლიოს სხვა გიგანტური კორპორაციების შტაბბინების საქართველოში გადმოტანის შესახებ. უფრო მეტიც — ფრანგ მაგნატებს სურდათ საქართველოში გადმოეტანათ ამ კორპორაციების კვლევითი ლაბორატორიებიც, რაც იმას ნიშნავდა, რომ მათ მიერ აღმოჩენილი თუ გამოგონებული ესა თუ ის ტექნოლოგია და მეცნიერული სიახლე საქართველოში დაპატენტდებოდა — ასეთ პატენტებში კი ძალიან დიდ თანხებს იხდიან. როგორც მახსოვს, მხოლოდ „ტოტალის“ მხრიდან, ლაპარაკი იყო ბიუჯეტში ყოველწლიურად 600 მილიონი დოლარის შემოსავალზე.

სამწუხაროდ, ამ პროექტის განხორციელებას მაშინ ხელი შეეშალა, რადგან სახელისუფლებო კავშირების მქონე ბიზნესმენებმა მისი ჩაშლა მოახერხეს. თუმცა ეს ინტერესი ჯერ კიდევ არსებობს, და არა მხოლოდ საფრანგეთის მხრიდან. არის მეორე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი — ჩინეთის ხელში გადასვლის შემდეგ, ჰონ-კონგში განთავსებული მსოფლიოს უმდიდრესი ბანკები დიდხანს ვერ გაძლებენ. დაახლოებით 5-6 წელიწადში დადგება საკითხი მათი შტაბბინის შეცვლისა. ჩემი ინფორმაციით, პოლიტიკური სტაბილურობისა და სათანადო საგადასახადო ბაზის არსებობის შემთხვევაში, საქართველო მათთვის სრულიად მისაღები ტერიტორია გახდება. ეს კი იმხელა სიკეთეს და მოგებას უკავშირდება, რომ ამ შანსის ხელიდან გაშვება ქვეყნის ღალატის ტოლფასი იქნება.

**უაღრესად საინტერესო გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ჩვენ ერთნაირი შანსი გვაქვს, შვეიცარიასაც დავემსგავსოთ და კოლუმბიასაც — ორივეგან ფინანსური მიმოქცევა მსოფლიოს ყველა კუთხესთან მიმდინარეობს, თუმცა კოლუმბიაში ამ სიკეთით რამდენიმე კაცი სარგებლობს, შვეიცარიაში კი მთელი მოსახლეობა.**

**ჩინეთის ხელში გადასვლის შემდეგ, ჰონ-კონგში განთავსებული მსოფლიოს უმდიდრესი ბანკები დიდხანს ვერ გაძლებენ. დაახლოებით 5-6 წელიწადში დადგება საკითხი მათი შტაბბინის შეცვლისა. ჩემი ინფორმაციით, პოლიტიკური სტაბილურობისა და სათანადო საგადასახადო ბაზის არსებობის შემთხვევაში, საქართველო მათთვის სრულიად მისაღები ტერიტორია გახდება. ეს კი იმხელა სიკეთეს და მოგებას უკავშირდება, რომ ამ შანსის ხელიდან გაშვება ქვეყნის ღალატის ტოლფასი იქნება.**

**— ალბათ ამ მიზნითაც, სასურველი იქნებოდა საქართველოში დასავლეთ ევროპის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და თუნდაც, იმავე აზიის ბიზნესწრეების წარმომადგენლებიც გვეხილა.**

— არათუ სასურველი, აუცილებელიც არის და ვიცი, რომ ბევრ მათგანს სურს კიდეც რეალური მოლაპარაკების გამართვა საქართველოს ხელისუფლებასთან, მაგრამ აქ რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს. პირველი — ლოგისტიკა ანუ უსაფრთხოება გახლავთ. ბენდუქიძეს და ვოლსკის კიდევ რა უშავს. რამდენად იოლი გეჩვენებათ თბილისში, რომელიმე სასტუმროში ერთად „იუსაიდის“ გენერალური დირექტორის, მადლენ ოლბრაითისა და „მაიკროსოფტის“ მფლობელის, ბილ გეიტსის, ან „ჯენერალ მოტორსისა“ და „ტოიოტას“ ხელმძღვანელების შეხვედრა? დამეთანხმებით, ცოტა რთული საკითხია. მეორე კი მენტალიტეტი გახლავთ. რუსეთის ბიზნესწრეებთან საქმიანი ურთიერთობის დამყარება ქართველებისთვის ბევრად უფრო იოლია — იციან ერთმანეთის ხასიათი, სუსტი წერტილები, ნდობის დამყარების და სიტყვის მიცემის ფასი. ბიზნესურთიერთობის დასავლური გაგება კი ცოტა სხვაგვარია. თუმცა ეს პრობლემაც შეიძლება მოგვარდეს და რეალური საჭიროებიდან გამომდინარე, ამ ურთიერთობასაც „ავითვისებთ“, თუმცა გაცილებით რთულად, ვიდრე რუსების შემთხვევაში. საქართველოში რუსული კაპიტალის შემოსვლას ტრაგედიად ნამდვილად არ მივიჩნევ. გავიხსენოთ, რა არის სინამდვილეში ეს „რუსული“ კაპიტალი — კახა ბენდუქიძის, ბიძინა ივანიშვილის, ზურაბ წერეთელის, ბადრი პატარკაციშვილის ფული...

თანამედროვე მსოფლიოში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, დღეს საქართველოს საუკეთესო შანსი აქვს როგორც რუსული, ისე ზოგადად, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა. მაგრამ ილუზიებმაც არ უნდა გაგვიტაცოს — უნდა გავაცნობიეროთ, და ეს უპირველესად, ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს, რომ ამისთვის ორი რამ არის საჭირო — სათანადო ბიზნესგარემოს შექმნა, უწინარესად, საკანონმდებლო თვალსაზრისით და პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

**— რამდენად წაადგება ქართულ, პოსტრევოლუციურ სინამდვილეში აღმოცენებული დაპირისპირება პატარკაციშვილსა და კიწმარიშვილს, კიწმარიშვილსა და ჟვანიას შორის სათანადო ბიზნესგარემოს შექმნას? ფაქტია, რომ ეს მხოლოდ ორი ტელეკომპანიის დაპირისპირება არ არის — აქ გაცილებით უფრო ღრმა ინტერესთა კონფლიქტი იკვეთება...**

— რაც შეეხება „იმედისა“ და „რუსთავი-2-ის“ დაპირისპირებას, ვფიქრობ, ყველაზე ნაკლებად კონფლიქტი აქ უნდა იყოს, რადგან ორივე ტელევიზიამ ქართულ საინფორმაციო სივრცეში საკუთარი ნიშა წარმატებით გამონახა — ორივეს თავისი მაყურებელი ჰყავს. რაც შეეხება „საეთერო“ დაპირისპირებას, აქ, როგორც ჩანს, კონფლიქტი გაცილებით ღრმაა. ვერაფერს ვიტყვი მხარეთა მორალური შეფასების თვალსაზრისით, თუმცა კონცეპტუალურად, ასე ვთქვათ, ლოგიკის თანახმად, მსჯელობა შესაძლებელია. პატარკაციშვილს ქვეყნის გარეთ იმხელა ფინანსები აქვს დაგროვილი, რომ სათუოა, მას ქართულ ბაზარზე რისიმე მონოპოლიზება და, ამ თვალსაზრისით, სახელის გაფუჭება ხელს აძლევდეს. პირიქით, მას ბიზნესის თანაბარი პირობები უფრო აძლევს ხელს, რადგან ასეთ შემთხვევაში მისი ღვაწლი ბევრად მკაფიოდ წარმოჩნდება — ეს კი დღეს ყველაზე მეტად შედის მის ინტერესებში. რაც შეეხება კიწმარიშვილს, ისიც საკმაოდ ნიჭიერი კომერსანტი გახლავთ, მაგრამ როგორც ჩანს, ქონების დაგროვების თვალსაზრისით, ჯერ კიდევ არ მიუღწევია იმ კონდიციამდე, როდესაც ბიზნესმენი სახელსა და ქველმოქმედებაზე ფიქრს იწყებს. ამდენად, იგი მონოპოლიზებისა და გავლენის სფეროების დაუფლების ძალიან დიდი ცდუნების წინაშე დგას, რაც, თავისთავად, პატარკაციშვილის ინტერესებში არანაირად არ შედის. ალბათ დრო გამოაჩენს, რამდენად მართალი იყო ერთი ან მეორე მხარე შექმნილ ვითარებაში. დაპირისპირება რომ არის, ეს ფაქტია და ვერსად დავემალებით. ალბათ ამ შემთხვევაში მთავარ როლს მაინც ხელისუფლების პოზიცია ითამაშებს. დასახული პერსპექტივების ფონზე, მას არანაირი დამსახურებების გამო არ უნდა აძლევდეს ხელს, ვინმეს განსაკუთრებული პრივილეგია მიანიჭოს, რადგან ასეთი რამ ბიზნესში არ იმალება — თუნდაც საზოგადოებისთვის ძნელად შესამჩნევი იყოს. ამ შემთხვევაში, გამოსავალი ხელისუფლების მხრიდან პოზიციების დაფიქსირება კი არ იქნება, არამედ აქტიური მოქმედება და მოქმედება არა პიროვნებების წინააღმდეგ ან სასარგებლოდ, არამედ ზოგადად, ეკონომიკური ურთიერთობების გაჯანსაღების მიზნით.

აუცილებლად და სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს საგადასახდო კოდექსი, რომელიც შევარდნაძის მმართველობისას, სახელისუფლებო კავშირების მქონე ლამის ყველა ბიზნესმენის თარგზე იყო მორგებული და ათასგზისაა შესწორებული. ეს უნდა იყოს უაღრესად მარტივი და კონკრეტული დოკუმენტი, რომელიც ორმაგ ვალდებულებას ასახავს — დღევანდელ კოდექსში კი მხოლოდ ის წერია, ვინ რამდენი უნდა გადაიხადოს. საგადასახადო კოდექსი განვითარებულ ქვეყნებში მთავრობასა და მოსახლეობას შორის დადებული კონტრაქტია, სადაც აღნიშნულია, რისთვის ინახავს ხალხი ხელისუფლებას. ბიუჯეტი ხომ, მნიშვნელოვანწილად, სწორედ მთავრობის შესანახ და მის მიერ ხელისუფლების განხორციელების დაფინანსებას გულისხმობს.

მეორე მომენტი კი ამ კოდექსის განუხრელი დაცვა იქნება, ანუ ბიზნესმენთა თანაბარ პირობებში ჩაყენება — ძალიან ხშირად ეს ფაქტორი ეკონომიკის განვითარებაში ბევრად უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ვიდრე, ვთქვათ, გადასახადების დაწევა, ან ადმინისტრირების ლოიალურობა.

***დაჩი გრძელიშვილი***

# როგორი იქნება 9 აპრილის მემორიალი

## სჯობს მეტნი ვიყოთ და უკეთესი გავაკეთოთ





საქართველოს თანხმობის (ე.წ. 9 აპრილის) მონუმენტზე გამართულმა კონკურსმა უხმაუროდ ვერ ჩაიარა. ჟიურის გადაწყვეტილებამ მოქანდაკეებს წონასწორობა იმდენად დააკარგვინა, რომ კონკურსის ორგანიზატორებისთვის მკვახე-მკვახე სიტყვებიც არ დაიშურეს — ვარდებით კი მოხვედით, მაგრამ ფრთხილად იყავით, პანღურით არ გაგაცილონო...

კონკურსში ორმა ნამუშევარმა გაიმარჯვა. პირველი პროექტის ავტორები არქიტექტორი კახა ქორიძე, მწერალი დათო ტურაშვილი, კინორეჟისორი გიო მგელაძე და გოგა მჭედლიშვილი არიან, მეორის კი — ძმები ჩხაიძეები. ეროვნული თანხმობის მონუმენტი ამ ორი პროექტის გაერთიანებით შეიქმნება. ჩხაიძეების პროექტით, ლოდი, რომელიც დღეს პარლამენტის შენობის წინ დგას, ადგილს შეიცვლის და პარლამენტის თაღებქვეშ, ერთ-ერთ სვეტთან გადაინაცვლებს; ხოლო ძეგლი, რომლის აგებასაც თავად ლოდი „გვაუწყებდა“, აღარ აღიმართება. საკმაოდ საინტერესოა მეორე პროექტის იდეა და ჩანაფიქრი. კონკურსის შედეგების გამოცხადების შემდეგ შექმნილი აჟიოტაჟის შესახებ კომენტარი გამარჯვებული პროექტის ერთ-ერთ თანაავტორს, **კახა ქორიძეს** ვთხოვეთ:

— სამწუხაროდ, კონკურსს შეხლა-შემოხლის გარეშე არ ჩაუვლია. ერთმა მოქანდაკემ თქვა, რატომ გაგვაკეთებინეთ ქანდაკებები, თუ ისევ ის ქვა დარჩებოდა, რომელიც პარლამენტის წინ დევსო. საერთოდ, ჟიურის ბედი ასეთია, ასიდან ერთი უნდა აირჩიოს და ოთხმოცდაცხრამეტი გაანაწყენოს. ამიტომაც აქვთ მის მიმართ ანტაგონისტური დამოკიდებულება. სხვათა შორის, ჩვენს საავტორო ჯგუფსაც ასეთი განწყობა ჰქონდა და გადავწყვიტე, ინკოგნიტოდ დავრჩენილიყავი (კონკურსის ნამუშევრებს მხოლოდ ნომრები ჰქონდა). კოლეგებიც გავაფრთხილე, არ ეთქვათ, რომ კონკურსში ვმონაწილეობდი. ეტყობა, ეჭვიანი კაცი ვარ, თან საამისო საფუძველიც მქონდა — კონკურსზე გავდიოდი და არავისთვის მითქვამს, რომ მასში ვმონაწილეობდი. თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა მოვუბოდიშო ჩემს კოლეგებს, რომელთაც მაშინვე არ გავუმხილე ყველაფერი. როდესაც გამოცხადდა, ორმა პროექტმა გაიმარჯვაო, მაშინაც ვიეჭვე, ხომ არ გაიგეს კონკურსში რომ ვმონაწილეობ-მეთქი და კონვერტი მოვითხოვე, მაგრამ ლუქი ხელუხლებელი აღმოჩნდა. ჩემი ეჭვიანობის გამო ჟიურისაც მინდა ბოდიში მოვუხადო.

**— იქნებ თქვენი პროექტის შესახებ გვითხრათ ორიოდ სიტყვა...**

— პარლამენტის შენობის წინ, ქვაფენილზე, 17 ფილა გაიბნევა (ფილების შიგნით განათებული ორი ვარდი იქნება), ორი ფილა კი პარლამენტის შენობის სვეტებზე განთავსდება. ღამით, როდესაც ფილები განათდება, 9 აპრილის ღამის ასოციაცია შეიქმნება, ხალხი ანთებული სანთლებით რომ იდგა. განათების რამდენიმე რეჟიმი იქნება — ეროვნული დღესასწაულების დროს საზეიმო, ჩვეულებრივ დღეებში კი სხვაგვარი. ხსოვნის დღეს, ანუ 9 აპრილს, შეიძლება ფილები წითლადაც განათდეს (რადგან იქ სისხლი დაიღვარა).

ამ მონუმენტით საქართველოს უახლეს ისტორიაში 23 ნოემბრამდე მომხდარი მოვლენების ასახვა გვსურდა. ქაოსურად გაფანტული ფილები გულისხმობს 1921 წელს, 9 აპრილსაც და 23 ნოემბერსაც. ფილაში ჩასმული ვარდი კი ვარდების რევოლუციის პირობითი გამოხატულებაა და მიგვანიშნებს, რომ ეროვნული თანხმობის მიღწევა ტყვიის კი არა, ყვავილების სროლითაც შეიძლება.

ამ ფილებზე გავლა ხალხსაც შეეძლება და ტანკსაც. მომავალი თაობა, რომელიც ქვაფენილზე გაივლის, ამ ადგილზე მომხდარი მოვლენების თანამონაწილე გახდება. უთუოდ შეჩერდება ფილასთან, შეხედავს ვარდს, საკუთარ ანარეკლს და ეროვნული თანხმობის საქმეში თანამონაწილეობის განცდა დაეუფლება. ეს მემორიალი იქნება გაფრთხილებაც, თუ სანამდე შეიძლება მიგვიყვანოს ეროვნულმა განხეთქილებამ. ლოდს, რომელიც აქამდე იყო პარლამენტის შენობასთან, ერთ-ერთ სვეტთან დადებენ, რომ მასზე სანთელი დაანთოს მსურველმა. სხვათა შორის, როდესაც პარლამენტის შენობის რესტავრაცია მიმდინარეობდა, ვთქვი — ჩამონგრეული სვეტი ჯობს, ასევე დარჩეს-მეთქი, რათა თაობებს ხსომებოდათ, რა მოაქვს ეროვნულ დაპირისპირებას.

**— გამარჯვებული პროექტების ერთმანეთთან შერწყმა არ გაგიჭირდებათ?**

— ეს ისეთივე სამუშაო იქნება, როგორც ორი მოთხრობისგან ერთის დაწერა, მაგრამ ვფიქრობ შევთანხმდებით ჩხაიძეებთან. შესაძლოა სხვა მხატვრებიც მოვიწვიოთ ავტორებად. მთავარია, უზადო და უმშვენიერესი მემორიალი გამოვიდეს, ავტორობის გაყოფაზე არ არის საქმე. ჯობს, მეტნი ვიყოთ და უკეთესი გავაკეთოთ.

***იზო რიკაძე***

# ახალი სახის აფერა თბილისში



## ფულს ექიმი გადაგიხდით?!

ბოლო დროს თბილისში ახალი სახის აფერა გავრცელდა. ოსტაპ ბენდერის ქართველმა კოლეგებმა მიზანში ავეჯის დამამზადებლები ამოიღეს და მათ „გადაგდებასაც“ წარმატებით ახორციელებენ. აფერის მექანიზმი მარტივია. თუმცა, ეტყობა, სწორედ სიმარტივის გამო ხვდებიან მეავეჯეები აფერისტების მიერ დაგებულ მახეში. ამის გამო დაზარალებულთა რაოდენობა სულ უფრო და უფრო მატულობს. თვით აფერის არსში რომ გავერკვეთ, ერთ-ერთ დაზარალებულს მოვუსმინოთ.

**კობა დაუშვილს** ავეჯის დამამზადებელი პატარა საამქრო აქვს. აქ იგი რამდენიმე დამხმარესთან ერთად სკამებს, საწოლებს, კარადებსა და სხვა სახის ავეჯს ამზადებს. ავეჯი, ძირითადად, სახელოსნოშივე იყიდება და ბაზარზე იშვიათად გააქვთ. ყველაფერი კარგად იყო, ვიდრე ერთი კვირის წინ დაუშვილის საამქროს ორი ახალგაზრდა მიაკითხავდა.

— დაახლოებით 12 საათი იყო, რომ მოვიდნენ, ოციოდე წლისანი იქნებოდნენ. საძინებელი და სკამები უნდოდათ. ასე, ერთი მოსვლით, ჩვენ ავეჯს არ ვყიდით, — ჯერ შეკვეთას ვიღებთ და მერე ორი-სამი თვე ვუნდებით ავეჯის დამზადებას. მაგრამ, ბედად, საძინებელიც გვქონდა და სკამებიც. შემკვეთი მოულოდნელად საზღვარგარეთში გაემგზავრა და ნება დაგვრთო, გაგვეყიდა. ამიტომ გაგვიხარდა, როცა ბიჭებმა მაინცდამაინც ეს ავეჯი მოითხოვეს. ვუთხარი, მოცდა აღარ მოგიწევთ და შეგიძლიათ, თუნდაც ახლავე წაიღოთ-მეთქი.

**— რა გიპასუხეს?**

— შევატყვე, გაუხარდათ, მაგრამ ერთმა მითხრა, საქმის ასეთ შემობრუნებას არ ველოდით, ამიტომ ფული თან არ გვაქვსო. ამასთან, ავეჯისთვის ფოტოს გადაღება მოინდომეს — ახლობლებს უნდა ვაჩვენოთ, თუ მოეწონებათ და ფასიც ხელმისაწვდომი იქნება, ხვალ მოვალთ და მოვილაპარაკოთო.

**— რამდენი უნდა გადაეხადათ ავეჯში?**

— ჩვენ ყველაფერს ხელით ვაკეთებთ. ჩუქურთმიანი ხის ავეჯი გვაქვს და არა — დიქტისა. ამიტომ ფასიც შესაბამისად მაღალია — 2.500 დოლარი. თითო სკამს ოცდაათ ლარად ვაკეთებთ. გარდა ამისა, ბერძნული ქალღმერთების ქანდაკებებიც გვქონდა. თითო საშუალოდ 1.000 დოლარი ღირს. მათ, ძირითადად, ოფისებისთვის ყიდულობენ... ერთი სიტყვით, მეორე დღეს მოვიდნენ და გვითხრეს, ავეჯი მოეწონათ და ვიყიდითო. ერთმა 100 დოლარი მომცა ბედ და მითხრა, რომ დანარჩენს დედამისი მომცემდა. საწინააღმდეგო არაფერი მქონდა. თითქმის ყველა კლიენტი ასე იქცევა, რადგან ფულის ჯიბით ტარებას ერიდებიან.

**— შემდეგ?**

— მანქანის მოსაყვანად წავიდნენ. დაახლოებით ერთ საათში დაბრუნდნენ და მანქანა ავეჯით დატვირთეს. ერთი ქალღმერთიც აიღეს. მანქანაში ჩემს ორ კაცთან ერთად ჩავუჯექი და წავედით. წერეთელზე, ერთი კორპუსის წინ გადმოვცალეთ. ერთ-ერთი სადარბაზოში შევიდა, სამიოდე წუთში დაბრუნდა და მითხრა, დედამისი, რომელიც რესპუბლიკურ საავადმყოფოში ექიმად მუშაობდა, სასწრაფოდ გამოუძახიათ. ამიტომ საავადმყოფოში უნდა მივსულიყავით და ფულს იქ მოგვცემდნენ. ერთი მათგანი ავეჯთან დარჩა. მეორემ კი ტაქსი გააჩერა და საავადმყოფოში წავედით. „რესპუბლიკურის“ შესასვლელში გვითხრა, აქ დამელოდეთო. გავიდა ხუთი წუთი. შემდეგ — 10, ნახევარი საათი, ერთი საათი, მაგრამ არავინ გამოჩენილა. არც გვარი ვიცოდით იმ „ექიმის“, რომ გვეკითხა. სამი საათის ლოდინის შემდეგ ჩვენს ავეჯთან დავბრუნდით, მაგრამ სადღა იყო? გამწარებულმა ჩამოვიარე სადარბაზო, მაგრამ ყველა მობინადრე მხრებს იჩეჩავდა და გვეუბნებოდა, რომ აქ არც ექიმი ქალი ცხოვრობდა და არც ავეჯი შეუკვეთავს ვინმეს. ასე დავკარგეთ სამი ათას ხუთასი დოლარი და მხოლოდ ბე — 100 დოლარი დაგვრჩა. რამდენიმე დღის წინ სხვა მეავეჯეებს შევხვდი, რომ გაიგეს, რაც დამემართა, სიცილი დამაყარეს: თითქმის ერთი წელია აფერისტები ასე ჩალიჩობენ და როგორ წამოეგეო...

**P. S.** ასეთია ერთი მარტივი აფერის ანატომია. როგორც შევიტყვეთ, კობა დაუშვილი ერთადერთი მოტყუებული არ არის და თაღლითებმა ასეთივე წარმატებით კიდევ არაერთი ავეჯის მწარმოებელი გააცურეს. იმედია, ქართველი ავეჯის მწარმოებლები მომავალში მაინც გამოიჩენენ სიფრთხილეს და საკუთარ ნაშრომნაწვალებს თაღლითების ლუკმად არ აქცევენ.

***დავით დევიძე***

# პატარა მიუსაფარს ბებია ენატრება



ის სხვებისგან არაფრით გამორჩეული ქუჩის ბავშვია. რამდენიმე თანატოლთან ერთად ჩამოუვლის ხოლმე მაღაზიის ვიტრინებს. შესვლას ვერ ბედავს, მაგრამ კარის შორიახლოს წრიალებს და მაღაზიიდან სანოვაგით დატვირთულ გამომსვლელს რომ შეამჩნევს, საგანგებოდ დამწუხრებული სახით მიეგებება: — ხუთი თეთრით დამეხმარეთ... მერე ავიწყდება თავისი „მოვალეობა“ და გართობას იწყებს, ზოგჯერ სკვერშიც კი გადაირბენს. მის დანახვაზე ბებია-ბაბუები უკმაყოფილოდ აქნევენ თავს, დედები კი შვილებს არიდებენ, რა იცი, რა ინფექციით არის ავად, ახლოს არ მიხვიდეთო... მისთვის კი ეს ყველაფერი სულერთია, იმდენად სულერთი, რომ შეგეშინდება კიდეც. სწორედ ასეთი ბავშვები არიან ნელი მოქმედების ნაღმი, ღრმად ჩაბუდებული ტკივილითა და გაუხეშებული სულით, რომელიც, ვინ იცის, როდის იფეთქებს სახელმწიფოში, სადაც სათანადო ყურადღებას ვერ აქცევენ მიუსაფართ.

ვიდრე პატარა მაწანწალას გამოველაპარაკებოდი, გადავწყვიტე მისი გული მომეგო, ნაყინი ვუყიდე და სანამ ის შეექცეოდა, რამდენიმე კითხვის დასმა მოვასწარი. უნდობლად შემომხედა.

— რატომ ვმათხოვრობ? მინდა და ვმათხოვრობ... ხომ არაფერს ვაშავებ?

— არა, მაგრამ ხომ ძნელია მთელი დღე დადიოდე, ფულს თხოულობდე, ხან ცივა, ხან წვიმს... სახლი არ გაქვს?

— სახლიც მაქვს, დედაც მყავს, მამაც... — თქვა გულგრილად და ნაყინს მიუბრუნდა, თანაც ნელი ნაბიჯით ჩემგან განშორება დააპირა.

— მოიცა, არ წახვიდე, ნაყინი ხომ მოგწონს? კიდევ გიყიდი...

— არ მინდა, თვითონაც ვიყიდი.

— რითი, ფული ხომ არ გაქვს?

— საღამო ხანს მექნება.

— მაინც რამდენი მოგიგროვდება?

— თუ ცუდი დღე იქნება, ხუთი ლარი. თუ გამიმართლა, მეტიც.

— მერე სად დახარჯავ მაგ ფულს?

— ნახევარი სახლში უნდა წავიღო. დანარჩენით ვერთობი, „მაროჟნსაც“ ვყიდულობ, „სემიჩკასაც“, ლიმონათსაც.

— ამას წინათ დაგინახე, წებოს ყიდულობდი.

— არა, მე არა, — დაიბნა ჩემი თანამოსაუბრე, — ესენი ყიდულობენ ხოლმე, — მიმანიშნა თანატოლებზე, შორიდან რომ გვზვერავდნენ.

— ყველაზე მეტად რა გაგხარებია, თუ გახსოვს?

— ერთხელ, აი, ამ მარკეტიდან მსუქანი კაცი გამოვიდა. მივცვივდით მე და არტურიკა, 20 ოცი ლარი მას მისცა, 20 — მე. არ გჯერა? თან ასე თქვა: დღეს კარგი დღე მქონდა და ღმერთო, ბარაქა მომეციო... იმის მერე იმდენ ხანს ველოდით მე და არტურიკა, მაგრამ აღარ გამოჩნდა. ეტყობა, აქ არ ცხოვრობს. ის ოცი ლარი გამიხარდა მაგრად!

— ყველაზე მეტად რა გწყენია?

— რა ვიცი, — მხრებს იჩეჩავს. ალბათ იმდენი რამ სწყენია, აღარც იცის, რომელი გამოარჩიოს.

— რა გენატრება? — ვკითხე და როგორც ჩანს, თავი გვარიანადაც მოვაბეზრე.

— იცი, არც „მაროჟნი“ მენატრება, არც შოკოლადი, არც კოკა-კოლა... ერთხელ, მეზობელმა ჩახოხბილი მაჭამა, ძალიან გემრიელი იყო, ისიც არ მენატრება. ბებია მყავდა სოფელში, შარშან ავად გახდა. იმის მერე სოფელში აღარ მიშვებენ... იმან რომ იცოდეს, აქ ფულს ვთხოულობ, იტირებდა. არ გჯერა? მართლა იტირებდა. ბებია მენატრება... მომიყვან?

ბიჭი გაიქცა და თანატოლებს შეუერთდა. უკან იყურებოდა და რაღაცას უამბობდა. არც მან და არც მისმა მსმენელებმა არ იციან, რომ რამდენიმე დღეში 1-ელი ივნისი დადგება. ეს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა. მათ კი ვერავინ დაიცავს, იმიტომ, რომ ვერც ნაყინით, ვერც შოკოლადით და ვერც გემრიელი სადილით მათ მონატრებას ვერაფერს ვუშველით. მათ ბებიების, დედების, მამების სითბო სჭირდებათ და ვიდრე მონატრების გრძნობა კიდევ შერჩენიათ, ვიღაცამ უნდა დაუძახოს: დაბრუნდი, შვილო!

***ლელა ჯიყაშვილი***


## მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*


## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ლელა ჯიყაშვილი** — „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო...“ — 82 ხმა
2. **ვაჟა გავაშელი** — „მას ომთან დაკავშირებული ყველა თარიღი სძულდა...“ — 76
3. **ეთერ თარიმანი** — „სიცოცხლე უნდა ქარიშხალს ჰგავდეს...“ — 60

მკითხველის სახელით პრემია გადაეცემა ჟურნალისტ **ლელა ჯიყაშვილს.**

***„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 408 რესპონდენტმა გამოავლინა***

CMYK

# საქართველოს ხელისუფლების არც ერთ დონეზე აღარ არის ხელშეუხებელი ხალხი



## „ჭაღარის გამო ჩემს მეუღლეს ნაკლებად არ მოვწონვარ“

დაძაბული სამუშაო კვირის, სამხედრო აღლუმისა და ბოლოს, რუსი ბიზნესმენების მიღების შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტმა საიმისოდაც მოიცალა, რომ შეგვხვედროდა და ჩვენთან ექსკლუზიურ ინტერვიუში იმ თემებზე ესაუბრა, რომლებიც საზოგადოებაში ბევრ კითხვას ბადებს...

როდესაც მიხეილ სააკაშვილს მეტისმეტად დაძაბულ რეჟიმზე ჩამოვუგდეთ სიტყვა, საკმაოდ მოულოდნელი პასუხი მივიღეთ (რომ პრეზიდენტი არ იღლება): — ყველაფერზე მეტად უსაქმოდ ყოფნა მღლის. ჩემთვის განსაკუთრებით მძიმე პერიოდი 1-ელიდან 7 იანვრამდეა, როდესაც საქმისთვის არავის სცალიათ. როგორც ჩანს, სააკაშვილი დაუღალავი ბუნების გამო ბევრსაც ასწრებს, და რაგინდ უცნაურ პარალელადაც უნდა გეჩვენოთ, ბევრ საჩუქარსაც იღებს. ჩვენი ბოლო სტუმრობის შემდეგ პრეზიდენტის სამუშაო კაბინეტში ბევრი ახალი ნივთი აღმოვაჩინეთ. განსაკუთრებით კი სხვადასხვა ზომის ხმლები მოგვეწონა (ვიზუალურის გარდა, მათი დანიშნულების გათვალისწინებითაც ქვეყნის პირველი პირის მებრძოლ ბუნებას შეესაბამება). **მიხეილ სააკაშვილს** პირველი კითხვა სწორედ „საკუთარ შეიარაღებაზე“ დავუსვით:

— ეს ყველაზე დიდი ხმალი ამ დღეებში რუსებმა მაჩუქეს. ოქროსფერი კი მახაჭყალის მერის მოადგილის ნაჩუქარია, რომელიც ინაუგურაციაზე იყო ჩამოსული. ბევრი ხალხი შეუწუხებია — პრეზიდენტ სააკაშვილს „რაღაც“ უნდა გადავცეო. როგორღაც დედაჩემამდე მიუღწევია. ვიფიქრე, სერიოზული საქმე აქვს-მეთქი, მივიღე და ეს ხმალი მაჩუქა. მესამე ხმალი კი ბათუმში, ქუჩაში მაჩუქა ერთმა აჭარელმა...

**— ბატონო პრეზიდენტო, უპრიანი იქნება იმ შეიარაღებაზეც გკითხოთ, რომელიც დამოუკიდებლობის დღეს სამხედრო აღლუმზე ვიხილეთ. როგორ მოხერხდა ამ რაოდენობის ტექნიკის მობილიზება და ბოლოს, ეს ძალის დემონსტრირებაც იყო თუ...**

— როდესაც ხელისუფლებაში მოვედით, ჯარს მხოლოდ ნახევარი დღის სამყოფი ტყვია-წამალი ჰქონდა. აღარაფერს ვამბობ სამხედრო ტექნიკაზე. მწყობრში მხოლოდ ამერიკელების შეკეთებული 9 ტანკი აღმოჩნდა, დანარჩენები მოშლილი და გამოუყენებელი იყო. შინაგანი ჯარის კუთვნილი ყველა ტანკი ჯართში ჩასაბარებლად ჰქონდათ გამზადებული. მეტსაც გეტყვით, უცხოელი ექსპერტების რეკომენდაციით, საქართველოს ავიაცია არ სჭირდებოდა, არსებობდა გეგმა, რომ ავიაცია გაყიდულიყო. მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ არ გაყიდეს, რომ ამ საქმესაც ვერ მოაბეს თავი. წინა ხელისუფლების დროს უშიშროების სამინისტროს მთელი ტაბელური იარაღი ჩამოართვეს და პანკისის ხეობაში გაყიდეს. ყველაფერი ეს დოკუმენტურად ისე გააფორმეს, თითქოს იარაღი უვარგისი იყო და ამიტომ მეტალურგიულ ქარხანაში გადაადნეს(!). ჩვენი მოწოდება იყო, რომ საქართველოს ძლიერი შინაგანი ჯარი ჰყოლოდა. უკვე მოხერხდა 4 ათასი ჯარისკაცის იმ დონეზე მომზადება, როგორც ამერიკელები ამზადებენ „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამით. თურმე ჩვენც შეგვძლებია ჯარისკაცების მომზადება.

**— გამოდის, ჩვენც მაგრები ვყოფილვართ?!**

— ყოველი შემთხვევისთვის, არაფრით ჩამოვუვარდებით, თუ ამის სურვილი გვექნება. ამერიკელების მომზადების უპირატესობა ის არის, რომ მექანიზებულ ჯგუფებს ტექნიკის გამოყენება ასწავლეს. ჩვენ კი, ჯერჯერობით, კარგი ტანკისტისა და მფრინავის მომზადების საშუალება არ გვაქვს... გარდა ამისა, მთელი ტექნიკა შეკეთდა. კერძო ორგანიზაციების ჯარიდან კაპიკებად წაყვანილი 20-მდე „კამაზი“ ჩამოერთვა. რამდენიმე ჯავშანმანქანა და ვერტმფრენები იჯარით იყო გაცემული და ისიც შეიარაღებულ ძალებს დაუბრუნდა. ამ პერიოდში ჯარის მიმართ დამოკიდებულებაც შეიცვალა და ხალხი მიხვდა, რომ ჩვენ სიტუაციის შემობრუნება გვინდა. იმ ტექნიკის რაოდენობა, რომელიც აღლუმზე იხილეთ, კიდევ გაიზრდება და მალე საქართველოს საჯარისო შეიარაღება ექნება. გავაძლიერებთ ვერტმფრენთა პარკს და არტილერიას. მთავარი ახლა ის არის, რომ კარგი არტილერისტები, ტანკისტები და მფრინავები მოვამზადოთ. ამ მხრივ უკრაინასა და რუსეთთან ვაპირებთ თანამშრომლობას. გვინდა, შემდეგი აღლუმისთვის ბრძოლისუნარიანი ჯარისკაცების რიცხვი გავაორმაგოთ. ამ საქმეში დახმარებისთვის უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს მივმართავთ, რათა ქართული არმიის მხარდაჭერის საერთაშორისო ფონდი შეიქმნას. დღეს უცხოეთში ბევრი ქართველია, რომელსაც სურს ქართულ არმიას დაეხმაროს. მინდა ამ ხალხს მივმართო — ოჯახში რომ 200 ლარს გააგზავნიან, 10 ლარი ჯარს გადაუგზავნონ (ვპირდები, რომ ამ ფულს ახლა არავინ მოიპარავს). საქართველოს 16-17 ათასი ბრძოლისუნარიანი ჯარისკაცი და ტექნიკა სჭირდება. სხვათა შორის, ტყვია-წამლის უზარმაზარი რეზერვები აღმოვაჩინეთ აჭარაში და კიდევ კარგი, ის საქართველოს წინააღმდეგ არ გამოიყენეს. აჭარიდან წამოყვანილი სამხედრო მანქანებიც და რამდენიმე ვერტმფრენიც შეიარაღებულ ძალებს გადაეცემა. ზოგიერთებს კითხვაც გაუჩნდით — რატომ აკეთებთ ამას? ჩვენი პასუხი ასეთია — საქართველოს შეიარაღებული ძალები ერთნაირად იცავს აჭარასაც და დანარჩენ საქართველოსაც. ეს ქონების მითვისების კი არა, ქონების კარგი მიზნით გამოყენების შემთხვევაა. ბევრი ფული დავხარჯეთ ქვეყნის არსენალის გაძლიერებაზე. მართალია, ქვეყნის ბიუჯეტს თანხები აკლდება, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს ფულის სწორად დახარჯვაა. ჩვენი ამოცანაა, საქართველოს შეიარაღებული ძალები სერიოზული შემაკავებელი ფაქტორი იყოს ყველასთვის. სამხედრო აღლუმის ჩატარების მთავარი მიზანი გაფრთხილება იყო — თუკი ვინმე ჯერ კიდევ რამეს ფიქრობს ჩვენს წინააღმდეგ, ურჩევნია, კარგად დაფიქრდეს, სანამ ამას გააკეთებდეს... და მეორე — ხალხი უნდა მიხვდეს, რომ დამცველი ჰყავს. ჯარში სამსახური პრესტიჟულ საქმედ უნდა იქცეს. ოფიცერს იმდენ ფულს ვერასოდეს გადავუხდით, რომ გამდიდრდეს, მაგრამ იმის მიღწევა ხომ შეიძლება, ქუჩაში რომ გაივლის, ხალხმა აღტაცებული მზერა გააყოლოს. 26 მაისს გამართული აღლუმის მთავარი მიღწევა ტანკებისთვის ნასროლი ვარდები იყო. ასეთ რამეს ევროპაში ვერ ნახავთ.

**— დამოუკიდებლობის დღეს თქვენ აფხაზებსა და ოსებსაც მიმართეთ. რას გულისხმობდით ამ სიტყვებში?**

— ჩვენ ყველასთან უნდა ვცადოთ მშვიდობიანი მოლაპარაკება. შეიარაღებული დაპირისპირება ყველაზე უარესია, მაგრამ თუ ყველა საშუალება ამოიწურა, ყველაზე ცუდი გამოსავალი ძალის გამოყენება იქნება. თეორიულად, ამისთვისაც მზად უნდა იყოს ქვეყანა. მაგრამ კიდევ ვიმეორებ, რომ იარაღის გამოყენებას, ყოველთვის სჯობს მოლაპარაკება.

მიმაჩნია, რომ ოსების უმრავლესობა კეთილგანწყობილია ქართველების მიმართ. ამას ემატება ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტის სავსებით ნორმალური პოზიცია, რომელმაც რამდენჯერმე მკაფიოდ განაცხადა — არ შეიძლება ერთიან ოსეთზე ლაპარაკი, ვინაიდან არსებობს ორი ოსეთიო. ცხინვალის ადგილობრივი ხელისუფლების ოპოზიცია თვლის, რომ საქართველოსთან ინტეგრაციისა და ურთიერთობების დაულაგებლობის გარეშე რეგიონი ვერ განვითარდება. სამომავლოდ საქართველოს ხელისუფლება ცხინვალის რეგიონში დიდ მუშაობას გაშლის. ვაპირებთ, რომ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ პენსიონერებს მივხედოთ. ისინი ამჟამად დაახლოებით 7 ლარს იღებენ რუსეთისაგან, ჩვენ კი მზად ვართ მათ 17-ლარიანი პენსია გადავუხადოთ. საქართველოს ბიუჯეტში მოიძებნება თანხა დაახლოებით 9-10 ათასი პენსიონერისათვის. ეს ხალხი ჩვენი მოქალაქეები არიან. ისინი ქართველებთან ერთად ქმნიდნენ საქართველოს დოვლათს და ამიტომ უნდა ვიზრუნოთ მათზე. ასევე, მზად ვარ, ცხინვალის მუზეუმს დავუბრუნოთ ოქროს ხატი (რომელიც საქართველოში რამდენიმე დღის წინ დავაბრუნეთ), თუკი მივიღებ გარანტიებს, რომ მუზეუმი ხელახლა არ გაიძარცვება. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნო, რომ მის ძარცვაში თავის დროზე ოფიციალური სახელმწიფო ფორმირებების წევრებიც იყვნენ. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიცნობიეროს ყველამ, რომ ცხინვალის რეგიონი საქართველოს ტერიტორიის ნაწილია. იქაურები უსათუოდ დაწინაურდებიან საქართველოს ხელისუფლების სტრუქტურებში. ერთ მაგალითს მოგიყვანთ — ჩემი დაცვის ერთ-ერთი ყველაზე ერთგული თანამშრომელი ოსია, ცხინვალში ცხოვრობს და სამსახურში ყოველდღე იქიდან დადის (თუმცა ახლახან ის შინაგან ჯარში გადავიდა ოფიცრად). მასზე ერთგული მცველი არ მყოლია. ასე რომ, ამ ხალხთან არ შეიძლება დისტანცირება. საქართველოს ტელევიზიის I-ელი არხით და გორის ტელევიზიით ოსური გადაცემები უნდა გაკეთდეს, ისევე, როგორც აფხაზურენოვანი. აფხაზები ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოწამლა... როდესაც ოსურად და აფხაზურად ვლაპარაკობდი, მე სოხუმისა და ცხინვალის მთავრობებზე მეტად, ხალხს მივმართავდი. ჩვენი მთავარი მოკავშირე ხალხია. დღეს საქართველოში აღმავლობის პროცესი დაიწყო, ამ რეგიონებში კი ისევ სტაგნაციაა. ამიტომ აუცილებელია ვუთხრათ ამ ხალხს, — ჩვენ ერთად უნდა განვვითარდეთ და ამით უკეთესი პერსპექტივა გვექნება. მით უმეტეს, ეს პერსპექტივა კეთილსამეზობლო რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების ფონზე.

**— მაგრამ აფხაზეთშიც და ოსეთშიც ხომ არიან რეაქციული ძალები, რომლებიც საქართველოს ხელისუფლების კეთილ ჩანაფიქრს განხორციელებას, თუნდაც პენსიების საკითხის მოგვარებას, ხელს შეუშლიან?**

— არა მგონია. უფრო იმას ვფიქრობ, თბილისში გარკვეულმა პოლიტიკურმა ძალებმა არ აქციონ ერთი ამბავი. პოლიტიკოსებმა უსათუოდ უნდა მივაღწიოთ კონსენსუსს იმ თემებზე, რომლებზეც ხმამაღლა ლაპარაკი არ შეიძლება. არ შეიძლება სპეკულირება ისეთი თემებით, როგორიც არის აჭარის სტატუსი, ოსეთისა და აფხაზეთის დამოკიდებულება და თუნდაც ოსი პენსიონერებისთვის პენსიების გაცემა და ა.შ. მაგალითად, არ შეიძლება თქმა — აღლუმი არ უნდა ჩაგვეტარებინაო, რადგან ეს ადამიანის ყველაზე ცუდ ინსტინქტებზეა გათვლილი — ჩემი მეცლის გარდა, არაფერი მაინტერესებსო. ოსებსა და აფხაზებს უნდა ვუთხრათ, რომ მათთან გასაყოფი არაფერი გვაქვს.

**— ალბათ ერგნეთის პრობლემაც მოსაგვარებელია, რომელიც ცხინვალის ხელისუფლების ბიუჯეტს ავსებს.**

— ცხინვალის ერთი დაჯგუფების პირადი შემოსავლები მართლაც ერგნეთზეა დამოკიდებული, ისინი ითბობენ ხელს. ჩვეულებრივ, ხალხს ამ შემოსავლიდან არაფერი ხვდება. ამ ბაზრობით მხოლოდ 100-200 კაცი ხეირობს. სხვათა შორის, იქაც ქართულ-ოსური დაჯგუფებები თანამშრომლობენ ერთმანეთთან. ამ ქართულ დაჯგუფებას წინა მთავრობაში მფარველებიც ჰყავდა. კერძოდ, ერგნეთის საქმე უახლოეს კავშირში იყო შს მინისტრთან, მაგრამ ამ პრობლემას მალე მოვუვლით.

**— გასულ კვირას საქართველოს რუსი ბიზნესმენები სტუმრობდნენ. რუსების მხრიდან არაერთხელ დაუზარალებია საქართველო. თუკი რუსებს ერეკლე II-ის დროიდან სულ გვატყუებენ, რით არის დაზღვეული დღეს სააკაშვილი, რამდენად შეიძლება მათი ნდობა?**

— აქ ნდობის საკითხი არ დგას. ჩემი აზრით, გონიერების ზოგიერთი დეპუტატთან ურთიერთობას, რუს ბიზნესმენთან საქმის დაჭერა სჯობს, იმიტომ, რომ მას ფული აქვს. მთავარია, ამ ფულმა ინვესტორის მოგების პარალელურად ქართული ეკონომიკის აღორძინებისთვის იმუშაოს. ამის გამო ჩვენ უარი ვთქვით პოლიტიკურ პროექტებზე. მაგალითად, პოლიტიკური პროექტი იყო მაგისტრალური გაზსადენის ერთპიროვნული კონტროლი. ხალხი, რომელიც აქ ჩამოვიდა, ასეთ პროექტებში ჩართვას არც ითხოვს. თუ ინვესტორები აშენებენ საწარმოებს და გაზრდიან ქარხნებს ამუშავებენ, თუ ხალხი დასაქმდება, თუ ტურიზმში ჩადებენ ფულს და ახალი სასტუმროები აშენდება, ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს. ასეთ საქმეში ავსტრალიელი, რუსი და თურქი ჩემთვის ერთია. ჩვენი მთავარი პირობა ის იქნება, რომ ამ ობიექტებში, ძირითადად, ქართველები დასაქმდნენ და მეორე — გადასახადები გადაიხადონ. ჩვენ შევქმნით ლიბერალურ საგადასახადო სისტემას და აქ შემოსულ ბიზნესმენებს უკეთეს სამუშაო პირობებს შევუქმნით, ვიდრე თავიანთ ქვეყანაში აქვთ. ინვესტორები ჩვენს ეკონომიკურ განწყობაში რომ დავარწმუნოთ, ერთი-ორი წელი მაინც დაგვჭირდება. გასულ კვირას პირველი ნაბიჯები გადაიდგა ამ მიმართულებით. კარგი იქნება, თუ აქ უცხოური ბანკები შემოვლენ. საქართველოში 50 ბანკი მაინც არის და თუ ერთი რუსების იქნება, არაფერი დაშავდება. თუ რომელიმე ავიაკომპანიას იყიდიან, ესეც კარგია...

**— მაგრამ ლაპარაკობენ სტრატეგიული ობიექტების უცხოელებისთვის გადაცემის საშიშროებაზეც. ხელისუფლებაში, სამწუხაროდ, ისევ არიან ჩინოვნიკები, რომლებმაც პირადი მიზნები და ინტერესები შეიძლება საქვეყნო ინტერესებზე წინ დააყენონ.**

— სტრატეგიული ობიექტი სულ ორია — მაგისტრალური გაზსადენი და ელექტროგადაცემის ძირითადი ხაზი. ასევე არ შეიძლება რკინიგზის პრივატიზება.

**— პორტები არ არის სტრატეგიული მნიშვნელობის?**

— პორტების პრივატიზება უნდა მოხდეს, მაგრამ არ შეიძლება მათი ერთ ხელში აკუმულირება. ასევე არ უნდა დავუშვათ გადაზიდვების მონოპოლიზება. პორტების პრივატიზება ამ რაკურსით უნდა განიხილოს. თუ პორტი კერძო ინვესტორის ხელში იქნება, არ არის საშიში. მთავარია, მან მონოპოლიზება არ მოახდინოს. და კიდევ, არ არსებობს ისეთი კერძო საკუთრება, რომელსაც ვერ დაიბრუნებ, თუკი ეს სახელმწიფო სასიცოცხლო ინტერესს შეეწინააღმდეგება.

სამწუხაროდ, დღეს ჩვენი ძირითადი ობიექტები, მათ შორის, პორტები, ბანდიტი ჩინოვნიკების ხელშია. ამიტომ ჩვენ უნდა შევძლოთ სწორი პრივატიზაციის ჩატარება.

მაგრამ ინვესტორთა დაინტერესება რომ გაიზარდოს, დიდი სამუშაო გვაქვს ჩასატარებელი. ვგულისხმობ არა მარტო ქაღალდზე იმის დაფიქსირებას, რომ გადასახადების ლიბერალიზაცია მოხდება, არამედ იმასაც, რომ ინვესტორებმა რეალურად დაინახონ — ჩვენ მუშაობის საშუალება მართლაც გვაქვსო.

**— სხვათა შორის, გაჩნდა ასეთი კითხვა — რატომ შემოდის საქართველოში ასეთი ოდენობით რუსული კაპიტალი და არა ევროპული ან ამერიკული.**

— ივნისში თურქებსაც ველოდებით... ყველაზე დიდი თავისუფალი კაპიტალი დღეს თურქეთსა და რუსეთშია და ამიტომ შემოდიან ისინი საქართველოში. ამავდროულად, შემოდიან პრეზიდენტთან არსებული საერთაშორისო საინვესტიციო საბჭო, რომელსაც გერმანიის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე, გერმანელი ბიზნესმენი კლაუს მანგოლდი ჩაუდგება სათავეში და ის შემოიტანს გერმანულ და დასავლურ კაპიტალს საქართველოში. საინვესტიციო გარემოს შესწავლის მიზნით სექტემბერში დავოსის ფორუმის ფარგლებში დაგეგმილია ამერიკული და ევროპული ინვესტიციების შემოსვლაც.

**— ითქვა, პრეზიდენტის შეპირებული ე. წ. საგადასახადო ამნისტია (რომელიც ივნისში უნდა ამოქმედებულიყო) არ სრულდება, რადგან ამ ყველაფერმა კანონის სახე ვერ მიიღოო, ასევე ღიად რჩება ინდმეწარმის გადასახადების საკითხი...**

— ინდმეწარმეები 1-ელი ივლისიდან იქნებიან გათავისუფლებული დღგ-ის, მოგებისა და ფიქსირებული გადასახადისგან, მაგრამ თუ ისინი ვინმეს მიერ პრივატიზებულ ობიექტზე მუშაობენ, ფართის გადასახადის გადახდა მოუწევთ, ისევე, როგორც მოუწევთ ელექტროენერგიისა და წყლის გადასახადის გადახდა. ვაცხადებ, რომ ე. წ. საგადასახადო ამნისტიის (გადასახადების დეკლარირების) ამოქმედება აჭარის მოვლენებმა შეაჩერა და 1-ელი ივლისისთვის გადაიდო. პარლამენტმა ვერ მოიცალა ამ თემაზე სამუშაოდ, მაგრამ ეს საკითხი უთუოდ შევა პარლამენტში საგადასახადო კოდექსთან ერთად. სახელმწიფოს ინტერესშია, რომ დამალული შემოსავლების ლეგალიზაცია მოხდეს. საქართველოში ჩამოგვყავს ცნობილი პერუელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი დე სოტო, რომლის სპეციალიზაცია დამალული ეკონომიკის ლეგალიზაციაა. ის აქ თავის ჯგუფთან ერთად იმუშავებს.

**— ამას წინათ, თქვენი თანაგუნდელი და აქტივისტი, როგორც თავად ბრძანეთ, კორუფციულ გარიგებებში აღმოჩნდა ჩართული. არის ინფორმაცია, რომ ამჟამად ბიზნესის სფეროების ახალი სერიოზული გადანაწილება მიმდინარეობს და გავლენის სფეროების გადანაწილებისთვის თქვენი გუნდის წევრები ერთმანეთს უპირისპირდებიან.**

— დღეს სხვა დროა, ვითარება შეიცვალა. საქართველოს ხელისუფლების არც ერთ დონეზე აღარ არის ხელშეუხებელი ხალხი. კენჭაძემ ძალიან კარგად იბრძოლა შევარდნაძის ჩამოგდებისთვის, მაგრამ, როდესაც კაბინეტში დაჯდა, ცდუნებას ველარ გაუძლო. კენჭაძის გარდა, რეგიონებში კიდევ დააკავეს ნაციონალური მოძრაობის რამდენიმე აქტივისტი. შეიძლება ხელისუფლებაში 1 ან 2 პროცენტი ასეთი ადამიანებიც მოხვდნენ, მაგრამ ისინი დროზე უნდა აღმოვაჩინოთ და პასუხი გავცეთ.

*(გაგრძელება იხ. გვ. 11)*

**სამწუხაროდ, დღეს ჩვენი ძირითადი ობიექტები, მათ შორის, პორტები, ბანდიტი ჩინოვნიკების ხელშია. ამიტომ ჩვენ უნდა შევძლოთ სწორი პრივატიზაციის ჩატარება. მაგრამ ინვესტორთა დაინტერესება რომ გაიზარდოს, დიდი სამუშაო გვაქვს ჩასატარებელი. ვგულისხმობ არა მარტო ქაღალდზე იმის დაფიქსირებას, რომ გადასახადების ლიბერალიზაცია მოხდება, არამედ იმასაც, რომ ინვესტორებმა რეალურად დაინახონ — ჩვენ მუშაობის საშუალება მართლაც გვაქვსო.**

CMYK

# რა სურთ რუს ბიზნესმენებს

## ექსკლუზიური ინტერვიუ ოლიგარქთან

ასე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც მე პრეზიდენტის სიტყვები ამიხდა, რომ „Такие бизнесмены на улице не валяются“-ო. რომელიმე რუს ოლიგარქთან შეხვედრას იმ დღიდან ვლამობდი, დელეგაციის წევრები, საკუთარი თვითმფრინავებით თბილისის აეროპორტში რომ დაეშვნენ. იმართებოდა სადილი, ვახშამი, ორგანყოფილებიანი კონფერენციები... მოკლედ, თბილისში სტუმრები იმდენად დატვირთულ გრაფიკში ამყოფეს, რომ რუსი ბიზნესმენები ჟურნალისტებს მხოლოდ ზოგადი განცხადებებით იშორებდნენ თავიდან. მიუხედავად რუსი მილიარდერების გულის ამაჩუყებელი გამოსვლებისა, მათ მიერ აქცენტით ნათქვამი ქართული, „გამარჯობისა“ და „გენაცვალესი“, რუსული „ხელგაშლილობის“ მიმართ საკმაოდ ბევრი კითხვა ჩნდება. რუსული დელეგაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, რუს მეწარმე-ინვესტორთა კავშირის დირექტორს, ბატონ **სერგეი გენერალოვს** მისი ქართველი მეგობრის საშუალებით დავუკავშირდი. გენერალოვმა დროის სიმცირე მოიმიზეზა (ამ დროს ის ბიზნესმენ ბუბუტეიშვილთან იმყოფებოდა მიღებაზე. იქიდან კი პირდაპირ აეროპორტში უნდა წასულიყო) და გვაუწყა, რომ იმ დღესვე ტოვებდა თბილისს. მაგრამ ბატონ გენერალოვს ბოლოს გული მოულბა, მისთვის განკუთვნილ ავტომობილში ჩაგვისვა და ინტერვიუ ასეთ არასტანდარტულ ვითარებაში, აეროპორტისკენ მიმავალ გზაზე ჩავწერეთ. აქვე მადლობა მინდა ვუთხრა გენერალოვის ქართველ მძღოლს, რომელმაც ჩემი თხოვნით ისე ნელა გვატარა, რომ ჩვენთვის საინტერესო ყველა შეკითხვის დასმა მოვახერხეთ.



**სერგეი გენერალოვი: რუსეთში ვამცირებთ გადასახადებს, ბიუჯეტის შემოსავლები კი იზრდება...**

> საერთოდ, ბიზნესში ვცდილობ, რომ საკონტროლო პაკეტის მფლობელი თავად ვიყო და ამით მართვის სადავეები ჩავიგდო ხელში. სწორედ ამის იმედი მქონდა, როცა ერთი წლის წინ „ფეროს“ აქციებს ვყიდულობდი. მაშინდელი ხელისუფლება დაგვპირდა, რომ ღია კონკურსს ჩაატარებდა, თუმცა შემდეგ აღმოჩნდა, რომ ხელისუფლებამ საკონტროლო პაკეტი გაცილებით მცირე საფასურად ჩუმად გაყიდა. ახლა კი შევეცდებით მოვიპოვოთ საკონტროლო პაკეტი როგორც ზესტაფონში, ასევე ჭიათურაში.



**რუს ბიზნესმენებს ბათუმისა და ფოთის პორტების პრივატიზება აინტერესებთ**

— **თქვენმა სახელმა და გვარმა არაერთხელ გაიჟღერა ქართულ ტელეარხებზე. ცხადია, ჩვენთვის ცნობილი იყო, რა მიზნებს ემსახურებოდა საქართველოში რუსული დელეგაციის ჩამობრძანება. თუ შეიძლება დაგვიკონკრეტეთ, საქართველოს ეკონომიკის რომელი სფეროები გაინტერესებთ, როდის და რა მასშტაბით განხორციელდება რუსული ინვესტიციები საქართველოში?**

— თუ რუსული დელეგაციის წევრთა კაპიტალს ერთობლივად დავითვლით, როგორც მინიმუმი, ათ მილიარდ დოლარად შეიძლება შეფასდეს. თუ რა ნაწილი შემოვა ამ ათი მილიარდიდან საქართველოში, მნიშვნელოვნად დამოკიდებულია თბილისში გამართულ კონფერენციაზე და აქ გატარებულ დღეებზე. ჩვენი ინტერესები მიმართულია საქართველოს ეკონომიკის ყველა სექტორისკენ, თუმცა მაინც შესაძლებელია რამდენიმე სფეროს გამოყოფა. ეს გახლავთ ტელეკომუნიკაციები, რომლითაც სერიოზულად დაინტერესდა თავად კორპორაცია „სისტემა“ — თბილისში გამართული ბიზნესკონფერენციის სპონსორი. ჩვენი დაინტერესების მეორე სფერო გახლავთ ტრანსპორტი, ეს ეხება, როგორც საზღვაო-სატრანსპორტო საშუალებებს, ასევე რკინიგზას და საავიაციო ტრანსპორტს. ძნელია წინასწარ განსაზღვრო, საბოლოო ჯამში განხილული პროექტებიდან რამდენი განხორციელდება. თუმცა სერიოზული განხილვის საგნად იქცა „აირზენასა“ და „აეროფლოტის“ ალიანსის საკითხი. ასევე განვიხილეთ რუსეთ-საქართველოს რკინიგზის ერთობლივი პროექტი, რომელიც ეხებოდა სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას აფხაზეთის ტერიტორიაზე, შემდეგ უკვე სომხეთზე გასვლით. მინდა გითხრათ, რომ განვიხილეთ ქართული პორტების პრივატიზების საკითხიც. ეს გახლავთ ფოთისა და ბათუმის პორტები, რაც საკმაოდ საინტერესო თემაა ჩვენთვის. ბიზნესის ყველა სფეროს წარმომადგენლებს, განსაკუთრებით კი სატრანსპორტო სფეროში მოღვაწე ბიზნესმენებს, აინტერესებთ „ქართული კორიდორი“, რომელიც ნავთობის ტრანსპორტირების საშუალებას იძლევა კასპიის რეგიონიდან ჯერ შავ ზღვაზე, შემდეგ კი მსოფლიოს სხვადასხვა ბაზარზე.

— **მაინც როგორ წარმოგიდგენიათ აფხაზეთის რკინიგზის აღდგენის საკითხი?**

— ვფიქრობ, რომ შეიძლება უცებ მთლიანად არ მოგვარდეს აფხაზეთის პრობლემა, მაგრამ თუ რკინიგზის სატრანზიტო გზასთან დაკავშირებით მაინც მივაღწიეთ შედეგს, ეს უკვე დიდი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება, რომელიც თავისთავად გახდება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების ინსტრუმენტი. დღეისათვის უკვე არსებობს ზუსტი გათვლები იმასთან დაკავშირებით, თუ რა თანხები უნდა ჩაიდოს კონკრეტულად ამ სექტორში. მინდა გითხრათ, რომ როდესაც თბილისში მოვფრინავდი, ჩემთან ერთად მგზავრობდა სააქციო საზოგადოება „რუსეთის რკინიგზის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირი, რომელმაც გამიმხილა, რომ უკვე აქვთ დეტალური გათვლები ამ რკინიგზის ამუშავებასთან დაკავშირებით, მათ შორის განსაზღვრულია თანხები საქართველოსა და აფხაზეთის დამაკავშირებელი ტერიტორიის განაღმვისთვის. საუბარია საკმაოდ სერიოზულ თანხებზე, ეს არის 300 მილიონ დოლარზე მეტი. პოლიტიკური ნება საამისოდ არსებობს როგორც რუსეთის პრეზიდენტის, ასევე საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან. ბიზნესმენებს მიაჩნიათ, რომ უბრალოდ დანაშაული იქნება არ გამოინახოს აფხაზეთის ტურიზმის სფეროში ინვესტირების შესაძლებლობები. მაგრამ სანამ არ იქნება შესაბამისი პოლიტიკური ნება, არავინ ააშენებს აფხაზეთში უმაღლესი კლასის სასტუმროს იმის შიშით, რომ სამ დღეში იგი შეიძლება ვილაცამ ააფეთქოს. ამიტომ, რუსულმა და ქართულმა ბიზნესმა ერთად უნდა აიძულოს პოლიტიკოსები, რომ სწრაფად გამონახონ კომპრომისი და ამ საკითხში შეთანხმებას მიაღწიონ.

— **აქამდე რატომ არ რისკავდა რუსეთი, დაებანდებინა მსხვილი კაპიტალი საქართველოში?**

— აქამდე საქართველოს პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში იმდენად ამოუცნობი და არასტაბილური იყო, რომ სულ იყო რაღაც წყენა, კომპლექსები, რაც ხელს უშლიდა ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის ჩამოყალიბებას. რაც ყველაზე მთავარია, არ არსებობდა სტაბილურობა. კაპიტალისთვის კი, რა თქმა უნდა, მთავარი მოგებაა, მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანია სტაბილურობა. ალბათ მე ვიყავი პირველი რუსი ბიზნესმენი, რომელიც პრეზიდენტ სააკაშვილს, მისი ინაუგურაციის მეორე დღეს შეხვდა. მივულოცე გამარჯვება, საჩუქრები მივართვი და ერთობლივად განვიხილეთ, თუ რისი გაკეთება შეგვეძლო ერთიანი ძალებით. ამის შემდეგ ბატონ სააკაშვილს უკვე ექვსჯერ შევხვდი და ბევრჯერ მომისმენია მისი სხვადასხვა ტიპის განცხადება. არ დაგიმალავთ, თავდაპირველად, საქართველოს ახალი მთავრობის მიმართ საკმაოდ სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი. მაგრამ ახლა, საქართველოში კაპიტალდაბანდების დიდი სტიმული მაქვს.

— **ბატონო სერგეი, ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენ აქამდეც გქონდათ დაბანდებული გარკვეული თანხა საქართველოს ეკონომიკაში. კერძოდ, ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანაში აქციების 25%-ს ფლობთ. თუმცა საკონტროლო პაკეტის მფლობელი ქართული მხარეა. როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, თქვენ უკმაყოფილო ბრძანდებით ქართული მხარის მუშაობით და დღემდე ერთი თეთრიც კი არ მიგიღიათ დივიდენდის სახით. მაშ, რა გარანტია გაქვთ, რომ თქვენი კაპიტალდაბანდებები ამჟამად მოგებას მოგიტანთ?**

— მართალი ბრძანდებით და მინდა გითხრათ, რომ დივიდენდების მიღებას არც ამჟამად ველი, ვინაიდან ამ ქარხნის სათავეში მყოფ ხელმძღვანელობას არ სურს ურთიერთთანამშრომლობა აქციონერებთან. თუმცა ვფიქრობ, რომ ადრე თუ გვიან ეს სიტუაცია შეიცვლება. ჩვენთვის გაცილებით საინტერესო იქნებოდა საკონტროლო პაკეტის გამოსყიდვა და უნდა გითხრათ, რომ ამ მოლაპარაკებებს უკვე ვაწარმოებთ. იმედი მაქვს, რომ ერთ-ორ თვეში ეს პრობლემა მოგვარდება და ქარხანა აქციონერებისა და საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებში იმუშავებს. „ფეროშიც“ არსებობს დამალული გადასახადების პრობლემა. საერთოდ, ბიზნესში ვცდილობ, რომ საკონტროლო პაკეტის მფლობელი თავად ვიყო და ამით მართვის სადავეები ჩავიგდო ხელში. სწორედ ამის იმედი მქონდა, როცა ერთი წლის წინ „ფეროს“ აქციებს ვყიდულობდი. მაშინდელი ხელისუფლება დაგვპირდა, რომ ღია კონკურსს ჩაატარებდა, თუმცა შემდეგ აღმოჩნდა, რომ ხელისუფლებამ საკონტროლო პაკეტი გაცილებით მცირე საფასურად ჩუმად გაყიდა. ახლა კი შევეცდებით მოვიპოვოთ საკონტროლო პაკეტი როგორც ზესტაფონში, ასევე ჭიათურაში. ვინაიდან ეს არის ხელოვნურად დაშორებული ორი საწარმო, რომელთა არსებობაც ურთმანეთოდ უბრალოდ წარმოუდგენელია.

— **თქვენი კოლეგების დამოკიდებულებაც ამგვარია? მხოლოდ იმ შემთხვევაში დააბანდებთ რომელიმე საწარმოში ფულს, თუ საკონტროლო პაკეტის მფლობელები გახდებით?**

— ვფიქრობ, ამ ეტაპზე, ეს აუცილებელი პირობაა. მცირე პაკეტების შეძენის ინტერესი მხოლოდ მაშინ ჩნდება, როდესაც კაპიტალის ბაზარი, ბირჟა განვითარებულია, არსებობს აქციების ლიკვიდურობა, შესაძლებელია ამ აქციებით ვაჭრობა და ა.შ. საქართველოს კი ამ სტადიის მისაღწევად კიდევ რამდენიმე წელი სჭირდება. უეჭველია, რომ რუსები აუცილებლად შეისყიდიან კონტროლის უფლებას და, ამავდროულად, გამოიყენებენ საწარმოთა რესტრუქტურიზაციის გამოცდილებას, რომელიც ამ ხალხს რუსეთში უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში დაუგროვდა. სწორედ ამ სახის გარიგებებიდან უნდა ველოდოთ სწრაფ, დადებით შედეგებს, პირველ რიგში კი წარმოების მოცულობის გაზრდას, ვაჭრობის მოცულობის გაფართოებას რუსეთში და ა.შ. ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტებმა მიზნად დაისახეს რამდენიმე წელიწადში ათჯერ გაზარდონ საქონლის ბრუნვის დონე, ურთიერთვაჭრობა. ასეთ ვითარებაში კი, რუსეთის ბაზარი ქართული საქონლისთვის (როგორც სამრეწველო, ასევე სასოფლო-სამეურნეო) ძირითადი მიზანი უნდა იყოს. ხომ ფაქტია, რომ რუსეთში ატამი არ ხარობს და უმჯობესია, რუსეთის ბაზარზე სამხრეთამერიკულის ნაცვლად, ქართული ატამი იყიდებოდეს.

— **ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ რუსეთს საქართველოსთან მიმართებით სერიოზული და შორს გამიზნული გეგმები აქვს. უფრო კონკრეტულად კი, რუსეთს სურს ხელში ჩაიგდოს საქართველოს მთელი ეკონომიკა და მისი ეკონომიკური პოტენციალი. მას კი, ვისაც ხელში ეკონომიკური ბერკეტები ექნება, არ გაუჭირდება პოლიტიკური ზეწოლა საქართველოს ხელისუფლებაზე.**

— პოლიტიკური ზეწოლის აზრს ნამდვილად ვერ ვხედავ და დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთში ამგვარი მიზნები არავის ამოძრავებს — დაწყებული ჩვეულებრივი მუშით და დამთავრებული ქვეყნის პრეზიდენტით. ხოლო თუ რომელიმე იდიოტი პოლიტიკოსი ამაზე ხმამაღლა საუბრობს, ეს არ ნიშნავს, რომ ასე ფიქრობს მთელი რუსეთი. რუსული საზოგადოების დიდ ნაწილს ქართულ-რუსული ურთიერთობების დიდი ნოსტალგია აქვს. ეს კარგად ჩანდა კონფერენციაზე, რუსი ბიზნესმენების გამოსვლებიდან. მე თუ მკითხავთ, სააკაშვილი თავგამოდებული ქართველი ნაციონალისტია, რომელიც თავისი ქვეყნის ინტერესებს იცავს, მაგრამ დაწყებული მისი საინაუგურაციო სიტყვიდან დღემდე, იგი სულ იმაზე საუბრობს, რომ საქართველოს სურს რუსეთთან ურთიერთობა და მეგობრობა. მახსოვს, მის ამ გამოსვლას ხალხი ტაშით შეხვდა, თუმცა ისიც მახსოვს, როგორ დუმდა ქართველი ხალხი, როდესაც პრეზიდენტი სააკაშვილი მადლიერებას ამერიკის მიმართ გამოხატავდა. რა თქმა უნდა, შემდგომშიც ბევრს ისაუბრებენ რუსეთის „ბოროტ“ განზრახვაზე როგორც საქართველოში, ასევე რუსეთში. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ უახლოეს 3-5 წელიწადში რუსულის გარდა არანაირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში არ შემოვა, თუ არ ჩავთვლით უცხოური სახელმწიფოების მიერ გაწეულ დახმარებას. მაგრამ ამგვარი დახმარება ინვესტიცია და, მით უმეტეს, ბიზნესი არ არის.

— **რუსული კაპიტალი საქართველოში მხოლოდ სტრატეგიული მნიშვნელობის სფეროებითაა დაინტერესებული?**

— არ ვიცი, რას უწოდებთ თქვენ სტრატეგიული მნიშვნელობის სფეროებს. მაგალითად, რუსეთში უკვე მივეჩვიეთ, რომ სტრატეგიულს მხოლოდ თავდაცვის მრეწველობას ვუწოდებთ. ყველა დანარჩენი სექტორი კი ერთნაირად ღია და ხელმისაწვდომია როგორც კერძო, ასევე უცხოელი ინვესტორებისთვის.

— **რამდენად დაცული იქნება რუსეთის ბაზარზე თქვენი კაპიტალით წარმოებული ქართული პროდუქცია?**

— ეს პრობლემა ნამდვილად დგას, მაგრამ მისი მოგვარება შესაძლებელია პოლიტიკოსების მონდომებითა და ძალისხმევით. ამ თემამ გაიჟღერა ბატონი გრეფისა და ბატონი სააკაშვილის მოლაპარაკებების დროს. ვფიქრობ, ამ კუთხით ჩვენს ხელისუფალთ სერიოზული სამუშაო ელით, მათ შორის სამართალდამცავ ორგანოებსაც, რათა ვებრძოლოთ ქართული პროდუქციის ფალსიფიცირებას რუსეთის ბაზარზე.

(გაგრძელება იხ. გვ. 11)

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა
29 მაისიდან დაადგინა ლარის მიმართ
უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,9200 |
| ევრო | 2,3570 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,5293 |
| რუსული რუბლი | 0,0662 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,2877 |

ამერიკა-ისრაელის ერთობლივი წარმოება
● უნივერსალური სასათბურე ფირები
გარანტირებული დაცვა
- მზის მავნე გამოსხივებისაგან
- ვირუსებისა და მწერებისაგან
- ცვარისაგან
- ტემპ. ცვალებადობისაგან
- მოყინვისა და ჩახურებისაგან
- გარანტია = 2 წ; 3 წ
სიახლე
მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილებით საქართველოში
შპს შალი, თბილისი, მარჯანიშვილის 5
ტელ: 267888; 969164; ტელ/ფაქსი: 969195;
● მობ: 8.99. 569195; 899 931110 ●
ამერიკა-ისრაელის ერთობლივი წარმოება
იყიდება მხოლოდ თბილისის ოფისიდან

„ტონსტრონის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 966-779

ახალი რუბრიკა

# იქ, სადაც შესვლა აკრძალულია

**„კვირის პალიტრა“ ახალ რუბრიკას გთავაზობთ სათაურით: „იქ, სადაც შესვლა აკრძალულია“. ამჯერად შევეცდებით დაგანახვოთ დღემდე უცნობი დეტალები, რომლებიც თან სდევს ერთ-ერთ ურთულეს ოპერაციას ადამიანის მთავარ სასიცოცხლო ორგანოზე – გულზე.**



## რეპორტაჟი საოპერაციო მაგიდიდან

*გადაწყდა, ჩემი სიცოცხლის გახანგრძლივების ერთადერთი საშუალება კორონარული შუნტირება, ანუ ღია გულზე ოპერაციაა. ეს დიაგნოზი უშეცდომოდ დასვა კორონაროგრაფიამ, რომელსაც ხელს აწერენ ამ დარგის სპეციალისტები. ოპერაცია 13 მაისსაა დანიშნული (რატომღაც მიყვარს სხვათაგან შერისხული ეს „თარსი“ რიცხვი). გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი (ხელმძღვანელი პროფესორი გულიკო ჩაფიძე) გერმანელი მედიკოსების პატრონაჟით შეიქმნა 2001 წელს და ეს ურთიერთობა დღემდე გრძელდება.*

*ასე რომ, მე ახლა პიტერ ტოლერანეს პაციენტი ვარ და გუშინ დიდხანს ვისაუბრეთ არა მარტო ხვალინდელი ოპერაციის, არამედ ჩემ შესახებაც. დასტაქარი ინტერესით ისმენდა ჩემს მონათხრობს სვანეთისა და იმის შესახებ, თუ როგორ დაბინძურდა მსოფლიოს ეს ერთ-ერთი ეკოლოგიური ოაზისი 1981 წელს ჩერნობილის ატომურ სადგურზე მომხდარი ავარიის შემდეგ გადმოსროლილი რადიოაქტიური ნივთიერებით.*

*პიტერს ძალიან მოსწონს საქართველო და ქართველები და ქართული ენის შესწავლასაც აპირებს.*

*ოპერაციისათვის სამზადისის მეორე დღე იყო და არსად არასოდეს იმდენი მზრუნველობა, იმდენი ყურადღება არ მიგრძნია, როგორც ამ კედლებში, სადაც ოპერაციისთვის მზადების წინ ყველა გეფერება (უკლებლივ მთელ პერსონალს ვგულისხმობ, რაც მძიმე პაციენტისთვის ერთი-ორად ნუგეშისმომცემია) და, მიუხედავად იმისა, რომ ოპერაცია ფასიანია (ოპერაცია ღია გულზე დაახლოებით 5.000 დოლარი ღირს), ამის იქით არანაირი ანგარება არ იგრძნობა...*

### ოპერაცია

ზუსტად ცხრა საათსა და ოცდაათ წუთზე ჩემი ურიკა საოპერაციო ბლოკში შეგორდა... როგორც წესი, ყველა თეთრ, გახამებულ ხალათებშია გამოწყობილი. ერთ მომხიბლავ მანდილოსანს კი მუქი წითელი ფერის კაბა აცვია. მომიახლოვდა, შუბლსა და ხელებზე რაღაც წამისვა და — „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“ — ჩაიკითხა. მერე საოპერაციო დარბაზში გადამიყვანეს და მთხოვეს, ერთი ურიკიდან მეორეზე გადავბარგებულიყავი. მე უკვე ვიცი, ეს ურიკა კი არა, ჩემი საოპერაციო მაგიდაა. აქ, ამ მაგიდაზე გადაწყდება ჩემი ყოფნა-არყოფნის საკითხი, მაგრამ ახლა ამაზე არ ვფიქრობ. ყველა ხალისიანადაა და უკვე ველარ ვარკვევ, ეს განწყობა მე გადავდე მათ თუ — პირიქით. რატომღაც თავს ზედმეტად მშვიდად ვგრძნობ, დასტაქრების დიდი იმედი მაქვს.

ჩემი მაგიდა ვეებერთელა ილუმინატორის ქვეშ დაამუხრუჭეს. მართალია, იუპიტერები ჯერ ჩართული არ არის, მაგრამ ირგვლივ ყველაფერი კაშკაშებს. თავი იმდენად მაქვს უკან გადაწეული, რომ ჩემ ირგვლივ მოტრიალე ექიმების სახეებს ვერ ვარჩევ.

ლია ექიმი (ანესთეზიოლოგი) მომიახლოვდა.

— უნდა მატკინოთ, ლია ექიმო? — ეს ისე, სიტყვის მასალად ამოვთქვი, — იცოდეთ, ასე რომ მოხდეს, ამ ისტორიის გაზეთში გამოქვეყნებას ვაპირებ და შეიძლება გაგამხილოთ კიდეც... — ყველანი გულიანად ვიცინით, — გგონიათ რამეს გამომაპარებთ? აგერ, დიქტოფონი ჩართულია და ყველაფერს სიტყვასიტყვით ჩაიწერს.

— დაწერეთ, ბატონო ვაჟა და კრიტიკაზეც თანახმა ვარ, თუმცა არა მგონია, ამის საბაბი მოგცეთ. აბა, მარცხენა ხელი მაჩვენეთ. ახლა თქვენ რწყილის კბენას იგრძნობთ.

— არაფერიც არ მიგრძნია...

კიდევ რამდენიმე წამიც და დაიწყო...

— ავადმყოფი აპარატზეა ჩართული — არ ვიცი, ვისია ეს ხმა, მაგრამ ვიცი, რომ ამ ოპერაციის დროს გამოიყენება გულ-ფილტვის აპარატი, რომელიც გულის ნაცვლად ტუმბოს ფუნქციას ასრულებს და სისხლს ჟანგბადით ამარაგებს.

— კანის გაკვეთა შეიძლება? — ეს უკვე პიტერი ეკითხება ანესთეზიოლოგს.

— რამდენიმე წუთის შემდეგ, — პასუხობს ლია ჯანელიძე.

ქირურგი: — ვიწყებთ სტენოტომიას (როგორც ამიხსნეს, ეს მკერდის ძვლის გაჭრაა. ამ დროს ანესთეზიოლოგი თიშავს სუნთქვას).

ქირურგი: — სტენოტომია დამთავრდა (ანესთეზიოლოგი კვლავ აღადგენს სუნთქვას).

(ზედმეტი სამედიცინო ტერმინოლოგიით არ გადაგტვირთავთ. — ვ.გ.).

ქირურგი: — როგორია ეფექტი?

ანესთეზიოლოგი: — კარგია.

ქირურგი: — მაშასადამე, შეიძლება კანულაცია. დავიწყოთ სისხლის ხელოვნური მიმოქცევა.

პერფუზიოლოგი (ექიმი, რომელიც მართავს ხელოვნურ გულს): — ას პროცენტზე გადავედი.

ანესთეზიოლოგი: — სუნთქვის აპარატი გამორთულია.

ქირურგი: — აორტა გადაჭერილია. გულში სისხლი აღარ მიდის. დავიწყოთ კარდიოპლეგია (ეს ნიშნავს, რომ გული უნდა გაჩერდეს).

სამი წუთის შემდეგ:

ქირურგი: — ვენტი (გული სისხლის ბოლო წვეთებისაგან უნდა დაიცალოს).

პერფუზიოლოგი: — არის ვენტი.

ქირურგი: — ვენა (ხანგრძლივი პაუზა. როგორც შევიტყვე, მიმდინარეობს კიდურიდან ან გულმკერდის შიგნითა არტერიიდან ამოკვეთილი კუნთის ჩაკერება გულში).

ქირურგი: — მორჩა ერთი ანასტომოზი (ვენის ჩაკერება).

პერფუზიოლოგი (2 წუთის შემდეგ): — დამთავრდა.

ქირურგი: — გავიგე... ვენტი.

პერფუზიოლოგი: — არის ვენტი.

და ასე, მეორე, მესამე, მეოთხე ანასტომოზის, ანუ შუნტის თითო ბოლო უკვე ჩაკერებულია.

აქ მთავრდება ოპერაციის პირველი ნახევარი (აკერებენ სისხლძარღვების მეორე ბოლოებსაც).

ქირურგი: — ავავსოთ გული და დავამთავროთ სისხლის ხელოვნური მიმოქცევა.

ანესთეზიოლოგი: — დავიწყე სუნთქვა.

პერფუზიოლოგი: — 80 პროცენტი, 60 პროცენტი, 40 პროცენტი, 20 პროცენტი, გავჩერდი.

ანესთეზიოლოგი: — ჰემოდინამიკა (წნევა, პულსი) სტაბილურია.

ქირურგი: — ვენურ კანულას ვიღებ. ათწუთიანი პაუზა...

ქირურგი: — ვიღებ აორტალურ კანულას.

პაუზა.

ქირურგი: — დაიხურა პერიკარდი (გულის პერანგი), მომეცით დრენაჟები. მცირე ხნის შემდეგ — მომაწოდეთ მკერდის ძვლის (კანქვეშა კერვის) დასაკერი მასალა.

პაუზა...

— კანის შესაკერი მასალა.

— ბატონო ვაჟა, თვალი გაახილეთ, ოპერაცია დამთავრდა! ღმერთო ჩემო, ეს როგორ, მაშასადამე, გადავრჩი (ხომ არაფრის მეშინოდა). მე და სიკვდილი ადრეც არაერთგზის შევხვედრივართ ერთმანეთს, მაგრამ მაინც მიხარია და ვცდილობ თვალი გავახილო, თუმცა ქუთუთოებს ვერ ვერევი. ვიღაცას ჩემი ხელი უჭირავს ხელში. ეგებ თითები მაინც შევარხიო, მინდა ვიგრძნო, რომ მათი მესმის, მაგრამ ვერც ამას ვახერხებ და კვლავაც ძილის მორევში ვინთქმები.

ჩემს დიქტოფონს პატიოსნად უმუშავია და მეორე დღეს თავიდან ბოლომდე მომითხრო ოპერაციის მიმდინარეობის შესახებ. თუმცა, გასაგები მიზეზის გამო აქ ბევრი ჩემთვის და ალბათ მკითხველებისთვისაც გაუგებარი ტერმინი და დიალოგია, რომელსაც თან ახლავს გრძელი, ზოგჯერ ათ-თხუთმეტწუთიანი პაუზები. აშკარაა, რომ საოპერაციო გუნდი სიტყვის გარეშეც უგებს ერთმანეთს. თუმცა, ზოგი რამის გაშიფვრა მაინც ხერხდება.

სულ ბოლოს დიქტოფონში ისმის, როგორ მიაგორებენ ჩემს საოპერაციო მაგიდას და ფირიც თავდება.

P.S. ამონაწერი ოპერაციის ოქმიდან:

ოპერაციის ხანგრძლივობა: 4 სთ და 30 წთ. ოპერატორი — პიტერ ტოლერანე; 1-ელი ასისტენტი — ზურაბ გოგინაშვილი; მე-2 ასისტენტი — ლაშა ბასილაძე; ანესთეზიოლოგი — ლია ჯანელიძე; პერფუზიოლოგი — ლევან ცერცვაძე; საოპერაციო და — მანანა ბურჯანაძე; მე-2 საოპერაციო და — ხათუნა ქსოვრელი.

ოცდასამი საათის შემდეგ ფეხზე წამომაყენეს. მეშვიდე დღეს კი ჩემი მანქანით ვეწვიე „კვირის პალიტრის“ რედაქციას, სადაც ამ წერილის დაბეჭდვა შევათანხმე. ჩემი აზრით, უინტერესო არ გამოვიდა. შევეცდებით მომავალშიც შემოგთავაზოთ მასალები დამაინტრიგებელი სათაურით: „იქ, სადაც შესვლა აკრძალულია“.

**ვაჟა გავაშელი**

# დღეს სამაჩაბლოში...

# ახლა წყნარად არიან, თუმცა სეპარატისტებისაგან აგრესიას მუდმივად უნდა ველოდოთ

## რატომ იქცნენ ოსები და ქართველები რუსეთის მოქალაქეებად?

გთავაზობთ რეპორტაჟს სამაჩაბლოს რეგიონიდან, ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან, რომელსაც 26 მაისს თბილისში გამართული სამხედრო აღლუმის დამთავრების შემდეგ ვეწვიეთ.

მეგზურთან ერთად ერგნეთის ბაზრობის შესასვლელთან ვცადე გამერკვია, რა გველოდა წინ — მშვიდობა თუ განსაცდელი. ცხინვალელ ოსებს გაეცინათ — მშვიდობით ივლით, რაღა დროს ომია, დღეს თამარაშენში 26 მაისი ვიზეიმეთო. გულმოცემულებმა ცხინვალისკენ გავწიეთ. სასაზღვრო ბლოკპოსტთან მისულმა გაოცება ვერ დავფარე — რადიოთი მოსმენილი ინფორმაცია გამახსენდა — კოკოითი სამხრეთ ოსეთის საზღვრებს ამაგრებსო. რა ჯარი, რის მძიმე ტექნიკა, ნეტავ, საიდან ჰქონდათ საინფორმაციო საშუალებებს ეს დეზინფორმაცია?

როგორც ყოველთვის, ახლაც 10-მდე პოლიციელი და სამხედრო ფორმიანი ოსი ეროვნების შეიარაღებული ახალგაზრდა მაისის მზეს ჩრდილში ემალებოდა. იქვე იდგა ერთი სატვირთო მანქანა და ერთიც რუსი სამშვიდობოების „ბმპ“, რომელზეც ექვსიოდე რუსი ჯარისკაცი შემოსკუპებულიყო, თანაც „ბმპ“-ს სახურავზე ლეიბი დაეგოთ, თავი რომ კომფორტულად ეგრძნოთ. გამეცინა, საომარი მზადებაც ამას ჰქვია-მეთქი. მეგონა ჩვენს ქართულ ნომრებიან მანქანას შეაჩერებდნენ, მაგრამ ზედაც არავინ შემოგვხედა. ბლოკპოსტიდან ხელმარცხნივ ხელისგულივით გადაშლილი ცხინვალი მოჩანდა.



ასე ეგებებიან სტუმრებს თამარაშენში და დიდი ლიახვის ხეობის სხვა ქართულ სოფლებში

ქალაქის შესასვლელში ოსი ეროვნების მეგზური დაგვხვდა (რიგი მიზეზების გამო. რესპონდენტების ზუსტ ვინაობას ვერ დავასახელებ) და მანქანაში ჩაჯდომისთანავე ალაპარაკდა: — შვებით ამოვისუნთქეთ. აქაურებს ეგონათ, დღეს ომი დაიწყებოდა. ქართველები ცხინვალში ვერტმფრენებიდან ბომბებს ჩამოჰყრიდნენ. გუშინ მთელი დღე ვიღაც ავრცელებდა ამ პროვოკაციულ დეზინფორმაციასო.

ფოტოაპარატის გამოჩენა მეგზურებმა ამიკრძალეს. არ ვეპუები. ავტომანქანის ფანჯრიდან ფარულად ვიღებ ცხინვალის უნივერსიტეტის შენობას, რომლის თავზეც, როგორც აქაურებმა მითხრეს, თურმე 26 მაისს, დილით ქართული სახელმწიფო დროშა ფრიალებდა. იგი ღამით აღუმართავთ ცხინვალელ (შეიძლება არაცხინვალელ) „კმარელებს“. ქალაქის ქუჩებში სრული სიმშვიდეა, არავითარი პანიკა არ იგრძნობა. მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოების ადმინისტრაციულ შენობებთან დგანან ფაქტობრივად შეუიარაღებელი ფორმიანები. ერთმანეთს ესაუბრებიან, ხუმრობენ. მინდა სურათი გადავუღო. ალექსი (ჩემს ოს მეგზურს, ასე პირობითად ვუწოდებ) ხელში მწვდა და მისაყვედურა: — გინდა დაბმული ნაგაზი გაალიზიანოო?! გვერდით ქართულ და ოსურ ნომრიანმა ავტომობილებმა ჩაგვიქროლეს. ქართული დროშებით. ესენი ქართველები არიანო, — მიხსნის ალექსი. ჩვენი მანქანა იმ ქუჩაზე გავიდა, სადაც თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე ნახავთ ქართველების კუთვნილ გადამწვარ ნასახლარებს. ნასახლარზე ვაზი მაინც ხარობს... ცხინვალიდან დიდი ლიახვის ხეობაში ქართული სოფლებისკენ მივემართებით. უკვე თამარაშენის გზაზე აღმართული ტრანსპარანტები 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღეს გვილოცავენ, ყველგან საქართველოს დროშა ფრიალებს. ალექსი მიმტკიცებს, რომ ეს ცხინვალის რეგიონი კი არა, გორის რაიონია. „დიდი ლიახვის ხეობის ქართული სოფლები ცხინვალს ალყაში აქცევენ. გორის რაიონიდან შემოდიხარ ცხინვალში, სადაც კოკოითის ხელისუფლება ზის, გაივლი ქალაქს და კვლავ გორის რაიონში გადიხარ, ამ სოფლებსაც გაივლი და ოსური სოფლები იწყება. ცხინვალში მთავრობამ დასახმარებლად თავის ხალხს რომ დაუძახოს, მათი გამოტარება ქართველებს უნდა სთხოვოს. ძალიან სულელური სიტუაციაა. დღემდე ვერ მივმხდარვარ, როგორ მოხდა ეს ყველაფერი ან რატომ არსებობს გამოთქმა, ქართულ-ოსური კონფლიქტი. ეს კონფლიქტი კი არა, კრიმინალ ჩინოსანთა პროვოკაციაა, რასაც ერთხელ წამოეგო უბრალო მოსახლეობა. ეს რეგიონი საქართველოს ნაწილია და ოსი და ქართველი ისევე იცხოვრებს, როგორც ადრე, მშვიდობიან პერიოდში ცხოვრობდნენ“, — მიხსნის ალექსი. სამხრეთ ოსეთის საპარლამენტო არჩევნებზე კოკოითის განცხადება მახსენდება: „მიზანს აუცილებლად მივაღწევთ, მიზანი კი ერთია — რუსეთის შემადგენლობაში შესვლა“. ალექსის ამ სიტყვებს ვახსენებ. ის კი პასუხს არ აყოვნებს:

— აბა, რა უნდა თქვას, იცის, რომ მაგის მთავრობაში ყოფნის დღეები დათვლილია. ცხინვალში უკვე არსებობენ მეტ-ნაკლებად გავლენიანი ძალები. კოკოითმა ოპოზიცია თვითონ შექმნა. ერთგული და მორჩილი გარემოცვა რომ ჰყოლოდა, ხელისუფლებიდან დაითხოვა ყველა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი. ახლა საქართველოს ხელისუფლებამ ამ ხალხის მობილიზება რომ შეძლოს, ცხინვალში ბათუმი განმეორდება. ოსები თვითონ მოუვლიან რეგიონის საქართველოში დაბრუნების საკითხს.

— **კოკოითსაც აბაშიძის მსგავსად რუსები წაიყვანენ?**

— ალბათ. ან შეიძლება დატოვონ კიდეც. კოკოითი „ფე-ეს-ბე“-ს აგენტია, რუსების დავალებების საუკეთესო შემსრულებელი. მაგან უკვე იცის, რომ რუსეთი ამ რეგიონს ვერ და არ მიიერთებს. იცის, რომ ეს ტერიტორია კვლავაც საქართველოს იურისდიქციას დაემორჩილება, მაგრამ თამაშობს. სანამ მოსკოვიდან სხვაგვარ დირექტივას არ მიიღებს, იგი კვლავაც ოსების გარუსების პოლიტიკას ეწევა.

*(გაგრძელება იხ. გვ. 27)*

# ულტრათანამედროვე იარაღი აღლუმზე პირველად გამოჩნდა



საქართველოს შინაგანმა ჯარებმა 26 მაისის სამხედრო აღლუმზე 21-ე საუკუნის ულტრათანამედროვე ცეცხლსასროლი იარაღით ჩაიარეს

## ჩვენმა ძალოვნებმა კაბინეტებში აბაშიძის სურათი „უნდა ჩამოკიდონ"...

შეიძლება ბევრს თვალი მოსტაცა სამხედრო აღლუმზე გამოჩენილმა 41-ტონიანმა T-72-მა თუ ტრიბუნების თავზე გადაფრენილმა „იროკეზებმა", მაგრამ სტატიის ავტორის ყურადღება უფრო იმ სპეციალური დანიშნულების ცეცხლსასროლმა იარაღმა მიიქცია, რომლითაც შინაგანი ჯარების შესანიშნავად ეკიპირებული მებრძოლები იყვნენ აღჭურვილნი.

ეს არცაა გასაკვირი, რადგან პრეზიდენტი სააკაშვილი, რომელიც სამხედრო ძალებს ბევრად მეტ ყურადღებას უთმობს, ვიდრე მისი წინამორბედი, განსაკუთრებით ზრუნავს შინაგანი ჯარების გაძლიერებაზე. შეიძლება ეს არც იყოს გასაკვირი, რადგან შინაგანი ჯარების სარდალი, გენერალ-მაიორი გოგი თათუხაშვილი, მიჩნეულია პრეზიდენტ სააკაშვილის ერთ-ერთ უერთგულეს გენერლად, ხოლო შინაგანი ჯარები — მის მთავარ დასაყრდენ ძალად.

ალბათ ამითაც აიხსნება, რომ აღლუმზე შინაგანი ჯარების პირადი შემადგენლობა საუცხოოდ იყო ეკიპირებული და შეიარაღებული, ხოლო საავტომობილო და საბრძოლო ტექნიკა — ლამაზად შეღებილი. ყოველივე ამას ხომ საკმაოდ დიდი თანხები სჭირდება.

სტატიის მთავარი თემა კი გახლავთ ის ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც პირველად გამოჩნდა ფართო აუდიტორიის წინაშე.

უპირველესად აღსანიშნავია რუსული წარმოების სპეციალური სნაიპერული შაშხანა ВСС Винторез-ი, სპეციალური ავტომატი АС Вал-ი და მაყუჩიანი ავტომატი ОЦ-14 Гроза. ამ უკანასკნელის შესახებ „კვირის პალიტრა" უკვე წერდა, Винторез-სა და Вал-ზე კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინიც, Гроза-სავით, ასლან აბაშიძის არსენალიდანაა ამოღებული.

ჩვენმა ძალოვნებმა თავიანთ კაბინეტებში ალბათ აბაშიძის სურათი უნდა ჩამოკიდონ, რადგან მისი არსენალიდან მიიღეს უშიშროების სამინისტრომ და შინაგანმა ჯარებმა თანამედროვე ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი. თუ არ ვცდები, მანამდე უშიშროების სამინისტროს ათიოდე Винторез-ი ჰქონდა.

ამოღებულ იარაღს შორის იყო აგრეთვე რამდენიმე ცალი სპეციალური დანიშნულების ხელის ყუმბარსატყორცნი РГС-50М-ი, რომლებიც არალეტალური დანიშნულების ყუმბარების სასროლად და დემონსტრაციების დასაშლელად გამოიყენება.

***ჩვენი დოსიე:*** *სპეციალური სნაიპერული შაშხანა ВСС Винторез-ის ლულა ერთგვარ მთლიან მაყუჩს წარმოადგენს და მისგან სასროლად СП-5 ტიპის სპეციალური, 9 მმ კალიბრიანი ვაზნები გამოიყენება. ტყვიის საწყისი სიჩქარე ბგერის სიჩქარეზე მცირეა, თუმცა 400 მ-ის სიშორეზე მე-2 კლასის ჯავშანჟილეტს ხვრეტს.*

*АС Вал-ისთვის СП-6 ტიპის ვაზნებს ხმარობენ, რომლის ვოლფრამის კარბიდისთავიან ტყვიას 100 მ-ში 6 მმ სისქის ფოლადის ნაჭრის გახვრეტა შეუძლია.*

*სპეციალური დანიშნულების ხელის ყუმბარსატყორცნი РГС-50М-ი ცრემლსადენ-გამაღიზიანებელი მოქმედების ყუმბარების 400 მ-ზე სასროლადაა გათვალისწინებული.*

მაგრამ მთავარი აღმოჩენა გახლდათ ულტრათანამედროვე, ისრაელის წარმოების Tavor-21 ტიპის ავტომატური შაშხანის მოდიფიკაციები, რომლებიც შინაგანი ჯარების მებრძოლებს ეკავათ ხელში.

„ტავორების" საქართველოს სამხედრო ძალებში გამოჩენის შემდეგ შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ ჩვენი შინაგანი ჯარების შეიარაღებას ბევრი ამერიკელი თუ რუსი სპეცრაზმელი ინატრებდა.

საგულისხმოა, რომ თავად „ისრაელის თავდაცვის არმიაში" „ტავორების" შეიარაღებაში მიღება, „გალილების" სანაცვლოდ, ოფიციალურად სულ ახლახან — 31 მარტს დაიწყო. მანამდე ერთადერთი ქვეყანა, ვინც „ტავორების" შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება დადო „ისრაელის სამხედრო მრეწველობასთან" — ინდოეთის არმია გახლდათ.

## შინაგანი ჯარები XXI საუკუნის ავტომატებით იარაღდება!



სპეციალური დანიშნულების ხელის ყუმბარსატყორცნი РГС-50М

რა უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, ამ სახელწოდების მოიერიშე ავტომატური შაშხანის შესაქმნელად მუშაობა 1992-93 წლებში ორმა სამოქალაქო დიზაინერმა დაიწყო. მათ მეიარაღე-კონსტრუქტორები მოგვიანებით შეუერთდნენ.

***ჩვენი დოსიე:*** *დღეისათვის დამზადებულია საბაზო მოდელის Tavor-21-ის, იმავე TAR-21-ის რამდენიმე მოდიფიკაცია — Tavor-kommando CTAR-21; მოკლელულიანი Micro Tavor MTAR-21; სნაიპერული STAR-21 და სხვა სამოქალაქო მოდელი.*

*ყველა მათგანში გამოიყენება 5.56 მმ-იანი NATO-ს სტანდარტის ვაზნები. „ტავორ-კომანდო", ვაზნების გარეშე, 2,7 კგ-ს იწონის, ხოლო მისი სროლის ტემპი 750-900 გასროლა/წუთში მერყეობს. ტყვიის საწყისი სიჩქარეა 860 მ/წმ. სნაიპერული „ტავორის" სიგრძე 72 სმ-ია, უყენია დასაკეცი სადგამი და ოპტიკური სამიზნე, ხოლო დანარჩენ „ტავორებს", სამიზნის ნაცვლად, კოლიმეტრული მოწყობილობა უყენდებათ, რომელშიც ინფრაწითელი სამიზნე და ლაზერული მიზანმაჩვენებელია ჩამონტაჟებული.*



სპეციალური ავტომატი АС Вал



სპეციალური სნაიპერული შაშხანა ВСС Винторез

იმის გამო, რომ „ტავორები" „ბულ-პაპის" პრინციპითაა კონსტრუირებული (მჭიდი სასხლეტის უკანაა), მას უარყოფითი მხარეებიც გააჩნია. კარგია, რომ მჭიდის უკან გადანაცვლება იძლევა გრძელი ლულის დაყენების საშუალებას, მაგრამ, სამაგიეროდ, მასრების გამომგდები სარკმელი სროლის დროს მსროლელის ლოყასთან ახლოს აღმოჩნდება ხოლმე. „ტავორის" დადებით მხარედ ისიც მიიჩნევა, რომ გვერდზე გამომგდები სარკმელი მებრძოლმა რამდენიმე წუთში შეიძლება მარჯვენა მხრიდან მარცხნივ გადაიტანოს, რაც საშუალებას იძლევა, ეს იარაღი ცაციამაც დაუბრკოლებლად ისროლოს.



სნაიპერული STAR-21

არ დავაზუსტებთ, რამდენი „ტავორი" „ჩაუვარდა" ხელში შინაგან ჯარებს, თუმცა ცხადია, რომ ისინი ასლან აბაშიძის არსენალიდან არ მოუპოვებიათ. თითოეული საბაზო „ტავორის" საწყისი ფასი, სამიზნის გარეშე, 1000-1200 დოლარია, ამიტომაც საფიქრალია, რომ მათი შეძენა იაფი ნამდვილად არ დაუჯდებოდათ.

Tavor-kommando CTAR-21



თუმცა, სამაგიეროდ, შინაგანი ჯარების სპეცდანიშნულების ნაწილის ხელში აღმოჩნდა თანამედროვე ავტომატური მოიერიშე, სნაიპერული და სპეციალური იარაღი, რომელიც, წესით, ჩვეულებრივ „კალაშნიკოვზე" ბევრად მეტ დახმარებას გაუწევს ქართველ სამხედროებს, განსაკუთრებით მცირე დისტანციაზე ბრძოლისას.

სახელმწიფოს ლიცენზირებული
საქართველო-ისრაელის
სტომატოლოგიის ინსტიტუტი
და მრავალპროფილიანი
სამედიცინო კოლეჯი
მინიმალური გადასახადი
სახელმწიფო დიპლომი
დასაქმება
☎ 61-54-23 (დღისით)
61-69-77
71-55-11 (ღამით)
www.medical.edu.ge

GS
Visonic Ltd
PARADOX
KENWOOD
NOVUS

# მალე ქართველებს NATO-ში მძიმე „დაკითხვას“ მოუწყობენ

ალლუმზე პატარა მოქალაქეები ყველაზე მეტად მცირე სიმაღლეზე გადაფრენილმა Су-25-ებმა ალაფრთოვანა. თუმცა, როგორც ირკვევა, სწორედ ამ მრისხანე მოიერიშეების დაჭრას გვირჩევს არა მტერი, არამედ სწორედ ის ორგანიზაცია, რომელშიც გაწევრებისთვის ასე ვემზადებით...

NATO-ს რჩევა მოიერიშე თვითმფრინავების შეიარაღებიდან მოხსნას ითვალისწინებს. გარდა ამისა, არის კიდევ რამდენიმე „მძიმე“ კითხვა, რომლისთვისაც პასუხის გაცემა მოუწევს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იმ ოთხკაციან დელეგაციას, რომელიც 1-ელ ივნისს ბრიუსელში, NATO-ს ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს წინაშე წარდგება. ეს იქნება ერთგვარი წინასწარი შეხვედრა 7 ივნისის წინ, როდესაც NATO-ში საქართველოს ორ მინისტრს უფრო მაღალ დონეზე მოუწყობენ „დაკითხვას“.



ამ შეხვედრაზე, რომელიც ფორმატით „26+1“ შედგება (NATO-ს წევრი 26 ქვეყანა და ინდივიდუალური პარტნიორობის მოსურნე საქართველო), ქართული მხარე წარადგენს „დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესის — PARP-ის“ შეფასების დოკუმენტს.

ამ შეხვედრაზე ქართული მხარე იძულებული იქნება, უპასუხოს იმ სამ მთავარ კითხვას, რომლებზეც თბილისს ჯერ კიდევ ერთი თვის წინ უნდა ეპასუხა.

ერთ-ერთი კითხვა ალბათ შეეხება იმ საკითხს, რომლის თანახმადაც, საქართველოს შსს-ს შინაგანი ჯარების მთელი მძიმე ჯავშანტექნიკა თავდაცვის სამინისტროს ჯერ კიდევ 10 მაისამდე უნდა გადასცემოდა, მაგრამ ნახევარმა მსოფლიომ იხილა, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი სამხედრო ალლუმზე ჯერ თავდაცვის სამინისტროს ტანკისტებს ესალმებოდა, ხოლო შემდეგ შინაგანი ჯარების მძიმე ჯავშანტექნიკის მექანიკოს-მძღოლებს.

მეორე და, არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი იქნება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საზღვაო თავდაცვის ძალების სამხედრო ფლოტისა და საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვის დივიზიონების ერთდროული არსებობის მიზანშეწონილობა.

მესამე კითხვა კი ქართული ავიაციის მშვენებას — Су-25 მოიერიშეების შეიარაღებიდან მოხსნას ეხება.

— თქვენ არ გჭირდებათ საბრძოლო თვითმფრინავები, მოიერიშე და სატრანსპორტო შვეულმფრენებიც გეყოფათ, ხოლო თუ მაინცდამაინც ასე „გიყვართ“ Су-25-ები, მაშინ კეთილი ინებეთ და, მათი პილოტები წელიწადში 100-120 სთ-ზე მეტი აფრინეთ, — მოითხოვენ დასავლელი სამხედრო მრჩევლები.

ერთი შეხედვით, მათი რჩევები თითქოსდა ლოგიკურია — რად გვინდა ისეთი თვითმფრინავები, რომლებითაც პილოტები თვეობით არ იფრენენ? უხეში გათვლით, Су-25 ტიპის მოიერიშე საათში 3-5 ტონა TC-1 ტიპის საავიაციო ნავთს ხარჯავს (ფრენის დასახული ამოცანის მიხედვით). ერთი ტონა TC-1 დაახლოებით 1160-1170 ლიტრია, 1 ლიტრი კი 1 ლარამდე ღირს, ანუ Су-25-ის ერთი საათით ფრენისას იხარჯება 3.810-5.850 ლარი. თანაც ეს მხოლოდ საწვავის ხარჯია...

ასე რომ, NATO-ელი მრჩევლების მოთხოვნით, საქართველომ თავისი პილოტი წელიწადში არანაკლებ ნახევარ მლნ ლარისა უნდა აფრინოს!

ეს მართლაც ძალიან დიდი ფუფუნებაა და უზარმაზარ ხარჯს მოითხოვს, მაგრამ, მეორე მხრივ, Су-25 მოერიშეების გარეშე ძალიან გაჭირდება არათუ ნებისმიერი (როგორც ბევრ ჩვენ ხელისუფალს უყვარს თქმა), არამედ პატარა, კონკრეტული საბრძოლო ამოცანის შესრულებაც.

ავიატორებს მთავარ იმედად ისევ საქართველოს პრეზიდენტი რჩებათ — მან 26 მაისის ალლუმის შემდეგ გამართულ საზეიმო მიღებაზე სამხედროებს განუცხადა, — ზოგიერთი ვაიმრჩევლის აზრით, თურმე ჩვენ არ გვჭირდება Су-25-ები, მაგრამ საქართველო მათ შეიარაღებაში მაინც დაიტოვებსო!

ეტყობა, დაუფასდათ ავიატორებს ახალგაზრდა პრეზიდენტისთვის ბავშვობის ოცნების ახდენა — საბრძოლო თვითმფრინავით გასეირნება, მაგრამ საკითხავია, რას უპასუხებენ ჩვენი თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრები NATO-ს 7 ივნისს, ბრიუსელში, IPAP-ის ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის განხილვის დროს.

# სამხედრო ალლუმით ალფრთოვანება ეიფორიაში არ უნდა გადაიზარდოს

## გრანდიოზული ალლუმის წარმატებით ჩატარება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ნებისმიერი ბრძოლისთვის მზადყოფნას!

26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილმა ალლუმმა მართლაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა, განსაკუთრებით სამოქალაქო საზოგადოებაზე.

300 არაგველის ძეგლთან შეკრებილნი მხურვალე ტაშით ესალმებოდნენ მწყობრით მომავალ მამულის დამცველებს. ისინი, ისევე როგორც ტელეეკრანთან მჯდარი ასიათასობით ადამიანი, მომავლისა და ქართული არმიის ძლიერების გრძნობით განიმსჭვალნენ, არაკეთილმოსურნენი კი უთუოდ სერიოზულად დააფიქრა ამ მოვლენამ.



ალლუმზე დაუბრკოლებლად ჩავლილი ტანკი თუ ჰაუბიცა სულაც არ ნიშნავს მათ სრულ საბრძოლო მზადყოფნას

უეჭველია, გრანდიოზულ სამხედრო ალლუმს უზარმაზარი ზნეობრივი და ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა და საზოგადოებაში უკვე გაჩნდა აზრი, რომ ასეთ არმიას ნებისმიერი პრობლემის გადაჭრა შეუძლია.

მაგრამ ერთია სამხედრო ალლუმის გამართვა ქალაქის ქუჩებში და მეორე — ბრძოლები იმავე ქუჩებსა თუ ტყე-ღრეში. ჩვენმა საზოგადოებამ და, მით უმეტეს, ხელისუფლების მაღალმა ეშელონებმა, არ უნდა დაირწმუნონ თავი, რომ დღევანდელ საქართველოს სამხედრო ძალებს უკვე შეუძლიათ ნებისმიერი ომის მოგება.

საერთოდ, ცნება — „ნებისმიერი საბრძოლო დავალების შესრულება“ — მცდარია და საშიშიც, რადგან ნებისმიერი საბრძოლო ამოცანის გადაწყვეტა ურთულესი და იქნებ წარმოუდგენელიც კი გახლავთ.

26 მაისის სამხედრო ალლუმმა ალაფრთოვანა ძირითადად სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც, სამწუხაროდ, ვერ ერკვევა სამხედრო საქმის ნიუანსებში, რადგან წლების განმავლობაში ქართული არმია ყველაზე არაპრესტიჟულ სახელმწიფო ინსტიტუტად ითვლებოდა. თუმცა, სამხედრო საკითხებში ცოტა თუ ბევრად ჩახედულნი მაინც უპოვიდნენ ბევრ ხინჯს ალლუმს, მაგრამ ახლა ამაზე ყურადღების გამახვილება არ იქნებოდა გამართლებული.

ალლუმი — საბრძოლო ოპერაცია არ არის, ისევე როგორც ალლუმზე დაუბრკოლებლად ჩავლილი ტანკი თუ ჰაუბიცა სულაც არ ნიშნავს მათ სრულ საბრძოლო მზადყოფნას.

საქართველოს უმაღლესმა ხელისუფლებამ, ისევე, როგორც გენერალიტეტმა, უნდა გააგრძელონ სამხედრო ძალების გაძლიერებისა და გადაიარაღების კურსი, უფრო მეტი დრო და, რაც მთავარია, სახსრები დაეთმოს სამხედრო და სპეცდანიშნულების დანაყოფების მზადებას ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის ბრძოლის მიახლოებულ პირობებში.

გამარჯვების სამხედრო ალლუმი კი მაშინ მართლაც ისეთი შეუდარებელი გახდება, რომლითაც ყველა იამაყებს.

# სამხედრო კალეიდოსკოპი

## ბრიტანელებმა აჯობეს თავისსავე ბიუროკრატიზმს



დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრომ, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტა, ოფიციალურად ეღიარებინა, რომ მის რიგებში არსებობს ლეგენდარული სპეცდანიშნულების რაზმი SAS-ი და ეს მოხდა SAS-ის შექმნიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ!

SAS-ის პარაშუტისტები და დივერსანტები ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს წარმატებით ახორციელებდნენ დივერსიულ ოპერაციებს გერმანელი ფაშისტების ღრმა ზურგში, თუმცა, მიუხედავად ამისა, 50 წლის განმავლობაში დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება ყოველნაირად უარყოფდა მათ არსებობას.

ყოველივე ეს უაზრობამდე მიდიოდა, რადგან SAS-ისა და მის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციების შესახებ მთელ მსოფლიოში ათეულობით წიგნი და ათასობით სტატია დაწერილა. მხოლოდ ახლა ამბობენ დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროში, რომ SAS-ის ოფიციალური უარყოფა სისულელე იქნება, მით უმეტეს, რომ ავღანეთსა და ერაყში მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტებში SAS-ის სპეცდანიშნულების რაზმები აქტიურად არიან ჩაბმულები.

## ერაყში ამერიკელებს ვაზნები შემოაკლდათ!

ძნელი წარმოსადგენია, რომ ზესახელმწიფოს, რომლის სამხედრო ბიუჯეტმა 400 მლრდ დოლარს გადააჭარბა, არ ჰყოფნის ჩვეულებრივი ვაზნები ერაყსა და ავღანეთში გამწესებული ჯარისკაცებისთვის.

ყოველ შემთხვევაში, აშშ-ის კონგრესის წარმომადგენლობით პალატაში რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს შორის რამდენიმე დღე ცხარე კამათი მიმდინარეობდა იმის თაობაზე, თუ სად შეეძინათ დამატებითი ვაზნები კონფლიქტის ზონებში მეომარი არმიისთვის.

დღემდე, აშშ-ის ყველაზე დიდი ქარხანა, კანზას-სიტიში, ყოველწლიურად 1,2 მლრდ ვაზნას უშვებდა, მაგრამ ავღანეთისა და, განსაკუთრებით, ერაყის რეალობამ აჩვენა, რომ ამერიკულ არმიას ყოველწლიურად დამატებით კიდევ 1,5 მლრდ ვაზნა სჭირდება.

რესპუბლიკელი კონგრესმენები კატეგორიული წინააღმდეგნი არიან საჭირო რაოდენობის ვაზნების საზღვარგარეთ შეძენისა, რადგან მათ არ სურთ აშშ-ის არმია დამოკიდებული იყოს სხვა ქვეყნებზე. რესპუბლიკელი კონგრესმენი დუნკან ჰანტერი მოითხოვს, 59 მლნ დოლარით გაიზარდოს აშშ-ის სამხედრო ბიუჯეტი, რათა ეს დამატებითი თანხა ვაზნების მწარმოებელი ქარხნების გადაიარაღებას მოხმარდეს. არადა, ამერიკელ სამხედროებს დღესვე სჭირდებათ დიდი რაოდენობით ვაზნა თავიანთი M-16-ებისთვის, რისთვისაც, სავარაუდოდ, პენტაგონი 5.56 მმ კალიბრიანი ვაზნების დიდ პარტიებს ისრაელში, კანადასა და ესპანეთში შეიძენს.

## კრემლი ჩეჩნეთში კონტრტერორისტულ ოპერაციას თითქმის დამთავრებულად მიიჩნევს

ბოლო დღეებში რუსეთის ფედერალური ძალების სპეცდანიშნულების რაზმებმა ჩეჩნეთის მთებში 20 შეიარაღებული ჩეჩენი მოკლეს, ამოღებულია 12 ცალი „კალაშნიკოვის“ სისტემის ავტომატი, 6 ხელის ტყვიამფრქვევი, 15 ხელის ყუმბარსატყორცნი და სხვა იარაღი, ტყვია-წამალი. გარდა ამისა, რუსულმა სპეცსამსახურებმა დააკავეს ჩეჩნეთის ურუსმარტანის რაიონის მცხოვრები, რომელიც ეჭვმიტანილია 9 მაისს გროზნოში, „დინამოს“ სტადიონზე ტერაქტის მოწყობაში, რის შედეგადაც დაიღუპა ჩეჩნეთის პრეზიდენტი აჰმად კადიროვი. ეჭვმიტანილი მონაწილეობდა სწორედ იმ ტრიბუნის აღდგენაში, რომლის ქვეშაც აფეთქდა ბომბი.

ეს და სხვა წარმატებული ოპერაციები, რუსეთის ოფიციალურ პირებს აძლევს საშუალებას, განაცხადონ, რომ კონტრტერორისტული ოპერაცია ჩეჩნეთში დასასრულს მიუახლოვდა. თუმცა კრემლის ილუზიების გასაფანტავად 27 მაისს გროზნოს ცენტრში, ავტომატური ყუმბარსატყორცნით ყუმბარები დაუშინეს ყველაზე უკეთ დაცულ შენობას — ჩეჩნეთის სახელმწიფო საბჭოს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ჩეჩნებს ჯერ ბრძოლა რუს ფედერალებთან არ შეუწყვეტიათ.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***



# ბათუმიდან გატაცებული პირველი საბჭოთა თვითმფრინავი

## მაშინ არავინ იცოდა მამა-შვილის საქციელის მოტივი



*ტრანსპორტი და დანაშაული ერთმანეთთან ძალზე ახლო მდგომი ცნებებია. ამიტომაც შეიქმნა სატრანსპორტო მილიციის სამსახური, რომელიც სამოცდაათიან წლებამდე რატომღაც მარტო რკინიგზას ემსახურებოდა. არსებობდა საგზაო ინსპექციაც, რომელიც მხოლოდ საავტომობილო გზებს აკონტროლებდა, მაგრამ საზღვაო და საავიაციო ტრანსპორტზე ზედამხედველობა რომელიმე სპეციალურ უწყებას კი არა, მილიციის ტერიტორიულ ორგანოებს ევალებოდათ; ანუ მიაჩნდათ, რომ ჰაერში თუ ზღვაში დანაშაული არ მოხდებოდა. მართლაც, საბჭოთა საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტი კომუნისტური მათრახის ქვეშ ათწლეულების განმავლობაში დაუბრკოლებლად მუშაობდა. მაგრამ გავიდა ხანი და ხალხს მოჰბეზრდა საბჭოური რუტინა და რადგან ქვეყნის საზღვრები ჩაკეტილი იყო, რჩებოდა ერთადერთი გზა — ზემოდან გადაფრენა. რაკი კერძო თვითმფრინავები არ არსებობდა, ეს მისია საბჭოთა ავიაციას უნდა შეესრულებინა. მით უმეტეს, რომ თვითმფრინავში მგზავრების ჩასხდომას მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით (ტრაპზე ასვლის დროს არავინ იხულიგნოსო) თუ ესწრებოდა მილიციის წარმომადგენელი. არავითარი შემოწმება ან იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერების გადატანის აკრძალვა. როგორც კი სალონის კარი ჩაიკეტებოდა, აღარავის ადარდებდა, რა მოხდებოდა იქ, ჰაერში. ამაზე მხოლოდ მფრინავთა რაზმი აგებდა პასუხს და როგორც ზემოთ ითქვა, ეს ტაქტიკა ამართლებდა კიდეც.*

*დღეს ჩვენ ხმელეთზე მომხდარ ერთ დანაშაულზეც მოგითხრობთ, ოღონდ თავდაპირველად მინდა ცას მივაპყრო თქვენი მზერა.*

### პირველი — საქართველოდან

1970 წლის 15 ოქტომბერს, დღის 12 საათზე, ბათუმის აეროპორტიდან აფრინდა სოხუმის ავიარაზმის კუთვნილი სამგზავრო თვითმფრინავი Ан-24, რომელიც ბათუმი-კრასნოდარის რეისს ასრულებდა. თვითმფრინავის ბორტზე ორმოცდაოთხი მგზავრი, მფრინავთა ოთხკაციანი ჯგუფი და ერთი ბორტგამცილებელი გოგონა იყვნენ. აფრენიდან ხუთი წუთის შემდეგ, როცა თვითმფრინავმა რვაასი მეტრის სიმაღლე აიღო, ორმა მგზავრმა, როგორც შემდეგ გაირკვა, ლიტველმა მამა-შვილმა ბრაზინსკასებმა, ბორტგამცილებელ ნადია კურჩენკოს მფრინავებისათვის წერილი გადასცეს. წერილის ავტორები თვითმფრინავის თურქეთში დასმას მოითხოვდნენ, უარის შემთხვევაში კი მისი აფეთქებით იმუქრებოდნენ. ბორტგამცილებელმა წერილის გადაცემაზე უარი განუცხადა მამა-შვილს. მაშინ ბრაზინსკასებმა იარაღი იშიშვლეს, მაგრამ ნადია კურჩენკო მათ წინ გადაუდგა — მფრინავთა კაბინისაკენ არ გაგატარებთო. ისე გამეტებით ჰკრეს ხელი, გოგონა წერილიანად, ზურგით შევარდა კაბინაში. მაინც იმარჯვა და კარი შიგნიდან ჩაუკეტა თავდამსხმელებს.

მკითხველს ვთხოვ, დღევანდელი გადასახედიდან ნუ განსჯის მოვლენებს. საბჭოთა კავშირში თვითმფრინავის გატაცების ეს პირველი შემთხვევაა და იმ წუთში არც მგზავრებმა, არც ბორტგამცილებელმა, არც მფრინავებმა არ იციან მამა-შვილის საქციელის მოტივი. ექსტრემალურ სიტუაციაში არც ამის ანალიზის დროა. ამიტომაც გამტაცებელთა ქმედებას თვითმფრინავის ბორტზე მყოფებმა ერთმნიშვნელოვანი შეფასება მისცეს — ბანდიტიზმი. ასეთ ვითარებაში ადეკვატურად მხოლოდ ერთადერთი ადამიანი, ცხრამეტი წლის ნადია კურჩენკო იქცევა — იგი ცდილობს თვითმფრინავი ბანდიტებისგან იხსნას. ეს ის დროა, როცა საბჭოთა თვითმფრინავების პილოტთა კაბინის კარს ჯავშანი არა აქვს და მამა-შვილი იოლად ამტვრევს მას. ნადია კურჩენკო კვლავაც ეწინააღმდეგება მომხდურებს. აქ კი, ეტყობა, ბრაზინსკასებს ნერვებმა უმტყუნა. მით უმეტეს, რომ პილოტთა კაბინაში აშკარა უმცირესობაში აღმოჩნდნენ და, ბუნებრივია, ეშინიათ კიდეც (აკი მოგვიანებით იარაღის ჩაბარებაც მოსთხოვეს მფრინავებს. მაშასადამე, ისიც კი არ იციან, რომ საბჭოთა სამოქალაქო ავიაციის პილოტები უიარაღოდ დაფრინავდნენ). მფრინავებზე თუნდაც რიცხობრივი უპირატესობის მოპოვების მიზნით, ისინი მათ შორის ყველაზე აგრესიულს, ბორტგამცილებელ გოგონას კლავენ, მერე თითქმის სასიკვდილო ჭრილობას აყენებენ შტურმანს, ვალერი ფადეევს, რომელსაც ტყვიამ ფილტვებში გაუარა. მძიმედაა დაჭრილი ბორტინჟინერი ედუარდ ბაბაიანიც და შემდეგი ტყვია ხომალდის მეთაურის, გიორგი ჭახრაკიას ხერხემალში იჭედება (სხვათა შორის, დღემდე). უვნებელია მეორე პილოტი, აწ გარდაცვლილი სულიკო შავიძე და, რა თქმა უნდა, თავდამსხმელებს იგი ასეთი სჭირდებათ — მამა-შვილს ხომ არ შეუძლია თვითმფრინავის მართვა, ვიღაცამ ხომ უნდა დასვას მანქანა ხმელეთზე?!

ხომალდის მეთაური გრძნობს, რომ ქვედა კიდურები წაერთვა, მაგრამ სისხლდენა არც ისე ინტენსიურია და გონს არ კარგავს. ის თავდამსხმელებს ურჩევს, შეწყვიტონ სროლა, აფრთხილებს, რომ თვითმფრინავი ჩამოვარდება.

— Ну что-ж, на войне все бывает. Погибнем, так все в месте.

— რა გინდათ, რას ითხოვთ?

— თურქეთში, სამსუნგის აეროდრომზე დასვამთ თვითმფრინავს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჰაერშივე აგაფეთქებთ... — და მამა ბრაზინსკასი საბრძოლო ხელყუმბარას შეათამაშებს.

მძიმე სიტუაციაა. ხომალდის მეთაურმა უკვე იცის, რომ რადიოკავშირის კაბელები ადრევე გადაუჭრია მამა-შვილს, მაგრამ განგაშის სიგნალის გაშვება სხვა არხითაც შეიძლება. იგი სენაკის საპატრულო აეროდრომს უგზავნის SOS-ს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იქიდან უნდა აფრინდეს ორი გამანადგურებელი მაინც და სამგზავრო თვითმფრინავი იძულებით დასვან საბჭოთა მხარისათვის სასურველ აეროდრომზე. ვინ იცის, რა მოხდებოდა, ასე რომ განვითარებულიყო მოვლენები. არა გვგონია, საბჭოთა ხელისუფლებას თვითმფრინავისთვის საზღვრის გადაკვეთის უფლება მიეცა, უფრო საფიქრებელია, რომ ჩამოაგდებდნენ. საბედნიეროდ იქ, სენაკში, ვიღაც ქართველი ამ დროს პულტთან კი არა, კაკლის ჩეროში ზის და ნაკლებად ადარდებს, რა ხდება ბათუმის ახლოს, ჰაერში...

რაკი თავდამსხმელები აღარ ხუმრობენ, ხომალდის მეთაური იღებს გადაწყვეტილებას, გადაკვეთოს თურქეთის საზღვარი, მაგრამ სასაზღვრო დაცვის მეზენიტეთა ცეცხლში რომ არ გაეხვიონ, საჭიროა მკვეთრი დაშვება და თვითმფრინავიც რვაასი მეტრის სიმაღლიდან ერთბაშად ვარდება ორას მეტრამდე. მგზავრთა სალონში კარგა ხანია პანიკაა. აქ კი, მფრინავების კაბინაში, პანიკა დაუშვებელია — ეს ანაბანა ორივემ, ხომალდის დაჭრილმა მეთაურმა და ჯერჯერობით უვნებელმა მეორე მფრინავმა ჯერ კიდევ საფრენოსნო სკოლაში შეითვისეს. ვის გაუგია, ექსტრემალურ სიტუაციაში მფრინავის პანიკაში ჩავარდნა? ასეთი სიტუაციები, თუნდაც მეტეოროლოგიური პირობების გამო, თითქმის ყოველდღე იქმნება და დავლუპულვართ და ეგაა. რისთვის მჭირდება ამ გარემოებაზე ყურადღების გამახვილება? იმისათვის, რომ ამ გადაფრენას შემდეგ ინტერპრეტატორები გამოუჩნდნენ, თითქოს ეს ორი კაცი ლამისაა ერთმანეთს ეჭიდავებოდა ჰაერში — არა, ასე სჯობია ფრენა, არა — ასეო. სინამდვილეში კი ხომალდის დაჭრილ მეთაურს რა ჭიდაობის თავი უნდა ჰქონოდა და მეორეც, ისინი ბოლომდე მეგობრებად დარჩნენ. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სულიკო შავიძემ ამის შემდეგ კიდევ ჩვიდმეტი წელი იფრინა. ფრენა გააგრძელეს გამოჯანმრთელებულმა ფადეევმა და ბაბაიანმაც. გიორგი ჭახრაკია (მაშინ 32 წლის იყო) კი მას შემდეგ ხეიბარია. ბრაზინსკასები მსოფლიომ იმ დღიდან გმირებად შერაცხა. თუმცა მივყვეთ მოვლენებს:

— ზღვის ნაპირას ისე იფრინეთ, რომ ხმელეთი მარცხენა ილუმინატორებიდან ჩანდეს! — ბრძანებს მამა ბრაზინსკასი.

— ეგრე იყოს, მაგრამ სამსუნგამდე საწვავი არ გვეყოფა. ეგებ ტრაბზონში დავჯდეთ... — სთავაზობს მეორე პილოტი.

— თანახმა ვართ, ოღონდ ერთი არასწორი ვირაჟი და შუბლს გაგიხვრეტ!

**ბრაზინსკასები აეროდრომზევე ჩაბარდნენ თურქეთის სამართალდამცველებს. დაჭრილებს პირველადი დახმარება გაუწიეს და ბათუმში დააბრუნეს. იმავე რეისით გადმოასვენეს ნადია კურჩენკოს ცხედარი, რომელსაც სიკვდილის შემდეგ მიანიჭეს საბრძოლო დიდების ორდენი.**

**ყველამ მაშინვე გააცნობიერა, რომ ეს ინციდენტი კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული ბრაზინსკასების პროტესტი იყო...**

— მთის მხრიდან შემოუარე, მწვანე რაკეტები გაუშვი, რომ საფრენი ზოლი გაათავისუფლონ, თორემ რადიო არ გვაქვს. მე ძალა მეცლება, ახლა შენ უნდა იმარჯვო. იქნებ საფრენ ზოლზე დაჯდე, თუ ეს არ მოხერხდა ან ზოლი დაკავებული აღმოჩნდა, აკეცილი ბორბლებით ზღვის თავთხელზე უნდა დაეშვა. ვეცდები მეც შემოგეშველო... — თქვა მეთაურმა და შტურვალს მისწვდა, მაგრამ აშკარად იგრძნო, რომ ძალა აღარ ჰყოფნიდა. სამაგიეროდ, მეორე პილოტმა იმარჯვა და თვითმფრინავი ისე რბილად დასვა საფრენ ზოლზე, რომ თურქი კოლეგები აღტაცებას ვერ მალავდნენ.

ბრაზინსკასები აეროდრომზევე ჩაბარდნენ თურქეთის სამართალდამცველებს. დაჭრილებს პირველადი დახმარება გაუწიეს და ბათუმში დააბრუნეს. იმავე რეისით გადმოასვენეს ნადია კურჩენკოს ცხედარი, რომელსაც სიკვდილის შემდეგ მიანიჭეს საბრძოლო დიდების ორდენი.

ყველამ მაშინვე გააცნობიერა, რომ ეს ინციდენტი კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული ბრაზინსკასების პროტესტი იყო და მალე მათ მიმდევრებიც გამოუჩნდნენ. თუმცა, საბჭოთა თვითმფრინავების პილოტთა კაბინები დაუყოვნებლივ აღჭურვეს ტყვიაგაუმტარი კარით. ამ დროისათვის ავიაციის დაცვა სატრანსპორტო, ე. ი. რკინიგზის მილიციას ევალებოდა, მაგრამ რკინიგზას თავისი გასჭირვებოდა. გაძარცული კონტეინერების თვლას ვეღარ აუდიოდნენ მილიციელები. ასე იყო მთელ საბჭოთა კავშირში და არც საქართველო იყო გამონაკლისი, მაგრამ მაინც მოინახა გამოსავალი. სატრანსპორტო მილიციის უფროსის ახალდანიშნულმა პირველმა მოადგილემ, ფრიდონ ადამიამ აღსტაფაში, საქართველოს საზღვართან გახსნა საგუშაგო და გაძარცულ ვაგონებს იქვე უტოვებდა თავის კოლეგა აზერბაიჯანელებს. ამ, ერთი შეხედვით, მარტივი ღონისძიებით სატვირთო მატარებლების გაძარცვამ იკლო და ის იყო, მოსკოვმა ქართველების გამოცდილების პროპაგანდა დაიწყო, რომ სადღაც ხობთან, სოფელ ნოჯიხევის ტერიტორიაზე, მოსკოვი-ერევანის ჩქარ მატარებელში ვაგონის გამცილებელი ქალი მოკლეს.

**ფრიდონ ადამია:** — მაშინ მატარებლებს მილიციის თანამშრომლები აცილებდნენ და მკვლელის დაკავება თითქოს გარდაუვალი იყო, თანაც ჩქარ მატარებელში, რომლიდანაც გადახტომა ფაქტობრივად, გამორიცხულია. მაგრამ იმ კაცმა არც აცია, არც აცხელა, ვაგონის კარი შიგნიდან გააღო და გადახტა. წადი და ეძიე... მოსკოვიდან ერევნისკენ მიმავალ მატარებელში დანაშაულის ჩამდენს ერთ რეგიონში ვერ მოძებნი, — ყველგან უნდა ეძებო, მაგრამ როცა ამ „ყველგან“-ს სიგრძე სამი ათასი კილომეტრი აქვს, რა გინდა ქნა? არადა, მოსკოვში ერთი ამბავი ატყდა — საქართველოში გამცილებელ ქალებს ხოცავენო (თვითმფრინავის ამბავიც ხომ ახალი მომხდარი იყო). გუშინ რომ გვაქებდნენ ტვირთების ძარცვის შემცირებისათვის, დღეს დაუნდობლად გვთათხავენ. ცენტრი იმან უფრო გააღიზიანა, რომ ვაგონების გამცილებელმა მოსკოველმა ქალებმა გაფიცვა გამოაცხადეს — სამხრეთის მიმართულებით აღარ წავალთო. საქმე პირად კონტროლზე აიყვანა საკავშირო პოლიტბიუროს წევრმა, მოსკოვის საოლქო კომიტეტის მდივანმა გრიშინმა (სატრანსპორტო მილიციის მთავარი სამმართველო მოსკოვში იყო განლაგებული). თვეში ორჯერ გვიბარებენ ცენტრში, გვლანძღავენ, გვთათხავენ. ჩვენც ტყავიდან ვძვრებით, მაგრამ არაფერი გამოდის. ერთადერთი ხელჩასაჭიდი ისაა, რომ ვიპოვეთ სამი ერევნელი ქალბატონი, რომლებთან ერთადაც ორი დღე-ღამის განმავლობაში მგზავრობდა მკვლელი. მაგრამ ქალებმა არც მისი სადაურობა იციან, არც გვარი და არც სახელი. დიდი წვალების შემდეგ შეადგინა ჩვენმა მხატვარმა სავარაუდო ფოტორობოტი, რომელიც სატრანსპორტო მილიციის ყველა განყოფილებას დაეგზავნა, მაგრამ ამაოდ. ამასობაში კი ექვსი თვე გავიდა. სასწორზე დევს ჩვენი თანამდებობაზე დარჩენის საკითხი და სწორედ ამ დროს ჩვენმა თანამშრომლებმა იმავე, მოსკოვი-ერევნის მატარებელში თვალი დაადგეს ახალგაზრდას, რომელიც რაღაცით ჰგავდა რობოტზე გამოსახულს. მას პასპორტი ჩამოართვეს და წინ გაიგდეს. ახალგაზრდამაც ისეთი მიამიტი სახე მიიღო, ისე მორჩილად დაჰყვა მილიციელების ნებას, რომ ასაღელვებელი თითქოს არაფერი ჰქონდა. მაგრამ ის იყო, ერთი ვაგონიდან მეორეში გადააბიჯა, რომ ზურგს უკან მიიხურა კარი და სწრაფად გადაკეტა, რითაც მილიციელები მცირე ხნით ჩამოიშორა, თვითონ კი გაქანებული მატარებლიდან გადახტა. დიახ, მილიციელები შეცდნენ, როცა ეჭვმიტანილი შუაში არ მოიქციეს მატარებელში გადაადგილების დროს, მაგრამ რაღას იზამდნენ?! სამაგიეროდ, ხელთ გვქონდა მისი პასპორტი და რაც მთავარია, დანაშაულის უსიტყვო, მაგრამ მაინც აღიარება, რაც ჩქარი მატარებლიდან გადახტომით დაადასტურა.

**ის იყო, ერთი ვაგონიდან მეორეში გადააბიჯა, რომ ზურგს უკან სწრაფად მიიხურა კარი და იქითა მხრიდან გადაკეტა, რითაც მილიციელები მცირე ხნით ჩამოიშორა, თვითონ კი გაქანებული მატარებლიდან გადახტა. დიახ, მილიციელები შეცდნენ, როცა ეჭვმიტანილი შუაში არ მოიქციეს მატარებელში გადაადგილების დროს, მაგრამ რაღას იზამდნენ?! სამაგიეროდ, ხელთ გვქონდა მისი პასპორტი და რაც მთავარია, დანაშაულის უსიტყვო, მაგრამ მაინც აღიარება, რაც ჩქარი მატარებლიდან გადახტომით დაადასტურა.**

პასპორტის მიხედვით ეს იყო სენაკელი ებრაელი, გვარად სეფიაშვილი. დავადგინეთ, რომ მკვლელობის შემდეგ მოსკოვში დაბრუნებულა თავის საყვარელთან. ერთ დღეს, სპეციალურად, აყალმაყალი აუტეხია, ყველაფერი მიულეწ-მოულეწია და ამის გამო დაუპატიმრებიათ. ასე რომ, მოსკოველები ჩვენ რომ გვახრჩობდნენ, დამნაშავეს რატომ არ იჭერთო, თურმე იქვე ჰყავდათ, ბუტირკის ციხეში და ინსტრუქციის შესაბამისად რომ შეემოწმებინათ და ჩვენთვისაც ეცნობებინათ, რამდენ უსიამოვნებას ავცდებოდით ჩვენც და ისინიც.

სეფიაშვილმა კი ხერხი იხმარა — იცოდა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დავუწყებდით ძებნას და ბუტირკას შეაფარა თავი. თუმცა იქაც გამოჩნდა ჭკვიანი კაცი, ციხის ზედამხედველი პროკურორი, რომელმაც იეჭვა — დანაშაულს ასე არ სჩადიან, აქ რაღაც სხვა რამეშია საქმეო, მაგრამ ამის მეტი ვეღარაფერი მოიაზრა და პატიმარი ციხიდან გააგდო. როცა ჩვენმა ბიჭებმა ნახეს, სწორედ ბუტირკიდან ბრუნდებოდა სეფიაშვილი.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ბოლოს და ბოლოს, დავაკავეთ. მოწმეების ჩვენებით გაირკვა, რომ ვაგონის გამცილებელი ქალი ტყუილ-უბრალოდ აუხირდა ახალგაზრდა კაცს. ამანაც ითმინა, ითმინა და დანით დაჩეხა თავისი შეურაცხმყოფელი. ამის გამო იყო, სასამართლომ ცხრაწლიანი პატიმრობა რომ აკმარა, თორემ მაშინ მკვლელობაზე დახვრეტას უსჯიდნენ. მოგვიანებით ციხიდან გამოსულიც ვნახე და ახლა მგონი, ისრაელში ცხოვრობს.

P.S. 2002 წლის 2 თებერვლის გაზეთმა „კომერსანტმა“ გამოაქვეყნა სტატია მყვირალა სათაურით — „მოკლულია პირველი საბჭოთა ტერორისტი“. მასში დეტალურადაა აღწერილი მამა-შვილ ბრაზინსკასების შემდგომი ცხოვრება. მკითხველთა ინტერესის გათვალისწინებით, თავს უფლებას ვაძლევ გაგაცნოთ ამ პუბლიკაციის მოკლე შინაარსი:

თურქეთის ხელისუფლებამ უარი განუცხადა საბჭოთა მთავრობას ბრაზინსკასების გადაცემაზე — ადგილზევე გაასამართლეს თვითმფრინავის გატაცებისა და მკვლელობისთვის. მამა-შვილს ათ-ათწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ ოთხი წლის შემდეგ ამნისტიით გაათავისუფლეს და შინაპატიმრობა შეუფარდეს. თუმცა ბრაზინსკასებმა მოახერხეს და 1976 წელს ვენესუელაში გადაბარგდნენ. ორი თვის შემდეგ კი კანადის გავლით ნიუ-იორკში ჩააღწიეს და მას შემდეგ მამა-შვილი შეერთებულ შტატებში ცხოვრობდა. პირველ ხანებში ქვეყნის საიმიგრაციო სამსახური მათ დეპორტაციას ითხოვდა, მაგრამ ლიტვური დიასპორის პროტესტის გამო ქვეყანაში დარჩენის უფლება მისცეს. ბრაზინსკასები სანტა-მონიკაში დასახლდნენ, სადაც მღებავებად მუშაობდნენ. მალე უმცროსი ბრაზინსკასი იქაურ ლიტველ გოგონაზე დაქორწინდა და ამერიკის მოქალაქეობაც მიიღო. უფროსი ბრაზინსკასი კი სიკვდილამდე ემიგრანტად დარჩა. არ უჭირდათ, მაგრამ არც თავზე გადასდიოდათ. მამა საოჯახო საქმეებითა და ველოსიპედით სეირნობით ირთობდა თავს. თუმცა ბოლო წლებში ასაკმა თავისი გაიტანა და ისე დაძაბუნდა, რომ ხელჯოხით ძლივს დადიოდა. შვილი უვლიდა და თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ 2002 წლის 2 თებერვალს ბრაზინსკასების სახლიდან ვიღაც უცნობმა აკრიბა ნომერი ცხრაას თერთმეტი (პოლიცია) და ყურმილი დაკიდა. პოლიციელებმა სახლში სამოცდაჩვიდმეტი წლის მამა ბრაზინსკასის თავგაჩეჩქვილი გვამი აღმოაჩინეს. სამართალდამცველების ვერსიით, მამა-შვილმა რაღაც ვერ გაიყვეს და მათ შორის ჩხუბი შვილის გამარჯვებით დასრულდა.

ალგირდას ბრაზინსკასს ბრალი წაუყენეს მამის მკვლელობისთვის და ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობის მიხედვით გაასამართლეს.

***ვაჟა გავაშელი***

# საქართველოს ხელისუფლების არც ერთ დონეზე აღარ არის ხელშეუხებელი ხალხი

## „ჭაღარის გამო ჩემს მეუღლეს ნაკლებად არ მოვწონვარ“

*(დასაწყისი იხ. გვ. 5)*

მთავარი არის ის, რომ თვითგანწმენდის პროცესი აუცილებელია ხელისუფლებისთვის. პროკურატურაში იციან, რომ ნაციონალების ბილეთი ხელშეუხებლობის გარანტი არ არის, პირიქით, თავისთავად, ის ფაქტი, რომ პოსტ-საბჭოთა საქართველოში ქრთამის აღების გამო არავინ დაუკავებიათ და ახლა ეს დაიწყო, ძალიან კარგია. ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება.

**— რწმუნებულებისა და გამგებლების მუშაობით კმაყოფილი ხართ?**

— ზოგი კარგად მუშაობს, ზოგიც — ნაკლებად... საქმე ისაა, რომ კადრების პრობლემაც გვაქვს. ნაციონალურ მოძრაობას ორი მთავარი ამოცანა აქვს: პირველი — სიღარიბესთან ბრძოლა და ასეთი ხალხის დახმარება, მეორე ამოცანა კი კადრების მომზადებაა. კადრების განახლების პროცესი მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს, არ დავუშვებთ მის დახავსებას. ამიტომაც არის, რომ ზოგჯერ ნაციონალური მოძრაობა გამგებლებს უპირისპირდება. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. შეიძლება გამგებელი ნაციონალური მოძრაობის წევრი იყოს და ცუდად იმუშაოს, ამაზე პარტიულმა ორგანიზაციამ უთუოდ უნდა მიუთითოს. ეს განხეთქილება კი არა, თვითგანწმენდისა და განახლების პროცესია პარტიაში. ასეთი დამოკიდებულების გარეშე ერთი კლანის მეორით ჩანაცვლება მოხდება, რაც დაუშვებელია. ასეთ პროცესს ყოველთვის წავახალისებ, ოღონდ არა საიმისოდ, რომ ერთმანეთი დავჭამოთ (რა თქმა უნდა, კანონდარღვევის დასაბუთებას მოვითხოვ).

**— აზრთა სხვადასხვაობაა ორმაგი მოქალაქეობის შემოღებაზე. ამბობენ, შესაძლოა ამ გზით ბევრი არაკეთილმოსურნე შემოგვეპაროს ქვეყანაში და ერთ დღეს თურქი მესხებიც საქართველოს მოქალაქეები გახდნენო.**

— ამ გადაწყვეტილებას საქართველოს ხელისუფლება იღებს. ჩვენ ამ პროცესში ჩართული გვყავს უშიშროების აპარატი, ჩვენ გვაქვს კრიტერიუმებიც, რომელთა გათვალისწინებითაც მოხდება მოქალაქეობის მინიჭება. თითოეული განცხადების განხილვას დაახლოებით 3 თვე დასჭირდება, ისე ვერავინ შემოძვრება საქართველოში. ორმაგი მოქალაქეობის შემოღების მიზანი ის იყო, რომ ყოველი მეხუთე საქართველოს მოქალაქე, რომელიც დღეს უცხოეთშია, დავიბრუნოთ სამართლებრივადაც და ფიზიკურადაც. მაგალითად, გასულ კვირას კახა ბენდუქიძე იყო ჩამოსული. ის უმდიდრესი ქართველია და წლების განმავლობაში არ გამოუხედავს საქართველოსკენ. კარგი იქნება, თუ ის ამ წინადადებით დაინტერესდება. დღესდღეობით მილიონობით ქართველი ცხოვრობს თურქეთში. ვიცი, რომ მათი უმეტესობა არ მიიღებს საქართველოს მოქალაქეობას, მაგრამ მათ შორის არიან ბიზნესმენები, რომლებიც მზად არიან ამისთვის. როცა ჩვენს თანამემამულეებს საქართველოს პასპორტი ექნებათ, ტურისტად ჩამოსვლაც გაუხარდებათ. ის ტურისტი კი აქ დიდ ფულს დატოვებს. როდესაც ამ გადაწყვეტილებას ვიღებდით, ბუნებრივია, ეს პრაგმატული ინტერესიც გავითვალისწინეთ.

**— უცხოელი ბიზნესმენების ხელშეწყობის ფონზე, ქართველები ხომ არ შეიზღუდებიან?**

— ქართველი ბიზნესმენები არ შეიზღუდებიან, მაგრამ არც პრივილეგიები ექნებათ. ჩვენ პრივილეგია ქართველ ბიზნესმენებს კი არა, საქართველოს მოსახლეობას უნდა მივცეთ. ახალი ოლიგარქების შექმნა არ მინდა. მინდა საქართველოში ბევრი ფული შემოვიდეს, რომ ხალხმა იხეიროს. ქართველებს რომ ფული გაუჩნდებათ, მერე ისინი წავლენ სხვა ქვეყნებში ინვესტიციების განსახორციელებლად.

**— რაც პრეზიდენტი გახდა, მიხეილ სააკაშვილს ჭაღარა მოემატაო. ეს ბევრი საზრუნავის გამოა?**

— ჭაღარა აჭარამ გამიჩინა, სულ დაძაბული ვიყავი, ყოველ წუთს სერიოზული გადაწყვეტილებების მიღება დიდ ენერგიასა და ნერვებს მოითხოვს... საფრთხე რეალური იყო. არ მქონდა იმის გარანტია, რომ იქ ტყვია არ გავარდებოდა. სერიოზული რისკის გაწევა მოგვიხდა, მაგრამ გავრისკეთ იმიტომ, რომ ამ ნაბიჯის გარეშე საქართველო დაგვეშლებოდა. არის მეორე მიზეზიც — ძალიან მაღიზიანებს უსამართლო კრიტიკა. ძალზე მიყვარს კონსტრუქციული კრიტიკა, თუმცა როდესაც ადამიანი თეთრის უკან მუდმივად შავს ხედავს, ეს პრობლემაა, მაგრამ ამასაც შევეგუები. ჭაღარა დიდად არ მანაღვლებს. მის გამო ჩემს მეუღლეს ნაკლებად არ მოვწონვარ, იმედია, ჩემი ხალხიც ასევე ფიქრობს.

***იზო რიკაძე***

# რა სურთ რუს ბიზნესმენებს

## ექსკლუზიური ინტერვიუ ოლიგარქთან

*(დასაწყისი იხ. გვ. 6)*

მერწმუნეთ, როგორც კი რომელიმე ღვინის ქარხანა რუსეთის კომპანიის საკუთრება გახდება, იგი თავად ჩადებს ფულს ფალსიფიცირების წინააღმდეგ საბრძოლველად. სწორედ ახლა მოვდივარ ერთ-ერთი მსხვილი ქართული ღვინის ქარხნიდან, სადაც კარგი ღვინო გავსინჯე და ადვილი შესაძლებელია, ამ ქარხანაში განვახორციელოთ ჩვენი ინვესტიციები.

**— თქვენ შეხვდით საქართველოს ხელისუფლების პირველ პირებს, ესაუბრეთ მათ. ეს უბრალოდ კეთილი ნების ჟესტი იყო თუ გსურდათ მიგეღოთ გარანტიები, რათა თქვენი ინვესტიციები საქართველოში უსაფრთხოდ იყოს?**

> არ ვიცი, რას უწოდებთ თქვენ სტრატეგიული მნიშვნელობის სფეროებს. მაგალითად, რუსეთში უკვე მივეჩვიეთ, რომ სტრატეგიულს მხოლოდ თავდაცვის მრეწველობას ვუწოდებთ. ყველა დანარჩენი სექტორი კი ერთნაირად ღია და ხელმისაწვდომია როგორც კერძო, ასევე უცხოელი ინვესტორებისთვის.

— როცა ისეთ მიშვებულ და მიტოვებულ წარმოებას ყიდულობ, როგორიცაა, მაგალითად, ჭიათურის საბადო, რა თქმა უნდა, რიგი საკითხები სახელმწიფოსთან უნდა მოაგვარო. მაგალითად, რა უყო იმ ვალს, რომელიც ამ საწარმოს სახელმწიფოს წინაშე გააჩნია. არსებობს მთელი რიგი პრობლემები, რომელსაც ხელისუფლების დაინტერესებული მონაწილეობის გარეშე უბრალოდ ვერ გადაწყვეტ.

**— დაგეგმილი ინვესტიციების დაფინანსება ქართული საბანკო სისტემის გამოყენებით მოხდება თუ არსებობს რუსული ბანკის საქართველოში გახსნის იდეაც?**

— ჯერ რთულია ამაზე საუბარი, მაგრამ საქართველოში ვათვალიერებთ ბანკს, რომლის კაპიტალშიც მოვახდენთ დამატებითი თანხების ინვესტირებას. იმ შემთხვევაში, თუ აქ შესაფერის პარტნიორებს ვერ ვიშოვით, შეიძლება გავხსნათ რუსეთის ბანკის ფილიალი.

**— საგადასახადო კანონმდებლობასთან დაკავშირებით რა დაპირებები მიიღეთ საქართველოს ხელისუფლებისგან? როგორც ვიცი, რუსეთში მნიშვნელოვნად შემცირდა საგადასახადო განაკვეთები.**

— მნიშვნელოვნად ჯერ არა, მაგრამ რუსეთში ყოველწლიურად მცირდება საგადასახადო ტვირთი. საქართველოს ხელისუფლებამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ საქართველოშიც იგეგმება გადასახადების რაოდენობის შემცირება, 21-დან 7-მდე, მაქსიმუმ 9-მდე. დაგვპირდნენ, რომ შეამცირებენ ისეთი ძირითადი გადასახადების განაკვეთებს, როგორიცაა სამეწარმეო და სოციალური. როგორც ჩანს, დღგ-ს ჯერ ვერ ამცირებენ, ვინაიდან ის საქართველოს ბიუჯეტის ძირითადი შემოსავალია. რაც მთავარია, საქართველომ აუცილებლად უნდა დაიწყოს საგადასახადო ტვირთის შემცირება, თან არ დაგავიწყდეთ რუსეთის გამოცდილება — ანუ ვამცირებთ გადასახადებს, ხოლო შემოსავლები იზრდება.

ბატონი გენერალოვი მხოლოდ მას შემდეგ გავათავისუფლეთ ჩვენი „ტყვეობიდან“, როცა თვითმფრინავის ძრავების ხმაურით აუწყეს, რომ მისი საკუთარი Ту-134 გასაფრენად მზად იყო. არ ვიცი, ქართული ხელისუფლებისაგან მიღებული დაპირებების ბრალი იყო თუ მცხეთაში დაჭაშნიკებული ხვანჭკარისა, გენერალოვი საკმაოდ კარგი განწყობით ტოვებდა თბილისს. იგი გულმოდგინედ გვიმტკიცებდა, რომ ქართველებს მეზობელი რუსეთი უნდა გვერჩივნოს, თუნდაც ამერიკელებს. რუსი ბიზნესმენი საუბრობდა მის აღფრთოვანებულ კოლეგებზე, რომლებმაც პირველად ნახეს საქართველო და მოხიბლულები დარჩნენ ტურისტული ბიზნესის დიდი პოტენციალით. საქართველომაც ფართოდ გაუღო კარი რუსულ კაპიტალს. ვნახოთ, როგორი რეაქცია ექნება ამ პროცესებთან დაკავშირებით დასავლეთს და რა სარგებელს მოგვიტანს რუსული მილიარდები, თუ რა თქმა უნდა, მათი ინვესტირება რეალურად განხორციელდება.

***ემა ტუხიაშვილი***




საქრისტიანო მოამბე



ათონი. კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ივერიის ღვთისმშობლის ხატთან

# ქუთაისში ახალი ეკლესია ამოქმედდა

ქუთაისში ახალი მართლმადიდებლური ეკლესია ამოქმედდა. ტაძარი წმინდა ილარიონ ქართველის სახელს ატარებს. IX საუკუნის წმინდა მამის, ილარიონ ქართველის სახელობის ტაძარი მისი მოღვაწეობიდან ათასწლეულის შემდეგ პირველად იკურთხა. ილარიონ ქართველი დავით გარეჯის მონასტერსა და იერუსალიმში, წმინდა მიწაზე მოღვაწეობდა.

# სიახლე ქართულ ტელეარხზე

Ⓤ შეგიძლიათ ყველამ უყუროთ

ქართულ ტელეარხებზე გამოჩნდა კოდირებული ფილმები, სადაც მითითებულია, თუ რომელ წლამდე ასაკის ბავშვებისათვის არის მიზანშეწონილი მათი ყურება. გადაწყვეტილება სპეციალურმა კომისიამ საქართველოს პარლამენტის მიერ 2001 წელს მიღებული, „არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენის შესახებ“ კანონის შესაბამისად მიიღო. ამასთან, დღის განმავლობაში აიკრძალა ძალადობის შემცველი ფილმების ჩვენება. მსგავსი ფილმების ჩვენება ტელეარხებს ამიერიდან მხოლოდ 00.00 საათის შემდეგ შეუძლიათ. საქართველოს მოქმედ ტელევიზიებს კომისიის გადაწყვეტილების შესასრულებლად ერთი თვის ვადა მიეცათ. იმ ტელევიზიებს, რომლებიც შესაბამისი კანონისა და კომისიის მოთხოვნებს არ შეასრულებენ, ლიცენზიის ჩამორთმევა ან 5.000 ლარით დაჯარიმება ემუქრებათ.

# 1 ივნისი — წმინდა ნინოს საქართველოში შემობრძანების დღეა

### წმინდა ნინო

ნათლის ანგელოსს ჰგავდი,
როს ნარმართთ დაგვიხსნავდი,
და სცხე მირონი მცხეთას,
კაცთა, საცხოვართ, ხეთა,
ღედავ და ემბაზო ჩვენო,
ნინოვ, ქართლის ზნელისა მთენო,
უკვდავო სიკვდილსა შინა,
მარად გვიძლოდე ნინა.

**ზვიად გამსახურდია**

„წადი ჩემს წილხვედრ ივერთა ქვეყანას და იქადაგე იქ სახარება ჩემისა ძისა იესო ქრისტესი, და ვიქნები შენი მფარველი და შემწე“, — დააიმედა ქალწული ნინო ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა, რომელიც ძილში გამოეცხადა. ნინო შეშინებული ეუბნებოდა:

— მე ხომ უმწეო ქალი ვარ, რა სასწაულმა უნდა შემაძლებინოს ეს?

— წმ. მარიამმა ხელი შეახო საწოლთან ვაზის რტოს, მოჭრა იგი და გააკეთა ჯვარი, მისცა ნინოს და უთხრა — ეს იყოს შენი მცველი, ამით დაძლევ ყოველგვარ დაბრკოლებას, მტერს და ამ ჯვრით აღმართე ჭეშმარიტი რწმენის ტაძარი.

გაღვიძებულ წმინდა ნინოს ხელთ ეს ჯვარი ეპყრა. სიხარულის ცრემლები აპკურა მას და საკუთარი თმით შეკრა იგი.

„ხოლო ნინო დაშთა და წარმოემართა მთათა კერძო ჩრდილოისათა და მოვიდა მდინარესა მტკუარსა, მოჰყვა და მოვიდა მცხეთად, ქალაქსა დიდსა მეფეთა საჯდომელსა. და იყო სამ წელ ეგრეთ. ილოცვიდა ფარულად ადგილსა ერთსა შებურვილსა ბრძამლითა მაყულისაითა“.

„მიყვარან მაყვალნი ესე შენნი, მუნ მნებავს მონებითა ჩემითა, რათა აღუშენო ღმერთსა სახლი სალოცველად ჩემდა...“ (მოქცევაი ქართლისაი).



ფარავანთან



ჯავახეთის მტკვარი, რომელსაც გაჰყვა წმინდა ნინო



მცხეთა. წმინდა ნინოს ტაძარი მაყვლოვანთან

## რას გვეტყვი, მამაო?

**— რატომ ხდება მიცვალებულის მოხსენიება გარდაცვალებიდან მესამე, მეცხრე და მეორმოცე დღეს?**

— გარდაცვალების **მესამე დღეს** მოხსენიებას გააჩნია საიდუმლო მნიშვნელობა, რომელიც ეხება სულის იმქვეყნიურ მდგომარეობას. როგორც წმ. მაკარი ალექსანდრიელს გამოუცხადა ანგელოზმა, ამ დროს ლოცვის შედეგად მიცვალებულის სულს უმსუბუქდება მწუხარება, რომელსაც ის გარდაცვალების გამო გრძნობს. გარდაცვალების შემდეგ ორ დღეს სული ანგელოზებთან ერთად მიწაზე იმყოფება, იქ, სადაც მას სურს. სული ზოგჯერ ტრიალებს იმ სახლის მახლობლად, სადაც ცხოვრობდა. მესამე დღეს უფლის ნებით, სული ზეცაში ადის ღვთის თაყვანსაცემად.

ამის შემდეგ მას უჩვენებენ სამოთხის მშვენიერებასა და წმინდანთა სავანეს. ის ათვალიერებს ყოველივე ამას ექვსი დღის განმავლობაში. მას ავიწყდება ის წუხილი, რომელიც სხეულთან გაყრის გამო ახლდა. **მეცხრე დღეს** ანგელოზებს კვლავ ღმერთთან მიჰყავთ, რათა თაყვანი სცეს შემოქმედს. შემდეგ სული ჩაჰყავთ ჯოჯოხეთში და 30 დღის განმავლობაში მოატარებენ იქაურობას.

მიცვალებულის გამო **ორმოცი დღის** განმავლობაში გლოვა უძველესი დროიდან მოდის. რიცხვი ორმოცი — მნიშვნელოვანია. ხშირად გვხვდება წმიდა წერილში (მოსე ორმოცი დღე-ღამე მარხულობდა; ებრაელი ხალხი ორმოცი წლის განმავლობაში მიირთმევდა მანანას; იესო ქრისტემ ნათლისღების შემდეგ ორმოცი დღე-ღამე გაატარა უდაბნოში. წმინდა აღდგომის შემდეგ კი ორმოცი დღის განმავლობაში ასწავლიდა მოციქულებს ღვთის სასუფევლის შესახებ).

როგორც უფალმა იესო ქრისტემ სძლია ეშმაკს მას შემდეგ, რაც ორმოცი დღე მარხვასა და ლოცვაში გაატარა, ისე წმინდა ეკლესია ორმოცი დღის განმავლობაში ლოცულობს: მოწყალებას გასცემს და უსისხლო მსხვერპლს სწირავს მიცვალებულისათვის. გამოითხოვს მისთვის ღვთის მადლს, რომ სძლიოს მტერს და ცათა სასუფეველში დამკვიდრდეს.

გულითადი განდობანი

# მართლმადიდებელი ქალის საიდუმლო

ულამაზესი მამიდაშვილი მყავდა, ვიტუსია (ვიქტორია). დედამისი ჯანელიძის ქალი იყო, მამა — პოლონელი ქართველი, გვარად საპიცკი. აბაშის რაიონის სოფელ მარანში ვცხოვრობდით. სამამულო ომის მძიმე წლები იყო. ვიტუსიამ სკოლა წარჩინებით დაამთავრა, მაგრამ მაშინ სასწავლებლად ქუთაისში ან თბილისში გამგზავრება არცთუ ისე იოლი გახლდათ. შინ რა გააჩერებდა ნიჭიერ გოგონას. ფოთის ფოსტა-ტელეგრაფში დაიწყო მუშაობა. წერილებსა და ამანათებს ურიგებდა ჯარისკაცებსა და სამხედრო პირებს. აქვე, მორიგი ამანათის გადაცემისას გაიცნო მშვენიერი გოგონა ბაქოელმა ახალგაზრდამ, ბახტიარ აგაევმა. ბახტიარი სამხედრო მაიორი იყო, გემზე მუშაობდა...

ვიტუსია დიდხანს გაურბოდა ბახტიარს. მაგრამ მაიორს თავდავიწყებამდე შეუყვარდა ქერათმიანი, ზღვისფერთვალა გოგონა. სიყვარულმა თავისი გაიტანა და ვიტუსიაც ხალისით მიდიოდა ყოველდღე პორტში...

ძნელად თუ ნახავდით ასეთ შესაფერის წყვილს, მაგრამ დროდადრო გოგონას თვალებში დარდი დაიბუდებდა — ვიტუსია მართლმადიდებელი იყო, ბახტიარი — მუსლიმანი... ამიტომ გოგონა გათხოვებაზე ფიქრსაც გაურბოდა, ბახტიარს კი ერთი სული ჰქონდა, სანამ იქორწინებდნენ.

ბოლოს ვაჟმა თავისი გაიტანა და იქორწინეს. რამდენიმე წელი ფოთში ცხოვრობდნენ. ვაჟიც შეეძინათ. ვიტუსიამ შვილს გია დაარქვა, ქართული სახელი. მერე ბაქოში გადასახლდნენ... აქ კი ძალიან გაუჭირდა ჩემს მამიდაშვილს. ორთოდოქსი მუსლიმანები აღმოჩნდა ბახტიარის საახლობლო და სანათესავო. ცრემლიან ბარათებს იწერებოდა... დღე ერთია და ათასჯერ მახსენებენ, რომ მათ რჯულზე არ გადავედიო. ერთადერთი ბახტიარი თანაუგრძნობდა მეუღლეს. არ აძალებდა, გინდა თუ არა მუსლიმანი გახდიო. ვიტუსია კიდევ, ქმრის ახლობლების შიშით, ჯვარს არ ატარებდა.

არ ვიცი, ამ დარდით თუ ბედისწერით სრულიად ახალგაზრდას მძიმე სენი შეეყარა და მალე გარდაიცვალა კიდეც.

ბაქოდან გვიდეპეშეს მისი გარდაცვალების შესახებ. გავემგზავრეთ რამდენიმე ახლობელი ადამიანი.

...ვიტუსია უკვე დაკრძალული დაგვხვდა. მუსლიმანური წესისამებრ მიებარებინათ უცხო მიწისთვის.

მისმა ვაჟმა გიამ დედის „საიდუმლო“ გაგვიმხილა — გარდაცვლილს თურმე უბეში გამოეკრა ქრისტიანული ლოცვანი, რომელშიც ჯვარიც იდო მაცხოვრის გამოსახულებით...

ლოცვანი და ჯვარი მუსლიმან ვაჟიშვილს ახლობლების უჩუმრად საფლავში ჩაუტანებია მართლმადიდებელი დედისთვის...

***გულნარა ჯანელიძე, ვანის რაიონი, სოფელი ზეინდარი***




# დღეგრძელი კაცის ამბავი

**„ნუ ზრუნავთ ხვალისათვის, რამეთუ ხვალემან იზრუნოს თვისისა. კმა არს დღისა მის სიბოროტე თვისი“ (მათე 6,34)**

კაცი იყო, ღამით მპარავმა ხვალინდელი დღე მოჰპარა.

დადარდიანდა კაცი, რადგან ხვალინდელ დღეს გაჰყვა ხვალინდელი მზის ამოსვლა და ხვალინდელი მაღალი შუადღე, ხვალინდელი მშვიდი საღამო და ხვალინდელი ღამე, დამშვენებული სავსე მთვარითა და მოციმციმე ვარსკვლავებით.

ხვალინდელ დღეს გაჰყვა იმედი ხვალინდელი დღისა. ოცნება ხვალინდელ დღეზე. დღევანდელი დღის მოგონება ხვალ და ყველა სიხარული და სიტკბოება განვლილ დღეთა ნაყოფსა ზედა.

ხვალინდელ დღეს გაჰყვა მისთვის განკუთვნილი მომავალი დღეები.

დარჩა კაცი დღევანდელი დღის ანაბარა.

სისხამ დილით წამოდგა კაცი სარეცელიდან, დახედა ტკბილ ძილში ჩაფლულ თავის ცოლ-შვილს, დღევანდელი დღის სანთელი დაანთო და ბინიდან გამოვიდა.

დღევანდელი დღის მზე ამოდიოდა — კაცის უკანასკნელი დღე...

და შეუდგა კაცი დღევანდელ დღეს:
ძაღლს მოეფერა;
საქონელი სოფლის ნახირს გააყოლა;
ეზო მოიარა, გარღვეული ღობე შეავსო, დადაბლებული აამაღლა;
ვენახი გასხლა;
ხეებს ხმელი ტოტები მოაშორა;
უფროსი ვაჟი დაასაქმა;
შუათანა დატუქსა;
უმცროსს ენა მოუჩლიქა;
ცოლს თვალი აარიდა;
მეზობელს გადასძახა მეზობელმაც გადმოსძახა.

დასაბარი დაბარა. გასათოხნი გათოხნა. დასამყნობი დაამყნო. დასათესი დათესა. მოსამკელი მოიმკო. დასამარხი დამარხა. გასაცემი გასცა.



ვალი გაისტუმრა. დადგა შუადღე.

კაცი ხის ჩრდილში ჩამოჯდა დასასვენებლად.

მოსაგონარი მოაგონდა. დასავიწყებელი დაივიწყა. მოსანანიებელი მოინანია. სიხარულმა გაახარა. მწუხარებამ დაამწუხრა. შიშმა შეაშინა. სიცივემ შეამცივნა. სითბომ გაათბო.

წამით გაუელვა, ხვალინდელი დღე რომ აღარა ჰქონდა და ნაღველი მოაწვა.

მყისვე წამოდგა, წამოიმართა.
ხოლო მერე: უფროსი ვაჟი შეაქო;
შუათანა დაასაქმა;
უმცროსს ამჯერადაც ენა მოუჩლიქა;
ცოლს მოუალერსა;
ზამთრისთვის შეშა დააპო.
დგებოდა საღამო.
აყეფდა ძაღლი.
სოფლის ნახირი შინ ბრუნდებოდა...

მის ეზო-კარს დამაშვრალი, მშიერ-მწყურვალი მგზავრი მოადგა არგნით ხელში.

შეიპატიჟა, უმასპინძლა. ბუხარი დაუნთო. ფეხები დააბანინა, პური აჭამა, ღვინო ასვა.

წაიღიღინეს, წაიმღერეს.

სტუმარი წამოდგა, წასვლა ინება.

მთელი ჯალაბი სტუმრის გასაცილებლად აივანზე გამოეფინა...

დღევანდელი დღის მზე არ ჩასულიყო.

მოსულიყო წვიმა და წასულიყო წვიმა და ცა ცისარტყელით დამშვენებულიყო.

დამდგარიყო მაღალი შუადღე თავისი მაგრილობელი ჩრდილებითა და მაცოცხლებელი ნიავით და არ წასულიყო.

დამდგარიყო მშვიდი საღამო და გალობდა შაშვი.

მერე სავსე მთვარეც ამოსულიყო და ციმციმებდნენ ვარსკვლავები.

მგზავრი არგნით ხელში თავის გზას მიუყვებოდა დასავლეთისაკენ...

დღევანდელი დღის ნათელი არ ჩამქრალიყო.

***ერლომ ახვლედიანი***

ჩვენი გაზეთის მკითხველს შეუძლია „საოჯახო-მართლმადიდებლური საკითხავი გვერდის“ ნებისმიერი რუბრიკისთვის შემოგვთავაზოს მასალები. ჩვენი საფოსტო ყუთების ადგილმდებარეობა იხ. გვ. 36.



***გვერდი მოამზადა მანანა ჯანელიძემ***

# ჩრდილოელ მილიარდერთა ვიზიტის პოლიტიკური შუქჩრდილები

## მიზანი, რომელიც ჯერჯერობით არ ხმაურდება

რუსი ბიზნესმენების საქართველოში ჩამოსვლას, ეკონომიკური დატვირთვის გარდა, სერიოზული პოლიტიკური მოტივაციაც აქვს. ჩრდილოელ მილიარდერთა ვიზიტი, უპირველესად, რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის ახალი ეტაპის დასაწყისს მოასწავებს. ამასთან, რაც ყველაზე საინტერესოა, ეკონომიკის ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ რუსი ბიზნესმენების ქართული საინვესტიციო სივრცით დაინტერესება მალე დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების საკითხზეც აისახება, რაც იმავე ექსპერტების აზრით, ამ ვიზიტის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი იქნება.

მაინც, რატომ ეძლევა რუსი ოლიგარქების ჩამოსვლას პოლიტიკური დატვირთვა და რა როლი შეიძლება ითამაშოს მან საქართველოს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების საქმეში? ამ კითხვაზე „კვირის პალიტრის“ რესპონდენტს, ეკონომიკის ექსპერტ **ტარიელ გოდერძიშვილს** საკმაოდ საინტერესო, ჯერჯერობით გაუხმაურებელი პასუხი აქვს:

— რუსი ბიზნესმენების ასეთი წარმომადგენლობითი სტუმრობა ჩვენს ქვეყანაში, თავისთავად, არის პირველი სერიოზული პოლიტიკური წარმატება. როგორც ჩანს, ყინული გალღვება და რუსეთის სახით სერიოზული ეკონომიკური პარტნიორი გვეყოლება. აღარაფერს ვამბობ იმ შესაძლო ინვესტიციებზე, რომლებიც რუსმა მილიარდერებმა უნდა განახორციელონ ქართულ ეკონომიკაში. თავისთავად ესეც მნიშვნელოვანი საკითხია, მაგრამ კიდევ უფრო საგულისხმოა ის, რომ ჩვენს ბიზნესმენებსაც გზა ეხსნებათ რუსული ბაზრის დასაპყრობად. ეს მართლაც დიდი წარმატება იქნება. ფაქტობრივად, რუსეთი უსაზღვრო საბაზრო შესაძლებლობების გარემოა, სადაც მრავალი სახის ქართულ პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილება იქნება.

— **რუსი ბიზნესმენების სტუმრობის ეკონომიკური მნიშვნელობა ყველასთვის ნათელია, მაგრამ ამბობენ, რომ მას არანაკლები პოლიტიკური დატვირთვაც აქვს.**

— ეს უკვე ცალკე საუბრის თემაა. აქ ჩვენი ხელისუფლების მიზანი და გეგმა აშკარად იკვეთება (რასაც ჯერჯერობით არ ახმაურებენ), მაგრამ ეს პირველი პრეცედენტია ბოლო ათწლეულის განმავლობაში, როცა საქართველოს ხელისუფლებას საშუალება ეძლევა ერთდროულად ორ კურდღელზე ინადიროს, თან ისე, რომ ორივეს მონადირების შანსი ჰქონდეს.

— **„ორ კურდღელში“ კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— პირველი, როგორც მოგახსენეთ, წმინდა ეკონომიკური საკითხია. პრეზიდენტი რუს ბიზნესმენებს საგადასახადო კანონის გამარტივებას, ანუ მეწარმეთათვის გადასახადის შემცირებას დაჰპირდა. ცხადია, საგადასახადო კოდექსი მხოლოდ რუსი მეწარმეებისთვის არ შეიცვლება. უპირველესად ადგილობრივი ბიზნესმენები ამოისუნთქავენ, რომელთაც საქმიანობისთვის ხელსაყრელი გარემო შეექმნებათ.

ალბათ, მცდარი იქნებოდა, რუს ბიზნესმენთა ვიზიტის პოლიტიკური მნიშვნელობისთვისაც რომ აგვევლო გვერდი. საქართველოს ხელისუფლებამ სწორად გათვალა, როცა თბილისში ბიზნესმენები ჩამოიყვანა. თუკი მიზანი გაამართლებს და რუსები საქართველოში სერიოზულ ინვესტიციებს შემოიტანენ, მაშინ რუსეთი ძალაუნებურად საქართველოს კეთილდღეობის გარანტი ხდება. ბიზნესმენები, რომლებიც თავიანთ ქვეყანაში სერიოზულ პოლიტიკურ ამინდს ქმნიან, არ შეურიგდებიან, რომ საქართველოში დაბანდებულ მათ კაპიტალს საფრთხე დაემუქროს. ამიტომ ისინიც იძულებული შეიქნებიან ქვეყნის გაძლიერებისა და სტაბილურობის საქმეში თვითონაც შეიტანონ წვლილი, რაც ჩვენთვის ურიგო სულაც არ იქნება.

ასევე მინდა გითხრათ, რომ მას შემდეგ, რაც აფხაზეთი საქართველოს იურისდიქციაში აღარ შედის, ამ რეგიონში ბევრი რამ შეიცვალა. აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ მოსალოდნელი ქართული ინტერვენციის თავიდან ასაცილებლად რუსი ინვესტორების მოზიდვა გადაწყვიტა. ეს გეგმა წარმატებით განხორციელდა. „თავისუფლებისთვის მებრძოლმა“ არძინბამ შავი ზღვის მთელი სანაპირო ზოლი, სასტუმროები თუ სხვა მნიშვნელოვანი ობიექტები რუსებს მიჰყიდა. თუკი საქართველო აფხაზეთში საომარ მოქმედებებს წამოიწყებდა, მაშინ ის არა მხოლოდ არძინბას ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძოლებდა, არამედ საქმე ექნებოდა რუსული ბიზნესის გავლენიან პირებთან, რომელთა შორის რუსი გენერალიტეტის წარმომადგენლები ჭარბობენ. აფხაზეთში რუსულ ბიზნესს სწორედ სამხედროები ლობირებენ. ერთი სიტყვით, არძინბამ ამ ნაბიჯით კეთილდღეობის გარანტია მიიღო, მაგრამ დღეს ვითარება იცვლება. თუკი რუსი ინვესტორები ერთიანი ქვეყნის ტერიტორიაზე შემოვლენ, აფხაზეთის ხელისუფლებასა და რუს ბიზნესმენებს შორის ძველი გარიგება ძალას დაკარგავს. მათ ეცოდინებათ, რომ აფხაზეთის საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნების შემთხვევაში აფხაზეთში მათ საქმიანობას საფრთხე აღარ დაემუქრება. მეტიც, თვითონაც დაინტერესებული იქნებიან სტაბილური საქართველოს შემადგენლობაში მყოფ აფხაზეთის ტერიტორიაზე იმუშაონ, ვიდრე დღევანდელ დაძაბულ გარემოში. ფაქტობრივად, ეს ყველაფერს ცვლის. არძინბას ხელისუფლება, რომელიც დღემდე სწორედ ამ ძალას ეყრდნობოდა, იძულებული იქნება, ბევრ რამეს გადახედოს.

***დავით დევდარიანი***

# „ისინი ვიღაცის დაკვეთით ჩამოვიდნენ“



საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების, კერძოდ, რუს ბიზნესმენთა გახმაურებული სტუმრობის შესახებ ეკონომიკის ექსპერტს, **გიორგი მაისაშვილს** განსხვავებული მოსაზრებები აქვს. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს:

— არ შეიძლება კეთილსინდისიერი, კვალიფიციური ბიზნესი საქართველოსკენ მოილტვოდეს, მაშინ, როდესაც აქედან გაედინება ქართული კაპიტალი არასტაბილური საგადასახადო კანონებისა და გარემოს გამო. თუ ვინმე ფულის დაბანდებას მოიწადინებს, ეს ვიღაცის მითითებით უნდა მოხდეს, რა თქმა უნდა, მათთვის აუცილებელი სასათბურე პირობების გათვალისწინებით, რაც მე, ცოტა არ იყოს, მაშინებს. რუს ბობოლას განსაკუთრებული პირობები არ უნდა შევუქმნათ. ყველა ინვესტორი თანაბარ პირობებში უნდა ჩავაყენოთ. ჩემი შეშფოთება იმაში მდგომარეობს, რომ რუსი ოლიგარქები სიმდიდრის შემქმნელებად არ მიმაჩნია. ეს უფრო კონკრეტულ დავალებას ჰგავს — წადი და ქონება ჩაიბარეო. არ მინდა, ქონების გადანაწილება მოხდეს. თუ ვინმე დააბანდებს კაპიტალს საქართველოში, მან სიმდიდრეც უნდა შექმნას. თავისუფალი ეკონომიკის პირობებში ქვეყნის პრეზიდენტი ვერ უკარნახებს ბიზნესმენს ფულის ამა თუ იმ სფეროში დაბანდებას და თუ ვლადიმირ პუტინმა ეს ვინმეს უბრძანა, მივიღებთ სახელმწიფო პოლიტიკასთან მიბმულ კაპიტალს, რომელიც ხელისუფლების ინტერესების დამცველი იქნება. არ მინდა ასეთი მძლავრი ბერკეტები ჩავუგდო ხელთ ისეთ ბიზნესს, რომელიც არცთუ საიმედო პარტნიორი ქვეყნიდან შემოდის.

ჩემთვის სააკაშვილის გადაწყვეტილება აბსოლუტურად მიუღებელია. ეს არის სტრატეგიულად გაუმართლებელი ნაბიჯი და უფრო პიარქმედებას ჰგავს — თითქოს საქართველოს ეკონომიკაში რაღაც ხდება. უნდა არსებობდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროგრამა და ეს აქცია მისი შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს. სამწუხაროდ, ასე არ ხდება.

ჩადებს თუ არა რეალურად ფულს საქართველოში ჩამოსული ხალხი, არავინ იცის. მეორეც — ეს გრიგოლ ვოლსკები და გორბაჩოვის დროინდელი ეკონომიკის წარმომადგენლები ვერ შექმნიან 21-ე საუკუნის თანამედროვე ეკონომიკას. ამიტომ ჩემთვის შეურაცხმყოფელია ვოლსკის მიერ შემუშავებული ინვესტიციების განხორციელების სტრატეგია. ეს არ არის კეთილსინდისიერი კაპიტალი.

— **ყველას გულისხმობთ? იქ იყვნენ ბენდუქიძე, გენერალოვი და სხვები...**

— ბენდუქიძე არც ერთ თეთრს არ შემოიტანს აქ.

— **თუ შემოიტანა?**

— თუ შემოიტანა, მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება, თუნდაც ბაგრატიონი იყოს. მთავარია, საიდან მოდის, ვისი ინტერესების მატარებელია. თუ ბენდუქიძემ ააწყო აქ ახალი „ურალმაში“, შემოიტანა თანამედროვე მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიები, მაშინ მისაღებია. ბენდუქიძეს კაპიტალი რუსეთში დასაბანდებლად არ ჰყოფნის და აქეთ წამოიღებს? ამის არ მჯერა.

— **როგორ ფიქრობთ, რამდენად საინტერესოა რუსული ბაზარი საქართველოსთვის?**

— მხოლოდ რუსული კი არა, მთელი მსოფლიოს ბაზარი გვჭირდება, მაგრამ ეს არ არის არგუმენტი საიმისოდ, რომ რუსულ პოლიტიკასთან მიბმული კაპიტალი შემოვიტანოთ. ქართული კაპიტალითაც შეიძლება რუსულ და თუნდაც თურქეთის ბაზარზე გასვლა, ოღონდ ამას სჭირდება კარგი მარკეტინგი და ხარისხიანი პროდუქცია. ის ხალხი აქ არ ჩამოსულა იმიტომ, რომ რაიმე მარკეტინგული კვლევა ჩაატარეს, ისინი შეკვეთით ჩამოვიდნენ. დიდ ბიზნესში ასე არ ხდება. ამ შემთხვევაში გამდიდრდება მხოლოდ რამდენიმე კაცი, ქვეყნის ეკონომიკა კი კვლავ სავალალო მდგომარეობაში დარჩება. ვერავინ უკარნახებს ბიზნესმენს, სად და როგორ დააბანდოს კაპიტალი, მხოლოდ და მხოლოდ მოთხოვნა-მიწოდებაა ბიზნესის დამკვეთი.

— **ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ ახალი ურთიერთობებით საფუძველი ჩაეყრება აფხაზეთისა და ოსეთის პრობლემების მოგვარების საკითხს?**

— არა მგონია... ეს დღევანდელი ხელისუფლებისთვის თავის გასამართლებელი არგუმენტია. როგორც პროფესიონალი ეკონომისტი და ბიზნესმენი ვაცხადებ, რომ ასეთი მეთოდებით აფხაზეთი და ოსეთი ვერ დაბრუნდება. რუსეთს საამისოდ არ გააჩნია არანაირი ეკონომიკური ბერკეტი. სხვისი ხელით ტერიტორიების დაბრუნება არ მოხერხდება. ეს ინფორმაცია საკმაოდ კომპეტენტური პირებისგან მაქვს. რევერანსებით რუსეთის გულს ვერ მოვიგებთ. მისი მოკავშირედ ქცევა საქართველოს სჭირდება ფუნდამენტურად სხვა მიმართულებით — უნდა დაჯდეს ორივე ქვეყნის წარმომადგენლობა და კონკრეტულად ისაუბრონ იმ ინტერესებზე, რომლებიც მათ აქვთ და გამონახონ კონსენსუსი — სად შეიძლება დათმობა და სად — არა.

— **მიგაჩნიათ, რომ ეს არ არის ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი?**

— ვიმეორებ, ეს არის დაკვეთილი ინვესტიციები. თუ პრეზიდენტს სურს ქვეყანაში დინამიკური, ეკონომიკური გარემოს შექმნა, უპირველესად საჭიროა კონცეფციის ჩამოყალიბება და ინსტიტუციონალური ბაზრის შექმნა.

— **ქსე იგი ყველაფერი ცუდად არის?**

— დიახ, ეს არის პიარმმართველობა — ესენი ტელეპოლიტიკოსები არიან.

ჩვენ ვაპირებთ არასამთავრობო ორგანიზაცია „მომავალი მთავრობის“ დაფუძნებას, რომელიც მკაცრად გააკონტროლებს ხელისუფლების ქმედებებს და საზოგადოებას მიანიშნებს განვითარების მართებულ გზას. ეს იქნება სასემინარო მთავრობა, რომელიც საქართველოში მთავრობის ადმინისტრირების, ქვეყნის მმართველობის ტრადიციას შექმნის (რომელიც საქართველოში 13 წლის განმავლობაში არ არსებობდა). ჩვენ გვინდა ამ მეთოდებით, ამ ფორმით ჩამოვაყალიბოთ ახალი სკოლა, სადაც მოხდება კადრების დათვალიერება. ასე შეიქმნება მომავლის მთავრობა.

— **ვინ დააფინანსებს თქვენს ორგანიზაციას?**

— დაფინანსდება ქართული წყაროებით, ასევე, ჩემი პირადი წყაროებით, ჩვენი მეგობარი ქვეყნების მთავრობებისგან.

— **მეგობარ მთავრობაში ამერიკა მოიაზრება?**

— ამაზე თქვენ თვითონ გააკეთეთ დასკვნა.

***მარი ზანდუკელი***


# პროსტატ-ჰელსი: მამაკაცებისთვის, ვისაც ცხოვრებისგან მეტის მიღება სურს

***დღევანდელი თემა შეეხება მამაკაცებს და იმ პრობლემას, რომელზე საუბარსაც ისინი გაურბიან, მაგრამ ყოველთვის ახსოვთ. საუბარია პროსტატიტზე.***

პროსტატიტი ამა თუ იმ ფორმით, უამრავ მამაკაცს აწუხებს თუმცა ხშირად, ამის შესახებ, შესაძლოა არც კი დაფიქრებულან. გარდა იმისა, რომ ამ დაავადება მამაკაცისთვის ფიზიკური დისკომფორტი მოაქვს, იგი სამწუხაროდ, ამცირებს სექსუალური აქტივობის ხანას, ართმევს შესაძლებლობას მიიღოს სიამოვნება დედამიწაზე არსებული ყველაზე დიდი ფიზიკური ტკბობისგან. პროსტატიტი კლავს მამაკაცში - მამაკაცს!

ეს დაავადება, ხშირად, „მენეჯერის სინდრომთან“ ასოცირდება. საქმე იმაშია, რომ ქრონიკული პროსტატიტის ჩამოყალიბების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს ცხოვრების ნაკლებად მოძრავი სტილი წარმოადგენს: ჩვენ ხშირად ვსხედვართ ტრანსპორტში, საკუთარ ავტომობილში, სამსახურში, სახლში. ანატომიურად, პროსტატა ჯირკვლოვანი ორგანოა, რომელიც მდებარეობს შორისის მიდამოში და ჯდომისას ყოველთვის, ზეწოლას განიცდის. ამ დროს, სისხლის მიმოქცევა მასში მნიშვნელოვნად ფერხდება. ალბათ, ბევრი მამაკაცისთვის ნაცნობია დისკომფორტის შეგრძნება, ქაჩვითი ხასიათის ტკივილები, რომლებიც მითითებულ ადგილებში წარმოიქმნება. როდესაც სხედხართ, მიმდინარეობს „გადამუშავებული“ ვენური სისხლით (ჟანგბადითა და საკვები ნივთიერებებით ღარიბი სისხლი) ჯირკვლის გადავსება. სისხლის შეგუბება ხელს უწყობს ჯირკვლის ინფიცირებას, მისი უჯრედების გადაგვარებას, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მათ გაავთვისებიანებასაც – კი.




პროსტატა – მამაკაცის მეორე გულია. პროსტატის ინფიცირება, ჰიპერპლაზია (გადიდება), გადაგვარება მისი ფუნქციის დარღვევას იწვევს. ამ ჯირკვლოვანი ორგანოთი ათობით ჰორმონი გამომუშავდება, რომლებიც პასუხს აგებენ სექსუალურ ლტოლვაზე, პოტენციაზე, სპერმატოგენეზზე, და არა მხოლოდ მათზე. ბოლო წლებში, პროსტატაში აღმოჩენილია ჰორმონები, რომლებიც თავის ტვინის ქერქში მამაკაცის ხასიათის ცენტრებს მართავს.

უმსხვილესი ამერიკული კომპანია **„შიფ“**-ი და მისი სამეცნიერო ლაბორატორია ლუკ ბუჩის ხელმძღვანელობით, დღესდღეობით, გვთავაზობს ახალ ბიოფორმულას - **„პროსტატ ჰელსი“**.

პრეპარატის შემადგენლობაში შემავალი ფიტოსტეროლები, ლიკოპენი, მიკროელემენტები - ცინკი, სელენი, აგრეთვე კალციუმის -გლუკორატი - აწესრიგებენ პროსტატის სტრუქტურასა და ფუნქციონალურ მდგომარეობას, ასტიმულირებენ ტესტოსტერონის სინთეზს (სექსუალურობის ჰორმონი) და სპერმატოგენეზს, და ამით აღადგენენ მამაკაცის სექსუალურ ცხოვრებას და რეპროდუქციულ პოტენციალს. ეს პრეპარატი მოგიხსნით დაავადების შემაწუხებელ სიმპტომებსა და მასთან დაკავშირებულ უხერხულობებს, რომლებიც ცხოვრების ჩვეულ რიტმს არღვევენ. პრეპარატის შეძენა შეგიძლიათ მხოლოდ ვიტამინ-ცენტრ **„ჯეოვიტში“**.

„პროსტატ ჰელსი“ – მამაკაცური პრობლემების მარტივი გადაწყვეტა.

***„ჯეოვიტი“ – თქვენი ჯანმრთელობის თანამგზავრი!***

ჯეოვიტი
GEOVIT

ამერიკული კომპანია „შიფ“-ის ოფიციალური დისტრიბუტორი
საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“
მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ),
☎29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56 ყოველდღე, შაბათ-კვირის ჩათვლით
www.schiffvitamins.com

# საქართველოს რევოლუციონერ პრეზიდენტს მეტი სიმშვიდე სურს

ევროპის ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი რთული ამოცანის წინაშე დგას: ამ დანგრეული რესპუბლიკის მოსახლეობაში დაგროვილი უარყოფითი ენერგია მან დემოკრატიის დასამკვიდრებლად უნდა მიმართოს. საქართველო ნელ-ნელა ამერიკული დემოკრატიის „ექსპორტის“ მაგალითი ხდება.



მიხეილ სააკაშვილს მიღებული აქვს „მასკის სტიპენდია“, რომელსაც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების გამორჩეულ მოქალაქეებს აძლევენ. ის იმ თაობას მიეკუთვნება, რომელსაც აშშ-მა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დასავლური „სცენარით“ ქვეყნის გარდაქმნის იმედი ჩაუსახა. ის გამბედავი და იმპულსურია, მოსწონს მოქმედების ცენტრში ყოფნა: იქნება ეს ბულდოზერის მართვა აჭარის გზაზე მდგარი ბარიერების დასანგრევად, თუ მინისტრთა კაბინეტის ქუჩაში გაყვანა ხალხისთვის ხელის ჩამოსართმევად.

ამის მიუხედავად, სააკაშვილი დაუპირისპირდა რამდენიმე ახლო მეგობარს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ძალაუფლების მოპოვების საკითხში იგი ძალზე შორს წავიდა. მიხეილ სააკაშვილი აცნობიერებს, რომ ზოგჯერ იგი „მიმწოლია“ და, შესაძლოა, ზედმეტად იჩქარა კონსტიტუციური ცვლილებების შეტანისას. თუმცა, როგორც თავად ამბობს, — ეს სწავლის პროცესია.

ისტორიულად დასავლური ორიენტაციის მქონე ბალტიის რესპუბლიკების მიღმა, პოსტსაბჭოურ სივრცეში, ბატონმა სააკაშვილმა ლიდერების პირველი თაობა შექმნა. ამ გუნდის წევრები მას გვანან, ისინი 30 წელს გადაცილებული, დასავლური განათლების მქონე და ძველი სისტემისაგან გაუსვრელი ადამიანები არიან. ახალი მთავრობის მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც ერთ საკითხში თანხმდებიან — ბატონმა სააკაშვილმა შედეგი მიიღო. მან გააუმჯობესა გადასახადების აკრეფის პროცესი და მრავალი წლის მანძილზე პირველად დაიწყო პენსიებისა და ხელფასების დროული დარიგება. იმის იმედით, რომ ქრთამს აღარავინ აიღებს, მან საგრძნობლად გაზარდა ხელფასები. ეს განსაკუთრებით შეეხო პოლიციის, საბაჟო-საგადასახადო ორგანოების მუშაკებს და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის სამსახურების წარმომადგენლებს.

მთელი ამ თეატრალური დადგმის განმავლობაში, საქართველოს პრეზიდენტი პრაგმატულობას იჩენდა. მიხეილ სააკაშვილი თავის ყველაზე მომაბეზრებელ ადგილობრივ ოპონენტს გაუმკლავდა არა იარაღით, არამედ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან სატელეფონო ზარით. ასლან აბაშიძემ, რომლის ოჯახიც აჭარას დიდი ხნის განმავლობაში მართავდა, ააფეთქა დანარჩენ საქართველოსთან დამაკავშირებელი ხიდები, რამაც უკმაყოფილება გამოიწვია. სააკაშვილმა დრო იხელთა და ადგილობრივი ავტოკრატი ქვეყნიდან გააძევა.

მიხეილ სააკაშვილი იხსენებს: — „მე დავურეკე პუტინს, მადლობა გადავუხადე ნეიტრალური პოზიციის შენარჩუნებისთვის და ვკითხე, შეიფარებდა თუ არა ასლან აბაშიძეს“. პუტინი დათანხმდა და ყურმილი დაკიდა. ათ წუთში ამჯერად რფ-ის პრეზიდენტმა დაურეკა: „უნდა შემპირდე, რომ აბაშიძეს უკან არ მოითხოვ“. „კი, ბატონო“, — უპასუხა სააკაშვილმა.

მიხეილ სააკაშვილი თავად კურირებდა აბაშიძის ჩამოგდების პროცესს. ქვეყნის პრეზიდენტმა ჯარის ნაცვლად იქ წინა რევოლუციის აქტივისტები გაგზავნა. მის ხალხს დემონსტრანტები სამთო ბილიკებით გადაჰყავდა, რათა ადგილობრივთათვის საპროტესტო აქციების მოწყობის ნიუანსები ესწავლებინათ. ასლან აბაშიძის სასახლის 600-კაციანი დაცვიდან კი, პრეზიდენტმა 200 გადმოიბირა. ოთხი კვირის წინათ სააკაშვილის ზოგიერთ მეგობარს სამოქალაქო ომის დაწყების ეშინოდა. ბათუმის ნავთობტერმინალის უფროსი, ბონდე ნილსენი ამბობდა: „ის, თუ როგორ მართავდა იგი კრიზისის პირველ დღეებს, შთამბეჭდავი არ იყო, მაგრამ შემდგომ სიტუაცია გაითავისა და მოქმედებისთვის საჭირო მომენტი გამონახა, ყოველივეს მშვიდობიანად დასასრულებლად“.

საქართველოს პრეზიდენტს ესმის, რომ გაუთავებელი გადატრიალებები ეკონომიკას ვერ ააღორძინებს. ახლახან მან ბათუმის ნავთობტერმინალი ბატონ ბონდე ნილსენთან ერთად დაათვალიერა და მას სტაბილურობას შეპირდა.

„რევოლუცია კარგი რამ არის, — უთხრა მან ბატონ ბონდე ნილსენს, — მაგრამ სიცოცხლეში ერთი-ორჯერ თუ მოგიწია ამის გაკეთება, საკმარისია“.

***პიტერ ბეიკერი***
***ვაშინგტონ პოსტი***

# „ნეოფაშიზმი დაღუპავს საქართველოს“

სამხრეთ ოსეთის ცენტრალურმა გაზეთმა „სევერნაია ოსეტიამ“ გამოაქვეყნა სტატია, რომელიც ძარის ტრაგედიის თორმეტ წლისთავს მიუძღვნა. „საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, ქართული სამხედრო ფორმირებების მიერ ოსი დევნილების დახვრეტა ძარის გზაზე უმძიმესი ბოროტმოქმედებაა და საერთაშორისო კატეგორიის დანაშაულებათა რიგს მიეკუთვნება. ამიტომ 20 მაისი ქართული პროვინციული ნეოფაშიზმის დღედ არის გამოცხადებული, — წერს გაზეთი და ხაზგასმით აღნიშნავს, — სახელმწიფოს, რომელიც დამნაშავეა ამ ბოროტმოქმედებაში, აკისრია მორალური, პოლიტიკური და მატერიალური პასუხისმგებლობა. ამის ჩამდენთ კი საერთაშორისო და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ“.

გაზეთი აღნიშნავს, რომ „ხოლოკოსტის, ხატინის და ბაბი იარის ტრაგედიაში დამნაშავეები პასუხისგებაში მისცეს, მაგრამ ძარის ტრაგედიის მოთავენი ჯერაც არ დასჯილან, დაღუპულთა ოჯახებისთვის კომპენსაციის მიცემაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია... ყოველივე ეს კი ე.წ. ქართული დემოკრატიის ნამდვილ სახეზე მეტყველებს. საქართველოში, ეტყობა, დემოკრატიული უფლებები თბილისის პოლიტიკური ისტებლიშმენტისთვის მუშაობს. ზვიად გამსახურდიას ხსოვნის უკვდავყოფა კი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების ვექტორზე მიანიშნებს“. ამასთან, გაზეთი მიუთითებს იმაზე, რომ ოსი ხალხის გენოციდის აღიარებისთვის აუცილებელია კონტაქტების დამყარება ევროპის პროგრესულ ძალებთან. საქართველოს მიმართ კი აღნიშნავს: — მხოლოდ ჩადენილი ბოროტმოქმედების აღიარების და ნაციონალ-შოვინიზმის აღმოფხვრის შემდეგაა შესაძლებელი საქართველოში ნამდვილი დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბება. ამის გარეშე ქართული საზოგადოება და, უპირველესად, მისი ზედა ფენები ასევე დარჩებიან ნეონაცისტური შეხედულებების ტყვეობაში და დაღუპავენ ქვეყანას.“

***რეგნუმ.რუ***

# სოხუმი და ცხინვალი სააკაშვილის საჩუქარზე უარს ამბობენ

აფხაზეთს ეეჭვება საქართველოს ხელმძღვანელის გულწრფელობა, როდესაც ის აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანად გადაჭრაზე ლაპარაკობს. მოსკოვში აუღიარებელი რესპუბლიკის წარმომადგენელმა იგორ ახბამ განაცხადა, რომ საქართველოს მეთაურები არ ეშვებიან აფხაზეთის მიმართ რევანშისტულ გეგმებს, ავტონომიის სტატუსი დრომოჭმული ისტორიული სქემაა. ახბამ სამხედრო აღლუმის დროს გაკეთებული სააკაშვილის განცხადება აღიქვა როგორც „ფსიქოლოგიური ზეწოლა“ და არ გამორიცხავს აფხაზეთში ძალისმიერი მეთოდებით სცენარის განვითარებას, თუმცა თვითონაც გაფრთხილებას იძლევა — აფხაზეთს საკმარისი შეიარაღება აქვს აგრესიის მოსაგერიებლადო. ახბას რფ-სთან უფრო მჭიდრო კონტაქტების დამყარების იმედი აქვს. „ჩვენ არა ვართ საქართველოს წინააღმდეგი, მზად ვართ მასთან დავამყაროთ სახელმწიფოებრივი კეთილმეზობლური დამოკიდებულება, ოღონდ თანაბარუფლებიან საფუძველზე“, — დასძინა მან. დსთ-ის ქვეყნების ინსტიტუტის დირექტორი კონსტანტინ ზატულინი კი თვლის, რომ საქართველოს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობის დარეგულირებას ხელს უშლის ნდობის ფაქტორი, რომელიც საქართველომ დაკარგა. როგორც ზატულინმა თქვა, ადგილობრივი პარლამენტის არჩევნებზე ყოფნისას, ის ესაუბრა როგორც აუღიარებელი რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, ისე — ხალხს.

მისი აზრით, აჭარის ავტონომიის ფაქტობრივმა ლიკვიდაციამ მიანიშნა აუღიარებელ ავტონომიებს, რომ საქართველოს ხელისუფლება მაინცდამაინც ავტონომიების მომხრე არ არის. ავტონომიებში ამ ხნის მანძილზე თაობები გაიზარდა, რომელსაც საქართველოსთან ერთად არსებობა ვერც წარმოუდგენიათ...

***რია ნოვოსტი***

# პრეზიდენტი და მისი არმია

საქართველომ დამოუკიდებლობის დღე არნახული სამხედრო აღლუმით აღნიშნა — წარმოადგინა შეიარაღებული ძალების მთელი საბრძოლო ტექნიკა, მათ შორის, აჭარის ყოფილი მეთაურისთვის ჩამორთმეული რამდენიმე „ჰამერი“. აღლუმში ეროვნული არმიის 8 ათასმა, შინაგანი ჯარების 4 ათასმა ჯარისკაცმა და ოფიცერმა მიიღო მონაწილეობა, მაგრამ მთავარი ყურადღება მიპყრობილი იყო საქართველოს პრეზიდენტისა და უმაღლესი მთავარსარდლის, მიხეილ სააკაშვილისადმი. მთელი კვირა ქვეყანა იმედით ცოცხლობდა, რომ 26 მაისს ის მნიშვნელოვან განცხადებას გააკეთებდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესახებ, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ.

ამჯერადაც მან აფხაზებსა და ოსებს მოლაპარაკებებისკენ მოუწოდა და აღუთქვა, თითოეული ადამიანის ინტერესებს დაიცავდა. თანაც, ქართულად ამის თქმის შემდეგ იგივე ოსურ და აფხაზურ ენებზე გაიმეორა. „ჩვენ მზად ვართ განვიხილოთ სახელმწიფოებრივი მოწყობის ნებისმიერი მოდელი, ოსებისა და აფხაზების ინტერესების გათვალიწინებით და მათი მომავლის უზრუნველყოფით,“ — განაცხადა პრეზიდენტმა.

(გაგრძელება იხ. გვ. 27)



CMYK

ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

## პაწაწინა ბრძენები

7 წლის **ნიკუშა ბრძოლიშვილი** ავად გახდა. ბებია მის ოთახში კითხულობდა ლოცვებს. ნიკუშა საწოლიდან წამოჯდა და ბებოს გაუბრაზდა:

— რატო კითხულობ ჩემს ოთახში ლოცვებს, გინდა რომ მალე გავხდე კარგად და სკოლაში გამიშვა?

***

სამი წლის **ლევანი** ტახტიდან გადმოვარდა და შუბლი გაიტეხა, რისთვისაც მთელი დღე გამუდმებით ტიროდა. მშობლებმა გასაჩუმებლად ხან რა მიაწოდეს და ხან — რა, მაგრამ ვერ გააჩუმეს. მოულოდნელად ლევანმა უთხრა:

— დედიკო, კარადაში რომ კანფეტი გაქვს შენახული, მომეცი, იქნებ იმან გამაჩუმოს.

***

დედა პატარა **ლიზი ბაბაძეს** აძინებს:

— დახუჭე თვალი!.

ლიზიმ სასწაფოდ დახუჭა ცალი თვალი. და დედიკოს სთხოვა:

— მეორე იყოს ღია...

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: **„ქიანჭველას ძმობილია, არც კბილი აქვს და არც ენა, არც ბუნებით ფრთიანია და არც ძალუძს მაღლა ფრენა, ხტუნიამ და აბეზარმა, საშინელი იცის კბენა".**

I



II გამოიცანი სიტყვა, რომელსაც მიიღებ ზედა რიგის მიხედვით კანფეტების განლაგებისას




## ორი ძმა

ზღაპარი

ერთ მეფეს ორი ვაჟი ჰყავდა. მამის სიკვდილის შემდეგ ძმები დიდხანს ცხოვრობდნენ ერთად, შემდეგ კი გადაწყვიტეს, მამის ქონება გაეყოთ. ყველაფერი კარგად გაიყვეს, მხოლოდ წისქვილის ქვასა და ხალიჩაზე ვერ მორიგდნენ. ქვაც და ხალიჩაც ჯადოსნური იყო. ქვას თუ მარჯვნივ დააბრუნებდი, ნაირ-ნაირი სასმელ-საჭმელი გაჩნდებოდა, თუ მარცხნივ — ოქრო ცვიოდა. საკმარისი იყო ხალიჩაზე შემდგარიყავი და გეთქვა: აბა, ხალიჩავ, გაფრინდიო, რომ ისიც ნელ-ნელა ავიდოდა ჰაერში და იქით გასწევდა, საითაც უბრძანებდი.

ძმები ხალიჩასა და წისქვილის ქვას ერთმანეთს რომ ეცილებოდნენ, ამ დროს ერთმა ცხენოსანმა გამოიარა და ჰკითხა:

— რაზე დაობთო.

— წისქვილის ქვასა და ხალიჩაზე, ვიყოფთ, ვიყოფთ და ვერ გაგვიყვიაო, — უპასუხეს ძმებმა.

— რატომ ვერ გაგიყვიათო.

— რატომ და ქვას თუ მარჯვნივ დააბრუნებ, ნაირ-ნაირი სასმელ-საჭმელი გაჩნდება, თუ მარცხნივ — ოქრო დაცვივაო. ხალიჩაზე რომ შედგე და უთხრა, აბა, ხალიჩავ, გაფრინდიო, ნელა ავა ჰაერში და საითაც გინდა, იქით გაგაფრენსო.

— მოიცათ, მე მოგარიგებთო, — უთხრა ცხენოსანმა, — ოღონდ თქვენ ცოტა ხანს გვერდზე გადექით, მე კი წისქვილის ქვასა და ხალიჩას შორის ჩავჯდები და ვიფიქრებო.

— კარგიო, — დაეთანხმნენ ძმები და გვერდზე გადგნენ.

მგზავრი ცხენიდან ჩამოვიდა, სწრაფად აიღო ქვა, ხალიჩაზე დადო, თვითონაც ზედ მოკალათდა და ტკბილად უთხრა:

— აბა, ხალიჩავ, გაფრინდიო.

ხალიჩაც ნელ-ნელა გასრიალდა ჰაერში. უცნობმა ძმებს გვერდით ჩაუქროლა და გადმოსძახა:

— მშვიდობით! დღეიდან სადავო აღარაფერი გექნებათო!

იპოვე ორი ერთნაირი ბატი

III




IV ანა, გამოიცანი

**1) რომელია სიყვარულის და სილამაზის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში?**

ა) ათენა; ბ) დემეტრა; გ) აფროდიტე; დ) ალკმენე.

**2) რა ჰქვია წისქვილის ქვას?**

ა) ბზრიალა; ბ) დოლაბი; გ) ბორბალი; დ) გოდოლი.

**3) სად განისვენებს 300 არაგველი?**

ა) კრწანისში; ბ) მარაბდაში; გ) დიდგორში; დ) არაგვის პირას.

**4) რომელი ტბა არ არის საქართველოში?**

ა) ფარავნის; ბ) რიწის; გ) ჯანდარის; დ) სევანის.

**5) რომელია ზედმეტი?**

ა) შფოთი; ბ) ალიაქოთი; გ) აყალმაყალი; დ) იდილია.

**6) ვისი ნაწარმოებია „უფლისწული და მათხოვარი"?**

ა) ანდერსენის; ბ) ლინდგრენის; გ) ძმები გრიმების; დ) მარკ ტვენის.

**7) როგორ ადამიანზე იტყვიან „კერკეტი კაკალიაო"?**

ა) ჯიუტზე; ბ) ცნობისმოყვარეზე; გ) ღონიერზე; დ) ალალზე.

**8) რომელმა ცხოველმა იმოგზაურა კოსმოსში?**

ა) მაიმუნმა; ბ) ძაღლმა; გ) ზღარბმა; დ) კურდღელმა.

**9) ვისზე იტყვიან „თაფლი გადმოსდის პირიდანო"?**

ა) ენამწარეზე; ბ) ენატკბილზე; გ) მატყუარაზე; დ) მლიქვნელზე.

**10) რომელმა მეფემ დაამარცხა 3000 ქართველით ასპინძის ომში 8000-იანი ოსმალურ-ლეკური ჯარი 1770 წელს?**

ა) ვახტანგ V-მ, ბ) სოლომონ I-მა; გ) ერეკლე II-მ; დ) გიორგი VI-მ.

## იპოვე 10 განსხვავება



პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

*გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა*




**„კვირის პალიტრის" „ზღაპრების სახლმა" უკვე 50 ქართული და უცხოური ზღაპარი გამოსცა. შეამოწმეთ, არის თუ არა ყველა ზღაპარი თქვენს კოლექციაში. ის ზღაპრები, რომლებიც წაკითხული გაქვთ, აღნიშნეთ ასე: — + და სია აჩვენეთ მშობლებს**

1. მელია და მწყერჩიტა
2. ქალთევზა
3. ნაცარქექია
4. მძინარე მზეთუნახავი
5. კომბლე
6. ირმისა
7. ჩიპოლინო
8. წითელქუდა
9. ფიფქია და შვიდი ჯუჯა
10. ხუთკუნჭულა
11. მაკნატუნა
12. თოვლის დედოფალი
13. ბრემენელი მუსიკოსები
14. ალიბაბა და ორმოცი ყაჩაღი
15. სამი გოჭი
16. თორმეტი თვე
17. სიზმარა
18. მაუგლი
19. ჩექმებიანი კატა
20. მგელი და შვიდი თიკანი
21. ნამცეცა
22. ნახევარქათამა
23. სამი ფორთოხალი
24. გოგონა და ურჩხული
25. წიქარა
26. ალადინი
27. ღორების მწყემსი
28. მძლეთამძლე
29. კოჩორა რიკე
30. უღლისწორი ბაყაყი
31. ბუნჯული
32. რიკი-ტიკი-ტავი
33. კონკია
34. მახინჯი იხვის ჭუკი
35. კატა, მამალი და მელა
36. ცეროდენა
37. გაუცინარი პრინცესა
38. ველური გედები
39. გაქვავებული სამეფო
40. გოგონა და სამი დათვი
41. წითელი ფეხსაცმელები
42. მოჯადოებული კატა
43. მეჩონგურე
44. თხისყურებიანი მეფე
45. ბურატინოს თავგადასავალი
46. ლომი და კურდღელი
47. მოჯადოებული ბუე
48. არვიციას ამბავი
49. ჯიუტი სალუკა
50. შრომის ფასი

ერთი წიგნი-ზღაპარი + გასართობი გვერდები 1 ლარი და 20 თეთრი ღირს

ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის" საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში

# საქართველო მთელი სამყაროს გულისგული მეგონა


ნოე ჟორდანია, 1920.

83 წლის წინ, 1921 წლის მარტის სუსხიან დღეს ნოე ჟორდანია და მისი მთავრობის წევრები ბათუმიდან იტალიური გემით გაემგზავრნენ. ნოეს მეუღლე ორენბურგელი ინა კორენევა იმ დროს ფეხმძიმედ იყო. ტკივილითა და შიშით აღსავსე მგზავრობა ძლივს დასრულდა. რამდენიმე თვის შემდეგ პარიზში ჟორდანიებს ვაჟი, რეჯები შეეძინათ. სამშობლოდან გამოძევებულმა ქართველებმა საფრანგეთის მიწაზე გააგრძელეს სიცოცხლე და არ ტოვებდათ იმედი, რომ უსათუოდ დაჰკრავდა სამშობლოში დაბრუნების საათი.

**რეჯებ ჟორდანიამ** ისე მიაღწია 70 წლამდე, რომ საქართველოზე მხოლოდ სმენოდა. მან პირველად 1990 წელს შეძლო სამშობლოს ნახვა, რომელიც მის წარმოსახვაში საოცნებო, ულამაზეს ქვეყნად ცოცხლობდა და რომლის მსგავსი კუთხე დედამიწაზე არ მოიძებნებოდა.

საქართველოს მთავრობის პირველი მეთაურის ვაჟი ამჯერად დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ჩამოვიდა სამშობლოში და „კვირის პალიტრამ“ მასთან შეხვედრის შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვა.

**— ბატონო რეჯებ, როგორ ბრძანდებით?**

— ღმერთმანი, სასაყვედურო არაფერი მაქვს: ხელიც მემორჩილება და თვალიც მიჭრის, მხნედ ვარ... მხოლოდ იმაზე მწყდება გული, რომ კარგ ღვინოს ძველებურად ველარ ვსვამ. მთელი საღამოს მანძილზე ერთ ბოთლს თუ დავლევ. ქართველს კი ეს არ ეკადრება.

**— გვიამბეთ თქვენზე.**

— ჩემი სიცოცხლის 40 წელი საფრანგეთში გავატარე, ორმოცზე ოდნავ მეტი კი შტატებში. ლევილსა და პარიზში ვიზრდებოდი. ბავშვობაში მუსიკალური განათლება მივიღე, მოგვიანებით კი პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლა დავამთავრე. სამჯერ ვიქორწინე. ჩემი პირველი მეუღლე თამარ დე ლეტეი-ვაჩნაძე იყო, უნიჭიერესი მხატვარი, მასთან ვაჟი მყავს — ზოლტანი. მეორე მეუღლეს, მელის, ესპანეთში, კურორტზე შევხვდი. ერთმანეთი დანახვისთანავე მოგვეწონა. ერთად ვიმოგზაურეთ გერმანიაში, შემდეგ კი პარიზში დავბრუნდით და იქ ვიქორწინეთ. მელი ამერიკელი იყო და, ბუნებრივია, ქორწინების შემდეგ შტატებში გავემგზავრეთ. არ ვაპირებდი იქ დარჩენას, მაგრამ ისე მოხდა, რომ დავრჩი. ჩემი ქალიშვილები ნიკოლი და თამარი იქ დაიბადნენ. ნიკოლს „ქართველს“ ეძახიან, რადგან ქართული ყველაზე უკეთ ისწავლა. მეუღლეც ქართველი ჰყავს — სანდრო კვიტაშვილი. ისინი ამჟამად ნიუ-იორკში ცხოვრობენ.

მეც ნიუ-იორკში ვცხოვრობ, მრავალსართულიანი სახლის 30-ე სართულზე, ჩემს მესამე თანამეცხედრე პეგი ბექჰემთან ერთად. ის პროფესიით ფსიქოლოგია, ჩვენ უკვე 20 წელია ერთად ვართ. შტატებში უცხო ენებსა და ენათმეცნიერებას ვასწავლი რამდენიმე კოლეჯსა და უნივერსიტეტში.

**— როგორი განცდა გქონდათ, როდესაც პირველად დადგით ფეხი მშობლიურ მიწაზე?**

— ამ დღეს 70 წელი ველოდი. მთელი სიცოცხლე ვოცნებობდი, საქართველოში ჩამოვსულიყავი, მისი ჰაერი მესუნთქა, ქართული ღვინო მესვა, აქაური წეს-ჩვეულებები და კულტურა გამეთავისებინა. მართალია, ფეხი არასოდეს დამედგა საქართველოში, მაგრამ იგი ყოველთვის ჩემს ნაწილს შეადგენდა. შინაგანი სისავსის გრძნობა ლანჩხუთში, ჩემი წინაპრების სოფელში, ბაბუაჩემისა და ბიძაჩემის საფლავთან დამეუფლა.

ბებია ემიგრაციაში არ გაჰყვა ჩემს მშობლებს — ვიცი, თუ არ წამოვალ, ჩემს შვილსა და შვილიშვილებს დავკარგავ და ველარასოდეს ვიხილავ... მაგრამ თუ წამოვალ, ჩემს სახლ-კარს, სოფელს, სამშობლოსა და სიცოცხლეს სამუდამოდ უნდა გამოვემშვიდობოო და დარჩა. ბებიამ 1927 წლამდე ისე იცოცხლა, არავის შეუვიწროებია, ძალიან მიკვირს ბოლშევიკების მხრიდან მცირე ჰუმანურობის გამოვლენა. მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ დაანგრიეს კომუნისტებმა სახლი და იმ ადგილზე ჩაის ფაბრიკა ააშენეს.

**— როგორი ბავშვობა გქონდათ?**


ნოე ჟორდანია ქალიშვილთან, ნათელასთან და ასმათთან 1920წ.

— ბედნიერი. მოგეხსენებათ, ბავშვი ვერ აცნობიერებს რაღაც გარემოებებს. მართალია, გვიჭირდა, მაგრამ პატარაობაში ამას ვერ ვამჩნევდი. 13-14 წლისა რომ გავხდი, მაშინ აღმოვაჩინე, რომ ჩვენსა და იქაურებს შორის განსხვავება იყო.

ბავშვობაში ვერ ვაცნობიერებდი, რომ საფრანგეთი ჩემი სამშობლო არ იყო. ენაც ფრანგულად ავიდგი, მაგრამ როდესაც სკოლაში წავედი, ქართველ ბავშვებთან (ემიგრანტების შვილებთან) ვმეგობრობდი და არა ფრანგებთან. იმ დროს ენების ცოდნას სხვაგვარად უყურებდნენ. ფიქრობდნენ, ბავშვმა ერთი ენა უნდა იცოდეს და ზედმეტი ინტელექტუალური აქტივობა მენინგიტს გამოიწვევსო. მოგვიანებით, ოჯახში რუსულად (რადგან დედა რუსი იყო) და ქართულადაც ვლაპარაკობდით. ქართული კარგად მესმის, მაგრამ სამწუხაროდ, ლაპარაკი მიჭირს.

მახსოვს, ჩემს ბავშვობაში ყველაზე დიდი დღესასწაულები 26 მაისი და მართლმადიდებლური შობა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სათვისტომოში პოლიტიკური ბრძოლა, დავა, ჩხუბი და ზოგჯერ სერიოზული განხეთქილებაც იყო, ამ დღეებში ყველანი იკრიბებოდნენ და სულის სიღრმეში მაინც თანაუგრძნობდნენ ერთმანეთს. ამ დღეს ბავშვებს საგანგებოდ გამოგვაწყობდნენ და სცენაზე ავყავდით, რათა ჩვენი ნიჭი გვეჩვენებინა. ლეკურს ან მთიულურს ვცეკვავდით, ფორტეპიანოზე ვუკრავდით და ქართულ ლექსებს ვკითხულობდით. ახლაც მახსოვს ამ დღეებისთვის საგანგებოდ ნასწავლი „მე პატარა ქართველი ვარ...“ და „ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო, რაო, ბატონო მელაო?..“

**— როგორი დარჩა მამა თქვენს მეხსიერებაში?**

— მაღალი, წელში გამართული, ცისფერთვალება, თეთრწვერა, ხელჯოხით. ზამთარში მხრებზე მოიგდებდა ხოლმე ლეგენდარულ შალს, რომლის ნაკეცებში ჩვენს კნუტს უყვარდა შეყუჟვა. მამამ 42-წლიანი ემიგრაციის განმავლობაში ვერ მოახერხა ახალი კოსტიუმის შეძენა, მაგრამ ასეთი რამ მას ნაკლებად აღელვებდა. როდესაც რომელიმე ქართველს (მტერი იყო თუ მოყვარე) დახმარება სჭირდებოდა, მამასთან მოდიოდა.

ჩვენი ცხოვრება სიღარიბისა და სიმდიდრის, სიამაყისა და შემგუებლობის უცნაურ ნაზავს წარმოადგენდა. ჩვენს სიღარიბეს ბავშვობაში ვერ ვაცნობიერებდი, მაგრამ ლიცეუმში როდესაც შევედი, მას შემდეგ გამოვცადე მატერიალური სიდუხჭირის სიმძიმე. რადგან ტანსაცმელს ვერ ვყიდულობდით, დედა თვითონ მიკერავდა — ჩემი ტანსაცმელი სხვებისგან ძალიან განსხვავდებოდა და ზოგჯერ კლასელები დამცინოდნენ. მე კი იხტიბარს არ ვიტეხდი, სწორედ ასეთი ტანსაცმელი მომწონს-მეთქი. ხისძირიან ფეხსაცმელებში, რომელსაც ლანჩა გახვრეტილი ჰქონდა, წყალი შედიოდა. გაცვეთილი ადგილების დასაფარავად ამ გაუბედურებულ ფეხსაცმელს შავი მელნით ვღებავდი.

**— რით ირჩენდა თქვენი ოჯახი თავს?**

— იმ დროისთვის, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის პირველი მთავრობა ემიგრაციაში წავიდა, პოლონეთის მთავრობას მისი ფული ემართა (პირველი ომის დროს თურქეთის ფრონტზე მებრძოლი პოლონელი ჯარისკაცების რეპატრიაცია საქართველომ მოახდინა და თანხა, რომელიც პოლონელი ჯარისკაცების გადაყვანაში დახარჯა საქართველომ, პოლონეთს უნდა აენაზღაურებინა). პოლონეთმა ცნო საქართველოს ოკუპაცია რუსეთის მიერ და ვალის საზღაურად იძულებით ემიგრაციაში მყოფ საქართველოს ნამდვილ მთავრობას ეხმარებოდა. საქართველოს მთავრობა ამ დახმარებას 1939 წლამდე იღებდა, მანამ, სანამ ჰიტლერმა არ დაიწყო ომი. ეს არ იყო დიდი თანხა, ამიტომ მამა სულ წერდა, მუშაობდა, გაზეთებში აქვეყნებდა წერილებს. ასევე იღებდა დახმარებას სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან.

მოგვიანებით შევიტყვე, რომ ემიგრანტთა შორის და თვით საქართველოშიც ხმები დადიოდა, თითქოს მამაჩემმა ეროვნული საგანძურის ნაწილი წამოიღო და ფუფუნებაში ცხოვრობდა. კარგად ვიცი, ეს ჭორი არაკეთილმოსურნეების გავრცელებულია. განძი მართლაც არსებობდა, მაგრამ ის არავის მიუთვისებია. ომის შემდეგ ის ხელუხლებლად დაუბრუნდა საქართველოს. საგანძურს არქეოლოგი ექვთიმე თაყაიშვილი მეურვეობდა.

მამა 1953 წელს გარდაიცვალა და ემიგრანტმა ქართველებმა მოინდომეს მისი კუთვნილი პენსია დედაჩემისთვის შეენარჩუნებინათ. დედამ კატეგორიულად იუარა — ნოე არ ვარ, თქვენ ჩემი არაფერი გმართებთ, მით უფრო, თავადაც არაფერი გაგაჩნიათ, მე თავად მივხედავ თავსო. დედას არავისთვის არაფერი უთხოვია. იგი საფრანგეთის მთავრობისგან მოხუცთათვის განკუთვნილ მცირე პენსიას იღებდა.

**— ალბათ თქვენს ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ და ლაპარაკობდნენ საქართველოზე, ხომ არ გაიხსენებდით, რას ამბობდნენ დევნილობაში მყოფი ქართველები?**

— დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობაში ბევრი გურული იყო. ამიტომ ყველაზე ხშირად ლანჩხუთს და იქაურ ამბებს იხსენებდნენ. ამიტომ პატარაობაში ლანჩხუთი დედამიწის ცენტრი მეგონა. როდესაც წამოვიზარდე, მერე საქართველო იქცა მთელი სამყაროს გულისგულად.

ჩვენს ოჯახში ყოველთვის იყო სუფრა (მართალია, სტუმრებს მცირედით ვუმასპინძლდებოდით). საუბრის ძირითადი თემა, ბუნებრივია, საქართველოში დაბრუნების გზების ძიება და კომუნისტების ძაგება იყო. საქართველოს მთავრობის გარდა ემიგრაციაში რუსები და უკრაინელებიც იყვნენ. ყველას ეგონა, რომ კომუნისტები დროებითი სენია, იმედი ჰქონდათ, მალე ამოიძირკვებიან და სამშობლოში დავბრუნდებითო. ემიგრანტებს ჩემოდნები ჩალაგებული ჰქონდათ, რომ როგორც კი დრო დადგებოდა, სამშობლოში გამომგზავრებულიყვნენ. შეძლებული რუსები იმდენად დარწმუნებულნი იყვნენ, მალე დავბრუნდებითო, რომ ისე ცხოვრობდნენ, როგორც კურორტზე. არაფერს იკლებდნენ და ფულიც მალე შემოეჭამათ. მართალია, ქართველებს ფული არ ჰქონდათ და ვერაფერს შეჭამდნენ, მაგრამ ისინიც მოუთმენლად ელოდნენ სამშობლოში დაბრუნების ჟამს. ახლა ქვეყნიდან ვინც მიდის, დიდი ქონებაც მიაქვს, დამოუკიდებელი საქართველოს პირველ მთავრობას კი არაფერი წაუღია. მამა სულ ამბობდა — კავკასიელები კომუნისტების წინააღმდეგ რომ გაერთიანებულიყვნენ, წითლები ვერ მოგვერეოდნენო.

**— მამის დარიგებები თუ გახსენდებათ?**

— ხშირად მეუბნებოდა — არასოდეს იფიქრო მხოლოდ საკუთარ თავზე, ჯერ სხვებზე იზრუნეო.

**— რაზე ფიქრობდა, რას ამბობდა სიცოცხლის ბოლოს დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მეთაური?**

— მამა მოულოდნელად გარდაიცვალა, 85 წლისა. ასაკის კვალობაზე მხნე და ჯანმრთელი იყო, მაგრამ რატომღაც სულ ამბობდა — 85 წლამდე ვერ მივაღწევ, ჩვენს ოჯახში ამ ასაკამდე არც ერთ კაცს არ უცოცხლიაო და აუხდა კიდეც. სანამ 85-ისა გახდებოდა, სამი დღით ადრე, გულის შეტევით გარდაიცვალა. მისი ტკივილი სამშობლო იყო. მთელი მისი სიცოცხლე ღრმა ნოსტალგიით იყო სავსე. ნოე ჟორდანიას ერთი დღეც არ უცოცხლია საქართველოზე ფიქრის გარეშე.

**— ბატონო რეჯებ, რა არის თქვენთვის საქართველო?**

— როდესაც უცხოეთში ვარ, ვქართველობ და ყველასთვის ქართველი ვარ, მაგრამ საქართველოში რატომღაც უცხოელად მთვლიან. საქართველოში ჩამოსვლისას ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ უკან, ფესვებთან ვბრუნდები. ეს განცდა შინ დაბრუნებასაც ჰგავს. მინდა ხშირად ჩამოვიდე საქართველოში, თუმცა ალბათ სამუდამოდ დაბრუნება ძნელი იქნება.

**— რა არის თქვენი უმთავრესი სურვილი?**

— მინდა, რომ საქართველომ მალე დააღწიოს თავი კომუნისტების აჩრდილს და ცივილიზებულ სამყაროს შეუერთდეს. ჩემს სურვილს უფრო უკეთ ლაროშფუკოს სიტყვებით გამოვხატავ — „მხოლოდ ოცნება არ არის საჭირო, რომ რაღაც დაიწყო, და არც ის არის აუცილებელი, რომ დასაწყისშივე მიაღწიო წარმატებას.“

მინდა, ქართველებმა სრულად გამოავლინონ თავიანთი შემოქმედებითი უნარი და ააღორძინონ ქვეყანა. ის პროცესები, რომლებიც საქართველოში დაიწყო, დიდი დასაწყისის დასაწყისი უნდა იყოს.

*იზო რიკაძე*


რეჯებ ჟორდანია, მისი ქალიშვილი ნიკოლი, სიძე სანდრო კვიტაშვილი, და ნათელა ჟორდანია



სასამართლო
ქრონიკა
DURA LEX SED LEX
ყოველთვიური ჩანართი
N35 31.05.2004



EIHRD-ის პროგრამების დირექტორი ადრიანა ლონჯინი პროექტის პრეზენტაციაზე

# კანონიერება ცხოვრებას აადვილებს

**გასულ კვირას სასტუმრო „მარიოტ ქორთიარდის“ საკონფერენციო დარბაზში ასოციაცია ALPE-მ საზოგადოებას ევროკავშირის ახალი პროგრამა წარუდგინა, რომელიც სამართალდამცავი სტრუქტურების რეფორმირების სამოქალაქო ხელშეწყობას ისახავს მიზნად და ეს პრაქტიკულად პირველი საერთაშორისო პროექტია, რომელიც საქართველოში პოლიციის რეფორმას უკავშირდება.**

იმაზე, რომ კანონის უზენაესობა, როგორც ცხოვრების წესი, არამარტო საზოგადოების, არამედ მისი ყოველი წევრის წარმატების აუცილებელი საფუძველია – არავინ დაობს. თუმცა ამ „უზენაესობის“ რეალობაში დანახვა, მის დამკვიდრებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ბევრ კითხვას ბადებს.

საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები, რომელიც გელაპ ინთერნეშენელის წევრმა კომპანია GORBI-მ მიმდინარე წლის გაზაფხულზე ჩაატარა, მეტყველებს იმაზე, რომ: ერთი მხრივ, საქართველოს მოქალაქეთა 81% ხედავს ქვეყანაში კანონის ძალის ზრდას; მეორე მხრივ, საზოგადოებაში მყარადაა ფესვგადგმული „ნაცნობ-მეგობრობის“ ინსტიტუტი, რომელიც ხშირ შემთხვევაში ხელს უშლის კანონის უზენაესობას.

**ასოციაცია ALPE-ს ექსპერტს მერაბ ბასილაიას** მიაჩნია, რომ ამ კვლევის შედეგებმა ნათლად წარმოაჩინა მთავარი სა-ზოგადოებრივი დაკვეთა – ხალხს კანონიერების გამყარება სურს.

მასვე ვთხოვეთ კვლევის ზოგიერთი სხვა შედეგის კომენტირებაც:

– ეს კვლევა ასოციაციის დაკვეთით საქართველოს 28 ქალაქსა და 58 სოფელში ჩატარდა. გამოიკითხა 1500 რესპონდენტი. კვლევის თანახმად, ქვეყნის განვითარების კურსს დადებითად აფასებს მოსახლეობის 66%. პოზიტიური პასუხების ავტორთა რაოდენობა 2002 წელთან შედარებით 56%-ით გაიზარდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეებში ამ პოზიტიური დამოკიდებულების მცირედი, თუმცა მაინც კლების ტენდენცია იკვეთება.

მე სოციოლოგი არ ვარ და გამიჭირდება ამ შედეგების პროფესიონალურად განზოგადება, თუმცა გარკვეული გამოცდილება სამართლებრივი სისტემისა და საზოგადოების ურთიერთობის საკითხებში მაქვს და ამდენად საინტერესოდ მეჩვენება ის შედეგები, რომელიც სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი მოქალაქეთა ნდობის ხარისხს უკავშირედება.

გამოკითხულთა 51% ნდობას უცხადებს სასამართლო სისტემას და ეს შედეგი მნიშვნელოვანია იმით, რომ წლების მანძილზე (ჩვენი ასოციაცია ასეთ კვლევებს უკვე მეოთხედ ატარებს) სასამართლო სისტემა, მცირედი ცვლილებებით, სტაბილურად ინარჩუნებს ავტორიტეტს.

ახალი და საინტერესო ის არის, რომ უპრეცედენტოდ გაიზარდა ნდობის ხარისხი პროკურატურისა და პოლიციისადმი. მოქალაქეთა 55% ენდობა პროკურატურას, ხოლო პოლიციისადმი დადებით განწყობას გამოკითხულთა 31% ავლენს. გასულ წლებში ეს პროცენტი ორ-სამს იშვიათად სცდებოდა. პირადად ჩემთვის, ეს მოულოდნელი არ ყოფილა, თუმცა აქ ზუსტად უნდა განვსაზღვროთ, რასთან გვაქვს საქმე.

დასასრული მე-19 გვერდზე

# როცა ჩვევა რჯულზე უმტკიცესია

**მოქალაქეების მიერ გამოთქმულ პრეტენზიებს თუ გავითვალისწინებთ, უკანონო დაკავება, თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში მოთავსებული პირების წამება და წინასწარი გამოძიების ეტაპზე სხვადასხვა სახის დარღვევები შევარდნაძის რეჟიმთან ერთად წარსულს არ ჩაჰბარებია და სამართალდამცავთა მხრიდან კვლავ მიღებული პრაქტიკაა. სამწუხაროდ, ამ მხრივ არც იმერეთის რეგიონია გამონაკლისი.**

ნინო ლაჭავა

ქუთაისი

მიმდინარე წლის ხუთ თვეში უფლებადაცვითმა ორგანიზაციებმა და სახალხო დამცველის აპარატმა ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების შეზღუდვის საკმაო ფაქტები აღრიცხეს, თუმცა უნდა ითქვას, რომ სინამდვილეში გაცილებით დიდია მსგავსი შემთხვევების რიცხვი. ყველა მათგანის გამოვლენა გარკვეული მიზეზების გამო არ ხერხდება, ზოგჯერ თავად უფლებაშელახულ პირს არ სურს, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი ამხილოს, რასაც ორი მიზეზით ხსნის: შიშით და უიმედობით, რომ მხილებული პოლიციელი მაინც არ დაისჯება. არის შემთხვევები, როცა პოლიციის თანამშრომელი თავისუფლებააღკვეთილ პირს ბრალდების შემსუბუქებას ჰპირდება, თუ ის ფიზიკური ზეწოლის შესახებ არაფერს იტყვის. ეჭვმიტანილი ან ბრალდებული ასეთ „გარიგებას“ ეთანხმება.

ყველაფრის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ ის ფაქტებიც კი, რომლებიც მოძიებულია, დამშვიდების საფუძველს არ იძლევა.

ბოლო ხუთ თვეში ძირითადი პრეტენზიები პოლიციელთა მიერ დაკავებული პირების მიმართ არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობის გამოა დაფიქსირებული. ადამიანების ცემა პოლიციის წინასწარი დაკავების საკნებში ხდება მანამ, ვიდრე დაკავებულს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო იზოლატორში გადაიყვანენ. ფიზიკური ძალადობის მიზანი კი ძირითადად დანაშაულის აღიარებაა.

დასავლეთ საქართველოში სახალხო დამცველის რწმუნებულის, ქეთევან კანდელაკის აპარატში №2 საპყრობილეში მყოფი ათი პატიმრის განცხადება დევს. ისინი პოლიციის სხვადასხვა განყოფილებამ დააკავა და იზოლატორში სხეულის დაზიანებებით შეიყვანა. ესენი არიან: გოჩა ჯანელიძე (დაკავებულია წყალტუბოს პოლიციის სამმართველოს თანამშრომლების მიერ); კახა ყიფიანი (ის ქუთაისის პოლიციის მეორე განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს); ბესარიონ ონიანი (სამტრედიის პოლიციის სამმართველოდან გადაიყვანეს იზოლატორში); თენგიზ მიქაია (მარტვილის შს განყოფილებამ დააკავა); ბონდო თუთაშვილი (ვანის შს განყოფილებამ); აკაკი აბზიანიძე (ქუთაისის პოლიციის სამმართველომ); პაატა მხეიძე (სამტრედიის შს განყოფილებამ); დავით ფანჩულიძე (თერჯოლის პოლიციამ დააკავა); ილია დანგაძე (ქუთაისის პოლიციის სამმართველომ); თორნიკე ალფაიძე (ქუთაისის პოლიციის სამმართველომ). სახალხო დამცველის წარმომადგენლობის მიერ გაცემული ინფორმაციით, დასახელებული ბრალდებულები აღნიშნავენ, რომ მათ პოლიციელებმა მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა.



ხშირ შემთხვევაში პატიმარი არ ან ვერ ასახელებს კონკრეტული პოლიციელის ვინაობას, რომელმაც მის მიმართ ძალადობა გამოიყენა. თუმცა არის შემთხვევები, როცა ბრალდებული ან ეჭვმიტანილი სახელს და გვარს მიუთითებს.

დავით ფანჩულიძე თერჯოლის რაიონის პოლიციამ 21 აპრილს დააკავა. ის მკვლელობის ჩადენაშია ეჭვმიტანილი. მან განცხადებებით მიმართა სახალხო დამცველის წარმომადგენლობას და თავისუფლების ინსტიტუტის ქუთაისის ოფისს, სადაც მიუთითებს, რომ თერჯოლის პოლიციის სამმართველოს შენობაში ის არაადამიანურად სცემეს და ასახელებს ამის ჩამდენ კონკრეტულ პირებს.

დასასრული მე-19 გვერდზე

# ევროკომისია მხარს უჭერს პოლიციის რეფორმას

სტაბილურობა და კანონის უზენაესობა საქართველოში მნიშვნელოვანია როგორც საქართველოსათვის, ისე ევროკავშირისათვის. ეს არსებითად განსაზღვრავს მათ შორის ურთიერთობისა და თანამშრომლობის გაღრმავებას. ევროკავშირი სრულ თანადგომას უცხადებს საქართველოში კანონის უზენაესობის განმტკიცების პროცესს. ახალმა ხელისუფლებამ საკმაოდ რთული მიზანი დაისახა, რაც გულისხმობს რეფორმირებას იმ სამართალდამცავი ორგანოებისა, რომლებიც ავტორიტარული რეჟიმიდან მოყოლებული სამოქალაქო კონტროლის მიღმა იდგნენ და არაფერი ჰქონდათ საერთო ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპებთან. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ამ პროცესს ხელისუფლება მარტო ვერ წარმართავს და მასში სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა შეასრულოს გადამწყვეტი როლი. ნოემბრის რევოლუციამ და აჭარაში ახლახან განვითარებულმა მოვლენებმა უფრო დინამიკური გახადა სამართალდამცავი სტრუქტურების რეფორმირების პროცესი, რისი წარმოდგენაც შეუძლებელი იყო თუნდაც ერთი წლის წინ.

სამართალდამცავ სტრუქტურათა რეფორმირების საქმეში ევროკომისია მოწოდებულია ითანამშრომლოს როგორც ხელისუფლებასთან, ისე სამოქალაქო საზოგადოებასთან. მიზანი ერთია – სამართალდამცავი სტრუქტურა უნდა ჩადგეს მოქალაქის სამსახურში და მან უნდა დაიცვას და არა შეზღუდოს ადამიანი. საქართველოს ხელისუფლებას დიდი გზა აქვს გასავლელი, ხოლო პირველი ნაბიჯები ყველაზე რთულია. მიუხედავად ამისა, ეს უნდა გაკეთდეს. ევროპის კავშირი საქართველოს აქტიურად უჭერს მხარს ამ საქმეში. ევროკომისიამ დააფინანსა კონფერენცია „პოლიციის დემოკრატიზაცია“, სადაც ევროპიდან მოწვეულმა ექსპერტებმა ხელისუფლებას შესთავაზეს იდეები, თუ როგორი შეიძლება იყოს პოლიცია. მომავალში გათვალისწინებულია შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის დახმარების გაწევა. ევროკავშირი მხარს უჭერს სამოქალაქო, დემილიტარიზებულ შინაგან საქმეთა სამინისტროს და სამოქალაქო სამართალდამცავი სისტემის შექმნას, რომელიც ევროპული სტანდარტების შესაბამისად განახორციელებს თავის მოვალეობას ადამიანის უფლებების დაცვის ჩათვლით.

დასასრული მე-18 გვერდზე

# ევროკომისია მხარს უჭერს პოლიციის რეფორმას

დასასრული. დასაწყისი მე-17 გვერდზე

ამ მიზნის მისაღწევად ევროკომისია თანამშრომლობს როგორც ხელისუფლებასთან, ისე – სამოქალაქო სექტორთან. ეს პროექტი წარმოადგენს ევროკომისიის სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის ერთ-ერთ გამოვლინებას. პროექტი მიზნად ისახავს სამართალდამცავ სტრუქტურებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებას ამ საკითხში მოქალაქეთა გათვითცნობიერების გზით. ხალხმა უნდა იცოდეს, თუ რა უფლებები აქვს მას, როგორ შეიძლება ან არ შეიძლება იმოქმედოს პოლიციამ და პროკურატურამ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და გამოძიების დროს. ამაში არა მხოლოდ ის ადამიანები უნდა ერკვეოდნენ, ვისაც ეს უშუალოდ ეხება, არამედ პოლიციისა და პროკურატურის თანამშრომლებიც, რომლებმაც ამ თემაზე სპეციალური მომზადება უნდა გაიარონ. მხოლოდ ინფორმირება არ არის საკმარისი, რადგანაც აუცილებელია ადამიანის უფლებების დაცვის სხვა მექანიზმების ისე განმტკიცება, რომ სახალხო დამცველმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მედიამ და სხვებმა შეძლონ ადამიანის უფლებების დარღვევების თავიდან აცილება, ან ასეთ ფაქტებზე სწრაფი რეაგირება. საბოლოო შედეგი უნდა იყოს ის, რომ ჩამოყალიბდეს ღია, საზოგადოებისადმი კეთილგანწყობილი სტრუქტურები, რომლებიც დაეხმარებიან მოქალაქეებს, ხოლო მოქალაქეებს მათთან ურთიერთობის შიში აღარ ექნებათ.

ამ პროექტის განსახორციელებლად ევროკომისიამ თანხა გამოუყო არასამთავრობო ორგანიზაცია ALPE-ს იმ მიზნით, რომ ამაღლდეს მოქალაქეთა სამართლებრივი ცოდნის დონე და რიგითი მოქალაქე ინფორმირებული იყოს თავისი უფლებების შესახებ. სწორედ ამ მიზანს ემსახურება წინამდებარე საგაზეთო ჩანართიც. ALPE ასევე მოაწყობს ტრენინგებს პოლიციელებისთვის, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე, მოამზადებს სასწავლო მასალებს, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელი იქნება პროექტის დასრულების შემდეგაც. უფრო მეტიც, ALPE აპირებს ხელი შეუწყოს დამოუკიდებელი სამოქალაქო საბჭოების შექმნას, სადაც მოქალაქეებს შესაძლებლობა მიეცემათ საკუთარი მოსაზრებები გამოთქვან პოლიციის შესახებ. ასეთი საბჭოები შეასრულებენ კომუნიკატორის ფუნქციას სამოქალაქო საზოგადოებასა და სამართალდამცავ სტრუქტურებს შორის, ასე რომ, ადამიანებს აღარ ექნებათ აზრის გამოთქმის შიში.

ALPE თანამშრომლობდა მსოფლიო ბანკთან და ამ თვალსაზრისით დიდი გამოცდილება აქვს. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ევროკომისიამ ღია კონკურსის საფუძველზე ALPE შეარჩია. ALPE-მ წარმოადგინა საუკეთესო საპროექტო წინადადება და წარმატებას ვუსურვებთ მას ამ რთული და მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებაში.

იმედი გვაქვს, რომ ეს საგაზეთო ჩანართი მკითხველისათვის სასარგებლო და, იმავდროულად, საინტერესო საკითხავი იქნება.

ევროპის კომისია

---

მეორე მხრივ, ჟურნალისტები და პოლიცია არცთუ იშვიათად საპირისპირო პოზიციებზე აღმოჩნდებიან ხოლმე. ზოგჯერ პოლიცია არ გასცემს ინფორმაციას; ზოგჯერ კი მედია ვერ უსადაგებს თავის ნაშრომს პოლიციის ინტერესებს.

1981 წელს ახალი ამბების ეროვნულმა საბჭომ ჩაატარა გამოკითხვა სამაუწყებლო და ბეჭდვითი მედიის წარმომადგენლებს შორის და გამოსცა ბუკლეტი, სათაურით „დანაშაულის გაშუქება: რამდენად უნდა ითანამშრომლონ პრესამ და პოლიციამ?“ იმ შემთხვევაშიც კი, თუ აქ მოყვანილი მაგალითები არ მიესადაგება ბუკლეტში აღწერილს, აქ წამოჭრილი საკითხები მაინც უნივერსალური ხასიათისაა. ბუკლეტის ავტორია ა.ჰ.რასკინი, *ნიუ-იორკ ტაიმსის* ყოფილი კორესპონდენტი და რედაქტორი, რომელიც გამოცემას ასეთი გაფრთხილებით იწყებს:

> **„ძალიან მცირეა ჟურნალისტიკის ისეთი სფერო, რომელსაც მოეძიება სათანადო თანამშრომლობის ჩარჩოები უფრო რთულად განსასაზღვრი – ან უფრო მოქნილი პრაქტიკაში – ვიდრე ის, რომელსაც რედაქტორები, ახალი ამბების წამყვანები და რეპორტიორები იყენებენ თავის ურთიერთობებში პოლიციასა და სხვა ძალოვან უწყებებთან“.**

აქვე მოყვანილია რედაქტორთა თვალსაზრისი პრესისა და პოლიციის ურთიერთობებთან დაკავშირებით:

- პოლიცია, რომელიც მოწოდებულია, აკონტროლოს ანომალიური ქმედებები, ცდილობს, გააკონტროლოს ინფორმაციული ნაკადიც.
- მართალია, მედია „თვითდანიშნულია“, მაგრამ საზოგადოება მისგან მოელის მიმდინარე მოვლენებში გარკვევას და არ კმაყოფილდება პრესკონფერენციებზე გაკეთებული ოფიციალური განცხადებებით.

მიუხედავად დეკლარირებული სარედაქციო პოლიტიკისა, ხშირია შემთხვევები, როცა პოლიციასა და მედიას შორის თანამშრომლობა ვერ ხერხდება. ერთ-ერთ ასეთი შემთხვევაზე, რომელიც მინესოტას ახალი ამბების საბჭომ ჟურნალისტური პროფესიული სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით განიხილა, ქვემოთ გიამბობთ:

## მინეაპოლისის პოლიციის დეპარტამენტის შეფი ჯონ ლოქსი KARE-TV-ის წინააღმდეგ

განხილვას ესწრებოდნენ მინეაპოლისის პოლიციის შეფი ჯონ ლოქსი. KARE-TV-მ უარი თქვა დასწრებაზეც და წერილობით პასუხზეც. ეს განხილვა ტრანსლირებული იყო მინეაპოლისის ტელეკომუნიკაციების ქსელის მიერ.

**საჩივარი:** მინეაპოლისის პოლიციის დეპარტამენტის შეფმა ჯონ ლოქსმა KARE-TV-ის წინააღმდეგ საბჭოს სამი საჩივარი წარუდგინა:

1. KARE-TV-მ არ დაიცვა მიღებული ჟურნალისტური სტანდარტები, როდესაც მოახდინა მკვლელობაში ეჭვმიტანილის ჩიკაგოდან მინეაპოლისში ტრანსპორტირება ისე, რომ არ გაუფრთხილებია არც ერთი ქალაქის პოლიცია, არც თვითმფრინავის პილოტი და არც დაქირავებული მანქანის მძღოლი.

2. KARE-TV-მ არ დაიცვა მიღებული ჟურნალისტური სტანდარტები, არც სათანადო სიფრთხილე გამოიჩინა მოწმის უსაფრთხოების მხრივ, როდესაც მოახდინა მოწმის ლოკალიზება და მასთან კონტაქტის დამყარება სცადა.

3. KARE-TV-მ შექმნა ერთგვარი „კომიკური“ ატმოსფერო მეორე შემთხვევაში, როდესაც გამოცხადდა იქ, სადაც ეჭვმიტანილი უნდა ჩაჰბარებოდა პოლიციას (პოლიციის შტაბთან) ეჭვმიტანილის მეგობარ გოგონასთან ერთად, რომელიც იმ დროისათვის პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა.

# პოლიცია და მედია



დასავლეთში საინფორმაციო საშუალებებსა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის ურთიერთობა ზოგიერთ მედიასაშუალებაში სპეციალური სარედაქციო პოლიტიკითაა განსაზღვრული. მედია და პოლიციის დეპარტამენტები მრავალ დონეზე ურთიერთობენ:



- პოლიციის დახმარების მიზნით, ახალი ამბების გამოშვებები აქვეყნებენ ეჭვმიტანილთა აღწერილობას.
- პოლიცია საშუალებას აძლევს ჟურნალისტებს, გადაიღონ ეჭვმიტანილის ფოტო ან ვიდეოგამოსახულება, რაც მედიას – მასალის ილუსტრირებაში, ხოლო პოლიციას საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენაში ეხმარება.
- საინფორმაციო საშუალებები ზოგჯერ აყოვნებენ ახალი ამბის გაშუქებას, რათა პოლიციამ ამ დროს ეჭვმიტანილის დაკავება მოასწროს; ამგვარი თანამშრომლობის შედეგად, შესაძლებელი ხდება, პოლიციამ თავიდან აიცილოს ეჭვმიტანილის წინასწარი გაფრთხილების ალბათობა. დუმილის სანაცვლოდ, პოლიცია ზოგჯერ ექსკლუზივის გარანტიას აძლევს მედიასაშუალებას.
- ახალი ამბების გამოშვება მეტწილად პოლიციის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას ეყრდნობა.
- ზოგიერთი ახალი ამბების სამსახური თანახმაა, მიაწოდოს გამოძიებას მის მიერ მომზადებული მასალა, მათ შორის ჩანაწერები და სხვა და მისცეს ჩვენება.

**ტელევიზიის პასუხი:** KARE-TV-მ უარი განაცხადა მოსმენაში მონაწილეობასა და საბჭოსთვის წერილობითი პასუხის გაცემაზეც, მაგრამ უპასუხა ლოქსსაც და სხვებსაც. ტელეჟურნალისტმა რიკ კუპჩელამ განაცხადა, რომ ტელეჯგუფმა სცადა, დაერწმუნებინა მაკკენზი (მკვლელობაში ეჭვმიტანილი), ჩაჰბარებოდა პოლიციას ჩიკაგოში, რაზეც მან უარი თქვა. ტელეარხის მენეჯერმა ტომ ლინდრენმა მიუთითა, რომ ჟურნალისტებს ხშირად მიჰყავდათ ეჭვმიტანილები ჩიკაგოში, ლოს-ანჯელესში და ნიუ-იორკში. ლინდრენმა „სტარ ტრიბუნის“ ჟურნალისტებს უთხრა, რომ KARE-ს გადაწყვეტილებაზე დიდწილად იმოქმედა ორგანიზაცია „მშვიდობისათვის გაერთიანებულ ხალხთა“ დამაჯერებელმა არგუმენტმა, რომ მაკკენზი არ უნდა ჩაბარებულიყო, როგორც თავად ამბობდნენ, „კამერის დაცვის გარეშე“.

**საფუძველი:** 1992 წლის 25 სექტემბერს მოკლეს პოლიციის ოფიცერი ჯერი ჰააფი. რამდენიმე ეჭვმიტანილი დააკავეს და კიდევ ერთს, მვატი მაკკენზის ეძებდნენ. ჯერი მაკაფიმ და მშვიდობის ორგანიზაციის წევრებმა, ასევე განგსტერულმა კოალიციამ, სთხოვეს მაკკენზის, ჩაჰბარებოდა პოლიციას, თან მოაგვარეს მისი ჩიკაგოდან მინეაპოლისში დაბრუნების საკითხი. მათ შესთავაზეს KARE-TV-ს, მოეგვარებინა ტრანსპორტირებისა და კამერის თანხლების (ეჭვმიტანილის უსაფრთხოებისათვის) საკითხი, სანაცვლოდ კი ექსკლუზიური გაშუქების შესაძლებლობა მიეცემოდა.

1992 წლის 23 ნოემბერს KARE-TV-მ დაიქირავა თვითმფრინავი და ავტოფურგონი ისე, რომ არ გაუფრთხილებია პოლიცია არც ჩიკაგოსა და არც მინეაპოლისში და ჩიკაგოს სამხრეთიდან წაიყვანა მაკკენზი მინეაპოლისში დასაბრუნებლად. მათ თვითმფრინავის პილოტისთვის მგზავრის ვინაობა არ გაუმხელიათ. სწორედ ამ დროს პოლიცია ეჭვმიტანილს ეძებდა. ამ ინციდენტიდან ცოტა ხნის შემდეგ ადგილი ჰქონდა სერიულ გაუპატიურებებში ეჭვმიტანილის ჩაბარებას, რასაც პოლიციის შეფმა ლოქსმა „მედია ცირკი“ უწოდა. KARE-TV პოლიციის სათავო ოფისთან მიიჭრა ფურგონით, რომელშიც ეჭვმიტანილის მეგობარი გოგონა იყო, პოლიციამ კი ჩათვალა, რომ ფურგონში თავად ეჭვმიტანილი იჯდა. ლოქსი ესაუბრა KARE-TV-ს ხელმძღვანელობას ამ შემთხვევების შესახებ. იმის გამო, რომ ტელეარხის ხელმძღვანელობამ დაარწმუნა პოლიციის შეფი, რომ მომავალში ისინი პოლიციასთან ითანამშრომლებდნენ, ლოქსმა გადაწყვიტა, არ ეჩივლა KARE-TV-ისთვის ახალი ამბების საბჭოში.

1993 წლის აპრილში KARE ცდილობდა ეპოვა და ინტერვიუ ჩამოერთმია ჰააფის მკვლელობის საქმეზე დაცვის ქვეშ მყოფი მოწმისათვის. პოლიცია იძულებული იყო ადგილსამყოფელი შეეცვალა მოწმისათვის. მოწმე ცხოვრობდა დუპლექსში, რომელიც ნახანძრალი იყო. KARE-მ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ხანძრის გაჩენა, შესაძლოა, მოწმეს უკავშირდებოდა, მიუხედავად პოლიციის მტკიცებისა, თითქოს მათ გაშუქებამდე ერთი საათით ადრე გააფრთხილეს ტელეარხი, რომ ხანძარი შენობის მეორე ბინადარს უკავშირდებოდა.

ამ ინციდენტის შემდეგ, ლოქსმა გადაწყვიტა ეჩივლა ახალი ამბების საბჭოში, რადგან მიხვდა, რომ ტელეარხი აშკარად არღვევდა მათ შორის მიღწეულ შეთანხმებას.

**განხილვა:** შეფმა ლოქსმა განაცხადა, რომ KARE-ს უპასუხისმგებლო ქმედებამ საფრთხე შეუქმნა თავად ტელეჯგუფს, უდანაშაულო ადამიანებს და პოლიციის ოფიცრებს. ჟურნალისტები საკუთარ თავს უსვამდნენ შეკითხვას: ღირდა კი ის მასალა, რომლის მოძიებასაც ისინი ცდილობდნენ, იმ საფრთხედ, რომელშიც ისინი თავს იგდებდნენ? – აღნიშნა ლოქსმა და იკითხა: „*უნდა მართოს თუ არა 19 წლის მკვლელობაში ეჭვმიტანილმა სისტემა?*“

საბჭოს წევრებმა ჰკითხეს ლოქსს, მისი აზრით, როგორ უნდა მოქცეულიყო ტელევიზია, რაზეც მან უპასუხა, რომ აუცილებლად უნდა ეცნობებინა ჩიკაგოს პოლიციისათვის.

ლოქსმა აღნიშნა, რომ ტელეარხმა არ შეასრულა დაპირებები და ეჭვმიტანილი საზღვარზე გადაიყვანა. ლოქსმა ისიც დასძინა, რომ ტელეჯგუფს და პოლიციას ადრეც უთანამშრომლიათ, მაგრამ ეს მოლაპარაკების შედეგად ხდებოდა.

**გადაწყვეტილება 1:** საბჭომ მხარი დაუჭირა საჩივარს იმის თაობაზე, რომ ტელეარხმა დაარღვია მიღებული ჟურნალისტური პრინციპები, როდესაც მოახდინა მკვლელობაში ეჭვმიტანილის ტრანსპორტირება. მართალია, მიზანი კეთილშობილური იყო, მაგრამ, საბჭოს აზრით, საინფორმაციო საშუალებამ უგულებელყო ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპები, როგორიცაა – ნეიტრალურობა, დამოუკიდებლობა (უნდა შეასრულო საკუთარი ფუნქცია და არ მოახდინო პოლიციის როლის უზურპაცია), „ამბის ყიდვა“ და საფრთხის მინიმალიზება. ერთადერთი, რაც ტელეჯგუფის ქმედებას ამართლებდა, ეს იყო თავად ეჭვმიტანილის თხოვნა, უსაფრთხოების მიზნით, ჩაბარება მედიის თანხლებით მომხდარიყო.

**გადაწყვეტილება 2:** 8 ხმით 7-ის წინააღმდეგ, საბჭომ მხარი დაუჭირა საჩივარს, რომ KARE-TV-მ არ დაიცვა ჟურნალისტური პრაქტიკა, როცა საფრთხის წინაშე დააყენა მოწმის უსაფრთხოება. მოწმესთან დაკავშირება, საბჭოს აზრით, ოჯახის წევრების მეშვეობით უმჯობესი იქნებოდა. ტელეარხის წარმომადგენლების განხილვაზე გამოუცხადებლობამ ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება გაართულა.

**გადაწყვეტილება 3:** საბჭომ მხარი არ დაუჭირა ლოქსის საჩივარს იმის შესახებ, რომ ტელეარხმა „კომიკური“ ატმოსფერო შექმნა, როდესაც ეჭვმიტანილის მეგობარი გოგონა მიიყვანა იქ, სადაც დამნაშავის ჩაბარება უნდა მომხდარიყო. ამ შემთხვევაში, საბჭოს აზრით, პოტენციური საფრთხე ერთობ მცირე იყო და, გარდა ამისა, ეს ქმედება ტელეარხის ინიციატივა არ ყოფილა.

17 ივნისი, 1993 წელი

# კანონიერება ცხოვრებას აადვილებს

დასასრული. დასაწყისი მე-17 გვერდზე

ვფიქრობ, ეს დამოკიდებულება გულისხმობს ნდობას არა თავად ინსტიტუციისადმი, არამედ პიროვნებებისა და იმ ქმედებებისადმი, რომელიც უკანასკნელ დროს განხორციელდა. როდესაც მოქალაქე აცხადებს, რომ ენდობა პროკურატურას, ის უშუალოდ გენერალურ პროკურორს გულისხმობს და ნაკლებად – პროკურატურას. ასევეა პოლიციასთან მიმართებაში.

ამის საილუსტრაციოდ კვლევის ერთ-ერთი შედეგიც გამოდგება: სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობის რეიტინგში პირველ ადგილზე პრეზიდენტის აპარატი დგას. რესპონდენტთა 81% აცხადებს, რომ ენდობა პრეზიდენტის აპარატს. აქ უნდა განვმარტოთ, რომ კითხვა ასე იყო ფორმულირებული, რადგან წინა წლებშიც ანალოგიური შეკითხვით ვატარებდით კვლევას და შეკითხვაც მეთოდოლოგიური თანამიმდევრულობისათვის შენარჩუნდა. რაც შეეხება პასუხებს, არა მგონია, რომ რესპონდენტებმა პრეზიდენტის აპარატის საქმიანობა და მისი პერსონალური შემადგენლობა იცოდნენ. ამ კითხვაზე პასუხის გაცემის დროს ისინი უშუალოდ პრეზიდენტს გულისხმობდნენ და ასეთი მაღალი პროცენტი სწორედ ამან განაპირობა.

გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი ჯერაც უარყოფით დამოკიდებულებას ავლენს სახელმწიფო მოხელეებისადმი, ხოლო 93% მიიჩნევს, რომ კანონი არ უნდა იყოს შემწყნარებელი ძალოვანი სტრუქტურების იმ წარმომადგენლების მიმართ, რომლებიც ამა თუ იმ სახის სამსახურებრივ გადაცდომას ან დანაშაულს ჩაიდენენ.

## კანონის ძალა და მნიშვნელობა

მნიშვნელოვნად იმატა რესპონდენტთა რაოდენობამ, რომელთა აზრითაც, 2002-2004 წლების განმავლობაში კანონის ძალამ საქართველოში მოიმატა (81% შეადარეთ 11% 2002 წლის შედეგებით)






**მერაბ ბასილაია,**
**ასოციაცია ALPE-ს ექსპერტი**

ერთ საინტერესო დეტალზეც მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება: გამოკითხულთა 72% უარყოფითად აფასებს ქვეყანაში არაფორმალური სამართლებრივი სისტემის ანუ „ქურდული სამყაროს“ არსებობას და ესეც უკანასკნელ პერიოდში პოლიციის მიერ გატარებულ ღონისძიებებს უკავშირდება. საზოგადოებამ კიდევ ერთხელ დაინახა, რომ ამ სამყაროს არსებობა ისევ და ისევ სამართალდამცავი სტრუქტურების დანაშაულებრივი საქმიანობის შემადგენელი ნაწილი იყო და არა თავისთავადი „ტრადიციების“ მატარებელი მოვლენა.

უმთავრესი, რაც ამ კვლევების შედეგად გამოიკვეთა, არის ის, რომ საზოგადოება სწრაფად და ადეკვატურად რეაგირებს ყველა ნაბიჯზე, რომელიც კანონიერების განმტკიცების მიმართულებით გადაიდგმება და ზუსტად აღიქვამს ტენდენციას. ის, რომ შედეგებში ნათლად იკვეთება რყევის გარკვეული ამპლიტუდა, იმაზე მიანიშნებს, რომ საზოგადოება ფრთხილობს და უშეცდომოდ იაზრებს არაპროფესიონალიზმის თუნდაც მცირედ გამოვლინებებსაც.

ახლა უმთავრესი ამოცანა ნდობის ხარისხის ინსტიტუციონალიზაცია, ანუ პერსონალიებისადმი ნდობის, ინსტიტუტებისადმი ნდობაში ტრანსფორმირებაა. საზოგადოება უნდა დარწმუნდეს, რომ ქვეყანაში მოქმედებენ სტრუქტურები, რომლებიც, მიუხედავად პოლიტიკური კონიუნქტურისა, კანონიერებას იცავენ და რომ კანონის უზენაესობა ცხოვრების შეუვალი პირობაა.

**ესაუბრა გვანცა ლიპარტელიანი**

---

# როცა ჩვევა რჯულზე უმტკიცესია

დასასრული. დასაწყისი მე-17 გვერდზე

*„დაზიანებები, რომელიც ბრალდებულს აღენიშნება სხეულზე, დაფიქსირებულია იზოლატორის ადმინისტრაციისა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მიერ. ფაქტის შესახებ ცნობილია გენერალური პროკურატურისა და შს სამინისტროსთვის, ჯერჯერობით სისხლის სამართლის საქმე ფაქტზეც არ არის აღძრული, თუმცა არის დაპირება, რომ ფაქტი რეაგირების გარეშე არ დარჩება“*, – აცხადებს ადვოკატი დალი სულაქველიძე.

თერჯოლის რაიონის პოლიციის თანამშრომლებს ფიზიკურ ძალადობაში ამხელს 16 წლის შოთა მეფარიძე, რომელიც ასევე დავით ფანჩულიძის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით დაიკითხა მოწმედ. მისმა დედამ სახალხო დამცველის წარმომადგენლობას შვილისთვის, უსაფრთხოების მიზნით, თავშესაფარი სთხოვა. არასრულწლოვანი ქეთევან კანდელაკის სახლში ორი დღე ცხოვრობდა, საკუთარ სახლში ის მას შემდეგ დაბრუნდა, რაც სახალხო დამცველის რწმუნებული ოლქის პროკურორს დაუკავშირდა და მომხდარის თაობაზე, ადვოკატ დალი სულაქველიძესთან ერთად, პრესკონფერენცია ჩაატარა. როგორც ადვოკატი აცხადებს, შოთა მეფარიძეს ჩაუტარდა სამედიცინო შემოწმება, მას ფეხის ქუსლები აქვს დაზიანებული. თავად მეფარიძე ამბობს, რომ პოლიციელებმა ჯერ რეზინის ხელჯოხი ურტყეს ფეხისგულებზე, შემდეგ კი ცივ წყალში ჩააყენეს.

როგორც ჩანს, ეს მეთოდი პოლიციის სხვა განყოფილებებშიც აქვთ ათვისებული:

23 მარტს თავისუფლების ინსტიტუტს მიმართეს ბრალდებულების – პაატა ცხადაძისა და მიხეილ ლომინაშვილის მშობლებმა. მათი პროტესტი გამოიწვია ბაღდათის პოლიციის თანამშრომელთა ქმედებამ. მშობლების მონათხრობით, მათი შვილები 28 თებერვალს დააკავეს ბაღდათის პოლიციის თანამშრომლებმა. მათ სამი დღის განმავლობაში ემუქრებოდნენ, სცემდნენ, კერძოდ, ფეხისგულებზე ხის ჯოხს ურტყამდნენ, შემდეგ კი დასივებულ ფეხებს ცივ წყალში ადგმევინებდნენ, რის გამოც ორივეს ფეხებზე წყლულები გაუჩნდა. ცხადაძეს, მამის თქმით, განყოფილებიდან იზოლატორში გადაყვანისას შუბლზე ქამრის ბალთით მიყენებული ჭრილობა ჰქონდა. ბრალდებულებმა საპყრობილეში შესვლისას არ დააფიქსირეს, რომ დაზიანებები პოლიციელთა ფიზიკური ძალადობის შედეგი იყო. მათ დაკავებიდან ერთი თვის შემდეგ გადაწყვიტეს პოლიციელთა მხილება, რაც უკვე რთული აღმოჩნდა.

სამივე შემთხვევაში ფიზიკური ძალადობის მიზეზი დანაშაულის აღიარება არის. თუმცა, ადვოკატები აცხადებენ, რომ ამ მიზნით პოლიციელები ზოგჯერ დაკავებული პირის ოჯახის წევრებსაც აშანტაჟებენ.

წყალტუბოს მცხოვრებელი ავთო მგალობლიშვილი ჯიბეებამოკერილი დადის და შეგნებულად არ იცვამს წინდებს. ის ამ ფორმით იცავს თავს პოლიციისგან, არ გამორიცხავს, რომ პოლიციამ ნარკოტიკული ნივთიერება ჩაუდოს მას და დააკავოს. ავთო მგალობლიშვილი შიშმა მას შემდეგ შეიპყრო, რაც წყალტუბოს პოლიციამ მისი შვილები დააკავა, თავად ის კი ისე სცემა, რომ სამი ნეკნი ჩაუმტვრია. *„საავადმყოფოში მწოლიარეს პოლიციამ მუქარა შეუთვალა, არ მოგვიყვანო მანდ, თუ არა კისერსაც მოგტეხავთო. ავთო მგალობლიშვილმა განცხადებით ოლქისა და წყალტუბოს პროკურატურებს მიმართა, მაგრამ დღემდე რეაგირება არ მომხდარა, პირიქით, პოლიცია მუქარას აგრძელებს,“* – განაცხადა მისმა ადვოკატმა.

პროკურატურას, როგორც წესი, კონკრეტულ საქმეებზე სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის გადაწყვეტილება გამოაქვს და აცხადებს, რომ პოლიციელთა მიერ ძალადობა, მოკვლევის შედეგად, არ დასტურდება.

მიმდინარე წელს ქუთაისის პროკურატურამ მოიკვლია №2 საპყრობილეში მოთავსებული ცხრა ბრალდებულის ცემისა და წამების შესახებ მასალები და ცხრავე ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის თაობაზე მიიღო გადაწყვეტილება. პროკურატურის წარმომადგენლის იგორ ფეტვიაშვილის განცხადებით, ყველა პატიმარს აღმოაჩნდა სხეულის მსუბუქი დაზიანება, მაგრამ გაირკვა, რომ მათ ეს დაზიანებები მიღებული ჰქონდათ დაკავებამდე ერთი ან ორი დღით ადრე. მაგალითად, ბრალდებულმა გიორგი მეფარიშვილმა განაცხადა, რომ დაკავების წინადღეს მთვრალ მდგომარეობაში კიბეზე წაიქცა. დაახლოებით მსგავსი განმარტებები მისცეს პროკურატურას სხვა ბრალდებულებმაც, რაც პოლიციელთა მიმართ სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის გა-



დაწყვეტილების საფუძველი გახდა. გამომძიებლები აცხადებენ, რომ პატიმართა ასეთი განმარტებების პირობებში რთულია პოლიციელის ბრალეულობის დამტკიცება. ადვოკატები და უფლებადამცველები კი აცხადებენ, რომ ბრალდებულს ეშინია სიმართლის თქმა.

შს სამინისტროს იმერეთის მთავარი სამმართველოს უფროსი ზურაბ ჩიკვაიძე არ გამორიცხავს საკუთარი უწყების თანამშრომელთა მხრიდან მოქალაქის მიმართ ფიზიკურ ძალადობას და არც იმას, რომ ბრალდებული გარკვეულ პროვოკაციაზე მიდიოდეს. *„მანამ, სანამ ცემის რომელიმე ფაქტი არ დადასტურდება, ამ საკითხზე ვერ ვილაპარაკებ. თუ პროკურატურა ამა თუ იმ პოლიციელის ბრალეულობას დაადგენს, მას დაუყოვნებლივ გავათავისუფლებ, ნებისმიერი ცემისა და წამების ფაქტი ჩემთვის პიროვნულად არის მიუღებელი... არც იმას გამოვრიცხავ, პოლიციელთა დადანაშაულება ვიღაცას იმისთვის სჭირდებოდეს, რომ ბრალდება შეიმსუბუქოს, მორალური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოახდინოს გამოძიებაზე ან სასამართლოზე. ზოგჯერ ბრალდებული პროვოკაციასაც მიმართავს. ჩვენ გვყავდა ერთი დაკავებული პირი, რომელიც ცდილობდა სხეული დაეზიანებინა, წინასწარი დაკავების საკანში სამი დღე-ღამე ვდარაჯობდით მას. თუ რომელიმე დაკავებული სცემეს პოლიციის განყოფილებაში, იმ წუთშივე უნდა დაფიქსირდეს, ორი-სამი კვირის შემდეგ რომ პრესკონფერენციებს იწვევენ და ზღაპრებს ჰყვებიან, საკითხი გადაუწყვეტელი რჩება, რაც პოლიციას ტვირთად რჩება და წაგებულ როლში გამოდის,“*– იმერეთის სამხარეო შერიფის თქმით, გარკვეული პირები, უმეტესად არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და პოლიტიკოსები, პოლიციის კრიტიკას საკუთარი თავის პოპულარიზაციისთვის მიმართავენ.

ზურაბ ჩიკვაიძე, ისევე, როგორც პროკურატურის წარმომადგენლები, პოლიციელთა მიერ ჩადენილ სხვა „ცოდვებზე“ საუბრობს, კერძოდ, თანამშრომელთა მიერ დანაშაულის დამალვაზე, ნარკოტიკული ნივთიერებებით ვაჭრობასა და სამსახურებრივ გულგრილობაზე.

მიმდინარე წელს ქუთაისის პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა ქუთაისის შს სამმართველოს მეოთხე განყოფილების თანამშრომლების – ანზორ ქარქაშაძისა და ლევან შენგელიას მიმართ, რომლებმაც მოქალაქე მარიამ ფერაძის საცხოვრებელი სახლის გაქურდვის ფაქტი დამალეს.

პოლიციის უკვე ყოფილი თანამშრომელი გიგა შვანგირაძე ნარკოტიკული ნივთიერების გასაღებისთვის დააკავეს.

სამსახურიდან დაითხოვეს ავტოინსპექციის თანამშრომლები, რომლებმაც დაზარალებულის თხოვნა არ გაითვალისწინეს და მოპარული ავტომანქანა პიკეტზე დაუბრკოლებლად გაატარეს, მოქალაქეს კი უპასუხეს, რომ ავტომანქანის გამტაცებლების დევნა მათი საქმე არ იყო.

პოლიცია და პროკურატურა ამ ფაქტებით „იგერიებს“ უფლებადამცველებს, რომელთაც აქვთ პრეტენზია, რომ მათ მიერ გამოვლენილ დარღვევებზე სათანადო რეაგირება არ ხდება.

**რედაქციისაგან: ჩვენ კვლავაც გავაგრძელებთ სამართალდამცავ სტრუქტურებში არსებული მდგომარეობის მონიტორინგს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და მკითხველს რეგულარულად გავაცნობთ იქ მოძიებულ მასალებს. რედაქცია მზად არის, გამოაქვეყნოს სახელმწიფო უწყებათა ხელმძღვანელების დასაბუთებული პასუხები აღნიშნულ პუბლიკაციებზე.**

მაზიანე

სოფო ბუკია



# საპყრობილეში ჯდომა ჩემი საქმეა

ლონდონის საპყრობილეში რამდენიმე წელიწადია დაჭერილია ერთი ტუსაღი, სახელად ვილიამ როსელი, რომელსაც თავის ცოდნითა და კეთილი ცხოვრებით ძლიერ დიდი და კეთილი გავლენა აქვს თურმე სხვა ტუსაღებზე. საპყრობილის ზედამხედველმა სთხოვა თურმე ამას წინათ მთავრობას, რომ ამისთანა პატიოსანი და ქვეყნის სასარგებლო კაცი რომ რაღაც უბრალო დანაშაულობისთვის საპყრობილეში იყოს დაჭერილი, ცოდვა არისო და ამიტომ გაათავისუფლეთო. მთავრობას ჯეროვანი გამოძიება მოუხდენია და მართლაც გაუთავისუფლებია როსელი, მაგრამ იმას გამოუცხადებია, რომ მე ვგრძნობ, რომ საპყრობილეში ჯდომა ჩემი საქმეა და აქ უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შემიძლია კაცობრიობისთვისო და ამიტომ აქედან არაფრის დიდებით არ გამოვალო.

**„დროება“ №19, 1872 წელი**



# გაძარცული აჭარელი

ამას წინად, ბათუმის მომრიგებელი მოსამართლის მთარგმნელს შეხვდება ერთი აჭარელი კაცი, რომლის შვილი საპატიმროში ზის. აჭარელი ეხვეწება, მიშველე რამე, ეგება ჩემი შვილი გამოუშვასო მოსამართლემ. მთარგმნელმა უთხრა მაგაზე ადვილი საქმე არ არსებობსო, გამოართვა შვიდი მანეთი და შესჭამა. შემდეგ რამდენიმე დღისა ეს აჭარელი დალუნავს თავს, შევა სასამართლო დარბაზში, წარუდგება მოსამართლეს და საჯაროდ იტყვის: *„თუ არ გამოუშვებდი ჩემს შვილს, ის შვიდი მანეთი რაზე ამართვი, ცოდო ვარ“*. მოსამართლე გადიძრობს ჯაჭვს, გავა იქით ოთახში, გამოჰკითხავს აჭარელს საქმეს. ბოლოს საქმე გამოაშკარავდება, რომ მთარგმნელს მოსამართლის სახელით აუღია ეს ფული. მოსამართლე, როგორც პატიოსანი კაცი, მთარგმნელს სამსახურიდგან გააგდებს და იმ შვიდ მანეთს თავის ჯიბიდან მისცემს გაძარცულს აჭარელს.

**„დროება“ №21, 1884 წელი**



# ჩანგლისყლაპია სასამართლოში

ამას წინად, ფლორენციაში ერთმა მადაზე მოსულმა იტალიელმა საჭმლის ჭამა გადაწყვიტა და ერთ გაფუფუნებულ სასაუზმეს ესტუმრა. ამ სასაუზმეში საკვირველად პატარა ჩანგლები ჰქონიათ თურმე. ჰოდა, ამ კაცს თურმე საჭმელთან ერთად ჩანგალიც გადაუყლაპია. მეორე ლუკმა რომ უნდა ჩაედო, მოიხედა და აღარ არის ჩანგალი. ეს საკვირველი ამბავია და ძნელად დასაჯერებელი, მაგრამ გაზეთები ასე სწერენ.

საავადმყოფოში, სადაც ეს ჩანგლისყლაპია იტალიელი იმყოფება, ტევა აღარ არის, იმდენი ხალხი მიდის სანახავად. ის ძალიან კარგად არის თურმე. დაიარება, სვამს, ჭამს, მხოლოდ მუცელში ორივე მხრით რაღაც ტკივილს გრძნობს. ერთმა მედიცინის პროფესორმა უთხრა, უნდა გაგჭრა და ამოვიღო ჩანგალი, თორემ მოკვდებიო. ამაზედ ჩანგლისყლაპია გაგიჟებულა, ეგრე თუ შემიშლიდა ჩანგალი, არ ვიცოდიო და სასამართლოში უჩივლია იმ ფლორენციური სასაუზმის მეპატრონისთვის, ჩემი გაკვეთის ფული გადაიხადოსო, ან თავადაც შესანსლოს ჩანგალიო. მთელი ქალაქი ახლა იმ სასამართლოსთან დგას თურმე და ელოდება, რას გადაწყვეტს მოსამართლე.

**„დროება“ №5, 1872 წელი**

**მამუკა ტყეშელაშვილის ნახატები**

ჩანართი დაფინანსებულია ევროპის კავშირის მიერ.

ჩანართში გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ ავტორებს და მათი შინაარსი არ უნდა იქნას გაგებული როგორც ევროკავშირის ოფიციალური პოზიცია.

ასოციაცია ALPE
მისამართი: თბილისი, ალ. ჭავჭავაძის ქ. 8/33
ტელ.: 996512, 922914 ფაქსი: 920596, E-mail: office@alpe.ge, www.alpe.ge

თ ავის სიყვარულსა და სატკივარზე მელაპარაკა მაია კალანდია. იგი რუსთაველიდან გახლავთ. წარმოიდგინეთ ჩვეულებრივი ოჯახის ყოველდღიური პრობლემები, მით უმეტეს, ქვრივი ქალისა...

მის ამბავს ცოტა შორიდან დავიწყებ: მაიამ ზედიზედ სამი წელი აბარა მისაღები გამოცდები სამედიცინო ინსტიტუტში, მაგრამ უშედეგოდ. სამწუხაროდ, „იმ დროს" მარტო ცოდნა არ იყო საკმარისი. მშობლებმა კარგა ხნის ფიქრის მერე მაია უკრაინაში, დნეპროპეტროვსკში წაიყვანეს ნათესავებთან, რათა იქ გაეგრძელებინა სწავლა, ოღონდ არა სამედიცინო, არამედ ტექნიკური განხრით. მაია უმალ იქცა კურსის რჩეულად. ყველას მასთან სურდა მეგობრობა. ზამთრის თუ ზაფხულის არდადეგები ისე არ ჩაივლიდა, შინ არ ჩამოეყვანა ჯგუფელები. ჯერ ოჯახში, სამეგრელოში მიჰყავდა, მერე კი იწყებოდა მართლაც საოცარი ლაშქრობები საქართველოს ყველა კუთხეში. უყვებოდა მეგობრებს ჩვენს წარსულსა და ადათ-წესებზე. ისინიც აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ.

მეხუთე კურსზე იყო, დედა რომ გარდაეცვალა. ამ ამბავმა თავზარი დასცა და რომ არა უკრაინელი მეგობრების თანადგომა, სასწავლებლის დამთავრებასაც ვერ შეძლებდა. გამოცდები ჩააბარა და ქიმიკოს-მეტალურგის დიპლომით საქართველოში დაბრუნდა. კვირა არ გავიდოდა, იქაურებისგან წერილი არ მიეღო. ერთხელ, დნეპროპეტროვსკში სამუშაოდ დარჩენილმა ქართველმა მეგობარმა მოსწერა: უკრაინელს მივყვები ცოლად და მეჯვარედ შენ უნდა გამომყვეო. რაღა თქმა უნდა, სიხარულით წავიდა. ოლეგიც იქ გაიცნო. ის სიძის მეგობარი იყო. მაიამ უმალ იგრძნო ოლეგის განსაკუთრებული ყურადღება. მოგვიანებით, მაიას გამოუტყდა კიდეც: ჩემი ოცნება ქართველი ქალის ცოლად შერთვა იყო, როცა გავიგე, მეგობარს ქართველი შეუყვარდა, გამიხარდა — ეგებ რძლის მეგობრებს შორის მეც შევარჩიო საჩემო ქალი. გამართლდა ოლეგის წინათგრძნობა — მან მაია გაიცნო და შეუყვარდა.

მაია სიამოვნებით მეგობრობდა უკრაინელებთან, მათთვის სულს არ დაიშურებდა, მაგრამ როგორც კი სიტყვა ოჯახის შექმნაზე ჩამოვარდებოდა, მტკიცედ ამბობდა: მე მხოლოდ ქართველს გავყვები ცოლადო... ალბათ, ადამიანმა არასოდეს უნდა დაიქადნოს. რომ არა ოლეგის უზომო სიყვარული ქართველებისა და საქართველოს მიმართ, უარს ვეტყოდი ცოლობაზეო, — იხსენებს მაია. თურმე ოლეგ ბუხტიაროვს ავღანეთის ომის დროს გაუცნია ქართველი ბიჭები. შეუღლებამდეც და მერეც, ოლეგი აღფრთოვანებული უამბობდა მაიას ქართველების შესახებ: ისინი ყველასგან გამოირჩეოდნენ, ყველაზე მაღლა იდგნენ და თავიანთ ღირსებებს ნებისმიერ წუთს, ყოველ წვრილმან-მსხვილმანში ამჟღავნებდნენ. ერთმანეთისთვის სულს არ იშურებდნენ, თუმცა სხვებსაც (ვინც ღირსი იყო!) გვერდში ედგნენო. მაიას უზომოდ ახარებდა, რომ ოლეგს ქართველთა სიყვარულით ქართული ენაც ესწავლა. ცოლის შერთვის მერე კი მალე გამართულად ალაპარაკდა. შეეძინათ გოგონა, ტატა. ოლეგს ხშირად უთქვამს მაიასთვის: ჩემზე ბედნიერი კაცი არ მეგულება ამქვეყნადო. შვილს ცივ ნიავს არ აკარებდა, თავს დასტრიალებდა. 4 წლისას ჭადრაკის თამაშიც კი ასწავლა. ბავშვმა ისე სწრაფად აითვისა ჭადრაკი, რომ ყველას აოცებდა. ქართველი მოჭადრაკე ქალები მთელ მსოფლიოში ცნობილნი არიან და, რა თქმა უნდა, სისხლი თავისას შვრებაო, — ამბობდა ოლეგი და გოგონას იშვიათ ნიჭს თავად არ „იბრალებდა", არადა, თვითონაც ძალიან ნიჭიერი კაცი იყო, ყველაფერი გამოსდიოდა ხელიდან, რაც მთავარია, სიყვარული

# როცა სამშობლოს ნატვრა სხვაგან დარჩენის ნებას არ გაძლევს...



და ერთგულება იცოდა.

ათმა წელმა ასე გაიარა — ბედნიერად, მშვიდად და უზრუნველად... ბოლო ხანს, მაიას სისუსტე დასჩემდა. ზოგჯერ ისე გამოელეოდა არაქათი, რომ საოჯახო საქმესაც ვერ აკეთებდა. ვის არ ეჩვენა, მაგრამ პასუხი ერთი და იგივე იყო: ყველაფერი რიგზეა, არაფერია საგანგაშო! არადა ქალი თვალსა და ხელს შუა დნებოდა. ბოლოს, ერთმა ჭკვიანმა ექიმმა იგუმანა — ესაა ნოსტალგია! ჰო, ქართველს ხომ მოძალებული აქვს ეს გრძნობა, სამშობლოს მონატრებამ შეიძლება დააავადოს კიდეცო. მაიამ თითქოს შვებით ამოისუნთქა, გაუხარადა, რადგან იმ დარდს, რასაც ამდენი წელი გულით ატარებდა, ექიმი ჩასწვდა — დიახ, მაიას უსამშობლოობა ტანჯავდა. ოლეგმა თავად წამოიწყო მნიშვნელოვანი საუბარი: — მაია, რახან ასე გიჭირს, მზად ვარ, შენთან და ტატასთან ერთად საქართველოში ვიცხოვროო... „იმ წუთებში უბედნიერესი ვიყავი. ყველაზე ახლობელი და ძვირფასი ადამიანი მზად იყო, ჩემთვის მსხვერპლი გაეღო. ოლეგსაც ხომ ისევე უყვარდა სამშობლო, როგორც მე, მაგრამ ჩემი გულისთვის (და ალბათ ქართველი ბიჭების უზომო სიყვარულის გამო) თმობდა თავის ქვეყანას", — ცრემლმორეული მიამბობდა მაია.

2001 წელს მაიამ და ოლეგმა გადაწყვიტეს საქართველოში ჩამოსვლა, მაგრამ სიკვდილმა მათ ბედნიერებას წერტილი დაუსვა. ავღანეთში მიღებულმა ტრავმებმა იჩინა თავი და ოლეგი გარდაიცვალა.

„შვილს მამის საფლავს ვერ დავუკარგავდი, ამიტომ ცხედარი ჩამოვასვენე. ვიფიქრე, ტატას მშობლების საფლავი ერთად ექნება-მეთქი", — მითხრა მაიამ. საქართველოში მაიას ცხოვრება კი სულაც არ გაგრძელდა ისე, როგორც ნოსტალგიით დაავადებული ქალი წარმოიდგენდა.

— იმდენად მენატრებოდა სამშობლო და ჩემი ნათესავები, არც კი ვფიქრობდი გაჭირვებაზე. ამიტომაც რუსთავში მცხოვრებ ახლობლებს ბინა წინდაწინ შევარჩევინე (დნეპროპეტროვსკის ბინა გავყიდეთ). ვფიქრობდი, რუსთავში უფრო იოლად ვიშოვიდით სამსახურს. მერე, გამომგზავრებამდე ეს უბედურება დამემართა, აქ კი ვერა და ვერ მოვიკიდე ფეხი. ვისაც ვთხოვე (მერიას თუ საკრებულოს), ყველასგან უარი მივიღე. ერთგან ოლეგის „ავღანელობაც" ვახსენე და იცით, რა მითხრეს? — ჩვენ ხომ არ გაგვიშვია შენი ქმარი ავღანეთში, ვინც გაუშვა, იმას უჩივლეო. ვის უნდა ვუჩივლო, გარდაცვლილ ბრეჟნევს თუ გორბაჩოვს, რომელთა ხელისუფლების დროს დაიღუპა ათიათასობით ჯარისკაცი და ამდენივე დაავადებული, დაინვალიდებული და ფსიქიკურად შერყეული დაუბრუნდა ოჯახს? სამსახური არ მაქვს, შვილი არასრულწლოვანია, აღარც დედ-მამა მყავს და აღარც — ქმარი, 14 ლარით როგორ გავზარდო გოგონა? ერთი კვირა პურის ფულადაც არ მყოფნის ეს თანხა (თუნდაც მომატებული 20 ლარი იყოს), მრცხვენია ჩემი შვილის, მეშინია კიდეც. ასე მგონია, რომ წამოიზრდება, მეტყვის: დედაჩემო, რისთვის მოგყავდი აქეთ, თუკი შენს სამშობლოში შიმშილი და გულგრილობა გველოდაო. ტატა კარგად სწავლობს, ჭადრაკშიც მიღწევები აქვს და ფორტეპიანოზეც მშვენივრად უკრავს, მაგრამ მოგეხსენებათ, სწავლის გასაგრძელებლად ფულია საჭირო. ღამეებს თეთრად ვათენებ, გოგონას არ მინდა დავანახვო ცრემლები, არადა უკვე უკიდურესად მიჭირს. უკრაინაში რომ დავრჩენილიყავი, მარტო მეუღლის პენსია გამიზრდიდა შვილს (იქ ხომ ბევრი შეღავათი და დახმარება იყო), აქ კი, ჩემს სამშობლოში, ისეთი უსასოო ვარ, რა წყალში გადავვარდე, აღარც კი ვიცი. არ მასვენებს კითხვა, — რა მომარბენინებდა აქეთ? იქნებ, არ უნდა მეთქვა უარი უკრაინის მოქალაქეობაზე? რა ვქნა, შვილმა რომ მისაყვედუროს? იცით, რა სიამაყით დავიბრუნე საქართველოს მოქალაქეობა? უკრაინელი კაცი მომყავდა აქეთ საცხოვრებლად და, ღმერთო, ნუ მიწყენ, ახლა ხანდახან იმასაც გავიფიქრებ, კიდევ კარგი, ოლეგი მკვდარია-მეთქი... რუსთაველი „ავღანელები" მეხმარებიან ხშირად, მაგრამ მათაც რაღა აქვთ? ზოგჯერ გათენებისა მეშინია, რადგან ვიცი, ახალი დღე ახალ საწუხარს მომიტანს. ბავშვი მეცოდება, საოცრად მგრძნობიარეა, მამის სიკვდილს ძალიან განიცდის, ძილის წინ ნატრობს, ნეტავი მამიკო დამესიზმროსო. გაჭირვებას არც ახსენებს, არადა ხომ ვიცი, ბევრი რამ ენატრება: საჭმელი და ჩასაცმელ-დასახურიც. მერწმუნეთ, წუწუნს მიჩვეული არა ვარ, მაგრამ სხვა გზა აღარ მაქვს. თქვენთანაც იმიტომ დავიცალე გული, რომ „კვირის პალიტრა" დამრჩა ერთადერთ იმედად; სხვასთან, ვისთანაც დავიჩივლე ჩემს პრობლემებზე, ყველგან „კარი მომიხურეს". ისეთი გამწარებული ვარ ჩემი ყოფით, ოლეგის საფლავი რომ არა, ალბათ ისევ უკრაინაში დავბრუნდებოდი... მინდა ერთი რამ გთხოვოთ: ვეძებ ჩემი მეუღლის თბილისელ მეგობრებს. მის უბის წიგნაკში შემთხვევით წავაწყდი ორის გვარს. ესენი არიან: გელა ჩინჩილაძე (მცხოვრები დოლიძის ქუჩაზე) და ნოდარ ქარელიძე (მცხოვრები მოსკოვის პროსპექტზე). აქამდეც შევეხმიანებოდი, მაგრამ, ალბათ, საცხოვრებელი შეიცვალეს. თქვენი საშუალებით მინდა დავუკავშირდე მათ. დარწმუნებული ვარ, არც კი იციან, ოლეგი რომ ცოცხალი აღარაა.

**— შეუძლებელია გაზეთის ფურცლებიდან გაგებული თქვენი ამბავი ყურად არ იღონ გულისხმიერმა ადამიანებმა. ქალს, რომელსაც ასე უყვარს სამშობლო, ბოლომდე არ გაწირავს თავისი ქვეყანა.**

— ამ იმედითღა ვცოცხლობ, გმადლობთ, რომ მომისმინეთ.

***მარინა ბაბუნაშვილი***

**მკითხველებს შევახსენებთ — ჩვენთან დაკავშირება შეგიძლიათ „კვირის პალიტრის" (ან „სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთების მეშვეობით, რომელთა განლაგების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია** **იხ. გვ.36.**

გამოხმაურება

# თამუნას თხოვნა შევასრულეთ



„კვირის პალიტრის" წინა ნომერში დაბეჭდილი წერილის, „არ მინდა ვიყო ვიღაც მესამე", გმირს, თამუნას, დავპირდით, რომ უეჭველად გავაცნობდით მის თხოვნას სამთავროს დედათა მონასტრის მონაზონს, დედა პარასკევას. ის, როგორც ყოველთვის, მამა გაბრიელის საფლავთან დამიხვდა. გავაცანი ჩემი რესპონდენტის გასაჭირი.

დიდხანს მისმინა ღიმილით, ბოლოს კი მითხრა: მე არ მაქვს უფლება, ვიღაცის პირად ცხოვრებაში ჩავერიო, თუნდაც რჩევით, მაგრამ რახან ჩემგან ელის კომენტარს, ისევ მამა გაბრიელს დავესესხები: სიყვარული გულწრფელია. არ შურს, არ ყოყოჩობს, ყველაფერს ითმენს — ესაა ნამდვილი სიყვარული, ამაშია კაცობრიობის ბედნიერება; მაგრამ სიყვარულს ეგოიზმი უპირისპირდება. ეგოისტი არაფერს გასცემს, ყველაფერი თავისთვის უნდა. ჭეშმარიტ სიყვარულს ჭეშმარიტი რწმენა ბადებს. ჩემო შვილო, ამით ყველაფერია ნათქვამი და იმ შენს რესპონდენტს და მის შეყვარებულს თუ ჭეშმარიტად უყვართ ერთმანეთი, მაშინ შეძლებენ ბედნიერ ცხოვრებას. მათ მაქსიმალური უნდა გასცენ და არ იფიქრონ მხოლოდ სათავისოზე...

***მარინა ბაბუნაშვილი***

# ქალებო, დაიხსომეთ!



მეცნიერებმა აღმოაჩინეს ქალის ხასიათის რამდენიმე დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც მამაკაცზე ჯადოსავით მოქმედებს. ექსპერტების აზრით, იდეალური ქალია ის, ვინც:

— აშკარად არ გამოხატავს მამაკაცზე მბრძანებლობის სურვილს;
— ზომიერად ჭირვეულია;
— საყვარელი მამაკაცის სურვილებს ულაპარაკოდ ასრულებს;
— სექსუალურად თავისუფალია;
— კეკლუცია და მამაკაცის მოხიბვლა შეუძლია.

აღსანიშნავია, რომ ბევრ რამეში ცოლიანი და უცოლო მამაკაცების შეხედულებები განსხვავებულია.

ცოლიანები იდეალური ქალისთვის დამახასიათებელ ნიშნებად მიიჩნევენ — შრომისმოყვარეობას, კარგ დიასახლისობას, გულისხმიერებას და ნაკლებად ახსენდებათ ქალის სილამაზე.

უცოლო მამაკაცი კი ყველაზე მეტად ყურადღებას აქცევს მანდილოსნის გარეგნობას, ქალურობას, ინდივიდუალიზმს.



## კოქტეილი „ციცინათელა" ამერიკულად

60 მლგ ლიმონის არაყი, თითო ჩაის კოვზი ლიმონისა და ანანასის წვენი ჩაასხით შეიკერში, ჩააყოლეთ ყინულის ნატეხები და აურიეთ.

გადაიტანეთ მარტინის ბოკალში, ჩაუმატეთ 15 მლ ნესვის ლიქიორი და დაელოდეთ, ვიდრე ფსკერზე ჩაიკრიფებოდეს.

ბოკალი მორთეთ 2 ც ალუბლით.

# გაიღიმეთ!

**მეცნიერებს თუ დავუჯერებთ, ცივილიზაციის წინსვლა და ცხოვრების აჩქარებული რიტმი თანდათან გადააჩვევს ქალს საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვას, მეტიც, საქმიანი ქალი ღიმილს დაივიწყებსო. მამაკაცების აზრით, თუ რამე განსაკუთრებით ალამაზებს ცხოვრებას, ერთ-ერთი ქალის ღიმილია....**



**გიგი (32 წლის):** — სამწუხაროდ, საქმიანი ქალები არა მარტო ღიმილს გადაეჩვივნენ, არამედ ბევრ ქალურ თვისებას კარგავენ და ზოგჯერ ჩემს პარტნიორ ლამაზმანებთან ურთიერთობისას მგონია, მამაკაცთან მაქვს საქმე. ამიტომაც ხშირად წამომცდენია მათთან — „ძმაო", „მეგობარო" და, თქვენ წარმოიდგინეთ, „ბიჭოთიც" კი მიმიმართავს. ერთი ასეთი შემთხვევისას გავწითლდი, გავყვითლდი და ბოდიში ძლივს მოვიხადე. იმ გოგოს კი ეს აინუნშიაც არ ჩაუგდია. მერე დავაკვირდი და მივხვდი, თავისი „კაცური" საქციელი მოსწონს. არადა ძალიან ლამაზი გოგოა. უზომოდ უხდება ღიმილი, რასაც იშვიათად იმეტებს ხოლმე. რომ გაიცინებს, ირგვლივ თითქოს ყველაფერი ნათდება, მაგრამ რად გინდა. შეგვამჩნევს თუ არა სილაღეს, მყისვე მოიღუშება ხოლმე. ასე მგონია, საქმიანი ქალი ჯანმრთელი არ არის.

**მერაბი (38 წლის):** — ჩემს ფირმაში სულ კაცები მუშაობენ. ერთი ოპერატორი სხვაგან გადავიდა. გამოვაცხადე კონკურსი ვაკანსიაზე. მუშაობის მსურველი 20-ზე მეტი მამაკაცი და ერთი მშვენიერი გარეგნობის გოგონა გვესტუმრა. გამიხარდა ქალის დანახვა — ავიყვან, ოფისსაც გაალამაზებს და ჩვენს ერთფეროვან ყოფასაც-მეთქი. გასაუბრებაზე თვალებში არ მიყურებდა. თუ შემომხედავდა, ისეთი მკაცრი მზერა ჰქონდა, მე ვარიდებდი თვალს. მოკლედ, მივიღე სამსახურში. მეორე დღეს ყველა მამაკაცი ადრე მივედით სამსახურში, ყვავილები და აყვავებულ კაქტუსიანი ქოთანი დავახვედრეთ ახალ თანამშრომელს. ის კი შემოვიდა, ცალყბად მოგვესალმა, ყვავილებს ზედაც არ შეხედა. ჩანთა მიაგდო, წინ უზარმაზარი ბუტერბროდი დაიდო და კომპიუტერში შეძვრა. სიგარეტის მოსაწევადაც კი არ გადის გარეთ. მეგონა, ქალი მივიღე სამსახურში. შეუძლია 24-საათიანი გრაფიკით იმუშაოს, ზედაც არ შემოგვხედოს და ღიმილზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ასეთი „რობოტი" ქალები მოგვიანებით ბევრ ოფისში აღმოვაჩინე. მათი გადამკიდე მხიარულ, ღიმილიან ქალს რომ ვხედავ, სიხარულით ჭკუას ვკარგავ.

**ანა (26 წლის):** — გენერალური მენეჯერი ახალგაზრდა, მშვენიერი ქალი გვყავს. მისი ცოდვით ვიწვი. ქალს აღარ ჰგავს. ალბათ დროთა განმავლობაში პაჭუა ცხვირი ძალიან დაუგრძელდება, რადგან სულ ცხვირჩამოშვებული ზის. ზოგჯერ, როცა ელაპარაკები, გგონია, გისმენს. არადა, სადღაც სხვაგან დაფრინავს, მაშინ ახსენდება რომელიღაც საქმიანი პარტნიორი. ურეკავს, ჯერ მშვიდი ტონით ელაპარაკება, მერე ხმას თანდათან უწევს, ბოლოს კი ღრიალებს, წივის, კივის, საერთოდ კარგავს ქალის სახეს. სხვათა შორის, ამ ბოლო დროს შევნიშნე, რომ ტუჩის ზემოთ ღინღლი მოეზარდა. როგორც ჩანს, სამუშაო რიტმმა მის ორგანიზმში მამაკაცური ჰორმონები გაააქტიურა. მის შემხედვარეს სულაც არ მინდა ძალიან საქმიანი ქალი ვიყო და ჩემთან შეხვედრებზე პარტნიორ მამაკაცებს ავიწყდებოდეთ, რომ მე სუსტი სქესის წარმომადგენელი ვარ.

**მარი (40 წლის):** — სამწუხაროდ, საქმიან ქალებს მართლაც ემჩნევათ რაღაცნაირი გაუხეშება, მაგრამ ჩემს უფროსზე ეს ნამდვილად არ ითქმის. ის მხიარულების, სიცოცხლის მომნიჭებელია ყველა თანამშრომლისათვის. დილით უთენია მიდის სამსახურში, ყველას გვასწრებს მისვლას. მისი ოთახიდან ან სასიამოვნო მუსიკა, ან მისი სიმღერის ხმა გამოდის, კაბინეტში ელექტრონული საკრავები აქვს და დროდადრო უკრავს ხოლმე. არ მახსოვს, ვინმესთვის უხეშად მიემართოს. როგორი უკმაყოფილოც არ უნდა იყოს თანამშრომლის საქციელით, საყვედურს არ ეტყვის. შესვლისთანავე ოჯახის ამბებს გამოგკითხავს, მოგეფერება, მერე კი ღიმილ-ღიმილით გამცნობს, რომ შენი საქციელი მავნებელია, როგორც საერთოდ სამსახურისთვის, ისე პირადად შენთვის და „გთხოვს" გამოსავალი იპოვო, რომ მსგავსი რამ არ განმეორდეს. საოცარი ქალია, ალბათ ამიტომაც აქვს ძალიან წარმატებული ბიზნესი. ხშირად გვინახავს მისი კაბინეტიდან გამოსული სახეგაბრწყინებული პარტნიორი მამაკაცები, რომლებიც ჩვენს ოფისში შემოსვლისას ყოველთვის ჩვეულებისამებრ მოღუშულები ან მკაცრები არიან ხოლმე.

***ეკა ლომიძე***

# ნანი ჩიქვინიძე: — ახლა მხოლოდ იმ როლს შევასრულებ, რომელიც ძალიან საინტერესო იქნება...

*სცენა ის ადგილია, სადაც ადამიანის შინაგანი სინათლე ყველაზე უკეთ შეიძლება დაინახო. ჩვენ გვიყვარს ხელოვნება, მოგვწონს ესა თუ ის მსახიობი და ხშირად არც კი ვფიქრობთ, რომ ამ გრძნობას პროფესიონალიზმთან ერთად არტისტის პიროვნული ღირსებაც განაპირობებს. მხოლოდ სურვილია საჭირო, რომ თვალი გაახილო და შენ წინ თავისი ცხოვრებით, განვლილი წლებითა და განცდილით სავსე ხელოვანი დაინახო. ქალბატონ ნანი ჩიქვინიძის სამყაროსადმი დამოკიდებულება სცენიდან არაერთხელ გვიგრძნია, მაგრამ სულ სხვაა, რასაც მსახიობისაგან ისმენ. ქალბატონმა ნანიმ გვითხრა:*

— საოცარი რამ ხდება. ის ადამიანები, რომლებიც ამ ქვეყნიდან წავიდნენ, კი არ დამშორდნენ, ასაკის მატებასთან ერთად დამიახლოვდნენ. თითოეული მათგანი უფრო მეტად მაკლია, მჭირდება, მენატრება. ეტყობა, ახალგაზრდობა მაინც თავქარიანი პერიოდია, თავდაცვის რეფლექსი უფრო მეტად აქვთ ახალგაზრდებს. ისინი არასოდეს ფიქრობენ სიკვდილზე, მათთვის მომავალი უსასრულობა, ვერც კი დააჯერებ, რომ ცხოვრება მართლაც წუთისოფელია... მამა ადრე გარდამეცვალა, 18 წლისა ვიყავი... მაშინაც ძალიან განვიცადე, მაგრამ დღეს კიდევ უფრო მაკლია მამა. დედა შარშან გარდამეცვალა. უკვე ხანდაზმული იყო, მაგრამ ვერაფრით შევეგუე მის წასვლას. ყოველ წუთს მის სიახლოვეს ვგრძნობ და უსაშველოდ მენატრება... ოჯახის წევრების გარდა, ძალიან დამაკლდა ბატონი თენგიზ აბულაძე. ის რომ გავიცანი, პატარა ვიყავი, ვერც ვაცნობიერებდი, როგორი დიდი ხელოვანი იყო, მაგრამ ქვეშეცნეულად, ეტყობა, მაინც ვგრძნობდი ყველაფერს. იმდენად მიყვარდა, რომ მე და მიხო ერთმანეთს ვეცილებოდით, ვინ დაჯდებოდა ბატონი თენგიზის გვერდით. თენგიზ აბულაძე ბავშვებთან საერთო ენის გამოძებნის დიდოსტატი იყო. მან განსაზღვრა ჩემი მომავალი პროფესიაც.

უდიდესი წვლილი აქვს ჩემს ჩამოყალიბებაში მიხეილ თუმანიშვილს. ამ მხრივ მე გამონაკლისი არ ვარ. ის ყველა სტუდენტთან ასეთი იყო. არ შეიძლება ასეთი პიროვნება შეგხვდეს ცხოვრებაში და შენ ან გულგრილი დარჩე, ან მისი დავიწყება შეძლო, ან მან არ განსაზღვროს შენი გზა. ის არ იყო მხოლოდ პედაგოგი. მისგან მამაშვილურ სითბოს ვგრძნობდით. მეორე კურსზე ვიყავი, მამა რომ გარდაიცვალა. ვერ ვიტყვი, ბატონი მიშა მამის მაგიერი გახდა-მეთქი, მაგრამ ჩემს უახლოეს ადამიანად კი იქცა. იგრძნო, ძალიან რომ მიჭირდა. ერთხელ მითხრა: გინდა შენ და ლიკას (თავის ქალიშვილს) ერთად გაგზრდითო. ამიტომ იყო გულთმისანი და გენიოსი. არ გამოჰპარვია, მე რომ დაუცველი და უმწეო დავრჩი. როცა ჩემს ცხოვრებაში რაიმე მნიშვნელოვანი ხდება, ან პრემიერა მაქვს, ან რაღაც ახალს ვაკეთებ და გვერდით არ მყავს მიხეილ თუმანიშვილი, ძალიან განვიცდი. როცა ის პარტერში იჯდა, ჩემთვის სხვა არავინ არსებობდა. ყოველთვის გეტყოდა, რასაც ფიქრობდა, თან გეტყოდა ტაქტიანად. ეს, სამწუხაროდ, დღეს გვაკლია. ადამიანს შენიშვნა უნდა მისცე, მაგრამ არ უნდა მოკლა სიტყვით. დაუნდობელი კრიტიკოსები გვყავს. ზოგჯერ ისეთ რამეს ეუბნებიან ახალბედა მსახიობებს, რომ შეიძლება მოკლან კიდეც მასში ის მთავარი, რაც ბუნებამ მისცათ.

**— თქვენ თუ დაუტუქსიხართ მიხეილ თუმანიშვილს?**

— მეტყოდა, იქნებ ამ ადგილს მიხედო, სხვანაირად შეასრულოო და იქვე გთავაზობდა გამოსავალს. ამიტომაც ვამბობ, ჩემთვის შეუცვლელი ადამიანი იყო-მეთქი.

**— მამას ხშირად ჰქონდა თქვენთან საუბარი ცხოვრებაზე, სამყაროზე, ხელოვნებაზე?**

— რასაკვირველია. ჩვენ ხშირად ვსაუბრობდით. ის მშვიდი, გაწონასწორებული და უალრესად თბილი კაცი იყო. არ მახსოვს, ხმამაღლა ეთქვა ჩემთვის სიტყვა. ჩვენც უდიდესი მოკრძალება გვქონდა. დედა ხალისიანი ქალი იყო, თბილი, ტკბილი, მაგრამ გურული და ცოტა ფიცხიც. მეუღლის მიმართ მასაც გამორჩეული მორიდება ჰქონდა. მამას კარგი განათლება ჰქონდა მიღებული. სამხედრო პირი იყო, მაგრამ ნებისმიერ თემაზე შეეძლო სრულყოფილი საუბარი. მეც, როცა დამჭირდებოდა, ენციკლოპედიაში ქექვას მერჩივნა, მისთვის მეკითხა. რომ შევეკითხებოდი, დაწვრილებით ამიხსნიდა ყველაფერს 15-20 წუთში. ჩემს უფროს დას — ლილი ფოფხაძეს, რომელიც დედას პირველი ქორწინებიდან ჰყავდა, მამაჩემი ზრდიდა. ხშირად ვეუბნებოდი: შენ გაცილებით მეტი აილე მამაჩემისაგან, ვიდრე მე-მეთქი. მე ვერ მოვასწარი.

**— მამათქვენის განათლებამ და სულიერებამ თქვენში პოვა გაგრძელება...**



— არა, ჩემო კარგო, მე როგორ შევედრები მამას... ის ცოცხალი ენციკლოპედია იყო...

ჩემს მშობლებს ძალიან უყვარდათ ერთმანეთი, ბედნიერი ოჯახი ჰქონდათ. ამან განაპირობა, რომ მე ისეთი ვარ, როგორიც ვარ. წყნარ, მშვიდ, სიყვარულით სავსე ოჯახში გავიზარდე. ჩემს უფროს დას უსაზღვროდ უყვარდა მამა, ხოლო მამაჩემის უფროსი ქალიშვილი (რომელიც მასაც პირველი ქორწინებიდან ჰყავდა), დედაჩემის უახლოესი მეგობარი გახლდათ... ახალ ბინაში ვცხოვრობთ. აქაც გათბა კედლები, როგორც იქნა, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, როგორ მიყვარდა ის „ხრუშჩოვკა“, სადაც მე, ჩემმა ქალიშვილმა, ჩემმა მეუღლემ და დედაჩემმა 25 წელი ვიცხოვრეთ. ის ბინა რომ გავყიდეთ, ახალ პატრონებს ვუთხარი: — ვერაფერს გიტოვებთ, ძვირფას რემონტს ან განსაკუთრებულ ბინას, მაგრამ თქვენ ეს კედლები დაგიცავენ-მეთქი. მენატრება ის ბინა. იმ ბინაში იყო სიყვარულის აურა. მე მჯერა ამისი. თუნდაც ეს ჩემი გამოგონილი იყოს, მერე რა... რაც მთავარია, მე ბედნიერი ვიყავი იმ ბინაში. ახალ ბინაში რომ გადავედით, დედა 6 თვეში გარდაიცვალა. დედაჩემის არსებობაც იმ ძველ სახლს უკავშირდება. ამიტომაც მწყდება გული. ჩემი ქალიშვილი, დეიკო, მეხვეწებოდა, — ნუ გავყიდით ძველ სახლს, ვალი ავიღოთო. ახლა ვდარდობ, ნეტავ, მართლა არ გამეყიდა. ყოფილიყო ის სახლი, როგორიც იყო. ხანდახან შევივლიდი, გავიხსენებდი.

**— ასეთი შეხედულებებით ცხოვრება კარგია, მაგრამ, ალბათ, რთულიც...**

— მე იმიტომ შემიძლია ლაღად საუბარი, რომ ჩვენ მინიმალური, მაგრამ მაინც, შემოსავალი გვაქვს. მადლობელი ვარ უფლისა, რომ „პური ჩვენი არსობისა“ გვაქვს. ეს ჩემი მეუღლის წვლილია, რომელიც პერიოდულად უცხოეთშიც დგამს სპექტაკლებს, თორემ ჩემი ხელფასით ვერაფერს გავხდებოდი.

**— სულ ახლახან ბატონი თემურ ჩხეიძე პეტერბურგის დიდი დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშნეს. ალბათ ბევრი რამ შეიცვლება თქვენს ცხოვრებაში?**

— არაფერი არ შეიცვლება, თემური უკვე ცამეტი წელია თანამშრომლობს ამ თეატრთან. მისი სამხატვრო ხელმძღვანელი კირილ ლავროვი ყველა შემოქმედებით საკითხს თემურთან ერთად წყვეტდა, უბრალოდ მან ჩათვალა, რომ დადგა დრო, ამ ურთიერთობას ოფიციალური სახე მისცეს. თემური მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელიც არის და ამ ორ მოვალეობას მომავალშიც ისევე შეათავსებს, როგორც აქამდე ათავსებდა.

**— ქალბატონო ნანი, თქვენი წარმოდგენა იოლია შინ დედის, ბებიის სახით, სცენაზე ხილვა ხომ უალრესად სასიამოვნოა, მაგრამ ვერაფრით წარმომიდგენიხართ მოგზაურის ამპლუაში...**

— მე არასოდეს მქონია ალპინისტური მონაცემები. სადმე თუ ვყოფილვართ ან სკოლაში სწავლისას — ექსკურსიაზე, ან სტუდენტობისას ქალაქგარეთ ჯგუფელებთან და ბატონ მიხეილ თუმანიშვილთან ერთად. ჩემმა მშობლებმა ქოთნის ყვავილივით გამზარდეს. ძალიან სათუთად მეპყრობოდნენ. ხშირად ვიყავი ავად. ხან ბოტკინი მქონდა, ხან ნეფრიტი... ამის გამო იოლად ვერ მიშვებდნენ ქალაქგარეთ.

**— ბავშვი ავადმყოფობის დროს სხვანაირ ხედვას ეჩვევა, სამყაროს უფრო სერიოზულადაც კი აღიქვამს...**

— უბრალოდ, წიგნთან დაახლოებული ბავშვები ვიყავით. „სხვისი შვილები“ დამთავრდა და ზღვაზე წავედით დასასვენებლად. რომ ჩამოვედი, აღმომაჩნდა ბოტკინი. სკოლის ნაცვლად (II კლასში ვიყავი) ინფექციურ საავადმყოფოში ამოვყავი თავი. მამამ მოგვაკითხა და მკითხა, — რა მოგიტანოო. რამე წიგნი-მეთქი. არ ვიცი, სად იშოვა, მახსოვს, მომიტანა კარლო გოცის „პრინცესა ტურანდოტი“. ეს იყო ჩემი პირველი პიესა.

არასოდეს დამავიწყდება ჩვენი მეზობელი, ძია პეტრე აღნიაშვილი. ასე მითხრა, თუკი შენ მალე ისწავლი ანბანს, არაჩვეულებრივ წიგნს გაჩუქებო. ეს ჩემთვის დიდი სტიმული იყო. ვისწავლე ანბანი და მაჩუქა „ბიძია თომას ქოხი“. მახსოვს, როგორ ვიტირე, როცა ემას სიკვდილის ამბავი წავიკითხე. მარტო მე კი არ ვკითხულობდი. ჩვენს კლასში ცუდ ტონად ითვლებოდა, თუკი ვინმე არ კითხულობდა. ჩაცმაზე არც ვფიქრობდით. ჩემს კლასში ბევრი შეძლებული ოჯახის შვილი იყო, მაგრამ ისინი ჩვენსავით გამოიყურებოდნენ. არასოდეს მიგრძვნია თავი დაჩაგრულად, რომ სხვას ჩემზე უკეთ ეცვა. იცით, რამხელა ბედნიერებაა, როცა ამაში თავს დაჩაგრულად არ გრძნობ. ჩემი შვილიშვილი სკოლაში მივიდა, სადაც ფორმები აცვიათ ბავშვებს. ეს ძალიან კარგია.

**— თქვენი თეატრი რემონტდება, როგორ გრძნობთ თავს მსახიობები?**

— ძალიან გვიჭირს. ამას წინათ თეატრში მივედით. ისე შევხვდით ერთმანეთს, ისე ვეფერებოდით... მოგვენატრა ერთმანეთი, თეატრი. როცა ახალგაზრდა ხარ, მაშინაც აქვს მნიშვნელობა, ორი წელი რომ ვერაფერს აკეთებ, მაგრამ როცა ახალგაზრდა აღარ ხარ, ეს სერიოზული დარტყმაა. ისე, რაც ვნახეთ, თეატრში ლამაზია ყველაფერი. მადლობა გადავუხადეთ მუშებს, ყველას, ვინც ჩვენს თეატრს ალამაზებს.

**— იმ დროს თქვენც მოესწრებოდით, როცა სპექტაკლი ათას ცენზურას გადიოდა, იყო აკრძალვები, ცოტა შიშიც. თავს დათრგუნვილად ხომ არ გრძნობდით ამის გამო?**

— ისე მძიმე მდგომარეობა აღარ იყო, როგორც 30-იან წლებში. ჯერ სპექტაკლს აკრძალავდნენ ვითომ, მერე მაინც უშვებდნენ. ეს ისეთი რეკლამა იყო, ზღვა მაყურებელი მოდიოდა სანახავად. ერთი ეშმაკობაც გვქონდა. სპექტაკლში სპეციალურად ისმებოდა ერთი ფრაზა, რომელიც აუცილებლად არ მოეწონებოდა ცენზორს. იტყოდა, ამოიღეთო... ამოიღებდნენ, მთელი სპექტაკლი კი, თავისი სიღრმითა და მეტაფორული აზროვნებით, გადიოდა სცენაზე. იყო ნერვიულობა, ამ მთავრობის გინება, ანეკდოტების მოყოლა. 1937 წელი რომ ყოფილიყო, არც ერთი არ დავრჩებოდით ცოცხალი. ეს მაინც მარტო საქართველოში ხდებოდა, რადგან გასტროლებზე რომ მივდიოდით ესტონეთში, უკრაინაში თუ სხვა რესპუბლიკებში, იქაურები გაოგნებულები გვიყურებდნენ — რა თავისუფლად იქცევითო. ხშირად უთქვამთ ჩვენთვის: — თქვენ საბჭოთა კავშირში არ ცხოვრობთო. სხვათა შორის, აქვე გავიხსენებ, რომ ყველა აკრძალული სპექტაკლი თუ ფილმი, ედუარდ შევარდნაძის ხელმოწერით გადიოდა მაყურებლამდე, რომ არა ის, ასეთი თავისუფლება არ გვექნებოდა ხელოვნებაში. ასე გავიდა რობერტ სტურუას „ყვარყვარე თუთაბერი“, თემურ ჩხეიძის „ჯაყოს ხიზნები“.

**— თქვენ ბრძანეთ, რომ სპექტაკლის შემდეგ მიხეილ თუმანიშვილის აზრის მოსმენა ძალიან მაკლიაო, თუმცა თქვენ შეგიძლიათ მოუსმინოთ ბატონ თემურს...**

— თემური ახლობლების მიმართ ძალიან მკაცრია. როცა დედამისი, ან მისი ქალიშვილი, ან დისშვილი, ან მე ვართ სცენაზე, ის მეტისმეტად კრიტიკულია, რომ რამე არ გამოეპაროს. მეც ასეთი ვარ. როცა ახლობელს ეხება საქმე, მით უმეტეს, არ უნდა გამოგეპაროს ნაკლი. ისე არ მოხდეს, რომ გუგული და მამალივით ვაქებდეთ ერთმანეთს...

**— ბატონი თემური ბავშვივით არის და თქვენი მზრუნველობა მუდმივად სჭირდებაო, ამბობენ.**

— ყოფიერებაში ძალიან უმწეოა. ახალი ბინა რომ მოგვცეს, ათი წლის წინ მოვიდა და ნახა, მაშინ ცარიელი კედლები იყო. მეორედ მაშინ მოვიდა, როცა უკვე საცხოვრებლად გადმოვედით. ისე გაკეთდა ყველაფერი, თვითონ არ ყოფილა. რომ მოვდიოდით, ვუთხარი: ნეტავ ან სართულს თუ მიაგნებ, ან კარს, ან განლაგება თუ გაგახსენდება-მეთქი. ყველაფერი მახსოვსო. სხვათა შორის, მართლაც მიაგნო.

**— პროფესიის გარდა რა გიყვართ?**

— ძალიან მიყვარს მუსიკა. მამაც კარგად მღეროდა, დედაც. მე და ჩემი და შინ ვმღერით ხოლმე. მუსიკალური ტექნიკუმი მაქვს დამთავრებული დედაჩემის დიდი თხოვნით. მეუბნებოდა, იქნებ მსახიობობა არ გამოგადგეს და რაღაც პროფესია გქონდესო...

**— როცა ძალიან იღლებით, რა გჭირდებათ დასვენებისთვის?**

— ძალიან მიყვარს ჩემი სახლი. ასეთი არ ვიყავი. მიყვარდა მეგობრებში სიარული. მერე და მერე მირჩევნია, როცა ჩემთან მოდიან...

**— მალე ახალგარემონტებულ თეატრში შეხვალთ, როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი მომავალი შემოქმედებითი ცხოვრება?**

— მომავალზე არ ვფიქრობ ხოლმე, არც ოცნება მიყვარს. არაფრის დაგეგმვა არ შეიძლება. ხომ იცით, „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო“. რასაც უფალი გამომიგზავნის, იმისი მადლიერი ვიქნები. რაც მაინტერესებდა, ის სამუშაო ყოველთვის მქონდა. ბევრ როლს ვთამაშობდი. ახლა მხოლოდ იმ როლს შევასრულებ, რომელიც ჩემი აზრით, ძალიან საინტერესო და საჭირო იქნება.

***ლელა ჯიყაშვილი***

# — ჩამირთე „ვაკაჭი-ნიუსი“...



ცნობილ „მასხარასთან“, ვაკაჭისთან — **ვახტანგ ხიდაშელთან** ინტერვიუს ჩასაწერად „ტელეიმედს“ ვესტუმრე. არ დამითვლია, თორემ ეს მეხუთასე ვიზიტი მაინც იქნებოდა ამ ტელეკომპანიაში, სადაც ყოველთვის მხიბლავდა გამორჩეული სტუმართმოყვარეობა და წესრიგი. ამჯერად წესრიგის დამცველებს ისე დაუკარგავთ ზომიერების გრძნობა, რომ სტუმართმოყვარეობა ნებსით თუ უნებლიეთ დავიწყებიათ. ასე მაგალითად, შესვლისას დაცვამ მომთხოვა, დიქტოფონი დატოვეო. ინტერვიუ რითი ჩავწერო-მეთქი? მხრები აიჩეჩეს. ამასობაში ვაკაჭიმაც მომისწრო და დაცვის მოთხოვნით გაოგნებულმა იგივე იკითხა, აბა, ინტერვიუ რით ჩავწეროთო? რა თქმა უნდა, პასუხი ვერც მან მიიღო. თუმცა „ძალა ერთობაშიას“ პრინციპით გაერთიანებულებს წინ ველარავინ დაგვიდგა.

**— ვაკაჭი, თურმე „ვაკაჭი-ნიუსი“ სხვა არხზე უნდა გასულიყო.**

— აჭარის ტელევიზიისთვის გავაკეთე საპილოტო გადაცემა, ძალიან სასაცილო გამოვიდა, მაგრამ ეთერში გასვლა მხოლოდ „იმედში“ ეღირსა და ვფიქრობ, ხალხი ხალისობს ამ გადაცემით.

**— შენს ყველა გადაცემას ერთი რამ აერთიანებს — სცენარის ავტორი, რეჟისორი და ა.შ. შენ ხარ. ეგოისტი და კაცთმოძულე რომ არა ხარ და მეგობრებიც რომ არ გაკლია, ვიცი. მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო — ნათქვამია და შენ რატომ იტანჯავ ასე თავს?**

— მეგობრები მეც მყავს, ძმაკაცებიც. გადაცემის კეთების დროსაც ბევრი მეხმარება. მაგრამ ისევ და ისევ იუმორისტული შეფერილობისთვის „ყველაფერჩიკი“ ვაკაჭი გავხადეთ. რაც სულაც არ არის უცხო. რა, ედი მერფი იმავეს არ აკეთებს ფილმებში? — ზოგჯერ ერთბაშად რამდენიმე როლს თამაშობს ხოლმე. ბოლოს და ბოლოს, ედი მერფი რითი მჯობია. იმით რომ ჰოლივუდელია? ჩამოიყვანე საქართველოში და ნახავ, თუ ქართველობა არ მოუნდეს. მაგას ერთი უპირატესობა ის აქვს, რომ უიტნი ჰიუსტონი ჰყავდა ცოლად.

**— „მულამებში“ სულ უცხოურ კურიოზებს რატომ უჩვენებდი, საქართველოში ვერაფერი დაამულამე?**

— მე აზიატი ვარ და გამიჭირდება კი არა, თითქმის ვერ შევძლებ უცხოური კურიოზების ქართულ სინამდვილეში გადმოტანას და გაგებას. მეუღლესთან ერთად ქუჩაში მიმავალს ვინმე რომ მოგვეპაროს და ცოლს საჯდომზე უჩქმიტოს, რაც არ უნდა სასაცილო გადაცემას აკეთებდეს, დედას ვუტირებ, იმავეს გააკეთებს ნებისმიერი ქართველი მამაკაცი.

**— ზოგჯერ შენი „ვაკაჭი-ნიუსი“ სულაც არ არის ხოლმე სასაცილო.**

— სულ სასაცილო ნომრებს ჩარლი ჩაპლინიც ვერ აკეთებდა. ზოგჯერ ისეთ ხასიათზე ხარ, შეიძლება მართლა სასაცილოზეც კი არ გაგეცინოს. იუმორისტული გადაცემის კეთება იოლი არ გეგონოს, ბეწვის ხიდზე სიარულის ტოლფასია (ეცინება).

**— ორიგინალური ტრანსპორტი, ვირი, როგორ შეარჩიე?**

— გახსოვს კორუმპირებულთა და ყალბი განბაჟების მქონეთა მანქანები რომ დააყადაღეს? მაშინ შევარჩიეთ ვირი ტრანსპორტად — განბაჟება არ სჭირდება და კიდევ ბევრი სხვა სიკეთეც აქვს. თუმცა ვაპირებთ, მალე შევცვალოთ როგორც გადაცემის ქუდი, ისე ქრონომეტრაჟი და ტრანსპორტიც. ვაკაჭიც მარტო აღარ იქნება გადაცემაში. სტუმრებსაც მოვიწვევთ.

**— პოპულარობის საზომად რა გეხმარება?**

— თუნდაც ჩემი პატარა შვილი. იკითხავს, სად არის მამა? სამსახურში, — პასუხობს დედა. ჰოდა, ჩამირთე „ვაკაჭი-ნიუსი“, ამბობს 2 წლის დიმიტრი. 8 წლის ნიკოლოზიც მყავს, ძალიან ვერთობი ხოლმე მათთან. გუშინ, მაგალითად, ომობანა მოვაწყვეთ.

**— რატომ გადაწყვიტე მაინცდამაინც ინგა გრიგოლიას პაროდირება „ვაკაჭი-ნიუსის“ წაყვანისას?**

— ძალიან მიყვარს ინგა. თანაც ვინც რა უნდა თქვას, მისი სტილი პოპულარულია და ყვირის თუ ჩურჩულებს, ფაქტია, რომ აინტრიგებს მაყურებელს. „ვაკაჭი-ნიუსში“ მალე პოლიტიკოსების პაროდირებასაც დავიწყებთ.

***ეკა ლომიძე***

CMYK

## ორშაბათი 31 მაისი

კვირის პალიტრა

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო" 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" (U) 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" 15.15 სერიალი „რვაფეხა-3" 16.25 დოკ. ფილმი „ევროპის ბუნებრივი დიდებულება" 17.00 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო" 17.30 „მუს. არჩევნები" 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „უშიშართა ახალი თავგადასავალი" 18.45 დოკ. სერიალი „გემრიელად მიირთვით ბავშვებო" 19.05 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 20.00 მოამბე 21.00 სერიალი „სოლედადი" 22.00, 23.20 „ღამის მატარებელი" 23.00 მოამბე 00.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე" 00.20 მხ. ფილმი „ფხიზელი ძილი" (15)

19.00 მულტფილმი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" 19.30 სერიალი „ეშმაკუნა" () 21.00 წყვილები და დუეტები 21.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 22.00 მხ. ფილმი „ეარ ამერიკა„ (15)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუცები" 09.40 სერიალი „შურისძიება" 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.15 კურიერი 12.20 „დისკავერი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 დოკ. ფილმი „ბუნება" 16.20 სერიალი „მაშველები„ 17.25 პერეკრიოსტოკი 18.20 „ტელელიპუცები" 18.55 „დისკავერი" 19.45 სერიალი „შურისძიება" 22.00 სერიალი „უკვდავი" 23.00 ღამის კურიერი 23.50 მხ. ფილმი „ცხელი შუადღე". მთ. რ-ში: ალ პაჩინო, ჯონ კაზალე (18).

08.00 კონცერტი 10.00 მხ. ფილმი „ქანდარის შვილები" 1-ლი ს. 12.00 დოკ. ფილმი 13.00 მხ. ფილმი „ქანდარის შვილები" მე-2 ს. 15.00 მულტფილმი 17.30 კონცერტი 18.00 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი „შიშისმომგვრელი ბალები" 22.30 კონცერტი 23.00 მხ. ფილმი „ამაოების ბაზარი„ (15) (ტომ ჰენქსი)

07.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა 07.10, 11.20, 13.15, 17.20, 02.00 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის„ დილა 10.00 დროება 11.30 სპ. პროგრამა „ასი" 12.10 სერიალი „კლონი„ 13.25, 01.40 ტვ-მარკეტი 14.05 თამაში „უდაბნოს სამჭედლოები" 15.15 ეროვნული საკალათბურთო [illegible] 17.00, 18.00, 19.00, 21.25 [illegible] 18.05 სერიალი „ტყუპები" 19.35 სერიალი „კლონი„ 20.30 ქართ. სერიალი „ცხელი ძაღლი-2" 21.30 [illegible] 23.00 [illegible] 23.30 მხ. ფილმი „ასტერიქსი და ობელიქსი – მისია კლეოპატრა" (18)

09.00 დოკ. სერიალი „[illegible]" 10.00 სერიალი „ველური მთვარე" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10, 20.50 მინისერიალი „ნიურნბერგი" 12.10, 21.45 დეტ. სერიალი „პოლიციელთა ამბები" 13.10 მხ. ფილმი „[illegible]" 15.10 სერიალი „მარია ემილია" 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 16.10 სერიალი „20000 ლიე წყლის ქვეშ" 17.10 მულტსერიალი „ყველაზე პატარა ზოომაღაზია" 17.35 მულტსერიალი „არგაი" 18.10 მულტსერიალი „კლიფორდი" 18.35 დოკ. სერიალი „ტაიმსლოტი" 19.00 სერიალი „ველური მთვარე" 22.45 მზერა დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი „[illegible]" (18)

12.00 მხ. ფილმი 15.00 მხ. ფილმი „[illegible]" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.15 მუსიკა 19.20, 21.00 სპექტრი 23.20 „[illegible]"

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო" 03.00 პაუზის გარეშე

10.00 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი „[illegible]" 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „[illegible]" 17.00 მულტფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები" (გან.) 19.30 ანიმ. ფილმი „დარდუბალა" 20.00 მხ. ფილმი „[illegible]" 22.00 სერიალი „მუსკულები" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის „კენო" 22.45 დებატები 202-ზე 00.00 მხ. ფილმი „[illegible]" (15)

09.00, 18.30, 20.00, 22.30, 00.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 [illegible]

07.00 "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.20 Марина Зудина в детективе "ИСПОВЕДЬ СОДЕРЖАНКИ" 11.50 Док. детектив. "Матрешка времени". Дело 2003 г. 12.40 Следствие ведет Колобков 13.20 Теория невероятности. "Загадки времени" 13.50 Кремлевский заговор в детективе "СЕРЫЕ ВОЛКИ" 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.20 "Шутка за шуткой" 19.50 Сериал "КЛОН" 20.50 "Стирка на миллион" 21.00 Жди меня 22.00 Время 22.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 23.40 Премьера. [illegible] 00.40 Искатели. "Илья Муромец" 01.10 "Фабрика звезд" 01.30 "Сканер" 02.00 "Русский экстрим" 02.30 Выход дракона в боевике "КОРРУПЦИОНЕР" 04.10 Триллер "ПРЕДАТЕЛЬСТВО" 06.05 "Китайские монастыри"

## სამშაბათი 1 ივნისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო" 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 ლერერის შოუ 15.20 სერიალი „რვაფეხა-3" 16.25 დოკ. სერიალი 17.00 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო" 17.30 „ამბობენ" (განმ.) 18.00 მომავლის სარკმელი 21.00 სერიალი „სოლედადი" 22.00 სერიალი „ფსიქ-ფაქტორი" 23.20 „მუსიკალური არჩევნები" 00.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე" 00.20 მხ. ფილმი „მარტოსული გმირი„ (15)

19.00 მულტფილმი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" 19.30 სერიალი „ეშმაკუნა"() 21.00 პალიტრა 21.30 ისტორიანი 22.00 მხ. ფილმი „ერთადერთი გამოსავალი„ (15)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუცები" 09.40 სერიალი „შურისძიება" 11.00 სერიალი „უკვდავი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30 კურიერი 12.20 „დისკავერი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი „მაშველები" 18.20 „ტელელიპუცები" 19.10 „დისკავერი" 19.45 სერიალი „შურისძიება" 22.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 23.00 ღამის კურიერი 23.50 მხ. ფილმი „ზღვის მბრძანებელი". მთ. რ-ში: რასელ ქროუ (15).

08.00 დოკ. ფილმი 10.00 კონცერტი 13.00 მხ. ფილმი „ამაოების ბაზარი„ (15) 14.10 დოკ. ფილმი 15.00 მხ. ფილმი „შიშისმომგვრელი ბალები" 17.00 კონცერტი 19.00 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი „დიდი მანევრები" (ჟერარ ფილიპი) 21.00 კონცერტი 22.30 მხ. ფილმი „მოიშორო კარტერი„ (18) (სტალონე)

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა 07.15, 11.20, 13.15, 17.20, 01.45 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის„ დილა 10.10 სერიალი „ტყუპები" 11.05 „იმედითა შენითა" 11.30 სპ. პროგრამა „გოლი" 12.10 სერიალი „კლონი" 13.25, 01.15 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი „ნირო ვულფის საიდუმლოება" 15.15 მხ. ფილმი „ასტერიქსი და ობელიქსი – მისია კლეოპატრა" 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 00.55 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი „პრინცესა ნერის თავგადასავალი" 18.05 სერიალი „ტყუპები" 19.35 სერიალი „კლონი„ 20.30 ქართ. სერიალი „ცხელი ძაღლი-2" 21.30 [illegible] 23.00 [illegible] 23.30 მხ. ფილმი „[illegible]" (U)

09.00 დოკ. სერიალი „[illegible]" 10.00 სერიალი „ველური მთვარე" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10, 20.50 მინისერიალი „ნიურნბერგი" 12.10, 21.45 დეტ. სერიალი „პოლიციელთა ამბები" 13.10 მხ. ფილმი „[illegible]" 15.10 სერიალი „მარია ემილია" 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 16.10 სერიალი „20000 ლიე წყლის ქვეშ" 17.10 მულტსერიალი „ყველაზე პატარა ზოომაღაზია" 17.35 მულტსერიალი „არგაი" 18.10 მულტსერიალი „კლიფორდი" 18.35 დოკ. სერიალი „ტაიმსლოტი" 19.00 სერიალი „ველური მთვარე" 20.50 მინისერიალი „ნიურნბერგი" 22.45 მზერა დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი „[illegible]" (18)

12.00 მხ. ფილმი 13.30 „[illegible]" 14.30 მხ. ფილმი „[illegible]" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.15 მუსიკა 19.20, 21.00 სპექტრი 23.00, 00.30 მუსიკა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 მუსიკა 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო" 03.00 პაუზის გარეშე

10.00 დებატები 202-ზე 11.30 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი „[illegible]" 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „[illegible]" 17.00 მულტფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები" (გან.) 19.30 ანიმ. ფილმი „დარდუბალა" 20.00 მხ. ფილმი „მონღოლები" 22.00 სერიალი „მუსკულები" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის „კენო" 22.45 დებატები 202-ზე 00.00 მხ. ფილმი „[illegible]" (15)

09.00, 18.30, 20.00, 22.30, 00.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 [illegible]

07.00 "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.20, 22.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.30, 19.50 Сериал "КЛОН" 12.40 Дисней-клуб: "Мышиный дом" 13.20 Город женщин 14.20 Олег Басилашвили в фильме "КУРЬЕР" 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.20 "Ералаш" 20.50 "Стирка на миллион" 21.00 Сериал "ДРУГАЯ ЖИЗНЬ". Заключ. серия 22.00 Время 23.40 Премьера. "Зита и Гита. Год спустя". Док. фильм 00.30 Ночное "Время" 00.50 "Фабрика звезд" 01.10 "Подводный мир Андрея Макаревича" 01.40 "На футболе" 02.10 "Гении и злодеи" 02.40 [illegible] "СМЕРТЕЛЬНЫЙ ТВИСТ" 04.20 Софи Лорен в фильме "ОТВАГА"

## ოთხშაბათი 2 ივნისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო" 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 12.00, 15.00, 20.00, 00.40 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 დოკ. სერიალი „ცეკვის ისტორია" 15.20 სერიალი „რვაფეხა-3" 16.20 დოკ. სერიალი 17.00 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო" 17.30 „მუსიკალური არჩევნები" 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „უშიშართა ახალი თავგადასავალი" 18.45 დოკ. სერიალი „გემრიელად მიირთვით ბავშვებო" 19.05 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.00 სერიალი „სოლედადი" 22.00, 23.20 „ღამის მატარებელი" 00.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე" 00.20 მხ. ფილმი „ინსპექტორი ლავარდენი" (15)

19.00 მულტფილმი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" 19.30 სერიალი „ეშმაკუნა"() 21.00 დოკ. ფილმი „მოდი ვიცეკვოთ" 21.20 ჩვენი მისამართია 22.00 მხ. ფილმი „ამაღლება„()

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუცები" 09.40 სერიალი „შურისძიება" 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.45 კურიერი 12.20 „დისკავერი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი „მაშველები" 18.20 „ტელელიპუცები" 18.55 „დისკავერი" 19.45 სერიალი „შურისძიება" 22.00 სერიალი „ნათლია" 23.00 ღამის კურიერი 23.00 მხ. ფილმი „ჟანა დ'არკის ისტორია". მთ. რ-ში: მილა იოვოვიჩი (18).

08.00 მხ. ფილმი „მოიშორო კარტერი„ (18) 10.30 ოპერა 13.00 კონცერტი 14.10 დოკ. ფილმი 15.00 მხ. ფილმი „დიდი მანევრები" 17.00 კონცერტი 19.00 დოკ. ფილმი 21.30 მხ. ფილმი „სადილი 13 კაცზე" (12) (პიტერ უსტინოვი) 22.00 კონცერტი 22.30 მხ. ფილმი „დღის ლამაზმანი" (18) (კატრინ დენევი)

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 ქრონიკა 07.15, 13.15, 16.45, 17.20, 01.50 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის„ დილა 10.10 სერიალი „ტყუპები„ 11.05 „X-კლუზივი„ 12.10 სერიალი „კლონი„ 13.25, 01.20 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი „ნირო ვულფის საიდუმლოება" 15.15 მხ. ფილმი „დეტექტივთა კლუბი დაკარგული პრინცესას ძებნაში" (U) 17.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.05 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი „პრინცესა ნერის თავგადასავალი" 18.05 სერიალი „ტყუპები" 19.35 სერიალი „კლონი„ 20.30 ქართ. სერიალი „ცხელი ძაღლი-2" 21.30 „პირველი ნახევარი" 23.00 არტ-ბულვარი 23.30 მხ. ფილმი „ტანდემი" (U) 01.35 არტ-ბულვარი.

09.00 მზერა დღის ბოლოს 10.00 სერიალი „ველური მთვარე" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10 მინისერიალი „შოკის შემდეგ" 12.10, 21.45 დეტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" 13.10 მხ. ფილმი „სიჩქარე-2„ (U) 15.10 სერიალი „მარია ემილია" 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 16.10 სერიალი „20000 ლიე წყლის ქვეშ" 17.10 მულტსერიალი „ყველაზე პატარა ზოომაღაზია" 17.35 მულტსერიალი „არგაი" 18.10 მულტსერიალი „კლიფორდი" 18.35 დოკ. სერიალი „ტაიმსლოტი" 19.00 სერიალი „ველური მთვარე" 20.50 მინისერიალი „ნიურნბერგი" 22.45 მზერა დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი „დანტეს პიკი" (18) (პირს ბროსნანი)

12.00 მხ. ფილმი 15.00 მხ. ფილმი „გენერალი„ (U) 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.15 მუსიკა 19.20, 21.00 სპექტრი 23.00, 00.30 მუსიკა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 ქართ. მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო" 03.00 პაუზის გარეშე

10.00 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი „მონღოლები" 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „უკან მომავალში-2" (15) 17.00 მულტფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები" (გან.) 19.30 ანიმ. ფილმი „დარდუბალა" 20.00 მხ. ფილმი „სათამაშო" (პიერ რიშარი) (12) 22.00 სერიალი „მუსკულები" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის „კენო" 22.45 დებატები 202-ზე 00.00 მხ. ფილმი „მამაცი გული" (მელ გიბსონი) (15)

09.00, 18.30, 20.00, 22.30, 00.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 კომედია „თეფში„ 11.05, 12.45, 15.00, 16.45 მუსიკა 11.15 მელოდრამა „ვალსი„ 13.00 ისტორიული ფილმი „რევოლუცია„ 15.10 კომედია „ურჩხული„ 16.55 მულტფილმი „ტექს ავერი„ 18.00 მხ. ფილმი „მედალიონი„ 20.30 მხ. ფილმი „გუვერნანტი„ 22.20 მუსიკა 23.00 მელოდრამა „ყველა ნამდვილი გოგონები„ 01.15, 03.20, 05.35 მუსიკა 01.30 მხ. ფილმი „სილვია„ 03.30 მხ. ფილმი „აქ მდინარე მოედინება„

07.00 "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.20, 22.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.30, 19.50 Сериал "КЛОН" 12.40 Дисней-клуб: "Мышиный дом" 13.20 Город женщин 14.10 Лидия Смирнова в фильме "ТРОЕ ВЫШЛИ ИЗ ЛЕСА" 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.20 "Эстрада без парада". Док. фильм к 50-летию Московского гос. театра эстрады 20.50 "Стирка на миллион" 21.00 Алиса Фрейндлих в детективе "ЖЕНСКАЯ ЛОГИКА". 1-я с. 22.00, 00.30 Время 23.40 Тайны века. "Брат императора. Необъявленная казнь" 00.50 Футбол. Матч к 100-летию ФИФА. Сб. России - сб. легионеров 02.20 Военный боевик "ЖЕЛЕЗНЫЙ КРЕСТ"

## ხუთშაბათი 3 ივნისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო" 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 დოკ. სერიალი „ა-კე ბრესონი" 15.15 სერიალი „რვაფეხა-3" 16.20 დოკ. ფილმი 17.00 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო" 17.30 ჯანმრთელობა 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „უშიშართა ახალი თავგადასავალი" 18.45 დოკ. სერიალი „გემრიელად მიირთვით ბავშვებო" 19.05 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.00 სერიალი „სოლედადი" 22.05 სერიალი „ფსიქ-ფაქტორი" 23.20 „მუსიკალური არჩევნები" 23.30 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე" 23.50 მხ. ფილმი „მოცეკვავე მანქანა„ (15)

19.00 მულტფილმი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" 19.30 სერიალი „ეშმაკუნა" () 21.00 „ეგვიპტოლოგიის პიონერები" 21.30 „ჩემი მშვენიერი ლედი" 22.00 მხ. ფილმი „ისასმენისფერი ტაქსი„ (12)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუცები" 09.40 სერიალი „შურისძიება" 11.00 სერიალი „წმინდა ინგლისური მკვლელობები„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.15 კურიერი 12.20 „დისკავერი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი „მაშველები" 18.20 „ტელელიპუცები" 18.55 „დისკავერი" 19.45 სერიალი „შურისძიება" 22.00 სერიალი „ნათლია" 23.00 ღამის კურიერი 23.50 მხ. ფილმი „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან". მთ. რ-ში: მერილინ მონრო (U).

08.00 დოკ. ფილმი 10.30 კონცერტი 13.00 მხ. ფილმი „სადილი 13 კაცზე" (12) 15.00 კონცერტი 17.00 მხ. ფილმი „დღის ლამაზმანი" (18) 19.00 დოკ. ფილმი 20.30 მხ. ფილმი „თვალი" (15) 22.00 კონცერტი 23.00 მხ. ფილმი „სკანდალის გარეშე" (18) (ფაბრი ლუჩინი)

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 07.15, 11.05, 13.15, 17.20, 02.10 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის„ დილა 10.10 სერიალი „ტყუპები„ 11.30 არტ-ბულვარი 12.10 სერიალი „კლონი„ 13.25, 01.40 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი „ნირო ვულფის საიდუმლოება" 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.20 ქრონიკა 15.15 მხ. ფილმი „ტანდემი" (U) 17.25 ანიმაციური ფილმი „პრინცესა ნერის თავგადასავალი" 18.05 სერიალი „ტყუპები„ 19.35 სერიალი „კლონი„ 20.30 ქართ. სერიალი „ცხელი ძაღლი-2" 21.30 საქმე № 23.00 „ესტაფეტა" 23.30 მხ. ფილმი „მთამსვლელი" (სტალონე) (U)

09.00 მზერა დღის ბოლოს 10.00 სერიალი „ველური მთვარე" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10, 20.50 მინისერიალი „ნიურნბერგი" 12.10, 21.45 დეტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" 13.10 მხ. ფილმი „პანამელი თერძი" (U) (პირს ბროსნანი) 15.10 სერიალი „მარია ემილია" 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 16.10 სერიალი „20000 ლიე წყლის ქვეშ" 17.10 მულტსერიალი „ყველაზე პატარა ზოომაღაზია" 17.35 მულტსერიალი „არგაი" 18.10 მულტსერიალი „კლიფორდი" 18.35 დოკ. სერიალი „ტაიმსლოტი" 19.00 სერიალი „ველური მთვარე" 20.50 მინისერიალი „შოკის შემდეგ" 22.45 მზერა დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი „დუმილის აღთქმა" (18) (ჟერარ დეპარდიე)

12.00 მხ. ფილმი 15.00 მხ. ფილმი „გაქცევა„ (U) 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.15 მუსიკა 19.20, 21.00 სპექტრი 23.00, 00.30 მუსიკა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 მუსიკა 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო" 03.00 პაუზის გარეშე

10.00 დებატები 202-ზე 11.30 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი „სათამაშო" (12) 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „უკან მომავალში-3" (15) 17.00 მულტფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები" (გან.) 19.30 ანიმ. ფილმი „დარდუბალა" 20.00 მხ. ფილმი „შიშის ოთახი" (ჯოდი ფოსტერი) (15) 22.00 სერიალი „მუსკულები" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის „კენო" 22.45 ანიმ. ფილმი „დარდუბალა 2" 23.00 დებატები 00.00 მხ. ფილმი „მუმია – 2" (U)

09.00, 18.30, 20.00, 22.30, 00.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 ისტორიული დრამა „იულიუს კეისარი„ 1 ს. 11.00, 12.55, 15.50, 21.40 მუსიკა 11.20 კომედია „მეექვსე ელემენტი„ 13.10 მელოდრამა „ხავერდოვანი საგა„ 14.50 დოკუმენტური ფილმი 16.00 მულტფილმი „ჩიპი და დეილი საშველად მოიჩქარიან„ 17.05 კომედია „გზაჯვარედინები„ 19.00 დრამა „სიზნელეში მოცეკვავე„ 22.00 დოკუმენტური ფილმი 23.00 „ექსკლუზივი„ 00.30 მელოდრამა „პრინცესა ფეტვის მარცვლებზე„ 02.15, 04.00, 05.55 მუსიკა 02.30 თრილერი „შიში იქსი„ 04.20 კომედია „დაუნდობელი ადამიანები„

07.00 "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.20, 22.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.30, 19.50 Сериал "КЛОН" 12.20 Мультсериал "Кошки-мышки" 12.40 Дисней-клуб: "Чип и Дейл спешат на помощь" 13.20 Город женщин 14.20 Приключенческий фильм "КОНТРАБАНДА" 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.20 Просто смех! 20.50 "Стирка на миллион" 21.00 Алиса Фрейндлих в детективе "ЖЕНСКАЯ ЛОГИКА". 2-я с. 22.00, 00.30 Время 23.40 "Человек и закон" 00.50 "Фабрика звезд" 01.10 Ударная сила. "Космические снайперы" 01.40 "Идолы". Принцесса Монако - Грейс Келли 02.10 "Крылья" 02.40 Дастин Хоффман в комедии "ИШТАР" 04.55 Холли Берри в фильме "ПОЧЕМУ ДУРАКИ ВЛЮБЛЯЮТСЯ?"

## პარასკევი 4 ივნისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო" 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 დოკ. ფილმი „პოლკოვნიკ ჯექსონის საოცარი ბედი" 15.15 სერიალი „რვაფეხა-3" 17.00 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო" 17.30 „მუსიკალური არჩევნები" 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „უშიშართა ახალი თავგადასავალი" 18.45 დოკ. სერიალი „გემრიელად მიირთვით ბავშვებო" 19.05 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი „სოლედადი" 22.00, 23.20 „ღამის მატარებელი" 00.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე" 00.20 კონცერტი - ჯაზ-ფესტივალი — „ინკოგნიტო" 01.15 მხ. ფილმი „ოთხთა სიყვარული„ (18)

19.00 მულტფილმი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" 19.30 სერიალი „ეშმაკუნა"() 21.00 გემრიელად მიირთვით ბავშვებო 21.40 აფხაზეთის ტვ. 22.00 მხ. ფილმი „ორნი ქალაქში„ (12)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუცები" 09.40 სერიალი „შურისძიება" 11.00 სერიალი „წმინდა ინგლისური მკვლელობები„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00 კურიერი 12.20 „დისკავერი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი „მაშველები" 18.20 „ტელელიპუცები" 18.55 „დისკავერი" 19.45 სერიალი „შურისძიება" 22.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 23.00 კურიერი 23.50 მხ. ფილმი „ფართოდ დახუჭული თვალები„. მთ. რ-ში: ტომ კრუზი, ნიკოლ კიდმანი (18). 03.15 მხ. ფილმი „ცუდი კომპანია". მთ. რ-ში: ენტონი ჰოპკინსი (18).

08.00 მხ. ფილმი „თვალი" (15) 08.40 დოკ. ფილმი 10.30 კონცერტი 12.00 მულტფილმი 13.30 დოკ. ფილმი 15.00 მხ. ფილმი „სკანდალის გარეშე" (18) 17.00 კონცერტი 19.00 დოკ. ფილმი 20.30 მხ. ფილმი „მარტოსული ვარსკვლავის შტატი" (18) 22.00 კონცერტი 23.00 მხ. ფილმი „წყლის პირას" (18)

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 07.15, 13.15, 17.50, 02.50 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის„ დილა 10.10 სერიალი „ტყუპები„ 11.05 სპ. პროგრამა „ესტაფეტა" 11.30 საქმე № 12.10 სერიალი „კლონი„ 13.15 ანიმ. ფილმი „ტიაპ-ლიაპ მღებავები" 13.25, 02.20 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი „ნირო ვულფის საიდუმლოება" 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.00 ქრონიკა 15.15 მხ. ფილმი „მთამსვლელი" (U) 17.25 ანიმაციური ფილმი „პრინცესა ნერის თავგადასავალი" 18.05 სერიალი „ტყუპები„ 19.35 სერიალი „კლონი„ 20.30 არჩევანი თქვენ 23.00 X - კლუზივი 23.55 მხ. ფილმი „კარგი გოგონა" (ჯ. ანისტონი) (U) 01.30 „NBA"-ს ჟურნალი

09.00 მზერა დღის ბოლოს 10.00 სერიალი „ველური მთვარე" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10, 20.50 მინისერიალი „ნიურნბერგი" 12.10, 21.45 დეტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" 13.10 მხ. ფილმი „შინაგანი სივრცე" (U) (მეგ რაიანი) 15.10 სერიალი „მარია ემილია" 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 16.10 სერიალი „ბარნუმი" 17.10 მულტსერიალი „ყველაზე პატარა ზოომაღაზია" 17.35 მულტსერიალი „არგაი" 18.10 მულტსერიალი „კლიფორდი" 18.35 დოკ. სერიალი „ტაიმსლოტი" 19.00 სერიალი „ველური მთვარე" 22.45 მზერა დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი „მხარეთა აზრით" (18) (ჰარვი კეიტელი)

12.00 მხ. ფილმი 15.00 მხ. ფილმი „ცხელი ზაფხული„ (15) 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.15 მუსიკა 19.20, 21.00 სპექტრი 23.00, 00.30 მუსიკა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.15 სოლო 02.00 „ბრავო" 03.45 პაუზის გარეშე

10.00 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი „შიშის ოთახი" (15) 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „გამოსასყიდი" (მელ გიბსონი) (U) 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები" (გან.) 19.30 ანიმ. ფილმი „დარდუბალა" 20.00 მხ. ფილმი „ფორესტ გამპი" (ტომ ჰენქსი) (15) 22.00 სერიალი „მუსკულები" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის „კენო" 22.45 დებატები 202-ზე 00.00 მხ. ფილმი „რამპის ჩირაღდნები" (ჩარლი ჩაპლინი) (15)

09.00, 18.30, 20.00, 22.30, 00.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 ისტორიული ფილმი „იულიუს კეისარი„ 2 სერია 10.55, 12.45, მუსიკა 11.10 კომედია „დაუნდობელი ადამიანები„ 13.00 ბოევიკი „წყლის პირას„ 14.30 „მზე აქ შემიჩერებია„ 14.40 მელოდრამა „ქორწილი„ 16.25 მულტსერიალი 17.35 ბოევიკი „ტაქსი-2„ 19.00 დოკუმენტური ფილმი 20.30 კომედია „ადამიანი მთვარეზე„ 22.25, 02.05, 05.45 მუსიკა 23.00 დოკუმენტური ფილმი 00.30 დრამა „ყველაფერი დედაჩემის შესახებ„ 02.30 თრილერი „სასონარკვეთის საათები„ 04.10 ვიდეოარტი 04.15 კომედია „შემოდგომის მარათონი„

07.00 "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.20 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.30 Сериал "КЛОН" 12.30 Мультсериал "Кошки-мышки" 12.40 Мультсериал "Принцесса Сиси" 13.20 Город женщин 14.15 Алексей Булдаков в боевике "В ДВУХ ШАГАХ ОТ "РАЯ" 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.20 Док. детектив. "Осколки красного фонаря". Дело 2001 г. 19.50 "Основной инстинкт" 20.50 "Поле чудес" 22.00 Время 22.30 "Фабрика звезд". Финал 23.50 Что? Где? Когда? Финал летних игр 01.10 Киану Ривз в комедии "Я ЛЮБЛЮ ТЕБЯ ДО СМЕРТИ" 03.00 Брендан Фрейзер в комедии "РАЗВЕДЧИК" 05.00 Сериал "ТЕМНЫЙ АНГЕЛ"

## შაბათი 5 ივნისი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე 08.15 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 10.00 დილის პაემანი 11.05 მხიარული კარუსელი 11.35 საქართველო არის ესე 12.15 მხ. ფილმი „სახიფათო პროფესია" (U) 14.00 სერიალი „ძვირფასი მარიანა" 15.20 სერიალი „რვაფეხა-4" 1-ლი ს. 17.00 დოკ. სერიალი „ხმელთაშუა ზღვაში ზვიგენები დათარეშობენ" 18.00 „ვესტნიკი" 18.40 იმღერე რამე 19.15 „ტელეზღაპარი" 19.30 „ისტორიანი" 20.35 ცაიტნოტი 21.50 ფორტუნა 22.30 „საღამოს საუბრები" 23.20 „მუსიკალური არჩევნები" 00.15 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე" 00.35 მხ. ფილმი „ხელი არ ახლო თეთრ ქალს" (15)

19.00 მულტფილმი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" 19.30 სერიალი „ეშმაკუნა"() 21.00 სტუმრად მსახიობთა სტუდიაში 22.00 მხ. ფილმი „მომხიბვლელი თოვლის ქალი„ (12)

08.00 კლასიკა 08.30 მულტსერიალი 09.00, 12.00, 15.00 კურიერი 09.20 მულტფილმი 11.00 ლუისი და კლარკი 12.20 „სიმფსონები" 12.50 მხ. ფილმი 15.20 ველური სამყაროს ამბები 16.10 მხ. ფილმი 17.05 „დისკავერი" 18.00, 01.00 კურიერი 18.20 დოკ. ფილმი „თანამედროვე ტექნოლოგიები" 19.15 სერიალი „სუფთა ინგლისური მკვლელობები" 21.00 კურიერი P.S. 22.00 საოჯახო ტოტო 23.00 „ფსიქო„: მხ. ფილმი „გენერალი". რეჟ. ჯონ ბურმანი. 01.20 მხ. ფილმი „სახლი თურქულ ქუჩაზე". მთ. რ-ში: სამუელ ელ ჯექსონი, მილა იოვოვიჩი (18).

08.00 დოკ. ფილმი 09.50 კონცერტი 11.00 მულტფილმი 13.00 მხ. ფილმი „მარტოსული ვარსკვლავის შტატი" (18) 14.00 დოკ. ფილმი 15.00 მხ. ფილმი „წყლის პირას" (18) 17.00 კონცერტი 19.00 დოკ. ფილმი 20.30 ლიტ. გადაცემა — სილუეტი 22.00 კონცერტი 23.00 მხ. ფილმი „მკვლელობის ცერემონია„ (15) (იზაბელ იუპერი) 00.30 კონცერტი 01.00 მხ.ფილმი „ალვარი პლუს პოლუქსი" (15) (გად ელმალე)

09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ქრონიკა 09.15 სერიალი „ტყუპები„ 10.05 ანიმაც. ფილმი "მითიური მეომრები„ 10.30 დილის ფოსტა 11.00 „იმედითა შენითა" 11.15, 16.50, 05.05 იმედის მელოდიები 12.00 საიმედო ლოტო (პირ. ეთერი) 12.30 სერიალი „უკიდურესი ზღვარი„ 13.10 სერიალი „უკიდურესი ზღვარი„ 13.35 არჩევანი თქვენ 15.15 მხ. ფილმი „კარგი გოგონა" (U) 17.35 დოკ. სერიალი „ყველაზე ექსტრემალური" 18.10 ერთხელ ჰოლივუდში 18.30 დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა" 19.30 „ვაკაჭი-ნიუსი" 20.00 სერიალი „ჟავა და ლუდი" 22.00, 04.40 ქრონიკა 22.30 კლიპ-ლოტო 23.30 მხ. ფილმი „პოლონელი ლამაზმანი" (გ. ბირნი) (15) 02.10 ეროვნული საკალათ. ასოციაცია (პლეიოფი) 04.10 ტვ-მარკეტი

09.00 მულტფილმი „პრინცესა შეჰერაზადა„ 09.30 საბ. სერიალი „საოცარი მითები და ლეგენდები„ 10.00 მულტფილმი „სპირიტი" 11.00 საბ. სერიალი „დინოტოპია„ 12.30 მხ. ფილმი „ბოროტი მანქანა" (U) (ვინი ჯონსი) 14.00, 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 14.30 მხ. ფილმი „ეის ვენტურა" (U) (ჯიმ კერი) 16.30 დოკ. სერიალი „მსოფლიო კულტურის საგანძური" 17.10 ვესტერნი მზეზე „განწირულთა ბილიკით" 18.05 სერიალი „სინატრას მოტაცება" 19.00 სერიალი „ქვეყნის კიდეზე" 20.30 მხ. ფილმი „საუკეთესო დროება" (U) (რობი უილიამსი) 23.00 მხ. ფილმი „მოსამსახურე ქალი„ (18) (ჟან-პიერ ბაკრი)

12.00 მხ. ფილმი 15.00 მხ. ფილმი „გავარვარებული ასფალტი" (U) 17.00 მუსიკა 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 19.20 საბ. გადაცემა „ნაცნობი ადამიანების უცნობი წლები„ 19.40 მუსიკა 21.00 მხ. ფილმი 00.20 მხ. ფილმი „სიყვარულისა და დაშნის ისტორია" (15)

07.30 მუსიკა 10.00 ტოროლა 13.00 ქართული მუსიკა 15.00 ინფორმატორი 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 მუსიკა 23.00 პოპ. ად. ათეული 03.00 „ბრავო„

10.00 დებატები 202-ზე 11.30 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი „ფორესტ გამპი" (15) 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „მისტერ ბინი" (15) 17.00 მუსიკა 18.00 მულტფილმი 20.00 მხ. ფილმი „ტალღის ქიმზე" (კიანუ რივზი) (15) 22.00 მუსიკა 23.00 დებატები 202-ზე 00.00 მხ. ფილმი „კარლიტოს გზა" (ალ პაჩინო) (18)

09.00, 18.30, 20.00, 22.30, 00.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 სათავგადასავლო ფილმი „ბავშვთა სამყარო„ 11.05, 12.35, 14.25, 16.00 მუსიკა 11.15 კომედია „სულელი და სულელზე სულელი„ 12.45 თრილერი „საიდუმლო„ 14.30 კომედია „მამაჩემი, დედაჩემი, ჩემი ძმები და მე„ 16.25 მულტფილმი „ჰერკულესი„ 17.55 „ჭიტა-ჭიტა„ 18.05 სათავგადასავლო ფილმი „ფესალიელი გოლიათი„ 20.30 მხ. ფილმი „ინტაქტო„ 22.20, 01.05, 03.20, 05.30 მუსიკა 23.00 კომედია „მეოთხე ტენორი„ 01.30 მხ. ფილმი „ზღვა„ 03.40 მხ. ფილმი „იდიოტები„

ORT 05 07.00, 11.00, 13.00, 19.00 Новости 07.10 Сериал "Все путешествия команды Кусто". "Тайны Меконга" 07.40 Татьяна Пельтцер в комедии "ТЫ - МНЕ, Я - ТЕБЕ" 09.20 Играй, гармонь любимая! 10.00 Слово пастыря 10.10 Здоровье 11.10 "Смак" 11.30 "Любовные истории". Виктор Бычков 12.00 "Я так думаю!.. Буба Кикабидзе". Фильм из цикла "Интересное кино" 13.10 История с географией. "Братья по крови: Хищники" 14.10 Дог-шоу 15.00 Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда" 15.30 Умницы и умники 16.10 Премьера. "Операция "Оверлорд". Док. фильм 16.50 Летающие обезьяны в прикл. фильме "ПРОЕКТ "Х" 18.50 Золотые годы Микки Мауса. Впервые в России 19.10 "КВН - 2004". Премьер-лига. Третья игра 21.00 "Кто хочет стать миллионером?" 22.00 Время 22.20 "Розыгрыш" 23.40 "Золотой Граммофон" 00.40 Майкл Парэ в боевике "КРАСНЫЙ ЗМЕЙ"

## კვირა 6 ივნისი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე 08.15 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 10.00 დილის პაემანი 10.40 „სტუმრად მსახიობთა სტუდიაში"-მეთ დილონი 11.30 სპა 12.15 მხ. ფილმი „გალია ბოცვრებისთვის" (U) 14.00 სერიალი „ძვირფასი მარიანა" 15.15 სპექტაკლი „დარისპანის გასაჭირი" 17.00 დოკ. ფილმი "მოგზაურობა„ 17.55 „მათი შვილები" 18.40 იმღერე რამე 19.15 ჩვენი მისამართია 20.35 კონცერტი - ბ. კვერნაძე 22.00 ტვ-ლოტო 22.45 „ჩემი მშვენიერი ლედი" 23.05 ამბობენ 23.35 ქართ. ფილმი „ლომა" 00.10 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე" 00.30 მხ. ფილმი „შურისმაძიებლები - თამაში ორისათვის" (12)

19.00 მხიარული კარუსელი 19.30 სერიალი „ეშმაკუნა"() 21.00 მრავალსახეობა 22.00 მხ. ფილმი „რისკით უნდა იცხოვრო" (15).

08.00 კლასიკა 08.30 მულტსერიალი 09.00, 12.00, 15.00 კურიერი 09.20 მულტფილმი 10.50 „გაზეთ 12-მდე„-ს გათამაშება 11.05 ლუისი და კლარკი 12.20 „სიმფსონები" 12.50 მხ. ფილმი 15.20 ველური სამყაროს ამბები 16.10 მხ. ფილმი 18.00, 21.00, 01.20 კურიერი 18.20 სერიალი „განდგომილი" 19.00 მხ. ფილმი „ქარიშხლიანი მაღლობები„. მთ. რ-ში: ჟულიეტ ბინოში, რალფ ფაიანსი (12). 21.45 60 წუთი 22.15 ჩვენი ეზო 23.30 „ჯეოსელის კინოკლუბი" - „დანტეს პიკი„ 877 45-79-25 პირს ბროსნანი, დინდა ჰემილტონი (18), „ქალი და მამაკაცი„ 877 45-79-26 ანუკ ემე, ჟან ლუი ტრენტინიანი (18), „აუტანელი სისასტიკე" 877 45-79-27 ჯორჯ კლუნი, კეტრინ ზეტა-ჯონსი (12). 01.40 მხ. ფილმი „ადამიანი რომელიც არ არსებობდა". მთ. რ-ში: ბილი ბობ ტორნტონი, ფრენსის მაკდორმანდი (18).

08.00 კონცერტი 09.00 მხ. ფილმი „მკვლელობის ცერემონია„ (15) 10.00 დოკ. ფილმი 11.00 მულტფილმი 13.00 მხ.ფილმი „ალვარი პლუს პოლუქსი" (15) 15.00 დოკ. ფილმი 17.00 ოპერა 20.00 მხ. ფილმი „ფანტაზიის დასასრული„ 21.30 კონცერტი 22.30 მხ. ფილმი „ჰარი-ანგელოზის გული„ (18) (მიკი რურკი) 00.00 კონცერტი

09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 03.30 ქრონიკა 09.10, 12.40, 01.20, 04.20 იმედის მელოდიები 09.30 ტვ-მარკეტი 10.05 ანიმაც. ფილმი "მითიური მეომრები„ 10.30 „დილის ფოსტა" 11.00 მხ. ფილმი „პოლონელი ლამაზმანი" (15) 13.15 სერიალი „უკიდურესი ზღვარი„ 13.40 „უდაბნოს სამჭედლოები" 14.30 „პირველი ნახევარი" 15.15 „რეტროსკოპი„-„ეშმაკისეული სილამაზე„ (რეჟ. რენე კლერი) (U) 17.05 დოკ. სერიალი „ყველაზე ექსტრემალური" 18.00 სპ. პროგრამა „ასი" 18.30 დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა" 19.30 ლარის მახე 20.00 სერიალი „გაუხსნელ საქმეთა განყოფილება" 22.00 დროება 23.30 მხ. ფილმი „კარგი ქუდი„ (ნ. ნოლტი, ნ. კუხიანიძე) (18) 01.30 ეროვნ. საკალათბურთო ასოციაცია -პლეიოფი. 03.50 ტვ-მარკეტი

09.00 მულტფილმი „პრინცესა შეჰერაზადა„ 09.30 საბ. სერიალი „საოცარი მითები და ლეგენდები„ 10.00 მულტფილმი „მაშველები" 11.00 საბ. სერიალი „დინოტოპია„ 12.00 ფეხბურთი მზეზე 12.30 მხ. ფილმი „მშობლებთან შეხვედრა" (U) (დე ნირო) 14.00, 17.00, 20.50 საინფ. გამოშვება „მზერა" 14.30 მხ. ფილმი „ეის ვენტურა: როცა ბუნება გიხმობს" (U) (ჯიმ კერი) 16.30 დოკ. სერიალი „მსოფლიო კულტურის საგანძური" 17.10 ვესტერნი მზეზე „განწირულთა ბილიკით" 18.05 სერიალი „სინატრას მოტაცება" 19.00 სერიალი „ქვეყნის კიდეზე" 20.30 მხ. ფილმი „გახდე ჯონ მალკოვიჩი" (U) (ჯონ კიუსაკი) 23.00 მხ. ფილმი „სიმართლე ჩარლის შესახებ" (15) (მარკ უოლბერგი).

12.00 გადაცემა „შამარერა" 12.30მხ. ფილმი „ჯალათები"14.00საბ. გადაცემა „ნაცნობი ადამიანების უცნობი წლები„ 15.30 მხ. ფილმი 17.00 მუსიკა 19.00 ინდ. მხ. ფილმი "ტურის კვალი„ (U) 22.00 „ჯაზ-პარნასი" 22.30 მხ. ფილმი.

07.30 მუსიკა 10.00 ტოროლა 13.00 ქართული მუსიკა 15.00 ინფორმატორი 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 პროფათეული 22.35 მუსიკა 23.15 სოლო 03.00 „ბრავო„

10.00 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი „ტალღის ქიმზე" (15) 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „პიკის საათი-2" (15) 17.00 მუსიკა 18.00 მულტფილმი 20.00 მხ. ფილმი „შიშველი მახა" (პენელოპე კრუსი) (15) 22.00 მუსიკა 23.00 დებატები 202-ზე 00.00 მხ. ფილმი „დედოფალი მარგო" (იზაბელ აჯანი) (18)

09.00, 18.30, 20.00, 22.30, 00.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 სათავგადასავლო ფილმი „შერლოკ ბონდი„ 10.45, 12.35, 14,45, 16.20 მუსიკა 11.00 კომედია „მაფიაზე დაქორწინებული„ 12.50 მხ. ფილმი „ტალღის ქიმზე„ 14.50 თრილერი „შავი არწივი„ 16.30 მულტფილმი „ახალი ბრემენელები„ 17.25 ფილმი-კატასტროფა „კასანდრის ულელტეხილი„ 20.30 მხ. ფილმი „გაანალიზე ეს„ 22.05 დოკუმენტური ფილმი 23.00 კომედია „ქაღალდის ჯარისკაცები„ 00.55, 03.00, 05.30 მუსიკა 01.05 დრამა „რომეო და ჯულიეტა„ 03.30 მხ. ფილმი „ფერფლი„

ORT 06 07.00, 11.00, 13.00 Новости 07.10 "Ералаш" 07.20 Мелодрама "БЛАГОРОДНЫЙ РАЗБОЙНИК ВЛАДИМИР ДУБРОВСКИЙ" 09.20 Армейский магазин 09.50 Дисней-клуб: "Тимон и Пумба" 10.10 "В мире животных" 11.10 "Непутевые заметки" 11.30 Пока все дома 12.00 К 100-летию Татьяны Пельтцер. "Жила-была бабка..." 12.30 "Угадай мелодию" 13.10 Дэнни Де Вито в комедии "СОБАЧЬЕ ДЕЛО" 15.00 Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда" 15.20 "Путешествия натуралиста" 15.50 "Дачники" 16.50 "Спасатели". "Экстренный вызов" 17.20 Воскресный "Ералаш" 17.50 Живая природа. "Операция "Жук", "Речной охотник" 19.00 Времена 20.00 Арнольд Шварценеггер в боевике "ХИЩНИК" 22.00 Время 22.45 Чоу Юн-Фат в боевике "КРАДУЩИЙСЯ ТИГР, ЗАТАИВШИЙСЯ ДРАКОН" 00.00 Бокс. Оскар Де Ла Хойа - Феликс Штурм

*ინფორმაცია მოგვაწოდა შპს „ინფოზავრმა"*

# მედიცინა



## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**ხახაში აღმომაჩნდა სტრეპტოკოკები. ძალიან გთხოვთ, განმიმარტოთ, რა საშიშროებას იწვევს იგი და რა ორგანოებზე მოქმედებს.**

***ერთგული მკითხველი შ.ქ. 19 წლის***

სტრეპტოკოკები ბაქტერიებია, რომლებიც ხშირად ხდება ხოლმე ცხვირ-ხახის ქრონიკული ანთების მიზეზი. ხოლო პროცესის გენერალიზების შემთხვევაში შესაძლოა განვითარდეს სახსრების ანთება და აგრეთვე გულის შიგნითა შრის — ენდოკარდიუმის ანთება, რაც გულის სარქვლების დაზიანებით და მანკის ჩამოყალიბებით შეიძლება დამთავრდეს. ამიტომ გირჩევთ, ნუ დატოვებთ უყურადღებოდ გამოკვლევის შედეგებს, მიმართეთ ექიმს, რომელიც სათანადო მკურნალობას დაგინიშნავთ.

**ვარ 52 წლის ქალი. სისხლში მომატებული მაქვს აზოტი. რისი ბრალი შეიძლება იყოს ეს და რა უნდა მივიღო?**

***მაყვალა, ლ. თელავი***

სისხლში აზოტი მაშინ იმატებს, როცა მომატებულია ცილოვანი ცვლის აზოტოვანი პროდუქტების (შარდოვანას, შარდმჟავას, კრეატინინის, ინდიკანის) რაოდენობა. ეს თირკმლების ღრმა პათოლოგიების ან გულ-სისხლძარღვთა უკმარისობის დროს ხდება. მიზეზი შეიძლება ქსოვილთა ცილების გაძლიერებული დაშლაც იყოს. ეს საკმაოდ სერიოზული მდგომარეობაა ორგანიზმისთვის და თვითმკურნალობას არამც და არამც არ გირჩევთ. ნუ დაკარგავთ დროს და სპეციალისტს ეწვიეთ.

**რასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული გამელოტების უბნების წარმოქმნა ახალგაზრდა ასაკში და ვის უნდა მივმართო სამკურნალოდ?**

***ა.ა.***

კეროვანი გამელოტება ქრონიკულად და დუნედ მიმდინარე პროცესია და მკურნალობასაც ძნელად ემორჩილება. არის შემთხვევები, ასეთი დაზიანება ნერვული გადაძაბვის, სტრესის ან შოკის შედეგად ვითარდება. ხშირად კეროვანი გამელოტება ადგილობრივ (მაგალითად სოკოვან) ინფექციას უკავშირდება. ცალკეულ შემთხვევებში, კერძოდ, ბავშვობასა და ჭაბუკობის ასაკში, ბუდობრივი გამელოტება შეიძლება თანდაყოლილი სიფილისის გამოვლინება იყოს. ძალზე იშვიათია ავთვისებიანი ალოპეცია (თმის ცვენა).

მიზეზის დასადგენად და სამკურალოდ უნდა მიმართოთ დერმატოლოგს (კანის ექიმს). ამასთანავე, ისიც უნდა გითხრათ, რომ რაც უფრო ადრე მიმართავთ ექიმს, მით უფრო შედეგიანი იქნება მკურნალობა.

**მყავს 18 წლის ვაჟი. პატარაობიდანვე ძილში ბოდვა დასჩემდა. თუმცა — არა ყოველთვის. რისი ბრალი შეიძლება იყოს ეს?**

***მ. მგელაძე, თბილისი***

როგორც ჩანს, თქვენს ვაჟს ლაბილური ნერვული სისტემა აქვს. ალბათ იგი დღისითაც საკმაოდ ემოციურია. გირჩევთ, მიმართოთ ნევროლოგს, რადგან ნერვულმა აგზნებადობამ შეიძლება უამრავ პრობლემას დაუდოს სათავე.

**ვარ 20 წლის, გასათხოვარი. 3 წელია მაქვს არანორმალური ტემპერატურა —37$^0$, ზოგჯერ მეტიც (დროდადრო 39$^0$-საც აღწევს). სიცხის მატებისას არაფერი მაწუხებს, მხოლოდ თავი მტკივა. მაღალი ტემპერატურა რამდენიმე საათში თავისთავად იკლებს. ჩავიტარე გამოკვლევები, მაგრამ მიზეზი ვერ დამიდგინეს. გთხოვთ მირჩიოთ, როგორ მოვიქცე.**

***პატივისცემით ფატი სხულუხია***

იშვიათად, მაგრამ მაინც არის შემთხვევები, როდესაც ორგანიზმში ვითარდება გაურკვეველი წარმოშობის ჰიპერთერმია (ტემპერატურის მატება), რაც ამა თუ იმ მიზეზით ნივთიერებათა ცვლის გააქტიურებას უკავშირდება. მაგრამ ასეთი ჰიპერთერმიისას ტემპერატურა ზომიერად (37,5$^0$-მდე) იმატებს ხოლმე. შეუძლებელია, ორგანიზმის ტემპერატურა 39$^0$ იყოს და ამას რაიმე პათოლოგიური პროცესი არ ედოს საფუძვლად. თქვენი მონათხრობი ბადებს ეჭვს, რომ დიაგნოსტირება სრულყოფილად არ ჩატარებულა. გირჩევთ, განაგრძოთ სამედიცინო კვლევა, ვიდრე ტემპერატურის მატების მიზეზს არ დაადგენთ. ამისთვის მაღალი კვალიფიკაციის მქონე გამოცდილ ექიმს უნდა მიმართოთ.

## კარაბადინი

**მქონდა პროსტატიტი. შემომთავაზეს ოპერაციის გაკეთება, მაგრამ უარი ვთქვი. დაავადებას თავი დავაღწიე ჩვეულებრივი ვერხვის წყალობით. ყველა მამაკაცს ვურჩევ, გამოიყენოს ჩემი რეცეპტი. გაზაფხულზე, როცა ხეში წვენი ინტენსიურად მოძრაობს, ახალგაზრდა ვერხვის ხეს მოაცილეთ ქერქი, გამოაშრეთ ჰაერღუმელში ან ქურაზე 40-50$^0$-ზე, დააქუცმაცეთ. აიღეთ 200გ, ჩაყარეთ 2-ლიტრიან ქილაში, დაასხით 700 გ არაყი და დადგით ბნელ ადგილას 21 დღის განმავლობაში. როცა ნაყენი მზად იქნება, მიიღეთ იგი 3-4 თვის განმავლობაში შეუსვენებლად, 25-30 წვეთი 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 30 წუთით ადრე. შემდეგ შეისვენეთ 1 თვე, ამ პერიოდში მოამზადეთ ახალი ნაყენი და განაგრძეთ მკურნალობა. განსაკურნებლად 3-4 ასეთი კურსი დაგჭირდებათ.**

**ამ ნაყენის ნაცვლად შეგიძლიათ მოამზადოთ ვერხვის კვირტების ნაყენი, ისინი ადრეულ გაზაფხულზე უნდა მოაგროვოთ, გააშროთ. შემდეგ 3 სუფრის კოვზ კვირტებს, დაასხათ 0,5 ლ არაყი, დააყოვნოთ 2 კვირა. ნაყენი უნდა მიიღოთ თითო საჩაროზე კოვზით 3-ჯერ დღეში ჭამამდე.**

***გოდერძი ვ. თბილისი***

**ექიმის კომენტარი:** ძველ ქართულ სამედიცინო წერილობით წყაროებში მოხსენიებულია ვერხვის ფოთოლი და ნაყოფი. ვერხვის ფოთოლს თავის ტკივილის სამკურნალოდ ხმარობდნენ, ხოლო ნაყოფი თმის ცვენის საწინააღმდეგო წამლების შემადგენლობაში შედიოდა.

ვერხვის ფოთლები შეიცავს A და C ვიტამინებს, ხოლო ქერქში შედის მთრიმლავი ნივთიერებები. თუმცა, ფიტოთერაპიაში ეს მცენარე ფართოდ არ გამოიყენება.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

## მკითხველი — მკითხველს

**გამწარებული ვარ გენეტიკური ჰერპესით. მკურნალობა მხოლოდ ერთი კვირით მშველის. ვიმკურნალე იმუნიტეტზე, მაგრამ უშედეგოდ. იქნებ ვინმემ იცოდეს რაიმე ხალხური მეთოდი და მირჩიოთ რამე. ველი მკითხველის გამოხმაურებას. წინასწარ მადლობას გიხდით გულისხმიერებისთვის.**

***მკითხველი***

**მაწუხებს სისუსტე, მოთენთილობა, განსაკუთრებით შუადღის საათებში. მივიღე ვიტამინები, სისხლის ანალიზი ნორმალური მაქვს. ვერიდები ქიმიურ წამლებს. იქნებ მირჩიოს ვინმემ მცენარეული რეცეპტი სისუსტის სამკურნალოდ.**

***თინა მეტრეველი, თქვენი ერთგული მკითხველი***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც ჰპოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## კეთილშობილი ოხრახუში



ამ არომატული მცენარის ღირსებაა არა მარტო ის, რომ მისი ყველა ნაწილი (ფესვი, ღერო, ფოთოლი) სამკურნალოდ გამოიყენება და რომ მდიდარია ვიტამინებით, არამედ ის შეიცავს კაროტინს, ფოლიუმჟავას, ნახშირწყლებს, პექტონურ ნივთიერებებს, ფლავონოიდებს, ფიტონციდებს და რაც მთავარია, კალიუმის რაოდენობით პირველ ადგილზეა ყველა ბოსტნეულს შორის.

*თირკმლების, ნაწლავების დაავადებათა და შარდის გამოყოფისთვის* — 800 გ დაჭრილი ოხრახუში მოათავსეთ მომინანქრებულ ქვაბში, დაასხით არაპასტერიზებული რძე, ადუღეთ მანამ, სანამ რძე 2-ჯერ არ შემცირდება, გაწურეთ და მიიღეთ 1-2 ს/კ საათში ერთხელ.

*კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებებისა და მეტეორიზმის დროს*: 20 გ ოხრახუშის თესლს დაასხით 200გ ცივი წყალი და 30 წუთი ადუღეთ ნელ ცეცხლზე, გააგრილეთ, გაწურეთ და მიიღეთ 1 ს/კ 3-ჯერ დღეში.

*თირკმელზედა და ფარისებრი ჯირკვლებისა და გულ-სისხლძარღვების დაავადების დროს* — მიიღეთ 1 ს/კ 3-ჯერ დღეში.

*მხედველობას აუმჯობესებს* — 1 ს/კ დაჭრილ ოხრახუშს დაასხით 200გ ცხელი წყალი, ადუღეთ 30-40 წუთი, გააცივეთ, გაწურეთ, დაუმატეთ იმდენი ცხელი წყალი, რომ ისევ 200გ გახდეს. მიიღეთ 2 ს/კ ნახარში 3-4-ჯერ დღეში, ჭამამდე.

*გახსოვდეთ!* ოხრახუშის წვენი ყველაზე ძლიერმომქმედია, ამიტომ არასოდეს დალიოთ 2-3 ს/კ მეტი სუფთა, გაუზავებელი წვენი, აუცილებლად შეურიეთ სტაფილოს, სალათის, ისპანახის ან ნიახურის წვენს.

ასევე არასასურველია ფეხმძიმეებისთვის ოხრახუშის წვენის ზომაზე მეტი მიღება. მისი მიღება უნდა შეიზღუდოს აგრეთვე თირკმლების დაავადების გამწვავებისას.

***ლიზა №19***

## ყურძნის თერაპია



საფრანგეთი არის დღეისათვის ძალიან მოდური ყურძნის თერაპიის ცენტრი. რამდენიმე წლის წინ ფრანგმა მეცნიერებმა ყურძნის წიპწაში აღმოაჩინეს პოლიფენოლები — აქტიური ნივთიერება, რომელიც აკავშირებს ერთმანეთს თავისუფალ რადიკალებს, ეს კი მნიშვნელოვნად ანელებს დაბერების პროცესს. გარდა ამისა, ყურძენი უხვად შეიცავს ვიტამინებს, მინერალურ მარილებსა და მიკროელემენტებს: ფოსფორს, კალიუმს, მანგანუმს, რკინას, მაგნიუმს, თუთიას, სპილენძს.

ყურძნის თერაპია შესანიშნავად მოქმედებს არა მარტო გარეგნობაზე, არამედ ჯანმრთელობაზეც: ხელს უწყობს დეზინტოქსიკაციას და ორგანიზმიდან ორგანული მჟავების გამოდევნას, რომელიც არის იმ ადამიანების ტკივილის წყარო, ვინც დაავადებულია რევმატიზმითა და ართრიტით, აგრეთვე აუმჯობესებს კუჭ-ნაწლავის მუშაობას, აღადგენს მინერალურ ბალანსს, ზრდის ორგანიზმის წინააღმდეგობას, ამაგრებს ნერვულ სისტემას და მხედველობას.

***ჯენტე***

## დავიწყებული ხალხური რეცეპტები

**გრიპის დროს**: დილით მიირთვით რძიანი კაკაო და ბუტერბროდი: კარაქწასმულ პურზე დააწყეთ წვრილად დაჭრილი ნიორი და ყველი.

**ყაბზობის დროს**: დილით უზმოზე დალიეს 1/2 ჩ/ჭ ცივი, უგაზო წყალი და იმავე რაოდენობის ნებისმიერი ბიოკეფირი. დაახლოებით ნახევარ საათში, ყველაფერი „მოგვარდება“.

**ხველების დროს:** 15გ ანისულის თესლს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, წამოადუღეთ და მიიღეთ ნაყენი 3-4-ჯერ დღეში, ჭამამდე.

**ორგანიზმს წმენდს წიდებისაგან:** 2-3 თვის განმავლობაში ყოველდღე თითო ცალი შავი ბოლოკი გარეცხეთ, გაფხიკეთ კანი (არ გათალოთ!), გაწურეთ წვენსაწურში და მიიღეთ 1 ს/კ 3-ჯერ დღეში.

**რადიკულიტის, ოსტეოქონდროზის და წელზე ნევრალგიური ტკივილების დროს** რეკომენდებულია შემდეგი საშუალებები: დააქუცმაცეთ მჟაუნას ფესვები, 1 ს/კ მცენარეს დაასხით 1,5 ჭ წყალი, ადუღეთ 15 წუთი და გააჩერეთ 1 დღე-ღამე. აურიეთ და დაიზილეთ მტკივანი ადგილები. შეგიძლიათ აიღოთ 2 ს/კ დაქუცმაცებული იასამნის ფოთლები, 300 გ ბოლოკის წვენი, 200 გ თაფლი და 100გ არაყი. აურიეთ, გააჩერეთ 1 დღე და ღამე და გამოიყენეთ დასაზელად.

## სუფთა კუჭ-ნაწლავი ჯანმრთელობის საფუძველია



ერთხელ ჰიპოკრატეს ჰკითხეს: ადამიანის შინაგანი ორგანოებიდან რომელია უფრო მნიშვნელოვანიო და უმალ უპასუხა: კუჭ-ნაწლავი თუ წესრიგშია, ადამიანს შეუძლია თავი ჯანმრთელად მიიჩნიოსო.

სწორი ნაწლავის დაბინძურება კუჭ-ნაწლავის მოშლილობის, კანის დაავადების, ალერგიების, ანემიების, შაკიკის და სხვა დაავადებების პირველი მიზეზია. სწორი ნაწლავის დაბინძურებას იწვევს არასწორი კვება, მჯდომარე ცხოვრების წესი, სტრესები და ა.შ.

ორმოცი წლის ადამიანებმა, განსაკუთრებით მათ, ვისაც აწუხებს კოლიტი, უნდა დაიწყონ კუჭ-ნაწლავის რეგულარული გაწმენდა.

სპეციალისტების აზრით, ყველაზე ხელსაყრელი საშუალებაა გამწმენდი ოყნა 1-2 ლ მოცულობით. 1 ლ ანადუღარ წყალში ჩააწურეთ 1 ლიმონის წვენი (ან ვაშლის ძმრის სუსტი ხსნარი, ან მანგანუმის ბაცი ხსნარი), შეიძლება გამოიყენოთ გამხმარი გვირილას ან ქრისტესისხლას ნახარში: 2-2 ს/კ დაფხვნილ ბალახს დაასხით 1 ლ წყალი, მოხარშეთ, გააჩერეთ 20 წუთი. თბილი ჩაასხით ოყნაში, ჯერ ნახევარი ლიტრი, თანდათან მოუმატეთ მოცულობა, იმის მიხედვით, როგორ წავა გაწმენდა.

ოყნების ოპტიმალური რაოდენობა 7-10 დღის განმავლობაში დღეში ერთხელ. მერე უნდა შეისვენოთ, რათა აღდგეს ნაწლავების მიკროფლორა.

მკურნალობის კურსის შედეგი უნდა განვსაზღვროთ წონის დაკლებით და გუნებაგანწყობილების საგრძნობი გაუმჯობესებით. მსხვილი ნაწლავის გაწმენდა შეიძლება სამკურნალო სასმლითაც: 5 ს/კ ფიჭვის წიწვს, 1 ს/კ ასკილს და ხახვის ფურცელს, დაასხით 1 ლ ცივი წყალი, ადუღეთ 5 წუთი, გააჩერეთ 8 სთ. მიღებული სითხეს დაუმატეთ 1 ლ ადუღებული წყალი და დალიეთ 1 ჭ 3-ჯერ დღეში ერთი თვის მანძილზე.

***ოტდოხნი! №19***

# რატომ ვჭაღარავდებით?

ზოგიერთ ადამიანს გაჭაღარავება ადრეულ ასაკში ეწყება. ეს პროცესი გენეტიკურია. გაჭაღარავების ძირითადი მიზეზი მემკვიდრეობითი დაავადებებია... თმა არ შეიძლება გათეთრდეს ერთ დღეში, არც რამდენიმე კვირაში სტრესის გამო, როგორც ამას რომანებში წერენ. ჭაღარის მომატებას იწვევს მღებავი პიგმენტების გამომუშავების შეფერხება.

ზოგჯერ გაჭაღარავება შეიძლება შევაჩეროთ ორგანიზმში მიკროელემენტების დონის ამაღლებით, რა თქმა უნდა, სპეციალისტების ხელმძღვანელობით. მაგრამ, სამწუხაროდ, თუ პროცესი ღრმადაა წასული, მას ველარ შეაჩერებთ.

ძველი რომაელები თმის საღებავს ამზადებდნენ წურბლებისაგან! მას სამოცდაათი დღე ამწნილებდნენ ღვინითა და ძმრით სავსე თიხის ჭურჭელში.

დაბოლოს, მათ, ვინც ძალიან განიცდის გაჭაღარავებას, სწავლულები აიმედებენ: აღმოჩენილია გენი, რომელიც პასუხობს თმის ფერს, სულ მალე ისინი შეისწავლიან ამ გენზე მოქმედებას და სამუდამოდ დაგვიცავენ ჭაღარისაგან.

***მეგაპოლის-ექსპრესი №16***


**გაიზომეთ სისხლში შაქრის შემცველობა ბინიდან გაუსვლელად**

შეიძინეთ!!! 95 ლარად

- აპარატები
- ტესტ-ჩხირები
- ერთჯერადი ნემსები
- ავტომატური სარხვლეტი
- კარდიოლოგიური ფონეიდოსკოპი

შპს „კონტრასტი“
ბორჯომის ქ. 4
☎35-44-05; 34-74-03;
899-19-60-55

**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**
- ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

მის: გამსახურდიას (პეკინი) №10
პოლიკლინიკა, კაბ. №7, 10-13სთ-მდე
☎ 8(93) 31 42 35

**რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, სქოლიოზი, კიფოზი, მეწალისებური და ქათმისებური გულმკერდი, სიმაღლეში ზრდა, წონაში დაკლება**



**მრავალი წლის განმავლობაში ამ დაავადებებს დიდი წარმატებით მკურნალობს ცნობილი მანუალური თერაპევტი, ექიმი სოსო ფირცხალაიშვილი, საზღვარგარეთ დამუშავებული კომბინირებული მეთოდებით.**

მობრძანდით 11სთ-დან 20 სთ-მდე
მარჯანიშვილის მოედანი, აღმაშენებლის 90/84 სად, სართ. ტელ: 95-47-67;
899-26-51-08 75-06-14 (საღამოს)





**სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"**

სექსოპათოლოგიის კლინიკა
ტელ.: 32 21 21

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:

*პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.*

თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11


**იქნებ მოგვაწოდოთ დაწვრილებითი ცნობები, რა არის სკოლიოზი და რა იწვევს ხერხემლის გამრუდებას?**

*კ. კვაჭაძე*

# სკოლიოზი

ახალშობილის ხერხემალი რკალივით მოხრილია და უკანაა გამოდრეკილი. შემდეგ პატარას მოძრაობა იხვეწება (ჯერ თავს იჭერს, შემდეგ ჯდება, იწყებს სიარულს). ამასთან ერთვის ხერხემლის ფორმის ცვლილებები.

— მე-3-4 თვეზე წარმოიქმნება ხერხემლის პირველი ნადრეკი კისრის განყოფილებაში.

— მე-10-11 თვეებზე იცვლება ხერხემლის ფორმა წელისა და გულმკერდის არეებში.

— 7 წლის ასაკში კი ხერხემალი საბოლოო ფორმას იღებს. აღინიშნება ნადრეკები კისრის, გულმკერდისა და წელის მიდამოებში.

ტანადობის პათოლოგიური ცვლილება, ანუ, როგორც მას ხალხში უწოდებენ „ხერხემლის გამრუდება“ თანამედროვე ორთოპედიის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. იგი ბავშვს ზრდის პროცესში უყალიბდება, რომლის განვითარებაში რამდენიმე ფაქტორს გამოყოფენ. ესენია:

— ხერხემლის თანდაყოლილი თავისებურებანი. ხერხემლის გამრუდება უმეტესად ბიჭებში 10-16 წლის ასაკში ვითარდება. უმრავლეს შემთხვევაში კიფოზი შეუღლებულია სკოლიოზთან.

— გაძლიერებული დატვირთვა ხერხემალზე, მძიმე საგნების აწევა. ამ დროს სხეულის ერთი ნაწილის კუნთები მაქსიმალურადაა დაჭიმული, ხოლო მეორე ნაწილისა — შეკუმშული (ჰიპერტონუსი). არათანაბარზომიერად დაჭიმულ კუნთებს ხერხემალი „მწყობრიდან გამოჰყავს“, რაც დროთა განმავლობაში მის გამრუდებას იწვევს.

— ხშირი ტრამვა ზურგის (ხერხემლის) არეში. დაზიანებული და ჯანმრთელი უბანი არათანაბარი დატვირთვით მუშაობს, რაც ხერხემლის დეფორმაციას უწყობს ხელს.

— დაბალი ფიზიკური აქტივობა. ბავშვები დროის უმეტეს ნაწილს კომპიუტერთან, ტელევიზორთან ან სამეცადინო მაგიდასთან ატარებენ. ამასთან, რაც უფრო იწვრთნება გონება, მით უფრო ზარმაცდება კუნთები. სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ სასკოლო ასაკის ბავშვთა უმრავლესობას რუყვენილური (საბავშვო) კიფოზი აღენიშნება.

ხშირად პრობლემის მოძიებას კიდევ უფრო შორს მივყავართ. ზოგიერთ ბავშვს საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის (ძვალ-კუნთოვანი სისტემის) პათოლოგიური ცვლილებანი სკოლამდე, ადრეულ ასაკში ახსენებს თავს. მათი თავიდან აცილება მხოლოდ მუდმივი კონტროლითა და დაკვირვებითაა შესაძლებელი. ქვემოთ ჩამოთვლილია სიმპტომები, რომელიც ხერხემლის გამრუდებაზე მიგვანიშნებს. თუკი, თქვენს პატარას შენიშნეთ ერთი ან რამდენიმე ამ სიმპტომთაგანი, სავარაუდოა, მომავალში მას სკოლიოზი განუვითარდეს. ესენია:



— ბავშვი მუდმივად დაჭიმულია და წინააღმდეგობას გიწევთ, ტირის მუცლიდან ზურგზე (ან პირიქით) გადაბრუნებისას.

— ძილის დროს თავი ერთსა და იმავე გვერდზე აქვს მიბრუნებული.

— ნაოჭები სხეულზე და ფეხებზე ასიმეტრიულია.

— დღისით ბავშვი მოდუნებულია, ხოლო ღამით მოუსვენარი ხდება და ცუდად სძინავს.

— ძუძუთი კვების დროს მხოლოდ ერთ ძუძუს ეტანება.

— ზურგიდან მუცელზე (ან პირიქით) მხოლოდ ერთი გვერდიდან ბრუნდება.

— ფორთხვის დროს თეძოებს მაღლა სწევს.

— სიარულს ყოველთვის ერთი და იმავე ფეხიდან იწყებს.

*როგორ გავასწოროთ მოხრილი ხერხემალი:* მკურნალობის თანამედროვე მეთოდები, პირველ რიგში, კუნთოვანი აპარატის გამაგრებას გულისხმობს, რაც თავისებურ „კუნთოვან კორსეტს“ უქმნის ხერხემალს. ამის მიღწევა კი შესაძლებელია: სამკურნალო ფიზკულტურით, მასაჟით და ფიზიოთერაპიით. მკურნალობის ტაქტიკის (კომპლექსის) შერჩევა, აგრეთვე საჭიროებისამებრ, საკორექციო კორსეტის მორგება სპეციალისტის — ორთოპედის მითითებით უნდა მოხდეს.

ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე მარტივი ვარჯიში, რომელიც ყველა ბავშვს შეუძლია შეასრულოს ბინის პირობებში მშობლის მეთვალყურეობით:

**1.** დააწვინეთ ბავშვი ხალიჩაზე გულაღმა, მოხრილი მუხლებით. შეეცადეთ თავზე, მხრებზე ან ტერფებზე დაყრდნობით ასწიოს ტანი ისე, რომ სხეულმა ხიდის ფორმა მიიღოს. შემდეგ ისევ დაეშვას ხალიჩაზე;

**2.** დასვით ბავშვი იატაკზე (ხალიჩაზე), მან ფეხები სწორად უნდა მოათავსოს, ხელის მტევნები მხრებზე დაიწყოს და ხელებით შეასრულოს ბრუნვითი მოძრაობები უკან, საათის ისრის საპირისპირო მიმართულებით;

**3.** დააყენეთ ბავშვი ოთხზე. შეეცადეთ მან ფეხები მონაცვლეობით, ენერგიულად გასწიოს განზე და ზემოთ. ამასთან, ასწიოს თავი და გაიმართოს ზურგზე.

## როგორ ავიცილოთ თავიდან ხერხემლის გამრუდება

— თუკი ბავშვი მოხრილია, ატარეთ ცურვაზე. ადრეულ ასაკში ცურვის შესწავლა სასარგებლოა მისი ჯანმრთელობისათვის. ეს აგარიდებთ სკოლიოზსა და ტანადობის სხვა პრობლემებს, კუნთთა დისტონიას (მოდუნებას). ცურვა ამაგრებს სასუნთქ და გულ-სისხლძარღვთა სისტემას.

— თუკი ბავშვს პრობლემები აქვს ტანადობასთან დაკავშირებით, გაითვალისწინეთ, რომ მას სპორტის გარკვეული სახეობები ეკრძალება: მაგ. ჭიდაობა, ჰანტელებით ვარჯიში, ნაოსნობა და სხვა. დაუშვებელია აგრეთვე მძიმე საგნების აწევაც.

— მიზანშეწონილია ძილი ნახევრად მყარ საწოლშიც. თუკი ბავშვს მაგიდასთან ჯდომა ხანგრძლივად უწევს, დაასვენეთ იგი ყოველ 20წთ-ში, შუალედებში კი განსატვირთი ვარჯიშები გააკეთებინეთ.

***მაია მუხიგული***

# უდიეტოდ... კარგი აღნაგობა



ყველა ქალის ოცნებაა, ლამაზად გამოიყურებოდეს. გასახდომად დიეტა და ვარჯიში არ დაგჭირდებათ, თუკი გაითვალისწინებთ დიეტოლოგების რჩევებს. მათი აზრით, ზედმეტ წონას უნდა ებრძოლოთ აუჩქარებლივ, რაციონის შეუცვლელად. მაგალითად: ჭამეთ მცირე ულუფებით, შეამცირეთ დღის განმავლობაში პურია და საკვების რაოდენობა, უარი თქვით ტკბილეულზე. გარდა ამისა, შეიძლება გახდეთ მწვანე ჩაის თაყვანისმცემელი, რადგანაც ჩაიში შემავალი პოლიფენოლები ეხმარება ორგანიზმს კალორიების სწრაფად დაწვაში, ხოლო თუ მას დაამატებთ ლიმონს, მიხაკს ან ილის, ეს პროცესი უფრო ეფექტური გახდება. დიეტოლოგების რჩევით, გთავაზობთ ექვსი სხვადასხვა ჩაის რეცეპტს, რომელთაგანაც შეგიძლიათ აირჩიოთ ერთი, დალიოთ ჭამამდე 15 წუთით ადრე ან ჭამიდან 30 წუთის შემდეგ, თან ამ დროს თავს შემოუძახეთ, გაამხნევეთ და დააჯერეთ, რომ დღითი დღე ლამაზი და მოხდენილი გახდებით...

**1. ჩაი პუ-ერი ბერგამოტით (?)** — **1. ჩაი პუ-ერი ბეგქონდრით.** ხელს უწყობს წონაში დაკლებას, არის ბრწყინვალე ანტისეპტიკი, ანთებსაწინააღმდეგო საშუალება, აუმჯობესებს საჭმლის მონელებას და აძლიერებს იმუნიტეტს.

*მომზადების წესი*: 1/2 ჩ/კ ჩაის და 1/2 ჩ/კ ბეგქონდარას დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 2 წუთი და დალიეთ უზმოზე.

**2. ჭინჭრის ჩაი იმბირით (კოჭა).** ჭინჭრის ნაყენი გამოდევნის ორგანიზმიდან ტოქსინებსა და ზედმეტ სითხეს, ასტიმულირებს თიკმლების მუშაობას და შვილის კუჭის სპაზმებს. იმბირი ხსნის ნასადილევს სიმძიმის შეგრძნებას, დაღლილობას, გაღიზიანებას, ძლიერი აფროდიზიაკია.

*მომზადების წესი:* 10გ ჭინჭარს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 2 წუთი, შემდეგ დაამატეთ 1/2 ჩ/კ გახეხილი იმბირი, აურიეთ კოვზით, გააჩერეთ კიდევ 5 წუთი და დალიეთ.

**3. ჩაი მატე ილით.** ჩაი მატე ამცირებს შიმშილისა და წყურვილის გრძნობას, ხსნის დაღლილობას.

*მომზადების წესი:* 2 ჩ/კ ჩაის დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 5-6 წუთი. 10ც მარცვალ ილს დაასხით 2 ლ წყალი და ადუღეთ 3 წუთი. გაწურეთ და დაამატეთ ჩაის ნაყენს.

**4. ჩაი როიბოსი მიხაკით.** როიბოსის ჩაი ხსნის შიმშილის გრძნობას და შეიძლება მისი განუსაზღვრელად მიღება.

*მომზადების წესი:* ჩაიდანში წყალი მიიყვანეთ ადუღებამდე, ჩაყარეთ როიბოსი (პროპორციით 1ჩ/კ:1 ფინჯან წყალზე), ადუღეთ 10 წუთი ნელ ცეცხლზე. დააქუცმაცეთ 2 ც მიხაკი, დაასხით 1 ფინჯანი მდუღარე წყალი, გააჩერეთ 5 წუთი, შემდეგ გაწურეთ და გააზავეთ როიბოსით.

**5. ჩაი ლაპაჩო ანანასით.** ჩაი ლაპაჩო გამოდევნის წიდებს ორგანიზმიდან.

*მომზადების წესი:* აადუღეთ 1ლ წყალი და დაამატეთ 4 ჩ/კ ლაპაჩო, ადუღეთ ნელ ცეცხლზე კიდევ 5 წუთი, გააჩერეთ 15 წუთი. ანანასის ერთი პატარა ნაჭერი დააქუცმაცეთ, დაასხით მდუღარე წყალი, გააჩერეთ 1/2 წუთი, შემდეგ მას დაამატეთ ლაპაჩოს ჩაი.

**6. მწვანე ჩაი ლიმონით.** მწვანე ჩაი ამაღლებს ტონუსს და იმუნიტეტს, ბრწყინვალედ ხსნის შიმშილის გრძნობას.

*მომზადების წესი:* ჩაიდანს გამოავლეთ ცხელი წყალი, ჩაყარეთ შიგ 1ჩ/კ მწვანე ჩაი, დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე, გააჩერეთ რამდენიმე წუთი, დაამატეთ ლიმონის პატარა ნაჭერი და დალიეთ.

***ლიზა №18***

# დიეტის დროს მიირთვით ყველი

ნებისმიერი დიეტა მოსაწყენი და ერთფეროვანია ყველის გარეშე, მაგრამ თუ გახდომა გადაგიწყვეტიათ, მაინცდამაინც ნუ მიეძალებით „მოხარშულ“ ანუ გამდნარ ყველს (მაღალკალორიულია), არამედ მიირთვით ჩვეულებრივი იმერული ან მოხდილი ყველი, იგი ნაკლებმარილიანი და ნაკლებცხიმიანია.

რატომაა აუცილებელი დიეტის დროს ყველის ჭამა? ყველი შეიცავს ორგანიზმისთვის აუცილებელ ნივთიერებებს — რძის ცილას და კალციუმს, ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას.

***ზდოროვიე***

# კოსოვოს „აბუ გრაიბი“

პოლიტიკური ბერლინი შეშფოთებულია ხმებით, რომლებიც გავრცელდა გერმანელების მიერ პრიშტინის (კოსოვო) ციხეში თითქოსდა ტყვეების წამების ამსახველ ფოტოებთან დაკავშირებით (თუმცა ეს ფოტოები თვალით არავის უნახავს!). თავდაცვის მინისტრის პეტერ შტრუკის სახელით გაკეთებულ განცხადებაში ნათქვამია: — ჩვენი დავალებით, კოსოვოში გერმანული კონტინგენტის სარდლობა იძიებს, სად არის ამ ხმების სათავე. გერმანიის პოლიტიკური თუ სამხედრო წრეების შეშფოთება გასაგებია — დემოკრატიულ გერმანიას სურს, რომ ავღანეთში, კოსოვოში, ბოსნიაში და სხვაგან მის სამშვიდობოებს ხვდებოდნენ არა როგორც ოკუპანტებს, არამედ როგორც დამცველებს. თავდაცვის მინისტრმა საგანგებოდ აღნიშნა, — დარწმუნებული ვარ, ფოტოებს ვერ მოიძიებენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი არ არსებობს. ჩანს, ვიღაცას სურს ჩრდილი მიაყენოს გერმანელ სამხედროებს, რომელთა ხელში შემოდგომიდან თავს მოიყრის კოსოვოში მთელი სამშვიდობო კონტინგენტის ხელმძღვანელობა.

*იზვესტია №91*

# ისრაელი „ტერორის კარიბჭიდან“ გავიდა

ისრაელის არმიამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ პალესტინის ქალაქ რაფაჰში (ღაზის სექტორი) სამხედრო ოპერაცია დასრულდა.

ისრაელელები ამ ქალაქს „ტერორის კარიბჭეს“ უწოდებენ, რადგან სწორედ აქედან, ეგვიპტეში გამავალი გვირაბის საშუალებით, შედის ღაზის სექტორში იარაღი. ისრაელის დაზვერვას ხელში ჩაუვარდა ინფორმაცია, რომ ეგვიპტის ტერიტორიაზე იყიდება „კატიუშას“ ტიპის რაკეტები, რომლებიც გვირაბებით პალესტინელებისთვის უნდა მიეწოდებინათ. თუ „ჰამასსა“ და „ისლამურ ჯიჰადს“ ხელში ჩაუვარდებოდათ ეს რაკეტები, ისრაელის ბევრ ქალაქს დიდი განსაცდელი ელოდა. ამის თავიდან ასაცილებლად რაფაჰი ბლოკირებული იქნა. მსოფლიო საინფორმაციო საშუალებები კი ავრცელებდნენ ცნობას — ისრაელელებმა ბლოკადის დროს ქალაქი თითქმის მთლიანად დაანგრიესო. ისრაელელი სამხედროები ამბობენ, — იმ სახლებს ვუტევდით, სადაც პალესტინელი სნაიპერები იყვნენ გამაგრებულნი, სხვა რა გზა გვქონდაო. ისრაელს ეგვიპტის დახმარების იმედი აქვს. სავარაუდოდ, ეგვიპტე მზად არის, ღაზის საზღვართან იმის საფასურად დაეხმაროს ისრაელს, რათა პალესტინის ავტონომიის თავკაცს, იასირ არაფატს ბლოკადა მოეხსნას და თავისუფლად გადაადგილების საშუალება მიეცეს.

*კომერსანტი*

# აშშ-ის სპეცსამსახურები ტერორისტებს ეძებენ



ამერიკის სპეცსამსახურები ეძებენ 7 ტერორისტს, რომლებმაც შესაძლოა ამ ზაფხულს, ან შემოდგომაზე მოაწყონ ტერაქტები აშშ-ში. გენერალური პროკურორის ჯონ ეშკროფტის თქმით, ტერაქტებს ალბათ რომელიმე დიდ პოლიტიკურ მოვლენას დაამთხვევენ, მაგალითად, ჯორჯიის შტატში „დიდი რვიანის“ შეხვედრას, ნიუ-იორკსა და ბოსტონში რესპუბლიკელთა და დემოკრატთა პარტიების წინასაარჩევნო ყრილობებს, ან აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებს. შვიდივე ეჭვმიტანილის დაჭერაში აშშ-ის მთავრობა 55 მლნ დოლარს გადაიხდის. ჟურნალისტებს უჩვენეს ეჭვმიტანილთა ფოტოები. ეშკროფტმა განაცხადა, — ეს პირები ძალიან საშიში არიან ქვეყნისთვისო. ტერორისტთა შორის ერთი ქალია — პაკისტანში დაბადებული 32 წლის ააფია სიდიყი, რომელსაც მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტი აქვს დამთავრებული, ამჟამად, სავარაუდოდ, პაკისტანში უნდა იყოს.

გენერალურმა პროკურორმა და გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორმა რობერტ მიულერმა მოქალაქეებს სიფხიზლისაკენ მოუწოდეს.

სტრატეგიული კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტის ანალიტიკოსების მონაცემებით, უსამა ბინ ლადენს 18.000 მებრძოლი ჰყავს. ისინი ყოველწუთს მზად არიან, თავს დაესხან სამიზნეებს ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ტერორისტები მსოფლიოს 60 ქვეყანას არიან მოდებულები.

*ნიუს რუ*

# ბაქო განაწყენდა...

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული მოხსენების იმ ნაწილში, რომელიც აზერბაიჯანს ეძღვნება, ოფიციალური ბაქო დემოკრატიის ნორმების დარღვევისათვის მკაცრადაა გაკრიტიკებული. კერძოდ, ნათქვამია, რომ 2003 წელს ილჰამ ალიევის პრეზიდენტად არჩევას მრავალი სერიოზული დარღვევა ახლდა. უშიშროების სამსახურების თანამშრომლები დემონსტრანტთა მიმართ იყენებდნენ ძალას, დაკავებულებს სცემდნენ, აწამებდნენ. მოხსენების გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ აზერბაიჯანმა, სომხეთისა და საქართველოსგან განსხვავებით, ვერ გაიმარჯვა სპეციალურ ამერიკულ პროგრამაში, რომელიც დიდ ფინანსურ დახმარებას უწევს განვითარებად ქვეყნებს. სიიდან აზერბაიჯანის ამოღების მიზეზებზე გულახდილად ილაპარაკა პროგრამის ამერიკელმა კოორდინატორმა კარლოს პასკუალემ. მისი თქმით, ბუშის ადმინისტრაციას საჭიროდ მიაჩნია, რომ დახმარება გაეწიოს მხოლოდ იმ ქვეყნებს, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ რეფორმებს, ხელს უწყობენ დემოკრატიის განვითარებას და ზრუნავენ მოსახლეობის კეთილდღეობაზე. 16 მაძიებლიდან, რომლებსაც სურდათ ფინანსური დახმარების მიღება, 2004 წელს დსთ-ის ქვეყნებიდან მხოლოდ საქართველო და სომხეთი მიიღებს (დაუბრუნებლად) დახმარებას: საქართველო 500 მლნ დოლარს, სომხეთი — 300 მლნ დოლარს.

ოფიციალურ ბაქოს განსაკუთრებით ის ეწყინა, რომ სომხეთი ამჯობინეს, თუმცა სომხეთისგან განსხვავებით, ყველაფერში პროამერიკულ პოზიციას უჭერს მხარს. საქართველო ამჟამად აშშ-დან სხვადასხვა არხის საშუალებით ღებულობს მილიარდი დოლარის ფინანსურ დახმარებას, სომხეთი დაახლოებით 400 მლნ-ს, აზერბაიჯანი მხოლოდ 70 მილიონს.

ანალიტიკოსთა აზრით, აზერბაიჯანის ახლანდელ მმართველ ელიტას სხვა აღარაფერი რჩება, გარდა იმისა, რომ კრემლის კარს მიუკაკუნოს.

*ბი-ბი-სი*

# ერაყის მომავალი პრემიერი მეცნიერი იქნება



ამერიკელმა დიპლომატებმა, ბოლოს და ბოლოს, გამოძებნეს ღირსეული კანდიდატი ერაყის დროებითი მთავრობის მეთაურის პოსტზე. მას ძალაუფლებას 1-ელ ივლისს გადასცემენ. აშშ ერაყს პრემიერად სთავაზობს ბირთვულ პრობლემებზე მომუშავე მეცნიერს, 62 წლის ჰუსეინ ალ-შაჰრისტანის, რომელმაც 10 წელი გაატარა სადამ ჰუსეინის ჯურღმულებში. ეს კანდიდატურა მისაღებია ამერიკის შეერთებული შტატების, გაეროს, ერაყელი შიიტების, სუნიტების და შესაძლოა, თვით ქურთებისთვისაც კი. შაჰრისტანის დიდი პოლიტიკური გამოცდილება არა აქვს, ბევრი სხვა ერაყელი ლიდერისაგან განსხვავებით, მას არასდროს შეუქმნია დისიდენტური პარტია. სამაგიეროდ, სხვა, ყველასთვის მოსაწონი თვისებები აქვს. ის შიიტების სათაყვანო „დიდი აიათოლას“ — ალ სისტანის თანამოაზრეა. გარდა ამისა, ერაყელებმა იციან — 10 წელი ციხეში იმიტომ იჯდა, რომ უარი თქვა ატომური ბომბის შექმნაში მონაწილეობაზე. სწორედ შაჰრისტანი არწმუნებდა ამერიკელებს — სადამ ჰუსეინს მასობრივი განადგურების დიდძალი იარაღი აქვსო, მაგრამ დღემდე ამ იარაღს ვერავინ მიაკვლია.

შაჰრისტანი 1991 წელს „აბუ გრაიბის“ ციხიდან გაიქცა და ცოლშვილთან ერთად ჩრდილოეთ ერაყში გადასახლდა. ამ ნაწილს ქურთები აკონტროლებდნენ. ჰუსეინის ჯარის იქ შეჭრის შემდეგ შაჰრისტანი ირანში გაიქცა, იქიდან ლონდონში გადავიდა საცხოვრებლად და უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა. მაისის დასაწყისში „უოლსტრიტ ჯორნალში“ გამოქვეყნდა მისი სტატია „საარჩევნო ციებ-ცხელება“, რამაც განაპირობა ამერიკელთა არჩევანი. შაჰრისტანიმ განსაზღვრა მომავალი დროებითი მთავრობის უფლებამოსილება, რომლის მთავარი ამოცანაა შექმნას პირობები 2005 წლის საყოველთაო არჩევნებისთვის.

*ნიუზუიქი*

## მოკლედ

**ევროპის** სასამართლომ ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში, ნაწილობრივ დააკმაყოფილა ოლიგარქ ვლადიმირ გუსინსკის საჩივარი. სასამართლომ აღიარა, რომ რუსეთის გენპროკურატურამ გუსინსკის რამდენიმე დღით თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთა. რუსეთმა უნდა გადაიხადოს 88 ათასი ევრო სასამართლო ხარჯების სახით. თავად გუსინსკის კომპენსაციაზე უარი ეთქვა. რუსეთი ევროპის სასამართლო გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს, რადგან ამის საფუძველზე შეიძლება დაკმაყოფილდეს მ. ხოდორკოვსკის და პ. ლებედის ანალოგიური საჩივრები.

**თურქმენეთის** პრეზიდენტმა საფარმურატ ნიაზოვმა საჯაროდ პირველად განაცხადა, რომ მსხვილი ბიზნესმენია — აქვს ქათმების უზარმაზარი ფაბრიკა, სადაც ეკოლოგიურად სუფთა ფრინველს ზრდიან. პრეზიდენტის დედლები, ცხადია, მარტო ნიაზოვის სუფრას არ ამშვენებენ, რესტორნებიც ყიდულობენ, კგ-ს 8 დოლარად. ნიაზოვმა განაცხადა, — ბიზნესის დაწყებამდე ბანკში კრედიტით ავიღე 3,5 მლნ დოლარი და საქმე ისე კარგად წამივიდა, რომ ვალი უკვე დავაბრუნე. მინდა ჩემი წამოწყება სხვებისთვის მაგალითად იქცესო. თურქმენბაშის ფაბრიკა მთებშია და მას ძირითადად, უცხოელები ემსახურებიან.

**ირანში** 6,2 ბალიანმა მიწისძვრამ 50 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, 100-ზე მეტი დაზარალდა. 80 სოფელი თითქმის მთლიანად დაინგრა. 16 ადამიანი დაიღუპა თეირან-ჰალუსუს გზაზე.

**მიანმაში** (ყოფ. ბირმა) ტროპიკულ თავსხმა წვიმაში 140-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. ქვეყნის მასობრივი საინფორმაციო საშუალებები, რომლებსაც ხუნტა აკონტროლებს, ამ საკითხზე დუმან. ტრაგედიის შესახებ ინფორმაცია გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლებმა გაავრცელეს და საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს ქარიშხლით დაზარალებულთათვის სურსათი და წამლები სთხოვეს.

**ჰაიტიზე** სტიქიური უბედურების მსხვერპლთა რიცხვი დღითი დღე იზრდება და უკვე 900-ს მიაღწია. განადგურებულია 1300-ზე მეტი სახლი, აუარება ადამიანი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

**ჩრდილოეთ ოსეთში,** სადგურ ელხოტოვოს მახლობლად, აფეთქების შედეგად ლიანდაგს ასცდა სამგზავრო მატარებელი მოსკოვი-ვლადიკავკაზი. მგზავრები არ დაზარალებულან, რადგანაც მატარებელი ნელა მიდიოდა და ამიტომ ვაგონები არ გადაბრუნებულა. მგზავრები ავტობუსებით ჩაიყვანეს ვლადიკავკაზში. ექსპერტთა ვარაუდით, ასაფეთქებელი ნივთიერება ლიანდაგქვეშ იყო ჩამონტაჟებული. პროკურატურა ტერორისტულ აქტს იძიებს.

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*



# ახლა წყნარად არიან, თუმცა სეპარატისტებისაგან აგრესიას მუდმივად უნდა ველოდოთ

## რატომ იქცნენ ოსები და ქართველები რუსეთის მოქალაქეებად?

*(დასაწყისი იხ. გვ. 7)*

კოკოითი ცხინვალელ ოსებს დიდი ხანია რუსულ პენსიებს უხდის, ახლა მთელი რეგიონის მოსახლეობას დაჰპირდა იმავეს. ეს თუ გააკეთა, მისი რეიტინგი აიწევს და საპრეზიდენტო არჩევნებზე გამარჯვების რეალური შანსი ექნება, თორემ მაგ თაობის ხალხს ქართველებზე ძვირს ვერ ათქმევინებ. ვისაც უცხოვრია ქართველთან ერთად, გაუზიარებია ჭირი და ლხინი, იმას ქართველი დღემდე ძველებურად უყვარს. მაგრამ ომის შემდეგ გაზრდილი ახალი თაობა ქართველების მიმართ კარგად განწყობილი არ არის.

ქართულ სოფლებში მართლაც ისეთი განწყობა გეუფლება, თითქოს ისევ გორის რაიონში იყო. თუ ცხინვალში მხოლოდ რუსული წარწერები გხვდებათ, ამ სოფლებში ყველაფერი ქართულია — პურიც, ლუდიც და ბაგიათის მინერალური წყალიც, რომელსაც დიდი ლიახვის ხეობაში უკვდავების წყალს უწოდებენ. თამარაშენში ქართველები გზის პირას, ბირჟაზე დგანან. ვესალმებით. 26 მაისს ვულოცავთ ერთმანეთს. აქაურები თითქმის ყველანი ქართულნომრიანი მანქანებით დაქრიან. და ეს იმ დროს, როცა გორის ქუჩებში მრავლად შეხვდებით ოსური ნომრების მქონე ქართველების მანქანებს. მათ ქართული ბიუჯეტის დაზარალება არად ულირთ და უმნიშვნელო სიიაფის გამო ცხინვალში იღებენ ავტომობილის ნომრებსა და ტექნიკურ პასპორტებს.



ქართველის გადამწვარი ნასახლარი ცხინვალში

ასეთი ნომრებით რომ დაქრიხართ, არავინ გაწუხებთ? — ვკითხე ბირჟაზე შეკრებილ ქართველებს. „აქ საქართველოა და ყველაფერი ქართულია, თუ ცხინვალს გულისხმობთ, საქმე იქაც მარტივადაა, თუ ჩვენი ნომრები არ მოეწონებათ, მაშინ არც მაგათნომრიან მანქანებს გავატარებთ ჩვენს სოფლებზე გამავალ სამხედრო გზაზე.“

თავის დროზე აქაურმა ქართველებმა რეგიონიდან გახიზნული ცოლ-შვილი უკან დააბრუნეს. ასე უკეთ დავიცავთ ჩვენს მიწას და ხეობას არ დავთმობთო. მათ კარგად ესმოდათ ცხინვალსა და ჯავის რაიონის ოსურ სოფლებს შორის მოქცეული ქართული სოფლების, როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დამცავი ფორპოსტის მნიშვნელობა. ამიტომაც ლოგიკური იქნება თუ ვიტყვით, რომ არა ამ ხეობის მკვიდრ ქართველთა ვაჟკაცობა, მშობლიურ მიწაზე მყარად დგომა, დღეს სამაჩაბლოს რეგიონში სხვა ვითარება იქნებოდა და ცხადია, ვერც ამ რეპორტაჟს შემოგთავაზებდით.

ოსი მეგზურები თამარაშენში რჩებიან იქაურ მეგობრებთან, მე კი ქართველებთან ერთად ვაგრძელებ გზას. სოფელ კეხვში უკვე მთავრდება ქართული საზღვარი. ბლოკპოსტზე იქაც სიმშვიდეა. ქართველი და ოსი ძალოვნები უფრო „მობირჟავეებს“ ჰგვანან, ვიდრე საზღვრის მცველებს. იქვეა ერთადერთი რუსი ჯარისკაციც, სამშვიდობო ძალების წარმომადგენელი. იგი ავტომატის კონდახს დაჰყრდნობია და თვლემს. ბლოკპოსტიდან რამდენიმე ასეულ მეტრში მოჩანს ჩატეხილი ხიდი. ხიდს იქით ჯავის რაიონის ოსური სოფლები და როკის გვირაბია. ომის დროს ამ ხიდიდან ელოდნენ ქართველები ძირითად საფრთხეს, ამიტომაც აუფეთქებიათ იგი. შედეგად ხეობა ისე ყოფილა დაცული, რომ იქ ჩიტიც ვერ შეფრინდებოდა. „ეს ხიდი მაშინ აღდგება, როცა ოფიციალურად აღდგება ქართველების და ოსების ძმობა და როკის გვირაბს ქართველი მესაზღვრეები გააკონტროლებენ. ეს დრო ახლოსაა“ — მეუბნებიან ლევანი და ნიკოლოზი.

ბიჭებს ვესაუბრები:

**— ამბობენ, ახალგაზრდები კოკოითს უჭერენ მხარს, რუსეთისკენ იცქირებიანო.**

— თითოეულ ჩვენგანს მეტ-ნაკლებად გვაქვს ურთიერთობა ოსურ მხარესთან. ზოგთან ვმეგობრობთ, ზოგთან ვნათესაობთ კიდეც. ვიცით მათ რა სურთ, რა განწყობა აქვთ ჩვენ მიმართ. არის უმნიშვნელო, მართლაც სეპარატისტულად მოაზროვნე კატეგორია, რომლის აზრიც მასას არ აინტერესებს.

**— სეპარატისტულად მოაზროვნეების მხრიდან აგრესია თუ შეიმჩნევა?**

— ადრე უფრო იგრძნობოდა. ახლა წყნარად არიან, თუმცა მათგან აგრესიას მუდმივად უნდა ველოდოთ. ჩვენ არ ვფიქრობთ იარაღის ძალით რაიმეს გადაწყვეტას. სადაც იარაღი ჩაერევა, იქ მშვიდობა ვერ გაიმარჯვებს. 21-ე საუკუნეა, ადამიანური ურთიერთობით უნდა მოვაგვაროთ ყველა პრობლემა.

**ლევანი** — ოსების 90%-ს, შეიძლება მეტსაც, პრობლემის უსისხლოდ მოგვარება სურს. უბრალოდ ხმამაღლა ვერ გამოხატავენ გულის ნადებს. საკმარისია პატარა ბიძგი და...

**— ამბობენ, ამ რეგიონში დაძაბული კრიმინოგენული სიტუაციააო.**

— ყაჩაღობა, ძარცვა ოსურ სოფლებში ხდებოდა. აქ სანთელივით ვუფრთხილდებით ერთმანეთს. წესრიგს მაქსიმალურად ვაკონტროლებთ. ამიტომაც თავაწეულები დავდივართ ცხინვალში.

ვიღაც 30-ოდე წლის ახალგაზრდა კაცი მოგვიახლოვდა. ბიჭებს მიესალმა. გამაცნეს, სახელი არ მითხრეს. ეს ჩვენი ოსი ძმაა, მაგარ საქმეებს აკეთებსო. დავინტერესდი მისი საქმიანობით. სერიოზული მიზნები ჰქონია, არ დამიმალა. ქართველები უფლებას არ მაძლევენ, თორემ კოკოითს ცხინვალში მაგარ შოუს მოვუწყობ — დილით რომ გაიღვიძებს, ქუჩებში გამოფენილ ქართულ დროშებს და სააკაშვილის პლაკატებს დაავხვედრებო(?!) კოკოითის ოპოზიციონერს დედამისიც შემოუერთდა. უკრაინელი ეროვნების ქალბატონის აზრით, ომი აღარ იქნება. „დღევანდელი სიტუაცია აბსოლუტურად განსხვავდება 15 წლის წინანდელისაგან. ახლა ქართველები ფხიზელი, ცივი გონებით მსჯელობენ, ძალიან დიპლომატიურები არიან. მაშინ კი ასე არ იყო. სწორედ ქართველთა დაუდევრობამ, დაუფიქრებლობამ ქნა ყველაფერი. დღეს მოსკოვიდან დამირეკეს აქედან ომის დროს გაქცეულმა ოსებმა. მათ საქართველოსთან შერიგება სურთ.“

კეხვიდან უკან გამობრუნებულმა, გზაში შევიტყვე, ცხინვალში ერთ-ერთ გავლენიან ოსს ჩემთან საუბარი სურდა. ამგვარ სიურპრიზს ნამდვილად არ ველოდი. ცხინვალში დაბრუნებულმა პუტინის უზარმაზარი „ბილბორდი“ დავინახე წარწერით: „პუტინ ნაშ პრეზიდენტ“. ოსებს კი ზედ მიუწერიათ — მაშ ჯაბიევიჩი (კოკოითი) ვინ ჯანდაბააო (სურათი არ გადამაღებინეს). როგორც მეუბნებიან, ჩემი ცხინვალელი მასპინძელი პრეზიდენტ კოკოითის ოჯახის ახლობელია, ყველა პატივს სცემს. გამაოცა ოჯახის უფროსის და სხვა წევრების დახვედრამ.



სტატიის ავტორი რუს სამშვიდობოებთან ერთად ცხინვალის შესასვლელში

მასპინძელმა შინ ხელკავით შემიყვანა. სახელდახელოდ გაეშალათ სუფრა. „დღეს ჩვენ ისევ ერთიანი საქართველოს მოქალაქეები ვართ. მალე ყველაფერი კარგად იქნება“ — ამ სიტყვებით მიმიპატიჟა სუფრასთან (როგორც მითხრეს, იგი დიდ ინფორმაციას ფლობს და სეპარატიზმის წინააღმდეგაც გამოდის). სამწუხაროდ, ვერ დავასახელებ მის ვინაობას. გულდაწყვეტილია საქართველოს ძველი ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომების გამო და იმედი აქვს, რომ ახალი ხელისუფლება იმავეს არ გაიმეორებს. „ქართული ხელისუფლების შეცდომა იყო, ოსებს რომ ქართული პასპორტები არ მისცეს. ახლა ოსების უმრავლესობა საქართველოს მოქალაქე იქნებოდა და არა რუსეთის. რატომ დართეს რუსებს აქ პარპაშის ნება, ნუთუ იმიტომ, რომ ცხინვალში მღვრიე წყალი ყოფილიყო და აქ ხელი ყველას თანაბრად მოეთბო? — მეკითხება ჩემი მასპინძელი. იგი კატეგორიულად ეწინააღმდეგება ერგნეთის ბაზრობის არსებობას: „თუ ერგნეთის ბაზრობას გააქრობთ, თუ კონტრაბანდას სამუდამოდ გადაკეტავთ, ე.წ. სამხრეთ



სოფელ კეხვის სასაზღვრო ბლოკპოსტი. ამის იქით ჯავის რაიონის ოსური სოფლები და როკის გვირაბია

ოსეთის რესპუბლიკაც ვეღარ იარსებებს. რადგან ამ თითიდან გამოწოვილი ქალაქი-პოლისის ეკონომიკა მთლიანად ერგნეთზეა დამოკიდებული. მისი გაქრობით კი ყულფს წაუჭერთ ყელში სეპარატისტულ ხელისუფლებას.

გახსოვთ ალბათ, ქვემო ქართლის რწმუნებულის მანქანას რომ ესროლეს, ეს კონტრაბანდისტების ინსპირირებული არ ყოფილა. ეს შემთხვევითობა იყო. ოსმა ნარკომანებმა ქარელის მანქანის გაჩერება მოინდომეს. ეგონათ, რახან ქართული ნომრები ჰქონდა, მანქანის პატრონის ფულს გამოსძალავდნენ. დამნაშავეები, მეტსახელად „ზეზე“ და „ფუტბოლა“, უკვე დააპატიმრა ცხინვალის პოლიციამ“.

მასპინძლის ოჯახის წევრები შემომჩივიან: „გვეშინია დაღამების და გათენების, არ ვიცით, როგორი დილა გაგვითენდება, აღარ გვინდა ასე ცხოვრება. იმედი გვაქვს, ომი არ იქნება.“ მათგან შევიტყვე, რომ ცხინვალის რეგიონში ქართველებსაც ჰქონიათ რუსული პასპორტები. „ჩვენც და ქართველებიც მხოლოდ პენსიის გამო ვიქეცით რუსეთის მოქალაქეებად. ეკონომიკური ფაქტორი ბევრს ნიშნავს. თუ საქართველოს ხელისუფლება ეკონომიკური ყოფის გაუმჯობესებას შეძლებს, ყველა ტერიტორიულ პრობლემას მოაგვარებს“.

შებინდდა. ცხინვალში სტუმრობა დასრულდა. მასპინძელს ვემშვიდობები.

სევდიანმა დავტოვე ცხინვალი. საზღვარზე კვლავინდებურად ოსები და რუსები იდგნენ. ვერ მოვითმინე, მანქანიდან გადავედი. ოსებს მივუახლოვდი და გავუბი საუბარი.

**— რისთვის დგახართ აქ?**

— მშვიდობისთვის.

**— ასე შეიარაღებულები?**

— ჩვენ არ ვიცით, როგორ მოვა მტერი.

**— ვინ არის მტერი?**

პაუზა.

ჯერ მიყურებენ, მერე უხერხულად იღიმებიან.

ერთი ჩაფიქრებული მეუბნება — ცხოვრება რთულია, ძალიან რთული. ვეთანხმები, მაგრამ კითხვას ვუბრუნებ:

**— ნუთუ არ არსებობს გზა, რომელიც ცხოვრებას ცოტათი მაინც გააიოლებს?**

— სიყვარული აიოლებს ცხოვრებას, მაგრამ ავტომატით ხელში სიყვარული ძალიან ძნელია.

**— გზად რომ დამიღამდეს, გაჭირვებული რომ მნახო, წყალს არ მომაწვდი?**

— მაგას წინ რა უდგას. ქრისტიანები არა ვართ?..

ღიმილით ვემშვიდობებით ერთმანეთს. მგონია, ისინიც ჩემსავით ფიქრობენ... იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება და მომავალ 26 მაისს ერთად ვიზეიმებთ ცხინვალში.

***ეკა ლომიძე***

---

### რას წერენ ჩვენზე

## პრეზიდენტი და მისი არმია

*(დასაწყისი იხ. გვ. 14)*

მან აღნიშნა, რომ საქართველო და მისი პრეზიდენტი სახელმწიფოს დაშლას არასდროს შეეგუებიან. სააკაშვილმა ქართველებსაც მოუწოდა, ერთხელ და სამუდამოდ დაძლიონ „დამარცხებული ერის“ კომპლექსი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პრეზიდენტი ამჯერად უფრო თავშეკავებული იყო, ვიდრე წინა საღამოს, როცა ჟურნალისტებს განუცხადა, — საქართველო უფრო მალე გამთლიანდება, ვიდრე ბევრს ჰგონია, ყველაფერს ვიღონებ, რომ ეს ჩემი პრეზიდენტობის დროს მოხდესო. წინასაზეიმო გამოსვლაში სააკაშვილი უფრო დაწვრილებით შეეხო ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მოგვარების შესაძლო სქემებს. მისი თქმით, თბილისი აფხაზეთს საქართველოს შემადგენლობაში დასაბრუნებლად, ასიმეტრიული ფედერალიზმის პირობებსაც შესთავაზებს, მაგრამ არ დაუშვებს იმის განმეორებას, რაც აჭარაში ხდებოდა... „უპირველესად, ჩვენ ჯერ აფხაზებს უნდა მოველაპარაკოთ, მერე კი დარეგულირების პროცესს შეიძლება რუსეთიც შეუერთდეს“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა. სამხედრო აღლუმზე გამოსვლისას სააკაშვილმა უმთავრესად ილაპარაკა შევარდნაძის შემდგომი პერიოდის მიღწევებზე. სიმართლე რომ ითქვას, რეალური სიტუაცია ისეთი იდეალური არ არის, როგორიც პრეზიდენტმა დახატა. ეროვნული დღესასწაულის წინადღეს თბილისში საპროტესტო აქციები მოეწყო: პატიმართა უფლებების დამცველი კომიტეტის ხელმძღვანელი ნანა კაკაბაძე ციხეებში წამების დაუყოვნებლივ შეწყვეტას ითხოვდა, ხოლო ირინა სარიშვილი-ჭანტურია — ერაყიდან ქართველი ჯარისკაცების გამოწვევას და საქართველოს გარეთ ყოველგვარ სამხედრო კამპანიებში მონაწილეობაზე უარის თქმას. არც რეგიონებშია სიმშვიდე..

პრეზიდენტს გუნება პარლამენტმაც გაუფუჭა — 26 მაისისთვის არ დაამტკიცა სახელმწიფო გერბი.

თბილისური აღლუმის შემდეგ უმაღლესმა მთავარსარდალმა ბათუმში მეორე აღლუმი მიიღო, ამჯერად — სამხედრო-საზღვაო.

***ნეზავისიმაია გაზეტა***

## კასოხოვს სამხრეთ ოსეთის ბედი აწუხებს

ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტმა ალექსანდრ ძასოხოვმა რუსეთს შესთავაზა, საქართველოსგან მიიღოს გარანტიები იმისა, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ძალას არ გამოიყენებს. თბილისთან კონფლიქტის დროს 100 ათასზე მეტმა ოსმა დატოვა საქართველო. მას უნდა გამოარკვიოს, არსებობს თუ არა სამართლებრივი ბაზა დევნილი ოსებისთვის უძრავი ქონების ან სხვა საკუთრების დაბრუნების შესახებ. ძასოხოვის აზრით, საჭიროა საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის შეიქმნას ეკონომიკური კეთილდღეობის ზონა, ხოლო უახლოეს 5 წელიწადში იქიდან მიღებული შემოსავალი მოახმარონ ოსურ-ქართულ კონფლიქტში დაზარალებულებს. ძასოხოვს ძალიან აშფოთებს მოვლენები, რაც შეიძლება სამხრეთ ოსეთში განვითარდეს.

***ინტერფაქსი***

***მომამზადა თინათინ მარგველაშვილმა***

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. სამტრედია-ლანჩხუთი – 1:1



ტრადიციულად ყოველთვის საინტერესოდ და დაძაბულად ტარდებოდა ფეხბურთის მატჩები სამტრედიის „ლოკომოტივსა“ და ლანჩხუთის „გურიას“ შორის, რომელსაც უამრავი მაყურებელი ესწრებოდა.

1974 წელს ორივე გუნდი საბჭოთა კავშირის პირველობაზე მე-6 ზონის მეორე ლიგაში თამაშობდა. პირველი წრის მატჩი სამტრედიაში შედგა და „ლოკომოტივის“ გამარჯვებით (4:1) დამთავრდა. ადვილი წარმოსადგენია, რა ხდებოდა სტადიონზე. მატჩის დიქტორმა, კულტურის სახლის ყოფილმა დირექტორმა, ზელიმხან ანდრიაძემ ფეხბურთის მარშის ნაცვლად (მაშინ თამაშები მარშით იწყებოდა და მთავრდებოდა), რადიოკვანძში გურულების ცნობილი სიმღერა „სიმონა დოლიძე“ დააკვრევინა. ხომ გახსოვთ ეს სიმღერა როგორ იწყება — „ძმაბიჭებში დაჩაგრული, მე ვარ სიმონა დოლიძე!“ ხოლო ის ადგილი, სადაც ნათქვამია: „უბედურად დადგა ჩემთვის“, ზედიზედ რამდენჯერმე გაამეორებინა, რამაც მატჩის სანახავად ჩამოსული გურულები ძალზე გაანაწყენა.

„გურიის“ მაშინდელი შეფი ბატონი ევგრაფი შევარდნაძე გულისწყრომას ხმამაღლა გამოხატავდა და ფეხბურთის საკავშირო ფედერაციაში ჩივილით გვემუქრებოდა. დადგა ლანჩხუთში მეორე წრის შეხვედრის დღეც. „დაზვერვამ“ ამბავი მოგვიტანა, გურულები სამაგიეროს გადახდას იმით გვპირდებიან, რომ მატჩის შემდეგ, ასევე მარშის ნაცვლად, ჩვენი კულტურის სახლის მომღერალთა გუნდის რეპერტუარიდან სიმღერას — „თხამ ვენახი შეგვიჭამა“ დაუკრავენო. მხსნელად სამტრედიელებს რაიონის ელქსელის უფროსი მოგვევლინა. იმ დროს ლანჩხუთი ელექტროენერგიით სამტრედიის რაიონის სოფელ დაფნარიდან იკვებებოდა. ჰოდა, მატჩის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე, გურიის ქსელი მთლიანად გათიშეს. მატჩი იმავე ანგარიშით 1:4-ზე წავაგეთ, მაგრამ სამაგიეროდ, გურულებს თავი არ „დავაჩაგვრინეთ“ — ჩვენი სიმღერა არ „ვამღერეთ“. ასე რომ, წავაგეთ, მაგრამ 1:0-ზე გავიმარჯვეთ.

1980 წელს „გურია“ საბჭოთა კავშირის პირველობის „ა“ კლასის ბინადარი გახდა. სამტრედიელებს მხოლოდ ერთი ქულით გვაჯობეს. გამარჯვებულ გუნდს კოპიტნარის აეროდრომზე მთელი გურია ხვდებოდა. შევიტყვეთ, რომ ჩვენს ჯიბრზე გურულები მანქანების კოლონის სამტრედიის ცენტრში გამოტარებას აპირებდნენ. რა გვექნა, ბოლოს მოვიფიქრეთ და როგორც კი კოპიტნარის აეროდრომზე თვითმფრინავი დაეშვა, ქალაქის შემოსასვლელის გზაგამტარ ხიდზე სპეციალურამწიანი ორი მანქანა პირისპირ დავაყენეთ, რითაც შემოსასვლელი მთლიანად გადავკეტეთ და ხიდის ბოძების ორმხრივი შეღებვა დავიწყეთ. მოადგა კოლონა გზაგამტარს, გადმოვიდნენ გურულები, ხედავენ, ვდგავართ ხიდზე რაიონის რამდენიმე ხელმძღვანელი მუშაკი და ჩვენი „მოხერხებულობით“ კმაყოფილნი კოლონას ღიმილით ვუცქერით. ამ დროს ერთ-ერთმა გურულმა შუბლზე ხელი მიიდო და იქ მყოფთა გასაგონად ხმამაღლა გვირჩია: „რას შვებით, ძამა, ეგ რა მხიარული ფერი აგირჩევიათ, საქმე სამგლოვიაროდ გაქვთ და გირჩევთ, აი ბოძები შავად გადალებოთო“. ასე რომ, 1974-ში ჩვენს სასარგებლოდ არსებული ანგარიში 1:0 გურულებმა 1980 წელს გაგვიქვითეს.

***ბორის ფოცხვერაშვილი, სამტრედია***

## 2. ხდება ხოლმე...



ოცდაათიან წლებში ზესტაფონში მუშაობდა ცნობილი მკურნალი იორდანე გოცაძე. ვინ არ იყო მისი პაციენტი, ყოველი ჯურის ავადმყოფი აკითხავდა. იყო თერაპევტი, ქირურგი, სტომატოლოგი და თქვენ წარმოიდგინეთ, გინეკოლოგიც კი. მის მოღვაწეობას უამრავი სახუმარო ამბავიც უკავშირდება. აი, ერთი მათგანი: ბატონ იორდანესთან ხანში შესულმა ქალბატონმა თავისი გაუთხოვარი ქალიშვილი მიიყვანა და მუცლის არეში საეჭვო „სიმსუქნის“ მიზეზით დაინტერესდა. იორდანე, ბუნებრივია, იმწამსვე მიხვდა, რომ გოგო ფეხმძიმედ იყო, ამიტომ დედამისთან გასაუბრება გადაწყვიტა:

— ქალბატონო, თქვენს ქალიშვილს რაიმე საეჭვო ხომ არ შემთხვევია?

— რა ვიცი, შენ შემოგევლე... რო დეიწყო გასუქება, ქე ვკითხე მიზეზი და ასე მითხრა, შლანგზე დავეცი შემთხვევითო...

ბატონ იორდანეს გაეღიმა და ჩაილაპარაკა: — კი, კი, ხდება ხოლმე მაგიც... მარა, თლათ შლანგი არ უნდა ყოფილიყო, ალბათ...

***დემურ ცერცვაძე, ზესტაფონი***

## 3. „არ დალიონ!..“



სამედიცინო ინსტიტუტის პირველკურსელი მოქეიფე ბიჭები (სულ ექვსნი ვიყავით) ჯგუფელმა წაგვიყვანა სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში, ძმის დაბადების დღეზე. შაბათი იყო, სუფრა გაშლილი დაგვხვდა. სტუმრები უკვე მოსულიყვნენ და ქეიფობდნენ. დიდი სიხარულით მიგვიღეს. უხვი სუფრა დაგვხვდა. ეს მშიერ-მწყურვალი „ბავშვებიც“ შევუდექით ქეიფს და უცებ გაისმა თამადის ომახიანი ხმა: — შენ, მანდ მიხედე ბიჭებს, არ დალიონ!

გაოგნებულებმა მიმოვიხედეთ: — საქეიფოდ ჩამოვედით და არ დალიონო?

ჩვენც, არ დალიონო და, დავიბენით... ვიტყოდით სადღეგრძელოს და დანანებით ვდგამდით თითქმის სავსე ჭიქებს. ყურადღება ისევ თამადამ მოგვაქცია. მოვიდა ჩვენთან და გვისაყვედურა, რატომ არ სვამთო. ერთმანეთს ახლა უფრო გაოცებულები მივაშტერდით. თავიდან ბრძანება გასცა, არ დალიონო და ახლა რატომ არ სვამთო, გვსაყვედურობს?! თურმე არდალიონი თამადის მოადგილის სახელი ყოფილა. ჩვენ კი გვეგონა, ჩვენზე თქვა, ზედმეტი არ დალიონო... მოკლედ, როცა გაიგეს, რამაც დალევაზე „უარი გვათქმევინა“, ატყდა ერთი სიცილ-ხარხარი. ორი დღე კარგად დავლიეთ, ვიქეიფეთ და მას შემდეგ სულ გვახსოვს კურიოზი „არ დალიონ!“

***ზ. ლომიძე, ხაშური***

## 4. ქართულ-აფხაზური ხუმრობა



70-იანი წლების ამბავს გიყვებით, მაშინ ბევრი ქართულ-აფხაზური ოჯახი მეგობრობდა. ასე ვიყავით ჩვენც. მამაჩემი სამხედრო ქირურგი იყო და ერთ ზაფხულს მთელი ოჯახი სოხუმში ვისვენებდით. იქ დავუახლოვდით ერთ აფხაზურ ოჯახს, საკმაოდ ინტელიგენტურს. საზაფხულო სეზონის შემდეგ კი მოვიპატიჟეთ თბილისში. ისინიც საახალწლოდ გვესტუმრნენ თითქმის მთელი შემადგენლობით. გულითადი დახვედრის, ქალაქის დათვალიერების და ჩვენებური უხვი სუფრების შემდეგ, გადავწყვიტეთ სადღესასწაულო დიდი ვახშამი მოგვეწყო. მამაჩემმა დაპატიჟა თავისი რუსი მაღალჩინოსანი სამხედრო კოლეგები, აგრეთვე ქართველი პარტიული მუშაკებიც. გაჩაღდა ქეიფი, სადღეგრძელოები მიდის რუსულ-ქართულად. აქებენ კომუნისტურ წყობას, ლენინის იდეებს და ა.შ. როგორც იმ დროს შეეფერებოდა. ჰოდა! ამ დროს მამაჩემის აფხაზი მეგობარი იღებს ჭიქას, უხმობს თავის პატარა შვილიშვილს და გვთავაზობს, რომ ბიჭი აფხაზურ ენაზე იტყვის ლენინზე ციტატას. ჩვენც სმენად ვიქეცით. ბავშვმაც დაიწყო და რა დაიწყო — „ლენინ ხარა, ლენინ ხურა, ლენინ ხარახურა!“ გაირინდა სუფრა... მამაჩემს შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა, წარმოიდგინა დაკარგული პარტბილეთი, დაკარგული ჩინი... აფხაზმა ბაბუამ კი უცბად ყველა დაამშვიდა და მეტი დამაჯერებლობისთვის რუსულად აგვიხსნა, რომ ბიჭუნას „ციტატა“ ასე ითარგმნებოდა — „ლენინ ჟილ, ლენინ ჟივ, ლენინ ბუდეტ ჟიტ“. ამ ციტატას თურმე აფხაზურად ასწავლიდნენ სოხუმის სკოლაში. ყველამ შვებით ამოისუნთქა, განსაკუთრებით კი მამაჩემმა. დალიეს სოხუმის იმ სკოლის პედკოლექტივის სადღეგრძელო, სადაც მათივე ენაზე აქებდნენ დიდ ბელად ლენინს. მოკლედ, გადარჩა ჩვენი ოჯახი პარტიულ რეპრესიებს, მერე კი წლების განმავლობაში ამ ამბის გახსენებაზე ბევრს ვიცინოდით.

იქნებ კიდევ აღდგეს ქართულ-აფხაზური გადაპატიჟებები... ღმერთმა ქნას!

***თ. ვ., თბილისი***

## 5. შემცვლელი მოგართვითო...



სამტრედიაში ყველა იცნობდა ბატონ აკაკი (კაკო) მშვიდობაძეს, რომელიც წლების მანძილზე დაბა კულაშის აფთიაქის გამგედ მუშაობდა. გამოცდილი ფარმაცევტი ყოველთვის ახერხებდა დეფიციტური წამლების ხელსაყრელ ფასად შოვნასაც კი სამტრედიელებისთვის და ისინიც ცდილობდნენ, ვალში არ დარჩენოდნენ. ერთხელ, ერთ-ერთ წვეულებაზე ბატონ კაკოს, მომსახურე პერსონალისთვის მჭადის მოტანა უთხოვია, მათ კი ღომი მოურთმევიათ გაოცებული ფარმაცევტისთვის და თავი ასე უმართლებიათ: — რა ვქნათ, კაკო ბატონო, მჭადი არ გვქონდა და თქვენეული ტერმინი რომ ვიხმაროთ, მისი „შემცვლელი“ მოგართვითო.

***„იმერელი“***

## გამოვლინდა კურიოზების კონკურსის კიდევ სამი გამარჯვებული

**პირველი ადგილი და პრემია** — 50 ლარი წილად ხვდა თბილისელ **გერონტი მესხს** კურიოზისთვის — „თქვენ აგაშენათ ღმერთმა“ (14,2%); **მეორე ადგილზე** თბილისელი **პაატა ბაკურაძეა** კურიოზით — „უცნაური შეკვეთა“ (13,2%). ბატონი პაატა მიიღებს პრემიას — 30 ლარს.

ხოლო **მესამე ადგილი** და პრემია — 20 ლარი დაიმსახურა თბილისელმა **თეიმურაზ ვარდოსანიძემ,** კურიოზით — „ნახევარ შტატზე“ (5,7%). პრიზიორებს ვულოცავთ გამარჯვებას და პრემიების მისაღებად ველით რედაქციაში ხუთშაბათს, 3 ივნისს, 17 საათზე.

კურიოზების კონკურსი გრძელდება და მასში მონაწილეობის მიღება ყველა მკითხველს შეუძლია.

**წარმატებებს გისურვებთ!**

5 ივლისის ნომერში თქვენ შეიტყობთ ივნისის თვის გამარჯვებულთა ვინაობას.

## ყურადღება!

### კურიოზების კონკურსი

**„კვირის პალიტრამ“ მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.**

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

*ეს ქვითარი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 2 ივნისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 3 ივნისის 13 საათამდე.*

**კურიოზების კონკურსი**

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ——

______________________

თქვენი სახელი, გვარი

**კვირის პალიტრა №22**

## 6. განცხადება „სიტყვა და საქმეში“



„ათი ათას დოლარს გადავუხდით იმას, ვინც მოგვცემს სვანებზე ანეკდოტების გამომგონებლების კოორდინატებს!

**ავთანდილ მარგიანი, დილარ ხაბულიანი, ემზარ კვიციანი, ჯანსუღ ჩარკვიანი“.**

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***

## მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



**7.** — ახალი რუსები იძულებულნი გახდნენ შორეული მგზავრობისას მანქანიდან ჩამოსულიყვნენ და ბუჩქებს „შეფარებოდნენ“.

— როგორ ფიქრობ, ახლა ჩვენ რა სამუშაოს ვასრულებთ, ფიზიკურს თუ გონებრივს? — დაინტერესდა ერთი.

— რა თქმა უნდა, გონებრივს!.. — უპასუხა მეორემ.

— კი მაგრამ, რატომ?

— იმიტომ, რომ ფიზიკური სამუშაოსთვის ვინმეს დავიქირავებდით!..

***ნანა ა., თბილისი***

**8.** — ნაზიკია, ჭიჭიკიე რო ყველა იუბკიანს უკან მისდევს, თუ იცი?

— მერე რა, სდიოს! ჩემი ძაღლიც მისდევს მანქანებს, მარა რო ეწევა, არ იცის, რა გააკეთოს!..

***ზურა ეძგვერაძე, რუსთავი***



## მილოცვა

**ლეილა ქტოშვილს!**

პატივცემულო ლეილა მასწავლებელო!

...ხშირად ვფიქრობთ თქვენზე; ვიხსენებთ „ჩვენს" ლიტერატურის კაბინეტს, იმ საუბრებსა და მეცადინეობებს, რომლებსაც საქმის ცოდნითა და სიყვარულით გვიწილადებდით; გვაყვარებდით ლიტერატურას, ჩვენს ქალაქს, სამშობლოს წარსულსა და დღევანდელობას, მის მოჭირნახულე ადამიანებს!..

გილოცავთ დაბადების დღეს!

*სიყვარულით, მადლიერებით – ლიტერატურის მოყვარულთა „იას, სანდროს, საშკას, ლაშასა და ნინოების" ჯგუფი*

## ბინები

იყიდება 3-ოთახიანი ბინა ლოჯიით, 3(6), 120 კვმ, კაპიტალური ავტოფარეხით (ჭერის სიმაღლე 3,3 მ), 6 წლის რემონტით, ძალიან კარგ მდგომარეობაში, მუდმივი დენით, ბ/აირით და წყლით, დიდუბეში, წერეთელზე. ტელ: 34-79-52

ქირავდება ყიფშიძის ქუჩაზე, გალაკტიონის ძეგლთან ოთხნახევრიანი (გადაკეთებული 2-ად) სუფთა, უცხოვრებელი ბინა, ახალაშენებულ სახლში, ბ/აირით, მუდმივი დენით და წყლით, ტელეფონით, საჭირო ავეჯით. სასტუმრო ოთახის ფართი – 40 კვმ, საძინებელი – 12 კვმ. აქვს შემინული ლოჯია და სამზარეულო ერთად. მის: ყიფშიძის ქ. №5ა, მე-3 სადარბაზო, მე-3 სართ. ბინა №45. ფასი $250. ტელ: 34-32-79; 899 53-42-51; 893 96-00-42.

ქირავდება ქეთევან წამებულის №25-ში („მეტეხთან" ახლოს) 200 კვმ საოფისე ფართი. ფასი $1000. ტელ: 39-57-54; 32-59-59; 899 54-00-40

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებთ განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მისამართი: მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

ყურადღება!!! მრავალპროფილიან მსოფლიო სავაჭრო კომპანიას ადგილობრივი ტერიტორიიდან აინტერესებს 50 ბიზნესპარტნიორი. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება და დასაქმება. ანაზღაურება – მაღალი. გვაინტერესებს რეგიონების წარმომადგენლებიც. ტელ: 52-44-10; 893 33-18-86

მესაჭიროება უმაღლესი განათლებით თანამშრომელი ოფისში. სასურველია რუსული ენის ცოდნა. ანაზღაურება მაღალია. ტელ: 38-89-39

საერთაშორისო კომპანია სამუშაოდ იწვევს უმაღლესი განათლების მქონე პირებს, მაღალი ანაზღაურებით, 25-დან 55 წლამდე. ტელ: 76-88-29; 893 34-42-37

მუდმივ სამუშაო ადგილზე გვესაჭიროება ლიცენზირებული ექიმები: ორი პედიატრი, ერთი თერაპევტი, ერთი კარდიოლოგი. ტელ: 70-59-76

სასწრაფოდ! მესაჭიროება კადრების შესავსებად უ/გ პირები გამოცდილებით ჯანმრთელობის სფეროში – ექიმები, ექთნები, ფარმაცევტები, ფიტოთერაპევტები, ბიოქიმიკოსები. დასაშვებია წარმატებული კურსდამთავრებული სტუდენტები. სამუშაო მკაცრად საოფისეა. იქონიეთ პირადობის მოწმობა და ავტობიოგრაფია. ტელ: 92-17-62. მორენა

ჰოლანდიგოვის კომპანია აცხადებს მიღებას მუდმივ სამუშაო ადგილზე მზარდი ანაზღაურებით. მიღება ხდება გასაუბრების წესით. კომპანიას ესაჭიროება უმაღლესი ან სპეციალური განათლების მქონე პირები. სასურველია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 899 43-92-49

„აუ-პაირი" – გერმანიასა და ავსტრიაში! 18-27 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ მუშაობას და სწავლას გერმანულ და ავსტრიულ ოჯახებში, 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით. დაგევალებათ მსუბუქი საოჯახო საქმეები და ბავშვის მოვლა, დღეში 5 საათით. ანაზღაურება 300 ევრომდე. პროგრამა ყველასთვის ხელმისაწვდომია. იჩქარეთ, გვყავს მასპინძელი ოჯახები. ტელ: 590-590

## მომსახურება

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 12 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი, განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპების და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შედეგი – პირველსავე სეანსზე; სახის გაწმენდა; მასაჟი საუკეთესო მალამოებით. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის 66. II სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

ინდივიდუალური და ჯგუფური დასვენება ქობულეთში კერძო დასასვენებელ სექტორში სამჯერადი კვებით კაფეში.. 1 ივნისიდან საგზურის ღირებულება: 10 დღე – 80-დან 120 ლარამდე. საგზურის ღირებულებაში შედის სამჯერადი კვების თანხა და განისაზღვრება საცხოვრებელი პირობების მიხედვით. მის: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №113-115 (ეზოში); კაბ. №31. „მკურნალი სუმბატ". ტელ: 91-18-38 (სამს.); 69-18-38 (ბინა); 877 41-86-16. ცისანა სუმბატ

რბილი ავეჯის რესტავრაცია, მერხად სამუელზე შალითების გამოცვლა-დარბილება, ლაქების ამოყვანა, მშრალი წმენდა. ტელ: 76-01-33. გია

LIBRA გთავაზობთ გამგზავრებას გერმანიაში, ავსტრიაში, საფრანგეთში, ოფიციალური კულტურული გაცვლის პროგრამით – AU PAIUR. უზრუნველყოფა იზოლირებული ოთახით, კვებით, სტიპენდიით, სწავლისა და დასაქმების შეთავსებით. მიიღებიან მხოლოდ გოგონები. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №16, ოფისი 1216. ტელ: 37-60-35; 52-51-61; 899 72-11-17

ინდივიდუალური საწარმო აწარმოებს ნებისმიერი სირთულის სამღებრო-სარემონტო სამუშაოს უმაღლეს დონეზე: ბინის რეკონსტრუქცია, ლესვა (კარნიზები, თაღები, ჭაღები), ევრორემონტი, შპალერი, ბაიზი, „გიფსო-კარდონი", შეკიდული ჭერი და სხვა წვრილმანი. მოგემსახურებით იაფად, სწრაფად და ხარისხის გარანტიით. დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: სამთო ქიმია, I სართ. ოთახი №7. ტელ: 34-09-52; 899 19-49-90

შევაკეთებ საბჭოურ და უცხოურ მაცივრებს და კონდიციონერებს, ძველი მაცივრის ძირებს და რეზინებს, გარანტიით. ტელ: 893 90-32-28; 96-18-10

## მკურნალობა

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს თეთრ მუმიოზე მალამოებს, ხსნარებს და საფენებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრებს, პოლიართრიტს, სამწვერა ნერვის ანთებას, დისკოზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 8-10 დღეში. განკურნება გარანტირებულია. ტელ: 34-62-51; 899 54-64-81

> ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება სკოლიოზი, ოსტეოქონდროზი, ნევროზი, პოსტინსულტური დამბლა, კიფოზი, შაკიკი, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი (t = 37,2°C), შიშები, რადიკულიტი, სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები. კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა. მის: მეტრო „გურამიშვილი", ძმები გარიშვილების ქ. №18. ანატოლი შავიძე. ტელ: 61-65-03; 893 20-68-21

თმის დაავადებები: ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა), ტილები, წილები, ფრჩხილის სოკო; ფეხის ქუსლებზე ნახეთქები; ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი; კოსმეტიკა, ოფლის ლოსიონი. მის: ჭავჭავაძის გამზ. №2/2 (ჩაის სახლთან). სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. 11-18 სთ. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 22-27-95. ციცო მჭედლიძე

> ანტიალკოჰოლი, ანტინიკოტინი, ექსკლუზიური უვლებით Loobit პროგრამებით; აგრეთვე ნევროზები, შიშები, უძილობა, თავბრუსხვევები, კუჭ-ნაწლავის პრობლემები, კოლიტი, ზრდის პრობლემები ბავშვთა ასაკში, ქრ. ბრონქიტი, ქრ. პნევმონია. მიღება ყოველდღე, 12-დან 18 სთ-მდე. ტელ: 899 43-97-34; 32-39-46 (საღამოს). ნათია

ვენების ვარიკოზული გაგანიერება, ინსულტის შემდგომი პერიოდი, ჰიპერტონია, ნევროზები, შიშები, კლიმაქტერიულ პერიოდში წარმოქმნილი მოვლენები იკურნება აკად. ლიხაჩოვის მეთოდებით. ტ: 77-71-22 (საღამოს); 99-75-90 (დღე); ლელა

ალერგენების დიაგნოსტიკა და ალერგიის მკურნალობა, მეტყველების დარღვევების (ენაბლუობა-ლოგონევროზი) მკურნალობა უახლესი გერმანული აპარატურით, მაღალი შედეგებით. მის. ვაჟა-ფშაველას 16, მე-13 სართ (ყოფილი მშენებლობის სამინისტროს შენობა), რეზონანსული თერაპიის ცენტრი ხელმძღ. ექიმი ზურაბ ხარაშვილი. ტელ: 899 97-58-77; 39-58-77 (10-15სთ)

ანტინიკოტინი, ანტიალკოჰოლი, ნევროზი, უძილობა, ინსულტის შემდგომი პერიოდი, ჰიპერტონია, ვარიკოზი, ბუასილი, კოლიტი, ფსორიაზი, თვალის დაავადებები, ქრ. ბრონქიტი, ასთმა, ალერგია, კუჭის წყლული, სახსრების მარილოვანი დაავადებები – მცენარეული პრეპარატებით, რომელთაც უკუჩვენება არ გააჩნიათ. ტელ: 99-75-90; 899-21-13-66 ლალი

> ალკოჰოლიზმით დაავადებულთათვის! გთავაზობთ მოსკოვში დამზადებულ სერტიფიცირებულ პრეპარატებს, რომლებიც ეფექტურად ხსნის ალკოჰოლზე დამოკიდებულებას (პაციენტისგან დამოუკიდებლად), გვერდითი მოვლენების გარეშე გაგათავისუფლებთ ალკოჰოლიზმის გართულებებისგან: ნაბახუსევის სინდრომი, ფსიქოემოციური პრობლემები. კურსი 1-2 თვე. ტელ: 893 36-87-62. ავთანდილი

> ალკოჰოლიზმთან მაღალეფექტური ბრძოლა, სერტიფიცირებული, ექსკლუზიური პრეპარატებით. პრეპარატებს არ ასახიათებს უკუჩვენება. ალკოჰოლიზმისგან გამოწვეული გართულებების მკურნალობა: ალკოჰოლური ინტოქსიკაცია, ნევროზები, ჰეპატიტები, ჰალუცინაციები (კრემლის ყოფილი ლაბორატორია). ანტინიკოტინი. მკურნალობა შესაძლებელია პაციენტისგან ფარულად. კონფიდენციალობა დაცულია. ტელ: 899 22-63-90 ნინო

ძვირფასო მშობლებო, მეუღლეებო, შვილებო, თუ ალკოჰოლიზმი და ნარკომანია იქცა თქვენი ოჯახის, სიყვარულის და მოძმის დამანგრეველ მიზეზად, თუ ვეღარ უმკლავდებით ამ დაავადებისგან გამოწვეულ ჯოჯოხეთურ პრობლემებს, მოგვმართეთ და სულ მალე დარწმუნდებით, რომ უკურნებელი არაფერია. ტელ: 98-86-19; 893 12-71-43. ექიმი-კონსულტანტი ქ-ნი ნინო

სმენის აღდგენა და გაუმჯობესება, ყურის ანთების, ხმაურის, ქავილის, ტკივილის მკურნალობა ბიოენერგოკორექციის მეთოდით, აპარატურისა და ოპერაციის ჩარევის გარეშე. ვმკურნალობ აგრეთვე ოსტეოქონდროზს, რადიკულიტს, სისხლძარღვთა შევიწროებას და სხვა. ლევან სეხნიაშვილი. მის: ვაკე, ჭავჭავაძის №37ა, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი (სამების ეკლესიის უკან). ტელ: 91-31-19; 91-32-42

საუკეთესო შედეგებით ვმკურნალობ მაღალ წნევას, ნევროზებს, შიშებს, აკვიატებულ ფიქრებს, თავის ტკივილს, ნერვულ ტიკებს. ოპერაციის გარეშე, ბიომასაჟით ვმკურნალობ პროსტატიტს, თირკმლებს, შარდსასქესო ორგანოებს, სქესობრივ დაქვეითებას. მის: აღმაშენებლის №115, დიაგნოსტიკური ცენტრი „პანაცეა", კაბ. №10. ცისანა გუდაძე. ტელ: 70-39-94

ყველა ქალის საყურადღებოდ! სარძევე ჯირკვლის (მასტიტი, მასტოპათია, ონკოდაავადება) უზუსტესი დიაგნოსტიკა დასხივების, კომპიუტერისა და პუნქციის აღების გარეშე, 10-დღიანი კურსით. მის: აღმაშენებლის №115, დიაგნოსტიკური ცენტრი „პანაცეა", კაბ. №10. ნინო სისაური. ტელ: 899 78-21-24; 61-61-18; 877 41-61-31; 95-74-29; 96-38-27

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია „დაკი" კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

ფირმა „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მალამოები), პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი). კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის №115, კაბ. №20. ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამსახ.); 96-22-89 (ბინა)

სამეჯლისო სპორტული ცეკვების სტუდია „გრაცია" იწვევს 15-დან 50 წლამდე მსურველებს, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, ინსტრუქტორთა შემსწავლელ კურსებზე დაგეხმარებით კლუბის გახსნით თქვენს რეგიონებში. მის: დ. უზნაძის №59, 23-ე სკოლა. ტელ: 56-61-63; 61-73-18; 93-13-45; 899 55-16-09

შევასწავლი კომპიუტერზე მუშაობას. საოფისე: Windows, Word, Excel, Internet, E-mail, საგამომცემლო და გრაფიკა: Page Maker, PhotoShop., CorelDraw; Quarkxpress, AutoCAD, Arcicad, 3d-MAX; veb-dizaini: Flash, Dreamweaver და პროგრამირების ენები. მის. მ. „რუსთაველთან", რესტორან „სამოთხის" უკან. გაბაშვილის ქ. 7. ტელ. 98-80-23

foreign consultans – დიპლომების გათანაბრება ამერიკულ სტანდარტებთან – ინგლისური ენის კურსები ლონდონის ცენტრში. ტელ: 57-33-35. საბინა

## იყიდება

იყიდება ახალი ირანულ-ამერიკული სტომატოლოგიური დანადგარი „ფახრესინა", ექიმის სკამით, კომპრესორით, ბუნიკებით. ტელ: 22-64-08 (ბინა); 877 49-76-09. მანანა; 877 47-46-00. თამარი

ახალი კორეული სატელიტური ანტენა ციფრული მიმღებით. იღებს ქართულ, რუსულ, ევროპულ ტელეარხებს. აჩვენებს ყველგან – ქალაქში, სოფელში, აგარაკზე, მთაში, აგრეთვე საზღვარგარეთ. არხების რაოდენობა – 300. კომპლექტის ფასი – 270 ლარი. მონტაჟი – 40 ლარი. რუსეთის 25 ტელეარხი ფასი – 400-450 ლარი მონტაჟით. ტელ: 899 94-27-04

გთავაზობთ მცენარეებისა და ხეების ნაპირსამგრი „ქაისპალიშპიანი" ჯებირის მოსაწყობად 4 მმ დიამეტრის მავთულით დამზადებულ ნებისმიერი ზომის მავთულბადის კომპლექტებს. ტელ: 899 14-28-16

იყიდება სიმინდის მარცვალი (თეთრი) – 23 ტონა, 1 კგ – 0,5 ლარი; სოიო – 15 ტონა, 1 კგ – 0,95 ლარი. ტელ: 899 54-63-44






### ლალი მანგოშვილის მონატრება



გაზაფხულის, სიცოცხლის ზეიმს სიხარულთან ერთად განუყრელად ახლავს ტკივილიც იმ ახლობლების გამო, ვინც ნაადრევად გამოეთხოვა სოფელს, ვინც დღეს მარადიულ სამყოფელში გვეგულება. ახლდება წყლული და ახლდება მონატრება, როცა შენს შვილებს ვუყურებთ, ლალი, როცა მათი თვალებიდან, მათი ბავშვური ღიმილიდან თითქოს შენ გვიმზერ, შენ გვესაუბრები. უშენოდ იზრდებიან შენი პატარები. დედა მათ ხსოვნას მშვენიერი, კეთილი ფერიასავით შემორჩა. ეს ჩვენ, უფროსებმა ვიცით, რომ გარდუვალია უფლის ნება, პატარები კი ჯიუტად კითხულობენ: „რატომ?“ 31 მაისს 37 წელი შეგისრულდებოდა...

რატომ არ დაგცალდა სიცოცხლე, ახალგაზრდობა, შვილების სიყვარულით ტკბობა? უკვე 8 წელია, ცალად დაიარება შენი მეუღლე. შენთან ერთად ის თავის ერთადერთ ნამდვილ სიყვარულს გამოეთხოვა და მხოლოდ შენი მოგონებებითა და ბავშვებით სულდგმულობს.

ვიცით, რომ ლოცულობ ჩვენთვის, სამზეოზე დარჩენილებისთვის, ჩვენო სათნო, კეთილო, ლამაზო გოგოვ. ვიცით, თვალს არ გვაშორებ და გვინდა, ამ, შენსავით მშვენიერ გაზაფხულზე ერთხელ კიდევ გაგიხსენოთ. შენთვის დანთებული სანთლების ციმციმთან ერთად გამოგიგზავნით ჩვენს უსაშველო მონატრებას.

*შენი დედმამიშვილები, შენი ოჯახი*

### თამაზ ლომინაძის ხსოვნას!



პირველად გილოცავ დაბადების დღეს ზეციურ სასუფეველში, თამაზ, საყვარელო. თვალცრემლიანი ვემთხვევი შენს ხატადქცეულ საფლავს. ჩვენი სიყვარულის უკვდავსაყოფად მოგიძღვნი ცრემლით დანამულ ლამაზ ყვავილებს, სევდანარევი ჩურჩულით გიამბობ ტკივილიანი მონატრების შესახებ. ლამაზად გავლილი ცხოვრების ორმოცდამეერთე საფეხური ჩაგიტყდა და დარჩი მარად ახალგაზრდა, სიცოცხლეზე და ოჯახზე მოტრფიალე კაცი-ლეგენდა, შეუდარებელი შვილი, მამა, მეუღლე, მეგობარი და საერთოდ ადამიანი, ღვთისგან დაჯილდოებული დიდსულოვნებით. 9 თვეა, რაც გაჩერდა შენი კეთილშობილი გული, რომელიც ნათესავებისა და ახლობლების დიდ სიყვარულს იტევდა. შენ ადამიანებთან ურთიერთობის საოცარი ნიჭი და მოთმინების დიდი უნარი გქონდა. ეს ღვთისგან გქონდა მომადლებული. მჯერა, რომ შენი ამქვეყნიური კაცობით გავლილი გზა იმქვეყნიურ სასუფეველს დაგიმკვიდრებს.

ჩვენი უკვდავი სიყვარულის ფესვებზე სამი ულამაზესი ყვავილი აღმოცენდა — ტყუპები თიკო და თამუნა და პატარა თათია. 15 წლის ულამაზესი ტყუპები თიკო და თამუნა წაიყვანე. ვტირი ადრე დამსხვრეულ ბედნიერებას, რომელსაც ვერასოდეს ავკინძავ. შენ იყავი ჩვენი ოჯახის საყრდენი და ბურჯი. მადლიანო ადამიანო, სიკეთის თესვას ჩქარობდი, მაგრამ სიკვდილმა არ დაგაცალა, გზაში ჩაგისაფრდა და სიცოცხლესთან სამუდამოდ გამოგამშვიდობა. ანგელოზებმა შენი სპეტაკი სული მხრებზე შეისვეს და ცაში აიტაცეს, უფალმა სამოთხის კარი გაგიღო და მართალთა შორის მიგიჩინა ადგილი, შენს პატარა ანგელოზებთან ერთად. რა ძნელი ყოფილა უშენობა, თვალცრემლიანი ვიხსენებ ერთად გატარებულ ბედნიერ წლებს, რომელიც ძალიან მალე დამთავრდა. ეს იმ ზღაპრის დასასრული იყო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობდით. ჩვენი ხანმოკლე ბედნიერება იყო ლამაზი ზღაპრული ისტორია, რომელსაც გულისტკივილით წავიკითხავდი.

გზა სიცოცხლიდან სიკვდილამდე ისე გამიკვალე, რომ აღარაფრის მეშინია. თვალს არ დავახამხამებ და ისე დავადგები იმ ბილიკს, რომელიც თქვენთან მომიყვანს, მაგრამ ვფიქრობ, მხოლოდ იმაზე ვილოცო, რომ სიცოცხლეზე გულდაწყვეტილს ზეცაში მოგანიჭო ბედნიერება. მინდა, ჩვენი შვილი, აქ რომ დამიტოვე, დავაბინავო და შენთან ვალმოხდილი მოვიდე. მშვიდად იძინე, ჩემო ძვირფასო. ღვთისგან დადგენილ დღეს მეც თქვენთან მოვალ, მანამდე კი თქვენთვის ვილოცებ, რომ უფალმა ნათელში ამყოფოს თქვენი სულები.

*დიდი სიყვარულით, ირმა*

### გიორგი კიკვილაშვილის მონატრება



გიორგი... უშენოდ მოვიდა გაზაფხული. ირგვლივ ყველაფერი ყვავის და ცოცხლობს. შენთვის კი... განგებამ მხოლოდ ოცდახუთი გაზაფხული გაიმეტა. უკანასკნელი აღმოჩნდა შენთვის 2003 წლის 23 ნოემბრის გიორგობა, რომელიც ჩვენს ოჯახში გაატარე.

სწორედ შენი საყვარელი დედ-მამა, დაძმა და ყველა ახლობელი ერთნაირად დაგვამწუხრე 10 დეკემბერს შენი მოულოდნელი გარდაცვალებით. გაუსაძლისი ხუთი თვე გავიდა იმ ავბედითი დღიდან. უფრო და უფრო გვიჭირს, ვანუგეშოთ შენი სიბერეგამწარებული მშობლები. არანაკლებ [illegible] ლებსაც. უსაშ- [illegible] წარსულში [illegible]

*ირაკლი, თეა, ბადრი ბეგლარაშვილები.*

### გიორგი გიგლას ძე ბენიძის გახსენება



თავზარდამცემი იყო ყველასთვის შენი უცაბედი სიკვდილი 18 წლის ასაკში, რომელმაც სამუდამო ტკივილი მიაყენა შენს ახლობლებს. 19 დეკემბრის შეწყდა შენი ხალისიანი სიცოცხლე, ჩვენო [illegible] დღე 3 ივნისი, მაგრამ არა ლამაზი და ბედნიერი, არამედ მხოლოდ სევდიანი და ცრემლიანი, შენი ამ ქვეყნიდან წასვლის გამო. [illegible] შენ [illegible] ჩვენთან [illegible] მონატრება, [illegible] გან- [illegible] ფიზ- [illegible] აჰყავსო. [illegible] მუდამო [illegible] გაგინათოს.

*შენი მშობლები — ბრეგაძეების ოჯახი*

### გრიგოლ (გოგლა) შველიძის გახსენება



ორი წელი სრულდება 6 ივნისს, გოგლა, [illegible] რაც შენ ჩვენგან წახვედი. [illegible] შენი [illegible] ერთად [illegible] გიორგი [illegible]

შენს სურათს კოცნის, — გოგლა ბიძია უფალმა რატომ წაიყვანა... [illegible] კეთილ მეზობლებს, ნათესავებს. შენ კეთილი და [illegible] იყავი, ჩემო ბიჭუნა. 34 წლისას, სავარძელს მიჯაჭვულს ღვთის მიმართ რწმენა არ გაგიტყდა, შვილო. [illegible] 5-ში ეზიარე და 6-ში, შენი წმინდა სული მარადიულ სასუფეველში გადასახლდა. მშობლებს კი დაგვრჩა შენი მონატრება. მენატრები, ძალიან მენატრები, ჩემო [illegible] შვილო გოგლა.

ცრემლი, ლოცვა და წმინდა სანთელი არ მოაკლდება შენს საფლავს, საყვარელო შვილო გოგლა.

*შენი ოჯახი*

### ვიტალი ორიგაუს გახსენება



1999 წლის 31 მაისი — ავადსახსოვარი დღე ჩვენთვის. [illegible] ნათქვამია, [illegible] უფალი [illegible] ყველას თავის წილს უწყალოდ.

გწამდეს, ჩვენ შენს [illegible] სახელს არ შევარცხვენთ.

*ოჯახი*

### ნაზი კილასონია-რუსთაველის ხსოვნას!



ერთი წელი გავიდა, რაც ჩვენგან წახვედი, საყვარელო დედა. წახვედი და დაგვიტოვე [illegible]. ყველას [illegible] — ოჯახს, დებს, ახლობლებს, მეზობლებს... ძნელი ყოფილა უდედობა. ღმერთო [illegible] წმინდა სასუფეველში. ვილოცავთ შენი სულისთვის.

*შვილები — ეკა და ალეკო*

### სულიკო მაისურაძის ხსოვნას!



წელს პირველად მოვიდა შენი დაბადების დღე უშენოდ, [illegible] მოურჩენელო ტკივილო! 4 ივნისს დაბადების 50-ე წლისთავს გილოცავთ უბედური დედაშენი და შენი ერთადერთი დედმამიშვილი. ვინ იფიქრებდა, ასე უეცრად წაგვივიდოდი ხელიდან, ანდა უშენოდ სიცოცხლე თუ შეიძლებოდა. შენი გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი აუტანელი და გაუსაძლისია. ვერ ვეგუებით უშენობას, ყველგან შენს სახეს ვეძებთ, შენს მოსიყვარულე ღიმილს და იმედიან გამოხედვას, მაგრამ ამაოდ! უსაზღვროდ გვენატრება შენი ხმის გაგონება, ჩვენო კეთილო და ალალი გულის პატრონო ძმაო. ყველას გასაჭირი და სატკივარი გულთან ახლოს მიგქონდა, თავად დაოჯახება ვერ მოასწარი და სხვის შვილებს ზრუნვას არ აკლებდი.

რა მუხთალი ყოფილა წუთისოფელი. როგორ ვიფიქრებდი, რომ უშენოდ სიცოცხლეს მოვახერხებდით. ჩვენ ხომ ძალიან კარგი დაძმობა გვქონდა და ამას სხვებიც აღნიშნავდნენ. ასე რატომ გაგვიმეტე მე და გაუბედურებული დედაშენი (საცოდავი მამაჩვენი ხომ ერთი კვირა სულს ებრძოდა და შენი დაღუპვიდან ერთი დღის მერე ისე გარდაიცვალა, არც კი გაუგია შენი სიკვდილის ამბავი).

ვიცი, რომ მოწყენილი წახვედი ამ ქვეყნიდან, საკუთარ თავს ბევრ მოთხოვნას უყენებდი, საქმის ფაქიზი და ხარისხიანი კეთება გიყვარდა, ამის დასტური შენი ეზო-კარმიდამოა. პატიოსანი შრომით ბევრი კარგი საქმე გააკეთე და ძალიან ბევრი რამ განუხორციელებელ ოცნებად დაგრჩა.

ერთიან და ძლიერ საქართველოზე ოცნებობდი. რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნებისო, — ხშირად იტყოდი ხოლმე. შენს მერე ბედისწერის მჯერა, ალბათ ასეთი იყო ღვთის ნება. როგორ არ იფიქრე შენს მოხუც დედაზე, სიცოცხლე ტანჯვად რომ გადაუქციე? ძალიან მაკლიხარ, შენ მხოლოდ ძმა კი არა, ჩემი ძლიერი დასაყრდენი, ერთგული მეგობარი იყავი. რომ იცოდე, რამდენი რამ დამიგროვდა შენთვის სათქმელი, რომელსაც შენნაირად ვერავინ გამიგებს.

ჩემო სული! იძინე მშვიდად, ყველანაირად ვეცდები, თავს მოვერიო, დედასაც მივხედო და შენს დანატოვარსაც. გარს კეთილი ადამიანები გვახვევიან, რომლებიც შეძლებისდაგვარად გვეხმარებიან.

ისღა დაგვრჩენია, მაღალ ღმერთს ვთხოვოთ, ნათელში გვიმყოფოს შენი ლამაზი სული. მსუბუქი იყოს შენს გულზე უდროოდ დაყრილი სოფელ მერეთის მიწა.

*დედა და შენი და*

### შორენა კიზირიას მონატრება



შენმა მოულოდნელმა სიკვდილმა თავზარი დაგვცა ყველას. რა უცებ შეწყვიტა ბედის ბორბალმა ტრიალი. სიცოცხლეს შეხაროდი, მომავალზე ოცნებობდი. შენი ყოველი ფიქრი ლუკათი იწყებოდა და ლუკათი მთავრდებოდა. სულ გეშინოდა, რამე არ მოიწიოსო. ახლა მშვიდად იქნები, რადგან ცად აფრენილი შენი შვილისა და ახლობლების მფარველ ანგელოზად იქეცი.

ძნელია შენზე წარსულში ლაპარაკი. ვერ ვიჯერებთ, რომ ასეთი ტრაგედია დაატრიალე. ვხედავთ, როგორ დაფარფატებ ქუჩაზე, ვხედავთ შენს მოსიყვარულე ღიმილს. იმ ავბედით დღეს უსაშველოდ წვიმდა, ზეცაც დაგტიროდა. ისეთი კეთილი იყავი, რომ მასაც ჩვენსავით დასწყვიტე გული. სული კვნესის. ვაი, რომ უძლურნი ვართ ბედისწერის წინაშე. პატარა ლუკა დატოვე შენს უკვდავსაყოფად. ჩვენს გულებში მუდამ იცოცხლებ, შორენა! შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

მშვიდად იძინე, ლამაზო ქართველო. გვჯერა, ღვთის ნებით სასუფეველში დაბინავდები.

*მეზობლები*

### ტარიელ ხუციშვილის მონატრება



ღმერთთან წასვლამდე ამქვეყნიური საქმეები გქონდა მოსაგვარებელი, არ დაგცალდა. მერე შევიტყვეთ — კეთილი ყოფილაო, ზედმეტად კეთილი, უღალატო და მიმტევებელიო; ჭირის ამტანიო, სიხარულის გამძლეო; უცრემლოდ ტირილი შეეძლოო...

ალბათ გაუმართლე უფალს იმედები, სიმართლის გზის მაძიებელი იქ სხვანაირი რატომ იქნები?!

სიკვდილი გაღიმებული გიმზერს, — შენ ვინ ყოფილხარო?! ცოტა გაუკვირდა, ვერ გაჯობა, ვერ მოგერია, ვერ შეგაშინა, ვერ დაგვავიწყა ჩვენ — ცოცხლობს შენი ლამაზი სული. ძალიან კი გაუთამამდი სიკვდილს. ვინ იცის, იქნებ ეს რისკი მოგეწონა. რატომ იჩქარე?

ლამაზად თუ წაგიყვანა?! იქნებ არც წაგიყვანა და ისევ ჩვენთან ხარ?

შენს საფლავს ისევ ვარდებით მოვრთავთ, ვარდებით და გულწრფელი ცრემლით. ვარდების თვეში დაბადებულს, განა ვარდებს დაგამადლით?!

*შენი და-ძმები*

### შაკო ინწკირველო, შენი დაბადების დღეა!



6 ივნისი შენი დაბადების დღეა, სად მოგილოცო, შვილო? ერთი წამითაც არ სცილდები დედაშენს, ხანდახან სუნთქვაც კი მესმის შენი. გაუსაძლისია შენი გაუბედურებული დედ-მამისთვის ტანჯული ყოფა უშენოდ. გაიყინა ჩვენი ცხოვრება და სასჯელი გახდა.

მოუთმენლად ველოდები იმ დღეს, როცა უფალი ინებებს და შენთან შემახვედრებს. მერე კი სულ ერთად ვიქნებით, ჩემო გაუხარელო და დედ-მამისა და ერთადერთი დის გულის მომკვლელო შვილო.

*შენი უბედური მშობლები*

### დათო მაისურაძეს!



გაუსაძლისი ტკივილითა და მონატრებით გილოცავთ, დათო, დაბადების დღეს!

მეორედ ვხვდებით 4 ივნისს უშენოდ. სევდა ჩაბუდებულა სულში, გულს შენეული სითბო და სიყვარული აკლია. წახვედი და დაგვიტოვე უსაშველო ტკივილი...

დრო მიდის... დრო მკურნალიაო, ამბობენ. ჩვენს იარას დრო უფრო ამძიმებს, უშენობით დარჩენილ სიცარიელეს ვერაფერი ავსებს. გულში სამუდამოდ დაისადგურა მწუხარებამ. წახვედი და ბევრს ასწავლე მონატრება, იმ პატარა ნიკალასაც, რომელიც შენ დაგვიტოვე, იმ ნიკალას, რომელიც ყოველდღე „დათო-მამას“ ახსენებს და ელდოება, ციდან როდის ჩამოვა და ჩაეხუტება. ძალიან გვიმძიმს უშენობა... ნუთუ არ იფიქრე შენს გაუბედურებულ დედაზე, რომელსაც სიცოცხლე ტანჯვად ჰქცევია?!; ჩემზე, რომელიც ასე ფრთამოტეხილი დამტოვე?! ჩვენ ხომ ერთად უნდა გაგვეზარდა ნიკალა... ის ლამაზი, სიყვარულით სავსე ოჯახი შავმა ბურუსმა მოიცვა...

ისღა დაგვრჩენია, შენი საფლავი ცრემლითა და ყვავილებით ავავსოთ, დაგინთოთ სანთლები და უფალს შევთხოვოთ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული, დათუნა!

### ზურა ხომასურიძის ხსოვნას!



შირაქის ველი შეძრა ელდამ, — ზურა ხომასურიძისთვის რვა მარტი შავად დაღამდა და ცხრა მარტი აღარ გათენდა — ტრაგიკულად დაიღუპაო მადლიანი ვაჟკაცი, შირაქის ველმა უმტყუნა რუსეთის ტრამალებზე და თურქეთის დიდ გზებზე მკლავგამოცდილ უბადლო მძღოლს და მეგობრებმა მხოლოდ უსულო ცხედარიღა მიასვენესო მის საკუთარ ოჯახში.

გზას აბნელებდა შენს სამძიმარზე მოსულთა სიმრავლე, ზური და თითოეული შენს ჭირისუფლად თვლიდა თავს. დაგტიროდა შენი ოჯახი, ნათესაობა, შენი საძმო, ნაცნობი თუ მეგობარი. დაგტიროდნენ მოსკოვიდან თუ ლენინგრადიდან, კანადიდან და კვიპროსიდან და ფიქრობდნენ, რომ ცხოვრება დამთავრდა უშენოდ. მეც ვტიროდი, თუმცა ვთვლიდი, რომ არც კი მქონდა ტირილის უფლება — ვერ გაგიფრთხილდი.

ვინ დაიჯეროს და ვერც მე ვიჯერებ, ჩემო სიხარულო, რომ შენ უმოძრაობას დაემორჩილე. მჩქეფარე ცხოვრებით ცხოვრობდი, ყოველ წამს დუღდი, ჩქეფდი შენს ცოლ-შვილში, მეგობრებში, შრომაში, სიყვარულში... ერთ სიცოცხლედ ღირდა შენი ყურება და მოსმენა და ამიტომაც ძალიან ძნელია სიცოცხლე უშენოდ...

უსაშველო ტკივილზე სალბუნად მედება ის, რომ შენზე ყველა დიდი სიყვარულით, დიდი მონატრებით საუბრობს. ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა იხსენებს როგორი იყავი, როგორ დაღვინდი გიჟმაჟი ყმაწვილი და შენი ხალხისთვის საიმედო, სანიმუშო ვაჟკაცად იქეცი. პატარები ფიჭვის ხეებზე სურნელოვან წებოს აგროვებენ, რომ საკმევლად მოგიფრქვიონ საფლავზე. მჯერა, შენი სიკეთე სულების სასუფეველში ღირსეულ ადგილს დაგიმკვიდრებს.

ჩათავდა უშენობის მესამე თვე და ვცდილობ, თანდათან შევეჩვიო უშენობას, მაგრამ ყოველი დღე მაინც შენზე ფიქრით იწყება.

სანთელი და საკმეველი ანათებდეს შენს ციურ სამყოფელს. როგორ მენატრები...

*შენი და*

### მამუკა ისახანაშვილის ხსოვნას!



რამდენიმე დღე გაშორებს სიცოცხლეს. ძალიან ძნელია ჩვენთვის შენი წარსულში გახსენება, იმის გააზრება, რომ ულმობელი სიკვდილი ძლიერი აღმოჩნდა და უდროოდ წაგვართვა შენი თავი. რა უცბად ჩაქრა შენი ლამაზი სიცოცხლე.

ცხოვრება მაშინაა მშვენიერი, როცა მამუკასნაირი ადამიანები არიან შენ გვერდით. სკოლის მერხიდან გაგიცანით და ღვიძლ ძმასავით შეგისისხლხორცეთ, შევეზარდეთ ერთმანეთს, უძვირფასესი წლების უძვირფასესო მეგობარო, ჩვენო ღიმილიანო ბიჭო. შენ გვერდით ლხინი გვიათკეცდებოდა და ჭირი გვიმსუბუქდებოდა. როდესაც მეგობარი კარგი გყავს, მაშინ გულიც დიდი გაქვს, ამაყი ხარ, გგონია, ვერაფერი დაგამარცხებს.

ძირძველი თბილისური ოჯახი გქონდა. თბილისის შუაგულში გაზრდილს, ძალიან გიყვარდა შენი დედაქალაქი. რით ვანუგეშოთ უკეთილშობილესი ქალბატონი, ლეილა დეიდა და სასოწარკვეთილი თენგიზ ბიძია?! როგორ მოვეფეროთ შენს დაიკო ეკუნას, — შენს თავს ხომ ვერავინ შეუცვლის.

სკოლის დამთავრება შენს ოჯახში აღვნიშნეთ, ძალიან ლამაზი გამოსაშვები საღამო გამოგვივიდა. რა ბედნიერები ვიყავით ყველა ერთად, უკლებლივ. მერე და მერე ყველა სათითაოდ შევეჭიდეთ ცხოვრებას და ბევრ თანაკლასელს ერთმანეთი აღარც უნახავს.

ალბათ ისიც სიმბოლური იყო, რომ ბოლოს შენი ოჯახიდან გაგვყვა ის ლამაზი საღამო და სამარადისოდ შემოგვრჩა მეხსიერებაში.

შენი წასვლით ერთი კაშკაშა ვარსკვლავი ჩაქრა. სამწუხაროდ, სიკვდილი ულმობელია. ძალიან გვტკივა გულში შენს თანაკლასელებს სახელი მამუკა. არ გვინდოდა იმის დაჯერება, რომ შენი ხანმოკლე სიცოცხლის ტრაგიკული დასასრული ლოგიკური ყოფილიყო.

რამდენიმე დღე გაშორებს სიცოცხლეს, ჩვენო ძვირფასო მეგობარო, ჩვენო საყვარელო მამუკა. იანვარში სკოლის დამთავრების ოცი წლისთავი აღვნიშნეთ. ჩვენი კლასიდან უდროოდ წასული მეგობრების გახსენებაზე სიტყვები არ გყოფნიდა, როგორ გამოგეხატა მათი მონატრება. იქ, მარადისობაში ჩვენი კლასის შეუშრობელ ცრემლებს — გუჩა გულბანს, ზაზა ჭოხონელიძესა და მანანა დარასელიას მოუყევი, როგორ გვენატრებიან. ძალიან მოგვაკლდა მათი ხალასი სიცილი, დაუსრულებელი ხუმრობა, სიყვარული. ბედისწერაც ხომ თითქმის ერთი გერგოთ, ტრაგიკულად დასრულდა ყველაფერი. ვაი, რომ ვერ შევძელით თქვენმა მეგობრებმა თქვენკენ მომავალი სიკვდილის შეჩერება. სამწუხაროდ, სიკვდილს თავისი კანონზომიერება აქვს. შენმა სიკვდილმა დიდი ტკივილიანი სიცარიელე და გახუნებული მზის სინათლე დატოვა. ისე გვიყვარხარ თანაკლასელებს, როგორც ოცი წლის წინათ.

ოდესმე ჩვენც გავუშინაურდებით სიკვდილს და შევუერთდებით მარადისობას, რომელმაც ძალიან ადრე წაართვა სიცოცხლეს ერთ-ერთი კარგი თბილისელი ბიჭი.

*31-ე სკოლის X^2-კლასელები (1982 წლის გამოშვება)*

### ბაბუცა კოპალაძე-გაბრიჭიძის მონატრება

5 ივნისი მწარე მოგონებად გადამექცა. ამ დღეს წახვედი და დამიტოვე მოურჩენელი ტკივილი. ერთი წელია, რაც აღარ მესმის შენი ჭკვიანური და დინჯი დარიგება. შენ ხომ სიყვარულიც განსაკუთრებული შეგეძლო.



მაპატიე, ჩემო საყვარელო დაიკო, რომ სიცოცხლეში მეტად ვერ გაგიფრთხილდი და მეტად ვერ დავაფასე შენი ერთგულება და სიყვარული. რაც დრო გადის, უფრო მეტად განვიცდი უშენობას. მენატრები ძალიან და მხოლოდ შენს სურათებს ვეფერები. უფალს ვთხოვ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი და სპეტაკი სული.

*შენი ია*

### ვახტანგ ადეიშვილის გახსენება



ერთი წელია, უშენოდ ცხოვრობს შენ მიერ ფუძეჩაყრილი ოჯახი, რომელსაც სრული ბედნიერებისთვის შენი სიცოცხლე აკლია. ახლა უფრო კარგად გვესმის, რა დიდი უბედურებაა უშენოდ ჩვენი ცხოვრება. ძნელია, გვერდით აღარ გყავდეს ერთგული და მოსიყვარულე მეუღლე, მამა, რომელიც ბუნებამ იშვიათი თვისებებით დააჯილდოვა.

ყველა პატივს რომ გცემდა, ვიცოდით, მაგრამ თუ ამდენი ცრემლი, სითბო და სიყვარული გქონდა დამსახურებული, არ გვეგონა. უშენობა უჭირს შენს სანათესავოს, საძმო-სამეგობროს, სოფელ ხიზაბავრას, მეზობლებს, შენს თანამშრომლებს. დიდი მადლობა მათ თანადგომისათვის.

ჩვენო ძვირფასო მამა, 5 ივნისი ყოველთვის გლოვის დღე იქნება ჩვენს გულებში. ყოველი დღე შენი მონატრებით თენდება და ღამდება. შენ ჩვენი მარტო მამა კი არა, მეგობარი იყავი. მართალია, განგებამ წაგვართვა შენი თავი, მაგრამ ვერ წაგვართვა ყველაზე მთავარი, რაც ჩვენს გულებში დატოვე — სითბო და სიყვარული. ღმერთს ვევედრებით, მოგვცეს ძალა იმისა, რომ შევძლოთ იმ კეთილი გზით სიარული, რომლითაც შენ დადიოდი, რათა შენი ღირსეული სახელი გავაგრძელოთ.

*„დავმალავთ ცრემლებს თვალებზე მომდგარს*
*და ჩვენს ხსოვნაში დაგტოვებთ ცოცხალს.“*

დრო მკურნალიაო, — ტყუილია. რაც დრო გადის, უშენობა უფრო მტკივნეულია, სევდა უფრო მძაფრდება. ძნელი ყოფილა ქვრივის ცხოვრება. ყოველდღე გელოდები, მგონია ისევ დაბრუნდები. ვერ შევეჩვიე უშენობას. შენმა სიკვდილმა მთლიანად შეცვალა ჩემი ცხოვრება და შემაყვარა ის ცხოვრება, რომლითაც შენ ცხოვრობ. მენატრები, მიყვარხარ და ხალისით ველოდები იმ დღეს, როდესაც შენთან მოვალ. ვამაყობ იმით, რომ 26 წელი შენი მეუღლე მერქვა. მართალია, მილიონები არ დაგვიგროვებია, მაგრამ დაგვრჩა მილიონებზე ძვირფასი ჩვენი შვილები და შვილიშვილები.

დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერ შევძელით შენი გადარჩენა, მაგრამ შევძლებთ შენს არდავიწყებას.

ჩვენო მარადიულო დარდო და ტკივილო, ჩვენო საყვარელო, ძვირფასო ძმაო. რა ვუყოთ იმ დიდ ტკივილს, აუტანელ სიცარიელეს, რასაც უშენობა ჰქვია, რასაც ვერ კურნავს, ვერ აშუშებს დრო?! დედაჩვენის ცხოვრება წამებად იქცა. შვილმკვდარი დედისთვის ყველაზე დიდი სასჯელი სიცოცხლე ყოფილა. შვილის სიკვდილით დაჭრილ გულს ვერაფერი მოარჩენს. ძმაო, შენს სიყვარულს შენს შვილებზე და შვილიშვილებზე გადავიტანთ, ზრუნვას არ მოვაკლებთ, მაგრამ შენს თავს ვერავინ შეუცვლის.

ჩვენო ძვირფასო სიძევ, ძნელია შენზე წარსულ დროში ლაპარაკი. შენ ხომ სიცოცხლე ძალიან გიყვარდა. ჩვენი დედმამიშვილი არ იყავი, მაგრამ მეოთხე ძმად მიგვაჩნდი. შენ მუხრანის სანაქებო სიძე იყავი. ყველას დიდი ტკივილი მოგვაყენე, ჩვენს მოხუც მშობლებს სიბერე გაუმწარე. ენატრები ყველას და შენს კაიკაცობაზე ლაპარაკობენ. გიგონებთ თბილად და სიყვარულით. გულს მხოლოდ იმით ვიმშვიდებთ, რომ უფალი შენს ნათელ სულს იქ დაუმკვიდრებს ადგილს, სადაც მართალნი განისვენებენ.

წელს მეორედ შევხვდებით უშენოდ შენი დაბადების დღეს — ახლა ხომ 52 წლის გახდებოდი. ცრემლით და ყვავილებით მოვალთ შენს საფლავზე. მსუბუქი იყოს შენს კეთილ გულზე დაყრილი მიწა.

*ოჯახი, ახლობლები*

### ზაზა ქებურიას გახსენება



31 მაისი შენი დაბადების დღეა, შვილო ზაზა! გილოცავ, დეიდა. ჩემო ჭკვიანო, ლამაზო, სიკეთით სავსევ, მხიარულო, შენით ვამაყობდი, შენ ხომ გამორჩეული იყავი შენი ნიჭით, შენი ტალანტით. რამდენი აუხდენელი ოცნება დაგრჩა... ახლა უკვე 24 წლის ხარ, ჩემო ვაჟკაცო. რა გულისტკივილით, სევდითა და ცრემლებით ვხვდებით ამ დღეს. უზომოდ გვენატრები, შვილო. დედის გაუყუჩებელო ტკივილო და შეუმშრალო ცრემლო, მამის საფიცარო ვაჟკაცო, მეორე დაბადების დღეა, ზეციდან გადმოსცქერი შენს უსაყვარლეს ქრისტინას და ეურთგულეს ნინოს. ეს რა უბედური სიბერე არგუნე ბაბუა-ბებიებს, დებისთვის მუდამ ტკივილო. შენს დაბადების დღეს ცრემლებით ვხვდებით, შენ ყოველთვის ჩვენთან ხარ, ჩვენს ფიქრებსა და სიყვარულში.

ღმერთს ვევედრები, შენი ლამაზი სული ნათელში დაგვიმკვიდროს.

*ზაირა დედა*

### ზაზას!

*ცა რომ ჩამოიქცა, ეს არაფერია, შენზე ოცნებები დაგვათოვს.*
*მზე რომ დაგვიბნელდა, ესეც არაფერი, შენი მოგონება გაგვათბობს.*
*ვიცი, რომ ცის თავანზე ეტლით დაბრძანდები, ალბათ ანგელოზებთანაც საუბრობ,*
*შენი ვაჟკაცური მზერა მოგვენატრა და ამ მონატრებას რა ვუყოთ?!*
*იმ უცოდველ ღიმილს, გზას რომ გაგინათებს, ვიცით, ცოდვილსაც რომ გაუყოფ,*
*მაგრამ შენი სითბო რომ გვაკლია, მითხარ, ამ ტკივილს რა ვუყოთ?!*

*ლელა და ხათუნა*

### ზაზა ქებურიას ტკივილიანი მონატრება



გაზაფხული და მაისი ისევ მოვიდა, ზაზუკა. გილოცავთ დაბადების დღეს!

რა სევდიანია ეს მილოცვა, ძმაო. თითქოს ცარიელია სამყარო უშენოდ. როგორ გვაკლიხარ, შენ ამშვენებდი და ახალისებდი სანათესავოს, სამეგობროს.

ოჯახის ერთადერთო ვაჟკაცო, სათუთად აღზრდილო, გფარავდეს ნათელი უფლისა. 24 სანთელს აგინთებთ ტაძარში და უფალს შევთხოვთ, დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი.

*დეიდაშვილები: ჯუნა, საბა, ოთარი*

ზაზა! უშენოდ მოვიდა შენი დაბადების დღე, 31 მაისი.

გილოცავთ, ძმაო!

ყველას როგორ გვენატრები, როგორ გვაკლიხარ. რა ტკივილი დაგვიტოვე. უსასრულოა მოგონებები. გვიყვარხარ, გვეამაყები.

სანთელ-საკმეველი არ მოჰკლებოდეს შენს ლამაზ სულს.

ჩვენმა ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

*დეიდაშვილები: მაია და ჯუანშერი*

ჩვენ გვწერენ

# მამა სიკვდილის შემდეგაც არ მტოვებს მარტო...



უკვე შვიდი წელია, ჩემს სახლში უცნაური ხმები ისმის, დროდადრო წკარუნებს ჯამ-ჭურჭელი, თითქოს ვიღაც მანიშნებს, რომ მარტო არ ვარ. თავიდან ვფიქრობდი, თაგვი იქნება-მეთქი. სათაგურიც კი დავდგი, მაგრამ მერე მივხვდი, ვცდებოდი.

ამ ბინაში მე და მამაჩემი ვცხოვრობდით. მამა სულ წუხდა, რომ დედისერთა ვიყავი, თანაც გასათხოვარი, ბედი კი არა და არ გამეხსნა. მეტყოდა ხოლმე: შენი დარდი გამყვება, მშვიდად ვერ დავლევ სულს, შენი გულშემატკივარი რომ აღარავინ მეგულებაო. მე სიტყვით ვუიოლებდი ყველაფერს, ასე მირჩევნია, ვიდრე აწეწილი ოჯახი მქონდეს, შენც ხომ იცი, ჩემი შემოსავლით შვილებს ვერ გავზრდი, დღეს კი კაცები არ მუშაობენ, ცოლებზე არიან დამოკიდებულნი, მარტო უფრო მშვიდად ვიცხოვრებ-მეთქი. ამას კი ვამბობდი, მაგრამ გულში მეც ძალიან მეშინოდა. მამა ავადმყოფობდა, ხელიდან რომ გამომცლოდა, სიტყვის მთქმელი არავინ მრჩებოდა. მამაჩემიც დედისერთა იყო და ახლო ნათესავები არ გვყავდა, დედაჩემი კი, წარმოშობით უკრაინელი, უკვე ოცი წელი იყო, მეორე ქმართან ერთად ცხოვრობდა ფინეთში და ქართველ შვილზე დიდად არ იწუხებდა თავს. წელიწადში ორ-სამჯერ თუ დარეკავდა ზრდილობის გულისთვის.

შვიდი წლის წინ მამა გარდამეცვალა. მაშინ ვიფიქრე, რომ ჩემი ცხოვრებაც დამთავრდა. დაკრძალვის მეორე დღეს მამის სურათის პირისპირ მარტო დარჩენილმა თავი იმდენად უბედურად ვიგრძენი, ფანჯრისკენაც კი გამექცა თვალი, ხომ არ გადავვარდე-მეთქი. აი მაშინ ატყდა სამზარეულოში ჭურჭლის რახარუხი. შევკრთი — ნეტავ რა უნდა იყოს-მეთქი. სამზარეულოში გავვარდი. იქ არავინ დამხვდა. არა, ადამიანს არ ველოდებოდი, უფრო თაგვი ან კატა მეგონა...

ახლა რომ ვფიქრობ, დაზუსტებით ვიცი, ხმაური სწორედ მაშინ ატყდებოდა ხოლმე, როცა მე სასოწარკვეთილი ვიყავი. თანამშრომელმა — უცხოპლანეტელები ხომ არ მოდიან შენთანო. გამეცინა. უცხოპლანეტელებისა, მომკალი და, არ მჯერა.

შარშანწინ ჩემმა მეზობელმა თავისი ნათესავი გამირიგა. რაღა დროს ჩემი გათხოვებაა, ორმოცი წლის ქალი ვარ-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ მერე მარტოობის შიშმა თავისი ქნა და გადავწყვიტე, დავთანხმებოდი. იმ ღამით, კინაღამ ჭერი ჩამომექცა. მარტო ჭურჭელი კი არა, წიგნის კარადაც თითქოს ზანზარებდა. კედლებიდან ნახატებიც ჩამოცვივდა, ლოგინიდან წამოვვარდი, შუქი ავანთე და გიჟივით დავიწყე ოთახებში სირბილი. თვითონ არ ვიცი, რატომ დავიძახე: რა მოგივიდა, მამა!

ჩემმა სიტყვებმა თავადვე შემაშინა. მაშინ მივხვდი, რომ მამას არ დავუტოვებივარ. ამჯერად კი რაღაც უნდოდა ენიშნებინა. ქორწინებაზე ინსტინქტურად ვთქვი უარი. კარგა ხნის მერე გავიგე, რომ ის მეზობლის ნაქები ნათესავი ქურდი და ყაჩაღი ყოფილა.

ასეა, გავიდა წლები და მამამ არ მიმატოვა. პირიქით, თითქოს უფრო დამიახლოვდა. ადრე რომ ვუმალავდი, რაზე ვდარდობდი, ახლა გულახდილად ვუყვები ყველაფერს.

ერთხელ ვცადე, ეს ამბავი მეზობლისთვის მომეყოლა. ეჭვიანად შემომხედა, მივხვდი, ფიქრობდა, გაგიჟდაო. ახლა აღარავის არაფერს ვუამბობ. თქვენ კი მხოლოდ იმიტომ გწერთ, რომ ძალიან მაინტერესებს, რომელიმე მკითხველს ხომ არ განუცდია მსგავსი რამ, ხომ არ შეიძლება ეს ერთადერთი შემთხვევა იყოს დედამიწის ზურგზე, როცა საყვარელ ადამიანს გარდაცვლილი მარტო არ ტოვებს.

***სვეტა ლაპიაშვილი, თბილისი***

# ამო მხოლოდ მთებში დაფრინავს

ჩრდილოეთ კავკასიაში ბევრი „მოჯადოებული“ ადგილია. იალბუზისპირეთში, სახელგანთქმულ კურორტებზე — კისლოვოდსკში, ესენტუკსა და ჟელეზნოვოდსკში აშკარად იგრძნობა ადამიანზე, მცენარეებზე, ცხოველებზე ანომალიური ზემოქმედებანი.

ბოლო ხანებში არა მარტო იალბუზს, არამედ მომცრო მწვერვალებს — ბეშთაუს, ალათაუსა და მაშუქს ხშირად აკვირდება ამოუცნობი მფრინავი ობიექტი. უფოლოგების აზრით, დედამიწაზე არსებობს განსაკუთრებული ადგილები თუ სარკმლები არამიწიერი გონის ჩვენს პლანეტაზე შემოსაღწევად. კომპიუტერულმა ტექნიკამ დაადგინა ასეთი სარკმლებისა და არხების საზღვრები. თურმე ამო განსაკუთრებით წყალობს მთებს. არსებობს აგრეთვე ტრასები, რომლითაც უცხოპლანეტელთა ხომალდები შემოდიან ჩვენს განზომილებაში.



ჩვენ გვიჭირს ამო-ს დანახვა, რადგანაც მისი ნავიგაციის ადგილები უკაცრიელია, დასახლებული პუნქტებიდან შორს არის, თანაც ძნელად მისაღწევია.

1992 წლის აგვისტოში, ბეშთაუს რაიონში მეცნიერები აკვირდებოდნენ 4 კმ სიმაღლეზე მფრინავ ორ ბრტყელ ობიექტს. ისინი ერთმანეთისგან 5 კმ-ით იყვნენ დაშორებული, ნელა, უხმოდ მოძრაობდნენ. ერთი მწვანე იყო, მეორე — ცისფერი. უცებ ერთდროულად გაჩერდნენ. მწვანიდან გამოფრინდა წითელი ბუშტი და ცისფრისკენ წალივლივდა. 1/4-ზე რომ მიუახლოვდა, მწვანე ამოდან გამოტყორცნილ თეთრ სხივში გაეხვია და თანდათან გაიზარდა. თან ფერს იცვლიდა წითლიდან — თეთრამდე. მერე ტკაცანი გაისმა. სხივი გაქრა, ბუშტი კი დამკვირვებლების ცხვირწინ დაეცა. დამკვირვებლებმა ბუშტის დაცემის ადგილას მომწვანო, ცხელი მასა აღმოაჩინეს. დაელოდნენ გაგრილებას, ნიმუში აიღეს და უფოცენტრში წაიღეს გამოსაკვლევად.

სწავლულებმა ამ მასის მეშვეობით განმარტეს: ამო დედამიწას დასაბამიდან აკვირდება. შორეული კოსმოსიდან სხვადასხვანაირი არსებები შემოდიან ჩვენს სამყაროში — არავინ იცის, რატომ, მაგრამ ბევრ მათგანს ომი აქვს ერთმანეთში. ეს ნივთიერებაც ამის დასტურია — რაღაც დადნა, ვიღაც დამარცხდა.

უცნაური რამ მოხდა ნალჩიკის ახლოს, მთებში. უსახელო მწვერვალის ბაქანზე, ტურისტებისა და ადგილობრივ მკვიდრთა თვალწინ, დაეშვა ამო, რომელშიც ჰუმანოიდები ისხდნენ. ხალხი ხელითაც კი შეეხო მათ აპარატს. სასწრაფოდ მოსულმა უფოლოგებმა ბაქანზე ვერაფერი ნახეს — ამო მათ მოსვლამდე ტურისტების თვალწინ გაქრა და წამის შემდეგ კვლავ გამოჩნდა. ის აღმოჩნდა „მფრინავი თეფშის“ ასლი, მაკეტი, რომელიც პოლონელ კინემატოგრაფისტებს დაეტოვებინათ ფილმის გადაღების შემდეგ. მალე მაკეტიც გაქრა!

ეს მოხდა 1983 წელს.

***ტაინაია ვლასტ №6***

## „საზალდო-სალაღო“ გვერდის პასუხები

I. რწყილი.

II. მარწყვი.

III. მე-2 და მე-7 ბატი.

IV. აბა, გამოიცანი:

1) — გ); 2) — ბ); 3) — ა); 4) — დ); 5) — დ); 6) — დ); 7) — ა); 8) — ბ); 9) — ბ); 10) — გ).

# ხსოვნა

31 მაისი...

ეს უკვე მეორე ვარდობისთვე დგება უშენოდ... გაუსაძლისი, სასტიკი, სუსხიანი ვარდობისთვე, რომელსაც ვერ ათბობს შენი ალერსიანი მზერა და ღიმილი.

წარმოუდგენელია, მაგრამ დრო უშენოდაც მიედინება... მერე რა, რომ ჩვენთვის წამზომი იმ ავადსახსენებელ დღეს გაჩერდა?! მერე რა, რომ მუდამ ხალასი ფერები ბურუსმა და უკუნეთმა გააუფერულა?! მერე რა, რომ მხიარულება და ცეკვა-სიმღერა გაუთავებელმა მოთქმა-ვაებამ შეცვალა?!

დრო მაინც მიედინება, ზაზა!

შენი ქრისტინა იზრდება და მამჩოსეული ჭკვიანი თვალებით გვეკითხება ყველას — „რატომ?“

რა მალე გვექცა ყოველდღიური რეალობა სანატრელ სიზმრად, აუხდენელ ოცნებად; რა მალე გახდა ჩვენი „პატარა“, ერთადერთი საფიცარი ძამიკო ტკბილი მოგონება; ჩვენი ყოველდღიური სიტყვა კი — „გახსოვს“.

ვიცი, ზაზა, სევდიანი მონოლოგები არასოდეს გიყვარდა. არც ჩვენ გვინდა ხვალინდელი დღის იმედი ჩავიკლათ, ისევ შენი მხიარული მოგონებებით ვიცხოვრებთ.

უზომო ტკივილსა და მონატრებას კი შენი ალერსიანი ქრისტინა გაგვიქარვებს.

გაგვიქარვებს კი?!

31 მაისი შენი დაბადების დღეა, 24 წლის გახდებოდი!

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო „პატარა“.

***შენგან მიტოვებული დები***

### გია ჭყონიას ხსოვნას!



უკვე მეორედ ვხვდებით უშენოდ გაზაფხულს, ჩვენო მონატრებულო მამა. 31 მაისს 55 წელი შეგისრულდებოდა. უსაზღვროა სევდა, რომელიც თან სდევს უშენობას. შენი სახელის ხსენებაზე თვალზე ცრემლები გვადგება. შენი საფიცარი შვილიშვილები შენს სურათებს ეფერებიან.

ძალიან გვენატრები, ჩვენო კეთილო და მზრუნველო მამიკო.

***ოჯახი***

### გურამ და რეზო გიორგაძეების გახსენება





წუთისოფელში ნამუსიანი ცხოვრებით ნამდვილად დაიმკვიდრეთ ადგილი სასუფეველში, ველსა მწვანილოვანსა.

ვანის რაიონის სოფელ ყუმურში მრავალრიცხოვან ოჯახებში დაბადებულებმა, ნიჭით და შრომისმოყვარეობით გაიკვლიეთ გზა ცხოვრებაში.

გურამ, შენ უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრე და მშობლიურ სკოლას დაუბრუნდი მასწავლებლად. წახვედი და წაიღე დედის ცრემლები, დარდი დაუქორწინებელი ორი ვაჟიშვილისა, გამოუცემელი საკუთარი ლექსების კრებულისა.

რეზო, შენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტი დაასრულე და ცნობილი ქარხნის — „ცენტროლიტის“ მთავარი კონსტრუქტორი გახდი. მშვენიერი ოჯახი შექმენი ლამარა ზაქარეიშვილთან ერთად. ბიძაშვილები საზოგადოებაშიც, სამეგობროშიც, სამეზობლოშიც სანიმუშონი იყავით, ამიტომაც ჩაგვწყვიტეთ გული ნაადრევი წასვლით!

***ნანი, რუსუდან, მარიჯან ადეიშვილები, კუსალა***

### კოლია პაპიაშვილის გახსენება



ჩვენო საყვარელო კოლია! ცხრა წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შენი სიცოცხლე ჩაქრა. რა ძნელი ყოფილა უშენოდ. შენი მშობლები, ძმა და ნათესავები შენს დაბადების დღეს გულისტკივილით, სევდითა და ცრემლით ვხვდებით.

უზომოდ გვენატრები. შენით ვამაყობდით და ვაი, რომ ვერ შევძელით უდროოდ შენკენ მომავალი სიკვდილის შეჩერება.

1 ივნისს შენი დაბადების დღეა, 32 წელი შეგისრულდებოდა – კიდევ ერთი დაბადების დღე უშენოდ.

მშობლებისთვის მუდამ დიდო ტკივილო, სიცოცხლე ტანჯვად რომ გადაგვიქციე, ღმერთს შევთხოვთ, სანთელ-საკმეველი არ მოჰკლებოდეს შენს ლამაზ სულს, ჩვენმა ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

***ლია, მარიტა პაპიაშვილები***

### სოფიკო ფაცურიას ხსოვნას!



უკვე წლები გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენ შორის აღარ ხარ. შენი მონატრებით ცხოვრება ერთ გაბმულ სევდად გვექცა. საოცრად გვაკლია შენი იმედიანი, სიცოცხლეს დახარბებული თვალები და ლაღი, ხალასი სიცილი...

გვჯერა, რომ ზეციურ საქართველოში განისვენებ და იქიდან ანუგეშებ შენს ოჯახს. მუდამ რჩეულთა შორის გამყოფოს ღმერთმა. სოფიკო ფაცურიას გარდაცვალების დღესთან დაკავშირებით იხსენებენ:

***საბა, ზუკა, თამუნა და სოფიკო***

### ალიკო ჯიშკარიანის მონატრება



სიცოცხლე სიკვდილით შვენობსო, იტყვიან, მაგრამ ყოველივეს ხომ თავისი დრო და ჟამი აქვს. ალიკო! შენთვის ხომ წარმოუდგენლად ადრე იყო საუკუნო გზაზე გამგზავრება, ხვალინდელი დღისათვის განკუთვნილი მზერა ზეცის სასუფეველს მიაპყარი.

უმწეო და ეულები დაგვტოვე მე და სანდრო. შენი დაბადების დღე, ახალი წელი, ახლა კი 21 მაისიც მოვიდა უშენოდ, ნაღვლიანი სახეებით და ცრემლიანი თვალებით. რა ხანმოკლე ყოფილა ჩვენი ბედნიერება და რა უსამართლო – ეს წუთისოფელი. უსაზღვრო და უსაშველო გახდა შენი მონატრება. 21 მაისის წვიმიანი ღამე საბედისწერო დაგვიდგა. სიკვდილის ზარებმა შემოჰკრეს ჩვენს სახლებში...

ალიკო, ზურა, ლევან! სიკვდილმაც ვერ დაგაშორათ. ღმერთს კარგი უნდაო, ამიტომაც აგირჩიათ საუკეთესონი. ირგვლივ საშინელი სიცარიელეა უთქვენოდ. ფანჯარას მიმაჯაჭვა განგებამ. წყლიანი თვალები დაღალა შენი გამოჩენის ლოდინმა. მიმძიმს შეჩვევა იმასთან, რომ აღარ მოხვალ... მაგრამ განმეორებით კი უკვე განმეორდი სანდროში. მიჭირს შენს საფლავთან მისვლა და შენზე წარსულში საუბარი. ანთებული სანთლები გაგინათებენ გზას ზეციურ სასუფეველში. დაე, უფალი გაგიძღვეს იმ უცხო და შეუჩვეველ სამყაროში, ხოლო შენს ტანჯვით და ტკივილით დამტვრეულ სხეულს სალბუნად ჩემი ცრემლები დაეფინოს!

**მამიკო!**

ძალიან მენატრები. სიზმრად დედიკოს რომ ესიზმრები, მეც დამესიზმრე. პატარა კი ვარ, მაგრამ ყველაფერს დავიმახსოვრებ და ამ სიკეთეს ყველას აუცილებლად დავუბრუნებ. შენ, დედიკოს და ყველას რომ გაუხარდება, ისეთი ბიჭი გავიზრდები.

***თამუნა და სანდრო***

### ვაჟა მანტუასა და ოთარ მელიას გახსენება





ამ გახსენებით მინდა ღირსეული პატივი მივაგო ჩემს საყვარელ, სათაყვანო, საამაყო ბაბუებს – ვაჟა მანტუასა და ოთარ მელიას. თქვენ მაღალი ზნეობისა და კეთილშობილების განსახიერება იყავით, იცხოვრეთ კაცური სახელით და ნათელი ხსოვნა დაუტოვეთ შთამომავლობას.

ვაჟა მანტუა... იშვიათი ვაჟკაცური სილამაზის და ხიბლის კაცი, საოცრად ადამიანური ღირსებებით შემკული, კაცთმოყვარე პიროვნება. ღვაწლმოსილმა დირექტორმა და ბრწყინვალე ფილოლოგმა მრავალ თაობას ჩაუნერგა ქართული ენის, ქართული მიწის სიყვარული. ვაჟა ბაბუა იყო მთელი სოფლის, რაიონის ლხინისა თუ მწუხარების თანაზიარი. სამწუხაროდ, მისი გარდაცვალებიდან მალე ტრაგიკულად დაიღუპნენ მისი შვილი ბუთხუზი და უსაყვარლესი ბიძაშვილი კახა მანტუა...

ოთარ მელია... ძალიან იშვიათია ცხოვრებაში ასეთი დახვეწილი, რაფინირებული, თხემით ტერფამდე ინტელიგენტი კაცი. ყოველმხრივ გამორჩეულმა ოჯახიშვილმა მაღალ თანამდებობებზე წარმოაჩინა თავისი ნიჭი, საქმისადმი ერთგულება. დიდ პატივისცემას იმსახურებდა საქმის ღრმა ცოდნით, უმაღლესი პროფესიონალიზმით, ორგანიზატორული ნიჭით, საოცარი წესიერებითა და კეთილსინდისიერებით. ღმერთს ვთხოვ, ნათელში ამყოფოს თქვენი ლამაზი და სპეტაკი სულები. აქ კი დარჩა თქვენი ნათელი ხსოვნა და კეთილი საქმეების კვალი.

### ანზორ ცხოვრებაძის მონატრება



რა სიტყვებით გაგიხსენოთ, რა სიტყვებით მოგეფეროთ, სხვას რომ არ უთქვამს... მამავ და ქმარო, ძმაო და მეგობარო... ტკბილო და თბილო, კეთილო და გონიერო... შენ ამშვენებდი შენს ოჯახს, სანათესავოს და სამეგობროს. იყავი მოსიყვარულე მეუღლე, სათუთი მამა და მზრუნველი ბაბუა. მაგრამ ვაი, რომ იყავი... მეორედ მოვიდა ტკივილიანი 31 მაისი... რამხელა იმედი იყავ და რამხელა ტკივილად იქეც... რასაც გული გრძნობს, ენა ვერ იტყვის...

გვიყვარხარ და გვენატრები. გვჯერა, რომ შენი ამქვეყნიური კაცურკაცობით განვლილი გზა სასუფეველში დაგიმკვიდრებს ადგილს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი, ნათელი სული.

***შენი მოსიყვარულე ოჯახი***





მეხის გავარდნას ჰგავდა ეს ამბავი, 31 მაისს, საღამოს რომ გავიგეთ, ჩვენო ანგელოზო, 4 წელი დედის სითბოს მოკლებულო, ერთადერთო შვილო გოჩა. შენი სიცოცხლე ბიძაშვილს შესწირე. ბრმა ტყვიამ მხოლოდ 25 წლის სიცოცხლე გაკმარა და დედის გვერდით დაგიდო სამუდამო საცხოვრებელი. დატოვე საცოდავი ახალგაზრდა მამა და ცოლ-შვილი. შენი პატარა ანა სკოლის მერე საფლავთან სანთლებს გინთებს. გვენატრები, ჩვენო მართლაც საამაყო ვაჟკაცო. შენ ხომ აწი უნდა გეცხოვრა, მაგრამ შეცდი, ბრმა ტყვიას წინ რომ დაუდექი და ამით დაასრულე სიცოცხლე. უზომოდ გვენატრებით ყველას, მწარედ დაგტირით შენი გამწარებული ბებია, რომელიც თქვენს საფლავთან მუხლმოდრეკილი არის დღედაღამ. თქვენი ხსოვნა მარად მტკივნეულად დარჩება ჩვენს გულებში.

***ბებია და ბიძაშვილები – თეონა და თორნიკე***

მსუბუქი იყოს შენთვის შენი ზანათის მიწა.

*ჩემო ვაჟკაცო მამიკო, ვიცი, ჩემს დარდში იწვები,*
*არ შეგეშინდეს იცოდე, მე დედიკოსთან ვიქნები.*



მამა თომა გვიმრაძე; მეუღლე ტარიელ ჯინჭარაძე; შვილი ბესიკი; ძმა დათო; რძალი მზია; ძმისშვილები: ნათია და თემური; მულიშვილი გიორგი; დედამთილი ქეთო; მამამთილი ლორდი; მული მანანა; სიძე ზურა სულთანიშვილი; ბიძები: გურძიმი მხეიძე, რეზო გვიმრაძე, გიორგი ჯინჭარაძე, თენგიზ ჯინჭარაძე; დეიდა ნანული მხეიძე; მამიდები, ბიცოლები: აზა, თამარა, მზია, ნანა; რძლები: ლია, მარინა, თამრიკო, ია; ბიძაშვილები: მარიკა, გია, ვახო, გელა, მამუკა ჯინჭარაძეები, ციცო, გოგიტა, ირმა, მარინა; დეიდაშვილები: ზაალი, ეკა, მაკა; მამიდაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ელდინო თომას ასული გვიმრაძე-ჯინჭარაძისა**

***პანაშვიდები:*** 1-ელ, 2 ივნისს, 17 საათზე;
***დაკრძალვა:*** ხუთშაბათს, 3 ივნისს, 15 საათზე.
***მისამართი:*** ცოტნე დადიანის №329, IV სადარბაზო, II სართული.



დედა ლიდა ფერაშვილი; მეუღლე მანანა ფრუიძე; შვილი დათო; ძმა ნუგზარი; ძმისშვილები: ირაკლი, ლევანი; რძლები: მანანა, ირმა; ბიცოლა ვენერა ფერაშვილი; ბიძები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით და ცოლისძმა გია ფრუიძე ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რამაზ ნოდარის ძე ჭაია**

***პანაშვიდები:*** 30, 31 მაისს, 17 საათზე;
***გამოსვენება:*** 1-ელ ივნისს, 17 საათზე.
***მისამართი:*** ვაჟა-ფშაველას №27, II სადარბაზო, მე-7 სართული.



# პრინცი უილიამი კვლავ შეყვარებულია

პრინც უილიამს გულში ჩაუვარდა 21 წლის მოდელი კეიტი. გოგონას საეჭვო წარსული ინგლისის მომავალი დედოფლისთვის შეუფერებელია. ადრე კეიტი ბარში მუშაობდა და ისე არხევდა უკანალს, რომ მუშტრები ჭკუიდან გადაჰყავდა. მალე თავი დაანება ბარს და მოდელი გახდა. უნივერსიტეტის სტუდენტების მოდების ჩვენებაზე კეიტი ქვედა საცვალს აჩვენებდა. პრინცმა უილიამმა 320 ევრო გადაიხადა, რომ პირველ რიგში დამჯდარიყო და გოგონას ყურებით დამტკბარიყო.

პრინცის მეგობრები ამბობენ, — კეიტს დიდი გავლენა აქვს უილიამზე, აქამდე მარტოსულ უფლისწულს თითქოს ფრთები შეესხაო. ინგლისის დედოფალს, ცხადია, საყვარელი შვილიშვილის არჩევანი მაინცდამაინც არ მოსწონს. კეიტი აშკარად უარესია უილიამის წინა რჩეულზე, რომელიც ერთ-ერთი კოლეჯის მასწავლებელია.

***ტაიმი***

# „იმღერე რამე!“

ქალაქ კოლუმბიის (აშშ) მოსამართლემ ტომ დიუბუამ საგზაო წესების წვრილმან დამრღვევთათვის არასტანდარტული სასჯელი მოიფიქრა — დამნაშავემ დანაშაულის გამოსყიდვა სიმღერით უნდა სცადოს.

ბრალდებულებს სიმღერების სია ურიგდებათ, რომელთა შესრულების შემდეგ შეუძლიათ ჯარიმა აღარ გადაიხადონ. მართალია, ზოგიერთს არც ხმა აქვს და არც სმენა, მაგრამ ცდას არ აკლებენ. გამოსავალიც გამონახეს — სოლოს ნაცვლად სასამართლოს დარბაზში ხშირად გაისმის დუეტში, ტრიოში თუ კვარტეტში შესრულებული სიმღერები. ბრალდებულებს ნათესავებიც აწევენ ხმებს. ამ „მუსიკალური საცოდაობის“ შემხედვარე სასამართლოს მცველიც კი ეხმარება მომღერლებს, მით უმეტეს, რომ იგი თურმე საეკლესიო გუნდში მღერის.

***ოკნა №19***

# ეგზოტიკური ბავშვის მოდაა!



ბოლო დროს ლამაზმა, მდიდარმა და ცნობილმა ადამიანებმა მოდად შემოიღეს ე.წ. ეგზოტიკური, ფერადი ბავშვების აყვანა, უმთავრესად ინდოეთიდან, ბრაზილიიდან და სენეგალიდან. ამ მოდამ პოდიუმის დედოფლებამდეც მიაღწია. აყვანილი ფერადი ბავშვებით იღლიაში ამოჩრილები დარბიან მარტოხელა ვარსკვლავები. ექსპერტები ცდილობენ, ამ ტენდენციას რაიმე ახსნა მოუძებნონ. ამბობენ, თავიდან იცილებენ ფეხმძიმატებულ წონას, შეძენილ იარევებს მუცელზე: თანაც, დაკარგვა მოჰყვება. მაგრამ, ყველა აყვანილი ბავშვი ახალ ასეთი ბედნიერი დედების მანი, რომელსაც ჰყავს 9 წლის პფაიფერი — მან 11 წლის



რომ ამ გზით ვარსკვლავები მობას და მის შედეგებს: მონაოჭებსა და ღარებს, ნაფეხმძიმობას ჰონორარის რა მიზეზიც არ უნდა იყოს, დედიკოებს ძალიან უყვართ. რიცხვს ეკუთვნიან ნიკოლ კიდბიჭუნა კონერი, მიშელ წინ იშვილა პატარა გოგონა კლაუდია როზი და ორშვილიანი ჯეი ლი კერტისი. 39 წლის კალისტა ფლოკჰარტმა 3 წლის წინ იშვილა პაწია ლაიამი. 28 წლის ჰოლივუდის ვარსკვლავმა ანჯელინა ჯოლიმ მშობიარობის შიშით 2 წლის წინ კამბოჯის ბავშვთა სახლიდან შესანიშნავი ბიჭუნა — მადოქსი წამოიყვანა. ახლა ანჯელინა მეორე ბავშვის აყვანასაც აპირებს. მსახიობი იზაბელა როსელინი 51 წლის არის. მას კანონიერი ქორწინებიდან 20 წლის ქალიშვილი ჰყავს, მაგრამ ამას არ შეუშლია ხელი 10 წლის წინ შავტუხა ბიჭუნა ეშვილებინა.

ბედნიერი ვარსკვლავი დედიკოების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ისინი თავს შესანიშნავად გრძნობენ ნაშვილებ ბავშვებთან, რომ აღარაფერი ვთქვათ თავად პატარებზე. თუმცა, ზოგიერთმა კანონდამცავმა ორგანიზაციამ გადაწყვიტა, სერიოზულად შეებრძოლოს, მათი აზრით, ძალიან საშიშ მოდას. ისინი ამბობენ, შეუთავსებელია სხვადასხვა კულტურის, რასის ამგვარი შერევაო.

***ოჯი***

# მაიმუნური სიყვარული



თურმე მაიმუნებსაც უყვართ შინაური ცხოველები, განსაკუთრებით კი ძაღლები. კუნძულ ბალიზე, ერთ-ერთი ზოოპარკის ბინადარ მაიმუნს ისე უყვარს ლეკვი, რომ ვერ იშორებს. როცა პაწია გვერდზე გადახტება, კუდით იჭერს. მაიმუნი შვილობილს ცივ ნიავს არ აკარებს.

მაიმუნს მანამდეც ჰყავდა ძაღლი გვერდით, მაგრამ როცა წამოიზარდა, გაექცა ძიძას, რომელიც მეტისმეტი მზრუნველობით აღიზიანებდა. მაიმუნმა ისე მოიწყინა, რომ მთელი კვირა საჭმლისთვის პირი არ დაუკარებია.

ზოოპარკის თანამშრომლები იძულებულნი შეიქნენ, სხვა ლეკვი მიეცათ აღსაზრდელად. ძაღლის დანახვისას მაიმუნი თვალის დახამხამებაში გამოცოცხლდა, გალაღდა და გაიხარა, მზრუნველ დედასავით ჩაიკრა გულში ლეკვი...

***მირორი***

# ახალი სახის მებრძოლი



საუდის არაბეთის ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა ტელეწამყვანმა რანია ალ-ბაზმა ქვეყნისთვის წარმოუდგენელი ნაბიჯი გადადგა. საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ იწყებს ბრძოლას ქალთა უფლებების დასაცავად. რანია იმ რამდენიმე ქალთაგან ერთ-ერთია, ვისაც საუდის არაბეთის ტელევიზიაში გადაცემები მიჰყავს.

ერთ საღამოს, როდესაც ბავშვებს ეძინათ, რანია და მისი ქმარი წაკამათდნენ, ეს კი მათ ოჯახში ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რადგან კაცს აღიზიანებდა ცოლის ეკრანზე გამოჩენა. მან ისე სცემა მეუღლე, რომ ქალი გონს ჰოსპიტალში მოეგო.

როგორც პოლიციამ განაცხადა, ქმარს ქალის დახრჩობაც უცდია, მაგრამ მეზობლებმა იხსნეს საბრალო. ქვეყნის სპეცსამსახურები რანია ალ-ბაზის ქმარს ეძებენ. დიქტორს კი დაახლოებით 12 ურთულესი ოპერაციის გაკეთება დასჭირდება სახის ძველებური ფორმის აღსადგენად.

რანია იმდენად პოპულარულია, რომ მაყურებლის თვალს უმალ დააკლდა. არავის უმხელდნენ მის ადგილსამყოფელს. თუმცა პაპარაციმ მაინც მოახერხა მისთვის სურათის გადაღება და მეორე დღეს ბევრი გაზეთის პირველ გვერდს რანიას ნაცემი სახე „ამშვენებდა“. ამ ფაქტმა ქვეყანა ორად გაყო. კონსერვატორები ქმარს ცოლის ცემას უწონებდნენ — ნამდვილმა მუსლიმანმა ცოლს პირი არ უნდა გამოაჩენინოს, მით უმეტეს, წარმოუდგენელი მკრეხელობაა ტელევიზიის ეკრანზე კეკლუცი, რომელსაც მილიონობით ადამიანი უყურებსო. „პრორანიისტები“ კი ამტკიცებდნენ, რაც მოხდა, იმდენად აღმაშფოთებელია, რომ ნათლად მეტყველებს ქვეყნის ჩამორჩენილობაზეო.

ამ ამბავს სამეფო ოჯახიც გამოეხმაურა. მეფე აბდულაჰი, რომელიც არაბულ სამყაროში რეფორმატორის სახელით სარგებლობს, ქალთა უფლებების გაზრდის წინადადებით გამოვიდა და დასძინა, — ქალებს მანქანის მართვის მოწმობის აღების ნებაც უნდა მიეცეთო.

ჰოსპიტლიდან გამოწერილმა ტელეწამყვანმა პრესკონფერენცია გამართა და გამოაცხადა, რომ იწყებს ბრძოლას ქალთა უფლებების დასაცავად და ამ მიზნით ორგანიზაციას აყალიბებს. სულ რამდენიმე დღეში რანიას მიერ დაარსებულ ორგანიზაციაში 15000-ზე მეტი ქალი თუ კაცი გაერთიანდა. მთავრობამ რანიას ქმრისგან დასაცავად პოლიციელები მიამაგრა.

რანიას პოპულარობა არაბულ სამყაროში სულ უფრო იზრდება. ანალიტიკოსები ამტკიცებენ, შესაძლოა ის ტელეწამყვანობიდან გავლენიან, ანგარიშგასაწევ ფიგურად იქცესო.

***ნიუ ზუიქი***

# შვედური სტუმართმასპინძლობა

შვედებმა ერთი ხანია სტუმართმასპინძლობის წესები შეცვალეს. სტუმრებს წინასწარ ურიგებენ სიებს, სადაც დაწვრილებით არის ჩამოწერილი, რა უნდა მიიტანონ მასპინძელთან. როგორც წესი, სიაში შეტანილია თეთრეული (ეს წესი ქალაქგარეთ, აგარაკზე სტუმრობას ეხება), ფეხსაცმელი, ერთჯერადი მოხმარების ჭურჭელი და პროდუქტები. არ მიიტანთ ზეწარს? დაიძინებთ უთეთრეულოდ! და სძინავთ კიდეც.

ამასთან, სტუმრებმა წინასწარ იციან, როგორ გაატარებენ დროს — წერილში ისიცაა მითითებული, დროის გასატარებლად ეპატიჟებიან თუ მასპინძლის ბოსტანში სამუშაოდ.

სიით სტუმარი იმასაც გაიგებს, რით დახვდება მასპინძელი, ექნებათ თუ არა პრეზერვატივები და რა დროს შეიძლება სექსით ტკბობა. შვედები ირწმუნებიან, რომ „სასტუმრო სია“ მეტად ეფექტიანია, სტუმრებს უხერხულობისა და დისკომფორტის შეგრძნება აღარ აქვთ.

***ოგონიოკი №19***

# ლეონარდო და ვინჩის „ფიატი“



ყველამ იცის, რომ დიდი იტალიელი მხატვარი ასევე დიდებული მეცნიერი და გამომგონებელი იყო. შემონახულია თვითმფრინავისა და შვეულმფრენების, ორთქლის ტანკებისა და წყალქვეშა ნავების, ველოსიპედის ნახაზები და ნახატები.

მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ XVI საუკუნის გენიოსი კიდევ ერთი გამოგონების ავტორია — მან შექმნა პირველი მანქანა, იგი მოძრაობს ზამბარებზე, ეს არის პირველი თვითმავალი მექანიზმი.

პირველად მას ყურადღება მიაქცია მკვლევარმა ჯიროლამო კალვიმ და დარწმუნდა, რომ ეს იყო ავტომობილი. მკვლევარმა 30 წლის შემდეგ ამ აღმოჩენას უწოდა „ლეონარდოს ფიატი“.

მეცნიერებმა სამჯერ სცადეს მისი ამოძრავება, მაგრამ სამჯერვე დამარცხდნენ. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ მათი ფიქრით, გადაადგილება ხდებოდა ორი დიდი რესორით. მხოლოდ 1975 წელს არმან ჰამერის ცენტრის დირექტორმა, პროფესორმა პაოლო გალუზიმ მიაგნო დამატებით მამოძრავებელ მექანიზმებს. შეიქმნა მოდელი.

ამჟამად ლეონარდოს „ფიატი“ გამოფენილია ისტორიის ინსტიტუტში. იგი სიგრძით 1,68 მია, სიგანეში კი 2,49 მ. მოძრაობს საათის მექანიზმის წყალობით. აქვს მუხრუჭი. საჭის ტრიალით მანქანა წინ მიდის და შეუძლია გვერდზე მიბრუნება.

***მირ ნოვოსტეი №19***

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში გრიგოლ ორბელიანის სიტყვებს ამოიკითხავთ.**

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| შ | ე | ი | ძ | ი | ნ | ე | თ | კ | ვ | ი | რ | ი | ს | პ | ა | ლ | ი | ტ | რ | ა |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| უ | ქ | ა | უ | ა | ა | ი | | ა | ო | ბ | ტ | ა | უ | | | ვ | ი | ა | ა | ო |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

**შ.** იარაღი, რომლითაც ბიბლიურმა დავითმა გოლიათი მოკლა; **ე.** საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც ეპისკოპოსი განაგებს; **ი.** იაპონური მხატვრობა, ყვავილების, ფოთლებისა და ტოტებისაგან გამოსახულების შექმნა; **ძ.** ზოგიერთი ცხოველის ნელი, მძიმე სირბილი; **ი.** იმამის ხელისუფლება; **ნ.** დაწნული თმა; **ე.** გარკვეული დისტანციის ცალკეული მონაკვეთი; **თ.** მიწის დასამუშავებელი იარაღი; **კ.** ტომ კრუზის ყოფილი მეუღლის გვარი; **ვ.** ჯარის უფროსი ძველ რუსეთში; **ი.** ბიბლიური პერსონაჟი, რომელიც საკუთარმა ძმებმა მონად მიჰყიდეს ეგვიპტელებს; **რ.** სია, ნუსხა, ჩამონათვალი; **ი.** მდინარე, რომელშიც მოინათლა იესო ქრისტე; **ს.** რაიმე მოქმედებისადმი ხალისის აღმძვრელი მიზეზი; **პ.** იტალიური კერძი; **ა.** ჯუზეპე ვერდის ოპერა; **ლ.** რა მდინარე ჩამოედინება ცხინვალსა და გორში; **ი.** ის, რაც გამოთქმის თანახმად ყველაზე ბოლოს კვდება; **ტ.** იტალიელი მხატვარი; **რ.** რა ერქვა აივენჰოს სატრფოს; **ა.** თავისთავად ცხადი ჭეშმარიტება.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

**კ.** კაქტუსი; **ვ.** ვოევოდა; **ი.** იადონი; **რ.** რემარკი; **ი.** იკაროსი; **ს.** სიღნაღი; **პ.** პელმენი; **ა.** ამონი; **ლ.** ლიბანი; **ი.** ითაკა; **ტ.** ტემზა; **რ.** როენა; **ა.** არფა; **თ.** თხემი; **ქ.** ქუთაისი; **ვ.** ვუალი; **ე.** ერუდიტი; **ნ.** ნობელი; **ი.** ივერია; **გ.** გუდუნა; **ა.** ამური; **ზ.** ზურნა; **ე.** ელენე; **თ.** თიბათვე; **ი.** იტალია; **ა.** ალაფი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: ქედმაღლობა მეფეთა უბედურებაა.**

# კვირის «მინიკალენდარი»

**„კვირის პალიტრა“ დაბადების დღეს ულოცავს ამ კვირაში დაბადებულ მკითხველებს. სახელგანთქმული ადამიანების „მინიკალენდარი“ კი ასეთია:**



**31 მაისი:**

**კლინტ ისთვუდი**, მსახიობი, რეჟისორი; **ბრუკ შილდსი**, მსახიობი; **მიხაილ ნესტეროვი**, მხატვარი; **კონსტანტინ პაუსტოვსკი**, მწერალი.

**1 ივნისი:**

საქართველოში წმინდა ნინოს შემოსვლის დღე; ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე; **მიხაილ გლინკა**, კომპოზიტორი; **მერლინ მონრო**, მსახიობი; **მორგან ფრიმენი**, მსახიობი.

**2 ივნისი:**

**მედეა ძიძიგური**, მომღერალი; **ალექსანდრ კალიოსტრო**, ალქიმიკოსი, ილუზიონისტი.

**3 ივნისი:**

**ქერი კინგი**, გიტარისტი.

**4 ივნისი:**

**ვასილ ბარნოვი**, მწერალი; **როდრიგეს ველასკესი**, მხატვარი; **ანჯელინა ჯოლი**, მსახიობი.

**5 ივნისი:**

**კახი კავსაძე**, მსახიობი; **ბარბარა ბრილსკა**, მსახიობი; **ფედერიკო გარსია ლორკა**, პოეტი, დრამატურგი; **ჟაკ დემი**, რეჟისორი; **ბრაიან მაკნაიტი**, მომღერალი, კომპოზიტორი; **ვალდის პელში**, ტელეწამყვანი; **ადამ სმიტი**, ეკონომისტი და ფილოსოფოსი.

**6 ივნისი:**

**ივერი ფრანგიშვილი**, აკადემიკოსი; **დალაი ლამა**, ტიბეტის სულიერი ლიდერი; **ალექსანდრ პუშკინი**, პოეტი; **არამ ხაჩატურიანი**, კომპოზიტორი; **ვინსენტ იანგი**, მსახიობი.

# სიტყვათა კონა

**კაჭარი** — ქანის მონატეხი დიდი ქვა, ცოტაოდენად მომრგვალებული და გახეხილი.

**კაჭაჭი** — გამხმარი ღერო მაღალი მსხვილღეროიანი ბალახისა, მზესუმზირასი და მისთ.

**კაჭიჭი** — 1. ვაზის ჯიში ერთგვარი. 2. ამ ვაზის ყურძენი და ღვინო.

**კბილჩოლერა** — ვისაც მრუდედ უსხედს კბილები.

**კბოდე** — მიუდგომელი კლდოვანი ნაპირი ზღვისა, მდინარისა.

**კედარო** (კუთხ.) — მხარე, კიდე.

**კევი** — მცენარის ფისი ერთგვარი, სალეჭად ხმარობენ.

**კევრი** — პურეულის სალეწი ძველისძველი იარაღი; წარმოადგენს წინისკენ თანდათან დავიწროებულ და თავაწეულ სქელ ფიცრებს, რომლებსაც ძირზე კოხები (კაჟის ნატეხები) აქვს ჩასმული; კევრში ხარებს ან ცხენებს აბამდნენ და კალოზე ატარებდნენ.

**კეკელა** — 1. (ძვ.) კეკლუცი (ქალი). 2. (საუბ.) უშნოდ მოკეკლუცე ქალი.

**კელა** — ბზიკი, კრაზანა.

**კემუხტი** — ცხენისა და მისთ. გავის ტყავი, შეღებილი მწვანედ ან შავად, ქოშების საპირედ. // ხორკლიანი, მაგარი ტყავი, რომლითაც ქარქაშს მოსავენ. 2. (გადატ.) — კერპი, ახირებული (ადამიანი).

**კენჩხა** (კუთხ.) — თავის ქალა.

**კეჟერა** — ორწლოვანი ბოსტნეული მცენარე კომბოსტოს ოჯახისა: თავს არ იხვევს; ხმარობენ მხლად ან მწნილად.

**კერატი** — დაუკოდავი ღორი.

# გიორგი ასანიძის ოლიმპიური ოქრო პირველი არ იქნება

**— კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა თავის ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ წელს ათენში გამართულ ოლიმპიადაზე პირველ ოქროს მედალს ელოდება ქართველი სპორტსმენებისგან. თუ მეხსიერება არ მღალატობს, 10 წლის წინ ძალოსნობაში ჩვენ უკვე მოვიპოვეთ ოლიმპიური ოქროს მედალი.**

***გიორგი თაქთაქიშვილი***

კითხვაზე უპასუხებს **ავთანდილ გახოკიძე**, საქართველოს ძალოსანთა ნაკრების მწვრთნელი.



— შესაძლოა, მინისტრს სულ სხვა რამ ჰქონდა მხედველობაში. წლევანდელ ოლიმპიადაზე ჩვენ გიორგი ასანიძისგან ოქროს მედალს ველოდებით, რადგანაც მას საამისოდ ყველანაირი მონაცემი აქვს. ერთი სიტყვით, ოლიმპიური ოქროს მედლის რეალური პრეტენდენტია. ისე კი გიორგი გამარჯვების შემთხვევაში ნამდვილად არ იქნება პირველი ოლიმპიური ჩემპიონი. პირველი იყო დსთ-ის ნაკრების წევრის, კახი კახიაშვილის ოქროს მედალი. თუმცა, დაჯილდოებისას მოხდა გაუგებრობა, თავდაპირველად აღიმართა რუსეთის დროშა, რამაც აღშფოთება გამოიწვია ქართულ დელეგაციაში და კახის მოთხოვნით იგი ჩამოხსნეს, რის შემდეგაც ქართველი ძალოსანი ქართული დროშისა და საქართველოს ჰიმნის თანხლებით დაჯილდოვდა. ამდენად, თამამად შეიძლება კახი კახიაშვილის გამარჯვება და ოქროს მედალი დამოუკიდებელი საქართველოს ოლიმპიელთა პირველ მონაპოვრად ჩაითვალოს.

# ყველაზე ძვირი ფერწერული ტილო...

**— ბოლო წლებში რომელი ფერწერული ტილო გაიყიდა აუქციონზე ყველაზე ძვირად და არსებობს თუ არა ასეთივე წესით გაყიდული წიგნი?**

***პეტრე ხუბულავა***

— 2002 წელს ივნისში სოთბის აუქციონზე გაიყიდა პიტერ პაულ რუბენსის ტილო, რომელიც საბოლოოდ მის მყიდველს 49,5 მილიონი გირვანქა სტერლინგი (75 მილიონი დოლარი) დაუჯდა. მყიდველი უცნობია. რუბენსის „ყრმათა წარტყვევნა“ დახატულია 1609-1611 წლებში. რაც შეეხება ბოლო წლებში გაყიდულ ყველაზე ძვირად ღირებულ წიგნს, ეს გახლავთ ლეონარდო და ვინჩის „ლესტერის კოდექსი“, შესრულებული უძვირფასეს ქაღალდზე, სარკისებური შრიფტით. ის 24 მილიონად გაიყიდა, და მისი მფლობელი მილიარდერი ბილ გეიტსი გახლავთ.

სოხო

პრობლემა რომ არ გვექცეს . . .

[illegible]

GMP

# ისევ მეგობრობენ თუ არა ყოფილი მინისტრები...

**— მაინტერესებს შესაძლებელია თუ არა ვალერი ხაბურძანიასთან შეხვედრა, თუ აქვს მიღების საათები?**

***მარიკა გვაზავა***

**— როგორც ვიცი, კობა ნარჩემაშვილი და ვალერი ხაბურძანია ნუგზარ საჯაიასთან ერთად მუშაობდნენ უშიშროების საბჭოში. შემდეგ ორივემ ერთ პერიოდში მინისტრების პოსტები დაიკავეს. იმასაც ამბობდნენ, მეგობრები არიანო. ამჟამადაც თუ გრძელდება მათი მეგობრობა? თუ ასეა, მაშინ სად არის კობა ნარჩემაშვილი?**

***შალვა ხარშილაძე***

კითხვაზე უპასუხებს **ვალერი ხაბურძანია**, საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე.

— რაც შეეხება პირველ შეკითხვას, ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია დამიკავშირდეს, მხოლოდ არა პირადად, არამედ ჩემი თანაშემწის მეშვეობით. დარეკოს და შეუთანხმოს მას ვიზიტის მიზანი და შესაბამისად, თანაშემწე მომახსენებს თუ რა საკითხზე სურს მოქალაქეს ჩემთან შეხვედრა, შემდეგ შევთანხმდებით დროზე და სირთულე ჩემი მხრიდან მოქალაქეებს არ შეექმნებათ თუ რა თქმა უნდა, საკითხი, რომლის ირგვლივაც მოქალაქეს ჩემთან სურს საუბარი, ჩემს კომპეტენციაში შედის.



მეორე შეკითხვაზე კი გიპასუხებთ შემდეგს, მე არ გახლავართ ის ადამიანი, რომელიც მეგობრებთან ურთიერთობას წყვეტს. მართლაც, მე და კობა ერთად ვმუშაობდით უშიშროების საბჭოში, ასევე ერთდროულად დავინიშნეთ ძალოვან მინისტრებად. რაიმე უთანხმოება არ გვქონია და ალბათ არც გვექნება. არც ისეთთა რიცხვს მივეკუთვნები, რომ ურთიერთობას ვწყვეტდე რაღაც კონკრეტული გარემოების გამო მათთან, ვისაც წლების მანძილზე ვიცნობ და კარგი დამოკიდებულება მაქვს (მიმიხვდით ალბათ, რაც ვიგულისხმე). საერთოდაც არასოდეს გავურბივარ რაღაც მიზეზთა გამო ვინმესთან ურთიერთობას. კობას არც ისე ხშირად, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ვხვდები და ისიც მიკავშირდება. იგი ხან თბილისშია, ხანაც ქუთაისში. მეტს ველარ დავამატებ კობას შესახებ, რადგანაც სად არის და რას საქმიანობს, თავად მას უნდა ჰკითხოთ (რაც შეეხება კობა ნარჩემაშვილს, მასთან გასაუბრება ვერ შევძელით, რადგანაც იგი ჟურნალისტებთან საუბარზე ამჟამად რატომღაც უარს აცხადებს. — ავტ.).

# მორიგი ღიმილი თუ ბავშვური ანცობა

**— ძალიან მაინტერესებს, რა ვითარებაშია გადაღებული საყოველთაოდ ცნობილი აინშტაინის ფოტო, რომელზედაც მას ენა აქვს გამოყოფილი?**

***თამარ თავშავაძე***



— ეს ფოტო გადაიღო უცნობმა ამერიკელმა ფოტოკორესპონდენტმა აინშტაინის დაბადების 72 წლისთავის აღსანიშნავად 1951 წლის 14 მარტს, ქალაქ პრინსტონში (ამერიკა), სადაც ფარდობითობის თეორიის „მამა“ კიდევ ერთ ახალ თეორიაზე მუშაობდა. კორესპონდენტის თხოვნაზე, ეჩუქებინა აინშტაინს მორიგი ღიმილი, გენიოსმა უეცრად ბავშვურად ენა გამოყო, მისი მიმიკის შეცვლას ფოტოაპარატის ჩხაკუნი მოჰყვა. ასე გაჩნდა შემთხვევის წყალობით გენიალური ფოტო. საერთოდ გენიოსი ყოველთვის კეთილგანწყობილი იყო პრესისადმი და არასოდეს ამბობდა უარს ჟურნალისტებთან ურთიერთობაზე. ცნობილი ფოტოს ორიგინალი ამჟამად ბილ გეიტსის საკუთრებაა და მისსავე კოლექციას ამშვენებს.

***რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა***

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**

# წავაგეთ, მაგრამ წინ მივდივართ...

ამგვარი მოსაზრება გამოთქვა საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალენ ჟირესმა ისრაელის ნაკრებთან 0:1-ზე წაგებული მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე და თუკი აღნიშნულ შეხვედრას კარგად გავაანალიზებთ, მივხვდებით, რომ არის ამაში სიმართლის მარცვალი.

აღარ მოვყვებით, რამდენი ფეხბურთელის გამოყენება ვერ შეძლო ფრანგმა სპეციალისტმა ტრავმების თუ სხვა მიზეზების გამო. ამგვარი მიზეზები სხვადასხვა დროს ყველა ნაკრებს აწუხებს და დროა, მათ არგუმენტად მოყვანაზე საბოლოოდ ვთქვათ უარი. თუმცა, ამ მხრივ, ერთი რამ ხაზგასასმელია: ალენ ჟირესმა არცთუ ფართო არჩევანის პირობებში მაინც შეძლო გუნდის დაყენება. ვიმეორებ — გუნდის, რომელსაც თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში „ცხვირი არ ჩამოუშვია“ და როგორც ადრე იცოდა — ერთ ადგილზე არ დამდგარა. გამონაკლისი, ალბათ, პირველი ტაიმის ბოლო ათი წუთი იყო, როდესაც ისრაელელი ბადირის მიერ 33-ე წუთზე გატანილი გოლის შემდეგ, რამდენიმე ქართველი ფეხბურთელი (მეტწილად ეს, შუახაზისა და თავდასხმის მოთამაშეებს ეხება) დაბნეული ჩანდა.



აქედან გამომდინარე, ალბათ, ბევრმა გულშემატკივარმა იფიქრა, რომ მეორე ტაიმის დასაწყისისთვის მუჯირსა და ალექსიძეს მაინც გამოცვლიდნენ, მაგრამ ჟირესმა არ იჩქარა და იმავე შემადგენლობით შეეცადა ფონს გასვლას. აუჩქარებლობა კი, ერთ-ერთი ის დადებითი თვისებაა, რომელიც საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრებსა და მწვრთნელებს ყოველთვის აკლდათ. მართალია, ამ შემთხვევაში, ჟირესის, როგორც მწვრთნელის, დადებითმა თვისებებმა დადებითი შედეგი არ მოიტანა, მაგრამ ამ შედეგისკენ მიმავალი გზები, თანაც კონკრეტული, ნამდვილად გამოჩნდა. რას ვგულისხმობთ? მხოლოდ ზოგადი მსჯელობა რომ არ გამოგვივიდეს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, მერაბ ჟორდანიას სიტყვებს მოვიყვანთ: „ისრაელთან მატჩში თითოეულმა ქართველმა ფეხბურთელმა იცოდა, რა უნდა ეკეთებინა 90 წუთის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ ვაგებდით, გუნდში ერთი წუთითაც ვერ შევნიშნე ქაოსი. პირიქით, ყველა თავისი დავალების შესრულებას განაგრძობდა. დღეს მე დავინახე სამუშაო პროცესი, რომელიც დარწმუნებული ვარ, შედეგს მოგვიტანს“. ჟორდანიამ აქვე აღნიშნა, რომ ბოლოდროინდელი ვითარებიდან გამომდინარე, ფეხბურთს იგი გულშემატკივრის თვალით უყურებს და შედეგს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს, თუმცა, ისრაელთან შეხვედრას სპეციალისტის თვალით თუ შევაფასებთ, ქართველ ფეხბურთელთა თამაშის ხარისხით კმაყოფილი დარჩა.

ჟორდანიასგან ოდნავ განსხვავებული პოზიცია ჰქონდა თავად ალენ ჟირესს, თუმცა, მთლიანობაში, ნაკრების თამაშით უკმაყოფილო არც ის დარჩენილა: „შედეგით, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო ვარ, თუმცა, გუნდის თამაშში წინსვლა მაინც შეინიშნება. მეორე ტაიმში შეცვლა მიზანშეწონილად იმიტომ არ მივიჩნიე, რომ შევნიშნე, ფეხბურთელები დაღლილები არ იყვნენ და მათ სარგებლის მოტანა კიდევ შეეძლოთ. მართალია, ტაიმის ბოლოს გუნდი აირია, თუმცა, თავისი სამუშაო ყველამ შეასრულა, მხოლოდ ტექნიკური და ინდივიდუალური ხარვეზები ჰქონდათ. სამწუხაროდ, ერთი გოლის გატანაც ვერ მოვახერხეთ, არადა, ნამდვილად შეგვეძლო...“

არადა, ნამდვილად შეეძლოთ. განსაკუთრებით მატჩის ბოლო 7-წუთიან მონაკვეთს ვგულისხმობ, როდესაც ჯერ 84-ე წუთზე ალექსანდრე იაშვილის დარტყმული ბურთი სტუმართა მცველმა კარის ხაზიდან გამოიტანა, შემდეგ კი, მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე მეკარესთან პირისპირ გასულ დავით სირაძეს ისრაელელთა გოლკიპერმა ნირ დავიდოვიჩმა აჯობა.

ქართველ ფეხბურთელთა კარგი თამაშის ყველაზე უტყუარი დამადასტურებელი ფაქტი კი გადაუღებელ წვიმაში ტრიბუნაზე მჯდომი 20 ათასზე მეტი გულშემატკივარი გახლდათ, რომელმაც მოთამაშეები, წაგების მიუხედავად, ტაშით გააცილა. ასეთი რამ ეროვნული ნაკრების თამაშზე დაგვეთანხმებით, კარგა ხანია, არ ყოფილა...

ეროვნულისგან განსხვავებით, ისრაელის ნაკრებთან მოგება შეძლო გოჩა ტყებუჩავას ახალგაზრდულმა ნაკრებმა. გოგიტა გოგუას, ირაკლი მოდებაძის (პენალტით) და გიორგი ჭელიძის გოლების წყალობით ქართველებმა ისრაელელი თანატოლები 3:1 დაამარცხეს.

***გიორგი ბაკურაძე***

# ირაკლი ლაბაძე რეკორდის ზღურბლზე



ირაკლი ლაბაძე საკმაოდ ახლოს იყო მიზანთან. მას შეეძლო საკუთარი რეკორდი დაემყარებინა საფრანგეთის ღია პირველობაზე. როლან გაროსის ტურნირზე ხომ არასდროს გასულა მესამე ეტაპზე.

პირველ წრეში ჩვენებურის მეტოქე შვედი იოაჰიმ იოჰანსონი გახლდათ. მართალია ქართველმა ჩოგბურთელმა მშრალი ანგარიშით, 3:0 გაიმარჯვა, მაგრამ სამივე სეტში ტაი-ბრეიკის დანიშვნა გახდა საჭირო. დაძაბულობას მიანიშნებს თავად სეტის ანგარიშებიც — 7:5, 7:6, 7:5.

მეორე წრეში ირაკლი ლაბაძის მეტოქე ფრანგი ფაბრის სანტორო იყო. ბრძოლის მნიშვნელობაზე ისიც მოწმობს, რომ ეს შერკინება ცენტრალურ კორტზე გაიმართა, რომელიც ფილიპ შატრიეს სახელს ატარებს. ბრძოლა 3 საათსა და 21 წუთს გაგრძელდა და სანტოროს გამარჯვებით დასრულდა — 3:2.

სანტოროს პირველ წრეში დიდი ბრძოლა გადახდა. მან არნო კლემანის ძლევას 6 საათი და 33 წუთი მოანდომა, რაც ჩოგბურთის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი მატჩია.

ლაბაძემ სწორედ სანტოროს დაღლილობაზე აიღო აქცენტი და თავიდანვე შეუტია, მაგრამ პირველ სეტში დამარცხდა 4:6, მეორე და მესამე სეტის მოგების შემდეგ კი საერთო ანგარიშში დაწინაურდა 2:1. მოსალოდნელი იყო, რომ სანტორო ვერ გაუძლებდა დაძაბულობას. თუმცა ირაკლი ლაბაძემ არაერთი შეცდომა დაუშვა, დარჩენილი ორივე სეტი წააგო (1:6, 2:6) და საბოლოოდ დათმო მატჩიც 2:3.

# კამაჩო მოვიდა, ვალდანო მიდის...

წარუმატებელი სეზონის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, მადრიდის „რეალში“ კარდინალური ცვლილებები მოხდა. გუნდის პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა მთავარი მწვრთნელის პოსტზე მადრიდის სამეფო კლუბის ლეგენდა, ესპანეთის საფეხბურთო ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მცველი ხოსე ანტონიო კამაჩო დანიშნა. პერესს ეიმედება, რომ სწორედ კამაჩოს შეუძლია შეადუღაბოს სამეფო კლუბის ვარსკვლავთკრებული.

აი, რა განაცხადა კამაჩომ პირველივე პრესკონფერენციაზე: „მუშაობისა და ცხოვრების ჩემი მანერა მაქვს, ვერ გეტყვით, რამდენად ავტორიტარულია ჩემი სტილი, მაგრამ ერთი რამ ცხადია, სადაც არ უნდა ვიყო, რა თანამდებობაზეც არ უნდა ვმუშაობდე, ყოველთვის ფეხბურთელის ინტერესებს ვიცავ. „რეალის“ ფეხბურთელები თავად ნახავენ ჩემს მოთხოვნებს. მათ მსოფლიო აღიარება მოიპოვეს და თავადვე იციან, როგორც უნდა მოიქცნენ მოედანსა თუ მოედანს მიღმა. ფაქტია, რომ „რეალს“ თამაში შეუძლია და არცთუ ურიგოდ. ყველა ხედავდა მის ძალას ხუთი თვის წინ. არ ვიქმნი ილუზიას, თითქოს ყველაფერი თავიდანაა დასაწყები, მე მხოლოდ ის რეზერვები უნდა ავამოქმედო, რომელიც საშუალებას მომცემს მთელი ჩვენი პოტენციალი „რეალის“ ინტერესების სასიკეთოდ წარვმართოთ.“

პორტუგალიელ კარლუშ კეიროშს პერესმა ჯერ კიდევ „რეალ სოსიედადთან“ სანტიაგო ბერნაბეუზე სკანდალურად დასრულებულ ბოლო ტურის მატჩამდე აცნობა თავისი გადაწყვეტილების შესახებ. სამეფო კლუბის გულშემატკივარნი იმდენად არ განიცდიან „რეალის“ მიერ დაკავებულ მეოთხე ადგილს, რამდენადაც იმ ფაქტს, რომ მათ საყვარელ გუნდს გაუსწრო მისმა დაუძინებელმა მტერმა „ბარსელონამ“.

„რეალმა“ ჩემპიონატი უჩვეულოდ ჩაამთავრა. კლუბის ისტორიას ანტირეკორდად შემორჩება მის მიერ ზედიზედ წაგებული ხუთი მატჩი. არადა, „რეალს“ ხუთიდან სამი მატჩი რომ მოეგო, რაც სრულიადაც არ იყო წარმოუდგენელი მისი შესაძლებლობების ფონზე, ჩემპიონის ტიტულსაც მოიპოვებდა.

ძნელი ასახსნელია „რეალის“ წარუმატებლობის მიზეზი. ზოგი მოთამაშეთა გადაღლაზე მიანიშნებს, ზოგი კი იმაზე, რომ კეიროშმა ვარსკვლავებთან საერთო ენა ვერ გამონახა. მაგრამ ბოლო ხანს ესპანურ მედიაში გაჩნდა ვერსია, რომ „რეალში“ თავმოყრილმა ვარსკვლავებმა ძალები ევროპის ჩემპიონატისთვის შემოინახეს. არგუმენტად მოჰყავთ წინა ისტორია, კერძოდ ის, რომ 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატისას „რეალში“ მოთამაშე ვარსკვლავების ეროვნულმა ნაკრებმა გუნდებმა ფიასკო განიცადეს. გამონაკლისი იყო რობერტო კარლოსის ბრაზილიის ნაკრები... მაშინ ვარსკვლავების მარცხის მიზეზად გადაღლა დასახელდა. ამიტომაც გამოაქვთ დასკვნა — არაა გამორიცხული, რომ სწორედ ამიტომაც მოეკიდნენ ვარსკვლავები ჩემპიონატის ფინიშს გულგრილადო. თავად განსაჯეთ, რაულმა ან მისმა რომელიმე თანაგუნდელმა ევროპის ჩემპიონობა რომ მოიგოს, ვისლა ემახსოვრება მათი წარუმატებელი გამოსვლა საკლუბო დონეზე?

თუმცა სადავო არაა, რომ კეიროშმა მოვალეობას ვერ გაართვა თავი. წარუმატებლობის უმთავრესი სათავე რომ სწორედ პორტუგალიელია, ფაქტია. სწორედ ამიტომაც დაიწყო პერესმა გუნდის გაჯანსაღება მთავარი მწვრთნელის შეცვლით. თუმცა ცვლილებები ისევ გრძელდება. გადაწყვეტილია, რომ კლუბს დატოვებს გუნდის სპორტული დირექტორი ხორხე ვალდანო. მან უკვე გააკეთა ოფიციალური განცხადება ამის თაობაზე. ვალდანოს კონტრაქტი სამეფო კლუბთან სექტემბრამდე ჰქონდა, თუმცა ის კლუბთან დამშვიდობებას მანამდე აპირებს. აქვე სახელდება მისი სავარაუდო შემცვლელიც — 80-იანი წლების ცნობილი ფეხბურთელი ემილიო ბუტრაგენიო.

# „დინამო“ თასს დასჯერდა




„დღეს ვერავინ იტყვის, რომ ქუთაისის „ტორპედო“ თბილისის „დინამოს“ სჯობს, მაგრამ როდესაც ასეთ დაძაბულ მატჩში მსაჯი უხეშ შეცდომას უშვებს, ეს უკვე ძალიან ბევრს წყვეტს. მსაჯთა კორპუსი აუცილებლად მისახედია. აქ, უბრალოდ შეცდომებზე არ არის ლაპარაკი, ვაცხადებ, რომ სერგო კვარაცხელიას მხრიდან მიკერძოებული მსაჯობა იყო“... — ქუთაისის „ტორპედოს“ მთავარი მწვრთნელის ოთარ გაბელიას ამ სიტყვებს საფუძველი თავად „დინამო“-„ტორპედოს“ ფინალური სათასო მატჩის მთავარმა არბიტრმა სერგო კვარაცხელიამ დაუდო. შეხვედრის პირველ ნახევარში, მაშინ როდესაც მე-2 წუთზე სულიკო დავითაშვილის მიერ გატანილი გოლით ქუთაისელები 1:0-ს იგებდნენ, კვარაცხელიამ მეკარესთან პირისპირ გასული „ტორპედოს“ თავდამსხმელის მოცელვისთვის დინამოელ კანდელაკს მხოლოდ ყვითელი ბარათი უჩვენა. არადა, ყველა წესის თანახმად, უკანასკნელი იმედის ჯარიმად მონათლული დარღვევის შემთხვევაში, ფეხბურთელს წითელი ბარათი ეკუთვნის. სწორედ ამ მომენტს მისტიროდნენ (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) ქუთაისელი ფეხბურთელები, დავით ყიფიანის სახელობის თასის ფინალში თბილისის „დინამოსთან“ 1:2 დამარცხების შემდეგ. მათი საუკეთესო ბომბარდირი სულიკო დავითაშვილი გაოცებული კითხულობდა — წინა ოთხშაბათს, უეფას თასის ფინალში კოლინამ საფრანგეთის „მარსელის“ მეკარე ბარტეზი მოედნიდან რისთვის გააგდოო... რისთვის და, უკანასკნელი იმედის ჯარიმისთვის, მაგრამ არც კვარაცხელიაა კოლინა და არც საქართველოა ჯერ ევროპა.

თავად ფინალი კი მართლაც საინტერესო სანახავი გამოდგა, რაც უწინარესად, ქუთაისელთა აქტივში უნდა ჩაითვალოს. ეს მატჩის შემდეგ დინამოელთა კაპიტანმა გიორგი ნემსაძემაც აღნიშნა: „საქართველოში თუ საზღვარგარეთ, თასის ფინალში ყოველთვის რთული ბრძოლები გადამიტანია, მაგრამ ამჯერად, ქუთაისელთა ასეთი კარგი, გააზრებული თამაში ჩემთვის მაინც დიდი მოულოდნელობა იყო“.

„ტორპედომ“ მართლაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა და საგოლე მომენტებიც „დინამოზე“ მეტი ჰქონდა. ამ დღეს გამორჩეულად ითამაშა თბილისელთა გოლკიპერმა ირაკლი ზოიძემ, რომელმაც ორი ურთულესი დარტყმა მოიგერია. გარდამტეხი კი 61-ე და 63-ე წუთები გამოდგა, როდესაც თბილისელმა მცველებმა — კაშიამ და სილაგაძემ (პირველმა შორეული დარტყმით, მეორემ კი თავურით) მეტოქეს ორი გოლი გაუტანეს. მოგების წყალობით, ამ სეზონში ჩემპიონატში წარუმატებლად მოთამაშე თბილისის „დინამომ“ უეფას თასზე თამაშის უფლება მოიპოვა, ხოლო „ტორპედომ“ საკუთარი გულშემატკივრის თვალში რეაბილიტაციის ბოლო შანსი გაუშვა ხელიდან...

# ულიე „ლივერპულს“ გაეყარა



ხმები იმის შესახებ, რომ „ლივერპულს“ დატოვებდა მისი ფრანგი თავკაცი ჟერარ ულიე, რამდენიმე ხნის წინ გავრცელდა, თუმცა, მას შემდეგ, რაც გუნდმა ჩემპიონთა ლიგის საგზური გაინაღდა, თითქოს ეს საკითხიც აღარ უნდა დასმულიყო. ამას მიანიშნებდა თავად ულიეს ოპტიმისტური განწყობაც, — „ლივერპულიდან“ წასვლას არ ვაპირებო...

„ლივერპულის“ ხელმძღვანელობამ მაინც გადაწყვიტა ულიესთან განშორება. „ჩვენ სერიოზული ცვლილებები გვჭირდება იმისთვის, რომ პრემიერლიგის მოგებაზე რეალური პრეტენზია გვქონდეს“, — განაცხადა გუნდის აღმასრულებელმა დირექტორმა რიკ პერიმ.

რაც შეეხება თავად ულიეს, ის არ მალავს თავის უკმაყოფილებას კლუბის ამგვარი პოზიციის გამო და ამბობს: „მოხარული ვიქნებოდი, „ლივერპული“ რომ არ დამეტოვებინა. მაგრამ იმასაც ვიტყვი, რომ ამის გამო წყენა არავის მიმართ არ გამჩენია“.

ჟერარ ულიე „ლივერპულში“ მუშაობდა 1998 წლიდან. მისი წყალობით გუნდმა ევროპული ფეხბურთის ელიტაში დაიბრუნა ადგილი. 2001 წელი მართლაც რომ ტრიუმფალური აღმოჩნდა: ულიეს შეგირდებმა ზედიზედ ოთხი ტიტული მოიგეს — ინგლისის თასი, ინგლისის ლიგის თასი, უეფას თასი და სუპერთასი.

წარმატებულმა და ამასთანავე დაძაბულმა სეზონმა ულიეს ჯანმრთელობაც შეიწირა. მას გულის მძიმე შეტევა ჰქონდა, რამაც რამდენიმე ხნით ჩამოაშორა საფეხბურთო სამყაროს, თუმცა, ფრანგმა ძალები მოიკრიბა და საკუთარ გუნდს დაუბრუნდა. მომდევნო წელს ისევ მოიგო ლიგის თასი... ამის შემდეგ კი კლუბის დაღმასვლა დაიწყო. 2003 წელს „ლივერპული“ ჩემპიონთა ლიგაში ვერ მოხვდა, ვერც უეფას თასზე ითამაშა ხეირიანად. აღსანიშნავია ისიც, რომ ზაფხულის სატრანსფერო ფანჯარისას გუნდის ხელმძღვანელობას არ გაუძლიერებია „ლივერპული“. ამას დაემატა პრემიერლიგაში „ჩელსის“ ფინანსური მოღონიერებაც და შედეგად ულიეს შეგირდები პრემიერლიგაში მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდნენ. ეს შედეგი კი, როგორც აღმოჩნდა, „ლივერპულის“ მესვეურთა ამბიციურ განწყობას სრულიადაც არ შეესაბამება.

რაც შეეხება ფრაგი სპეციალისტის შემცვლელის ვინაობას, წინასწარი ვარაუდით, ყველაზე კარგი შანსი აქვს ალან კერბიშლის, რომლის ხელშიც წინა სეზონში უამბიციო „ჩარლტონმა“ მეშვიდე ადგილი დაიკავა.

***გიგა ხორსელი***

## №21 (399) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

№21-ე რეიტინგის თემას — „გავლენიანი ბიზნესმენი“ — 546 მკითხველი გამოეხმაურა. 4 ბარათი არასწორად იყო შევსებული. კონკურსში 223 ქალისა და 319 მამაკაცის მიერ შევსებული ბარათი მონაწილეობდა.

**„ვინ არის დღეს ყველაზე გავლენიანი ბიზნესმენი საქართველოში?“** — ასეთი იყო კითხვა.

სიახლეს ნამდვილად არ წარმოადგენს ის, რომ ზღვარი ქართულ პოლიტიკასა და ბიზნესს შორის დღეს თითქმის არ არსებობს, ქართველი ოლიგარქების პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენა საკმაოდ დიდია. მათ შორის ყველაზე გავლენიანი და ანგარიშგასაწევი ფიგურა კი ბადრი პატარკაციშვილია — ასე ფიქრობს რეპონდენტთა 92%, რომელთაც მაქსიმალური ქულით შეაფასეს იგი. **7,82** საშუალო ქულით პატარკაციშვილი პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე ქართული ლუდის მაგნატი გოგი თოფაძეა, საშუალო ქულაა 6,27. აღსანიშნავია, რომ სწორედ მან დაიმსახურა ყველაზე მცირე რაოდენობის მინიმალური ქულა — მხოლოდ ორმა მკითხველმა (0,4%) დაუწერა მას 1 ქულა.

თემურ ჭყონია მესამე ადგილზეა საშუალო ქულით 4,87. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მისთვის მიკუთვნებულ მაქსიმალურ ქულებს (0,2%) მინიმალური ქულები (1,7%) სჭარბობენ.

რაც შეეხება ეროსი კიწმარიშვილს, მის გავლენაზე რევოლუციის შემდეგ ალაპარაკდნენ. თუმცა, როგორც ვხედავთ, მკითხველები აქ ჩამოთვლილ ადამიანთა შორის მას არცთუ დიდი გავლენის მქონე ბიზნესმენად მიიჩნევენ. ამ ბოლო დროს აშკარად დაპირისპირებულ მეორე მედიამაგნატთან — ბადრი პატარკაციშვილთან შედარებით მისი გავლენა საკმაოდ მცირეა. მკითხველთა 4%-მა მიაკუთვნა სავაჭრო პალატის ხელმძღვანელს მაქსიმალური — 8 ქულა, ხოლო მინიმალური — 1 ქულა კი რესპონდენტთა 10,4%-ისაგან დაიმსახურა.

უნდა აღინიშნოს, რომ მაქსიმალური ქულების რაოდენობის მიხედვით ის გოგი თოფაძესაც (2,5%) კი უსწრებს.

როგორც ჩანს, მკითხველთა უმრავლესობისთვის გავლენისა და სიძლიერის განმსაზღვრელი პოპულარობაა.

აქ ჩამოთვლილი ყველა ბიზნესმენი საზოგადოებისათვის კარგად ნაცნობია, მაგრამ დაგვეთანხმებით, რომ დღეს ბადრი პატარკაციშვილსა და გოგი თოფაძეს, პოპულარობის თვალსაზრისით, ვერც ერთი მათგანი ვერ შეედრება.

რეიტინგში ავთო წერეთელის ბოლო ადგილი გასულ კვირას „ქართულ თამბაქოში“ ფინანსური პოლიციის შესვლითაც შეიძლება აიხსნას. ყოველ შემთხვევაში, ძველი ხელისუფლების დროს „სამგორი ჯგუფის“ თავკაცს ამის წარმოდგენაც კი გაუჭირდებოდა.




საპრიზოს ზუსტად შვიდი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები — **თინა ჯიქია,** 44 წლის **ციცო ვარდოსანიძე,** 55 წლის **დურმიშხან ყიფიანი,** 74 წლის **ლევან ჭელიძე,** 38 წლის **როლანდ მანჯავიძე,** 46 წლის **ნესტორ თოდრია** და ქუთაისელი, 63 წლის **სულიკო ვადაჭკორია.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 2 ივნისს, 17 საათზე.

**P.S.** ზოგისთვის შეიძლება ეს უბრალო სტატისტიკაა, მაგრამ ჩვენთვის ეს ასე ნამდვილად არ არის — რეიტინგის მომდევნო ნომერი საიუბილეოა და რიგით — მე-400.

## №22 (400) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

# 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვასა და **«მკითხველის პრემიას».**

**№22 (400) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 2 ივნისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 3 ივნისის 13 საათამდე.**

© თბილისი

**ყურადღება! რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ისინი, შეავსოთ და მითითებულ ყადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.**

თემა №22(400) — კრიტიკის ობიექტი

**ყველაზე ხშირად ვინ ხდება თქვენი კრიტიკის ობიექტი დღეს** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№22(400) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | სამართალდამცველები | |
| 2 | ტელეჟურნალისტები | |
| 3 | შოუბიზნესის წარმომადგენლები | |
| 4 | პრეზიდენტი | |
| 5 | მთავრობა/მინისტრები | |
| 6 | პარლამენტსმიღმა დარჩენილი პოლიტიკოსები | |
| 7 | მსხვილი ბიზნესმენები | |
| 8 | პარლამენტარები | |

**დამატებითი კითხვა**

**მოგწონთ თუ არა კონკურსში გამარჯვებული საქართველოს გერბი?**

| დიახ | არა | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|
| | | |

*(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)*

**მკითხველის პრემია**

**დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი**

✓ ______________________

______________________
თქვენი სახელი, გვარი

______________________
ქალაქი (რაიონი)

__________ ასაკი __________ ტელეფონი




**დამატებითი კითხვის შედეგები**




**მოგწონთ თუ არა საქართველოს ახალი ჰიმნი?**

1. დიახ
2. არა
3. მიჭირს პასუხის გაცემა

*დამატებით კითხვას 505-მა რესპონდენტმა უპასუხა*

## ·ფოტოპალიტრა· © ფოტოანტიკვარი

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

რას ლაპარაკობდით?

______________________

______________________

______________________

თქვენი სახელი, გვარი ______________________

ქალაქი (რაიონი) ______________________



ედუარდ სურმანიძე, ზურაბ ჟვანია

წინა ნომრის „ფოტოანტიკვარში“ გამოქვეყნებულ ფოტოს ასეთი მინიშნება ჰქონდა — „ლეკიანობას ერთხელ გადავურჩი“. როგორც ჩანს, ამ ფრაზამ სწორ გზაზე დააყენა მკითხველი — სწორედ მანქანით გაიტაცეს და გადამალეს კახეთის დღევანდელი გუბერნატორი **პეტრე ცისკარიშვილი** კავკასიონის მიუვალ ხეობაში და მკითხველთა 92%-მა ზუსტად ამოიცნო იგი. თუმცა დასახელებულთა შორის ვანო მერაბიშვილი, ცოტნე ბაკურია და რევაზ ჩელებაძეც აღმოჩნდნენ.








ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი

**პეტრე ცისკარიშვილი, 4 წლის**

## ფოტო კომენტარით



მექსიკურ ქალაქ მანსალინოში იშვიათად ხდება რაიმე საინტერესო, მაგრამ ახლახან იგი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა: ქალაქში რამდენიმე საათით შეწყდა სარკინიგზო მიმოსვლა — თურმე ათასობით კიბორჩხალას წყნარი ოკეანის ერთი სანაპიროდან მეორეზე გადასახლება გადაუწყვეტია. „მოგზაურებს“ დიდი დაბრკოლება შეხვდათ — მათი და მატარებლების მოძრაობის განრიგი ერთმანეთს არ დაემთხვა და მექსიკელები დიდხანს ელოდებოდნენ სარკინიგზო ხაზის გათავისუფლებას...

3/VI სავსე მთვარე

**მაგნიტური დღეებია:**
2/VI 12-დან 14 საათამდე
4/VI 13-დან 16 საათამდე

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. ყაზარმა; 4. კორტეჟი; 6. „სეიკო“; 7. ილიკო; 8. სორდი; 9. ათენი; 10. ანტენა; 13. ილიადა; 16. ემირი; 18. იურისტი; 19. ზეითუნი; 20. საფრა; 22. იდილია; 23. ბიკინი; 25. ბარდა; 27. ბანქო; 28. უსამა; 29. „ნატსი“; 30. „იაგუარი“; 31. ალუბალი;

**შვეულად:** 1. ყოჩივარდა; 2. ასფიქსია; 3. მილიარდერი; 4. კოლორიტი; 5. ინტონაცია; 11. ტორტი; 12. ნესვი; 14. ლხინი; 15. აგური; 16. ეის; 17. „იზა“; 21. ფარენჰაიტი; 22. იგავ-არაკი; 24. ინტრიგანი; 25. ბაბლუანი; 26. ანოტაცია.



შეადგინა რამაზ ალანიამ




## ჰოლი ბერის მომხიბვლელი ღიმილი

ჰოლივუდში მოეწყო საუკეთესო ღიმილის გამოსავლენი კონკურსი, რომელშიც ჰოლი ბერის ღიმილი ჟიურიმ ყველაზე მომხიბვლელად აღიარა, მეორე ადგილი ერგო ჯულია რობერტსს, ნიკოლ კიდმანს ამ კონკურსში არ გაუმართლა, მისი სახელი სიის ბოლოში აღმოჩნდა. მეტიც, ექსპერტებმა ნიკოლის ღიმილს „რეზინის“ უწოდეს. ბოლო დროს წარმატება გვერდს უვლის ნიკოლს. ჟიურიმ შეადარა 15 ყველაზე ცნობილი ჰოლივუდის ვარსკვლავის ფოტო, შეაფასეს კბილების სითეთრე, ფორმა, ღიმილის სიმეტრიულობა. მამაკაცთა შორის პირველი ადგილი დაიკავა პირს ბროსნანმა.







ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

## ㉒ უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№22 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 3 ივნისს (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა, ფაქსი:** 33-50-32; 98-74-44

news@kvirispalitra.com
www.opentext.ge/kvirispalitra

სარეგისტრაციო ნომერი © 1518

„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.